ის, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში რუსეთთან ომის ფონზე. მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროპორცია საბჭოთა დროს იყო ამგვარი: 70 პროცენტს ვანარმოვდით მემცენარეობის პროდუქციას და 30 პროცენტს - მეცხოველეობის. გასული საუკუნის 90-ანი წლებიდან მოსახლეობამ დაინახა, რომ თავის გადარჩენის ერთადერთი საშუალება იყო მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება: მანონი, რძე, ყველი, ხორცი. ვისაც 4 ძროხა ჰყავდა, ოჯახსაც ინახავდა და ქალაქში - შეიღსაც. ამიტომ 2003 წელს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ოდენობა მილიონ 100 000-ს ასცდა, ცხვარი გვყავდა 722 ათასი. ამ მხრივ, 2003 წელი ერთ-ერთი საუკეთესო იყო. მაგრამ 2004-დან ისევ დაიწყო სტაგნაციის პროცესი.



**მინდა, ვთხოვო საქართველოს მთავრობას, ასეთ საშიხ და დაავადებებით დაზიანებულ ზონებში ვეტერინარიის სამსახური დროებით შეუერთდეს ჯანდაცვის სამსახურს, რადგან ეს პირდაპირ კავშირშია ადამიანების ჯანმრთელობასთან**

**- იმპორტის მოძალბების და ლობირების გამო?**  
- ხელისუფლების იდეოლოგია იყო ასეთი. ბენდუქიძის იდეოლოგიიდან გამომდინარე, რატომ უნდა დაუჭირო მხარი გლეხს, ისე უნდა, ამონყვეტილა და წათრეულა სადაც უნდა?  
**- საქონელი დავლა მოსახლეობამ?**  
- ინტერესი დიკარვა, მიგრაციის პროცესი დაიწყო - ქალაქისკენ და ქვეყნის გარეთაც. 2004 წლიდან უკან-უკან წავიდა პროცესი, მაგრამ ხელდავდა რა ამაში გადარჩენის საშუალებას, მოსახლეობა ცდილობდა, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობა გაეზარდა, მაგრამ ამას-

**- სახელმწიფომ რით შეუძლია დაუჭირო მხარი მესაქონლეობას?**

- ძალიან ბევრი: განსაკუთრებით, ცხვარში, ღორში, რომლის ხორცსაც მთელი საქართველო მოიხმარს. ჩვენ თავისუფლად შეგვიძლია, ვიყოლით ზამთარში 1 მილიონი სული ღორი, ზამთარში - 2 მილიონი და ნამატი გავყიდოთ. ეს შემოსავლის წყაროა და სახელმწიფო უნდა ეცადოს სტიმულირებას. მეცხვარეთა კოოპერაციული გაერთიანებები უნდა შექმნას.  
**- მოიხვენა არის ისევ ცხვარზე?**  
- დაახ, ჩვენი ცხვრის ხორცი ძალიან წვნიანია, ჯანსაღი ბალახით იკვებება, არაბული საწყარო და ახლო აღმოსავლეთი ხრიოკია, კაქტუსისა და ხმელი ბალახის მეტი არაფერია. მით უმეტეს, რომ ქართველმა კაცმა შექმნა შესაბამისი ჯიშები, ადგილობრივი პირობებისთვის გამოყვანილი. ამას ფინანსების გამოყოფა უნდა. ამ ახლად შექმნილ კოოპერატივებს სუბსიდირება სჭირდება. ძალიან ბევრი ღონისძიება ამაზე ერთ მასალაში ვერ ვილაპარაკებთ.  
**- ცხვარს ნაკლებად მოიხმარს ჩვენი მოსახლეობა, ღორისა და საქონლის ხორცი უფრო მასობრივად გამოიყენება. რამდენი სულის ყოლის პოტენციალი გვაქვს?**  
- ვეტერინარიის სამსახურთან ფეხზე დასაყენებელი, რომ პროფილაქტიკური მკურნალობა ჩატარდეს. ეს პირველ ეტაპზე სახელმწიფომ თავის თავზე უნდა აიღოს, რადგან, როდესაც ეს ყველაფერი განვითარდება, თავისთავად გავრძელდება. გლეხიც სხვანაირად შეხედავს ამ საკითხს. პოლანდიას ძალიან საინტერესო გამოცდილება აქვს: ფერმერულ კავშირებს ხელშეკრულებები აქვს მეცხოველეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრთან. ის მათ უკეთებს პროექტს და ეუბნება: შენი ძროხა ამ პირობებში მონიველის დღეში 27 ლიტრს. თუ ამ პირობებს დაივც, ცენტრი გარანტირებულად გაძლევს ამ პირობას და შენ გისრულდება ეს პირობა. 50 პროცენტით სამეცნიერო ცენტრს აფინანსებს სახელმწიფო და დანარჩენ 50 პროცენტს აფინანსებენ ფერმერები. ამის გაკეთება შეიძლება, მაგრამ, დღეს რომ გახედოთ ჩვენს გადატყეპნილ საძოვრებს, მიუხედავად იმისა, რომ მილიონ რვასი ათასი ჰექტარი გვაქვს სათიბი და სოძოვარი, სასაცილოა, ვილაპარაკოთ იმაზე, რაკი 1940 წელს გვყავდა მილიონ 600 ათასი სული პირუტყვი, ისევ იმ მაჩვენებელზე უნდა გავიდეთ. ჩვენ უნდა ვიფიქროთ იმაზე, რომ გავიდეთ, მაქსიმუმ, მილიონ 300 ათას მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვზე. გაკეთდა რამდენიმე პროგნოზი და მეცნიერები ამბობენ, 2020 წლისთვის შეიძლება, გვყავდეს მილიონ 500 ათასი. მე ეს არარეალურად მიმაჩნია და ვფიქრობ, მაქსიმალური რაოდენობა, საუკეთესო შემთხვევაში, შეიძლება, იყოს მილიონ 300 ათასი. თუ მაინცდამაინც ორიენტაცია უნდა ავიღოთ არა სულაღობაზე, არამედ ფურების რაოდენობაზე და შევეცადოთ, შევინარჩუნოთ ფურების არსებული რაოდენობა, მაგრამ გვჭირდება ხარისხიანი ფური. უნდა გავაუმჯობესოთ ჯოგის სტრუქტურა და ასე შემდეგ. პირველ ამოცანად კი

**დღევანდელი მესხპაპა ზუსტად იმ პირობებში წსოპოვს, რა პირობებში წსოპოვდა და საქმიანობდა მესხპაპა ალექსანდრა მახუბში, პრაფში მესხლილა**

ობაში ვეტერინარიის სამსახური მოისპო და ძალიან ბევრი დაავადება გაჩნდა. მხოლოდ და მხოლოდ 2012 წლისთვის გაიზარდა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულაღობა. როგორც გითხარით, 2012-ში გადასცდა მილიონ 100 000-ს, 2013 წელს კი უკვე გვყავდა მილიონ 229 ათასი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, თუმცა ჩავარდნა გვქონდა ღორში - 191 ათასი. რაც პირადად მე დიდ ციფრად მიმაჩნია, 110 000-ზე დაეცა ღორის რაოდენობა და არ მგონია, 191 000 იყოს, ცხვარი 900 000-მდეა, აქაც ზრდაა, მაგრამ არასაკმარისი.

(გაგრძელება მე-15 გვერდზე)



პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის ხელმძღვანელის, ირაკლი სხინაშვილის შრომის ნიგანი აღიარებული ასაკში გაიხსნა, შემდეგ იყო არასამთავრობო სექტორში გატარებული წლები, რამაც გერმანიისტი, ჟურნალისტი და სამხედრო ექსპერტი პოლიტიკურ პროცესებში ჩართა. ამბობს, რომ პოლიტიკურ კარიერაზე არასდროს უფიქრია, თუმცა, დღეს უკვე ძალიან მნიშვნელოვან პოსტზე მყოფს, რომელსაც წელიწადში ერთხელ მაინც, სეზონურად, თავდაცვის მინისტრობასაც კი უწინასწარმეტყველებენ, თავისი ხასიათის წყალობით, ქართული პოლიტიკის რთულ ლაბირინთებში გზის გაკვლევა ნამდვილად არ უჭირს და არც სხვაურიან სკანდალებში ხვდება.

## რაგომ დასჭირდა ირაკლი სხინაშვილს „ეასკიროვკა“ ფრანგურებში და რას ვერ უწინაშეს ის ბიძინა ივანიშვილს

**ირაკლი სხინაშვილი:** პროფესიით გერმანიისტი ვარ. პროფესიული კარიერა დასავლეთ ევროპის ფაკულტეტზე, ორი მაგიდის დიდი ბიბლიოთეკის გავლენით გავაკეთე. ზოგადად, დიპლომატობა მინდოდა, მაგრამ, მაშინ ეს ფაკულტეტი ჩვენი არ იყო, თუმცა უცხო ენის ცოდნა, რის საშუალებასაც იძლეოდა დასავლეთ ევროპის ფაკულტეტი, სასტარტო პირობებისთვის ურიგო არ იყო. მაგიდები ექვსი წლიდან მაკითხებდნენ და მასწავლებლებს რაღაც რაღაცებებს, მეც მჭერდა ენების შესწავლის ნიჭი და, შესაბამისად, ძალიან მარტივად ჩავაბარე; უფრო მეტიც, სტუდენტი რომ გავხდი, უკვე იმდენი ვიცოდი, პირველი ორი კურსი ზარმაცობისკენ გადავიხარე – რასაც სხვები სწავლობდნენ, მე უკვე ნასწავლი მქონდა. იმ პერიოდში ევროპისკენ „ღია“ ფანჯარა იყო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, იენისა და დრეზდენის უნივერსიტეტები, სადაც საქართველოდან წელიწადში ორ სტუდენტს გზავნიდნენ. მე ორჯერ მომიწია გერმანიის სანსაველებად წასვლა, პაიდელბერგის უნივერსიტეტში ვსწავლობდი რვა თვის განმავლობაში და იქ, ჩემი პედაგოგის წყალობით, რომელმაც გვასწავლა პოლიტიკის ენა, უკვე გამიჩნდა ინტერესი პოლიტიკის მიმართ.

### – და განაწიდა პოლიტიკური კარიერის გეგმა?

– არა, პოლიტიკური კარიერის გეგმა არასდროს მქონია. მოგვიანებით მე დაინტერესდი ჟურნალისტიკით და სასწავლებლად წავიდი ბამბერგის უნივერსიტეტში, ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე, სადაც პრაქტიკას გავიხდი ცნობილ გერმანულ გამოცემაში და გავიარე კურსები ფრანკფურტში, სადაც ძალიან დიდი გამოცდილება მივიღე. ერთ ისტორიას გავიხსენებ: სადაბლოთი თემაზე ვმუშაობდი. რეპორტაჟი უნდა გავგვეკეთებინა კაიზერმუტრასეზე, რომელიც ევროპაში ყველაზე ცნობილი კრიმინალური ქუჩაა – იქ კრიმინალები, მათიოზებისა და მძევლების ბუდეა და საოცრებები ხდება – იქ გავილა არც ისე იოლია, მით უფრო – კამერით. გადაწყვიტე, რომ ყველაზე გაბედულებს უნდა გადაგეყო რეპორტაჟი კაიზერმუტრასეზე. ჩემს ვაჟს ვეუბნებდი რომ გადგებდი, ერთ რუმინელ ბიჭს ვუთხარი: აქ ჩემსა და შენზე მაგარი არაფერია, ჩვენ მოგვინებს გადაღება-მეთქი. კიო, – დამეუბნებნა და წავიდი. ლამის თორმეტის მერე იქ ნებისმიერ ტურისტს პრობლემა ექმნება – ან კამერას წაართმევენ, ან გაძარცვებენ, ან სცემენ, მოკლენ, იქიდან მშვილობით ვერ გამოხვალ. მთავარია, შენს ტიპაჟს იქ მოძრავი კრიმინალი შეეჩვიოს, განსხვავებული არ უნდა იყო. გავიკეთეთ „მასკიროვკა“ ჩავიცვით სამიწლად; გაუბრალებებმა, გურმოს რომ შეგუებოდით, დილიდან იქარე ვაჩვენებთან ერთად ლუდი ვსვით. ლამის თორმეტ საათზე დაინწყით მოძრაობა. ერთ-ერთ ჩიხში გადავეყარეთ პოლიციელებს, რომელიც თავზე წაადგა ნარკომანს. ის კოვზზე ნარკოტიკს ხარმავს, პოლიციელი რაღაცას ელაპარაკება, ნარკომანი კი უბნება, ცოტა ხანს თავი დამანებო. როცა მათი კონფლიქტი დამთავრდა, მივედი პოლიციელთან, გავეცანი და გკითხე: თუ შეიძლება, მითხარო, რაზე ეჩხუბებოდით-მეთქი. პოლიციელმა მითხრა, ვეუბნებოდით, რომ ტროტუარად გზაზე გადაწყობილი ფეხები აეღო, – აი, სულ ეს იყო მათი

პრობლემა (იციხის). იმ ღამეს ბოლომდე მშვილობიანად ვერ გადავჩრით, თუმცა, კარგი რეპორტაჟი კი გამოვიტანეთ, საინტერესო ისტორიით.

### – სად გაიხსნა თქვენი შრომის ნიგანი და რა იყო თქვენი პირველი სამსახური?

– დაახლოებით 14-15 წლის ასაკში მეგობრებთან ერთად, ერთ-ერთი მეგობრის მამის დახმარებით, მუშაობა დავიწყეთ ხის საამქროში, ჩარჩოებს ვკრავდი. იმდენ ანაზღაურებას ვიღებდი, რაც იმ ასაკის ბიჭს სჭირდებოდა; ამ ფულით მეგობრებთან ერთად „პაუზკაში“ წასვლაც შეიძლებოდა. ჩემს გამოცდილებას სულ ვუზიარებ ჩემს უფროს შვილს – მან უნდა ნახოს, როგორ მოიპოვება ათი ლარი, რომ სხვისი ნამოვნი ათი ლარის ფასი იკოდეს. ახლა თელავში ქარხანაში მუშაობს მუშაობს. პირველ დღეს რამდენჯერმე დავურეკე და მოვიკითხე. მამა, ვმუშაობ და არ მცალიოა. სადამოს მივაკითხე თუ არა, მითხრა: ითხვერ დედამ დაძირეკა, ოთხჯერ – შენ. რას მირეკავთ, სამასი ბოთლი გავრეცხე, შტოფები დავალაგე, სტიკერები მივაკარი, თქვენი ზარებისთვის მცალიაო?! (იციხის) ძალიან მნიშვნელოვანია, ბავშვს ადრევე ასაკში დაანახო, რას ნიშნავს მუშაობის დანსება პირველი საფეხურიდან. თუ ადამიანი არ იცის მუშის პატვისიცემა, თუ არ გაუკეთებია „მავი საქმე“, ვერასდროს ექნება ადეკვატური დამოკიდებულება რიგითი



სასტუმროშიც ვმუშაობდი, ვაკეთებდი ყველაფერს – ბაზარში წასვლით დანსებული, გაყიდვების მენეჯმენტით დამთავრებული

## ნახლი ავაშინე, ხე ღამობე, ომი ზიჟის უმეღვ პოტი ჰოპო გაპლია ოჯახში

თანამშრომლის მიმართ. ბევრი ფიქრობს, რომ სამსახური პირდაპირ კაბინეტში უნდა დაიწყოს, მაგრამ, ეს არ არის სწორი. მე პირადად, სად არ მიმუშავებია, როცა ცოლი შევიერთე და ოჯახი გამიჩნდა სარჩინი, დაინწყე მუშაობა გერმანულ ჟურნალში „კაუკაზემე პოსტ“, რომელიც თბილისში გამოიცემოდა. ჩემი ხელფასი იყო 10 მარკა. მე არ ვფიქრობ, რომ ეს იყო ჩემი ცხოვრების რთული პერიოდი, პირიქით, ადამიანის ჩამოყალიბებაში ყველა პერიოდს თავისი ფასი აქვს. მოგვიანებით სამუშაოდ გადავედი გერმანულ ბიზნესმენთან, რომელსაც ბარნოვის ქუჩაზე პქონდა თავისი სასტუმრო და რესტორანი. იქ ვაკეთებდი ყველაფერს – ბაზარში წასვლით დანსებული, გაყიდვების მენეჯმენტით დამთავრებული. იდეები არასდროს მაკლდა და სასტუმროს მეპატრონეს შევთავაზე პიკეირის გაკეთება; ეს პიკეირა დღემდე მუშაობს და ერთ-ერთი საუკეთესოა ქალაქში. იმ წლებში ბევრი რამ ვისწავლე, გავიცინე უამრავი სხვადასხვა ჯურის ადამიანი, რაც ყველა საქმეში ძალიან მნიშვნელოვანია. ერთ რამეს ვიტყვი – როცა სააკაშვილის დროს ვილაყებებს ნიშნავდნენ მინისტრ-

რებად და მოადგილეებად, ყოველთვის კრიტიკულად ვიყავი განწყობილი ბევრი მიზეზის გამო, მაგრამ, მთავარი, რაც ამ პროცესში ჩანდა და რაც ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო, მათ არ იცოდნენ ჯარისკაცის ენა. ვინც ეს ენა არ იცის, მას ჯარისკაცებთან ურთიერთობა ვერ ექნება. იმავეს თქმა შემიძლია ყველა პროფესიაზე – სწორედ ამ ენის ცოდნაა ადამიანური ურთიერთობების მთავარი საფუძველი.

### – თქვენს შრომით კარიერაში იყო „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ და არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლითაც გავიცნოთ საზოგადოებამ.

– „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში“ მაშინ მივედი, როდესაც ეძებდნენ რედაქტორს ასოციაციის ჟურნალისთვის. იქ გავიცანი თინა ხიდაშელი, რომელთანაც პირველივე დღიდან მუშაობდა არაჩვეულებრივი ურთიერთობა და მეგობრობა. ჟურნალის რედაქტორობას მოჰყვა ჩემი აქტივობა საზოგადოებრივ ასპარეზზე. იმ პერიოდში გამიჩნდა სურვილი, დამოუკიდებლად გამეკეთებინა ორგანიზაცია; შევიკრიბეთ რამდენიმე მეგობარი და გადაწყვიტეთ, დავგეყნო მუშაობა სამხედრო სფეროში, წვევამდელთა უფლებებზე. ამ მხრივ არანაირი აქტივობა არ არსებობდა, ოფიციალურად არ გვეყნო, მაგრამ, მაინც გავაკეთეთ პირველი პროექტი, მოვიგეთ გრანტი 6 ათასი დოლარის ოდენობით და გამოვეცით ბროშურა წვევამდელთა უფლებებზე. ჩემი ხელით მიმელ საქართველოში გავავრცელე 15 ათასი ბროშურა, რომელიც მოხვდა თავდაცვის სამინისტროშიც. ამ ბროშურის გამო მე და ჩემმა მეგობრებმა მაშინდელი თავდაცვის სამინისტროს, მინისტრ ვარდიო ნადიბაძისა და მისი მოადგილეების დიდი რისხვა დაგვიმსახურეთ. პატარა საქმე ხომ არ იყო – იმ ბროშურებით ვასწავლდი წვევამდელებს, როგორ დაეცვათ თავიანთი უფლებები. მოგვიანებით მინისტრის მოადგილის უფლებებზე ჩვენი დასაცვი განხდა, მაგრამ, მანამდე სამინისტროსთან დიდი ალიაქოთი გადავიტანეთ. მაშინ მიხვდი, რომ სწორ გზაზე ვიდექი.

### – სამხედრო საქმე აღმოჩნდა ტრამპლინი, რომლითაც ქართული პოლიტიკისკენ გავიკეთე გზა?

– მე მიყვარდა და მიყვარს ის საქმე. როდესაც ჩვენ სამხედრო მოსამსახურეების უფლებების დაცვა დაინწყეთ, სამხედრო ნაწილებშიც კი არ გვიშვებდნენ, თუმცა, მალე გავხდით ამ სამხედროების ნაწილი, „მევედით“ მათ ოჯახებში. ჩვენ ლიდ ვსაუბრობდით იმ პრობლემებზე, რაზეც თავად ვერ ლაპარაკობდნენ. ჩვენ ვწერდით ჯარში არსებულ კორუფციაზე, რის გამოც ძალიან ბევრი მტერი გავიჩინეთ. ჩვენი დაცვის ერთადერთი მექანიზმი იყო აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობა. 2003 წლის რევოლუციიდან ძალიან მალე, გამოვაცხენე „მთავარსარდლის ასი დღე“, რაც „ნაციონალური მოძრაობისთვის“ იყო საკმაოდ მძიმე და მათგან მკაცრი რეაქცია მოჰყვა. მასსოვს, შეხვდით: მე, გიგა ბოკერია, გიორგი თარგამაძე, ნიკა რურუა, დავით დარჩიაშვილი და დავით სიხარულიძე. ამ შეხვედრას ეწოდებოდა „ნატოს“ წარმომადგენელიც. ცალკე შეხვედა გიგა ბოკერია, რომელიც ფრთხილად მომიდგა, მაგრამ, მისგან ჩანდა შემოთავაზება სახელმწიფო სამსახურში. მე შევთავაზე სამხედრო ომბუდსმენის ინსტიტუტის ჩამოყალიბება და ეს აზრი მოეწონა. ეს ერთადერთი იყო, რაზეც მე შემიძლია მუშაობა, თან, იმ პერიოდში სახალხო დამცველი იყო სოზარ სუ-



**ლელა ქაპითარაძე:** მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ 1997 წელს მიღებულმა საქართველოს სამოქალაქო კოდექსმა გაითვალისწინა საქორწინო ხელშეკრულებების ინსტიტუტი, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს პირველი კონტრაქტი გაფორმდა კოდექსის მიღებიდან 10 წლის თავზე, 2007 წელს. საბჭოური ხედვით, დაუშვებელი იყო, ამ პრინციპით დარეგულირებულიყო მეუღლეთა უფლება-მოვალეობები, ქონება და ასე შემდეგ. უფრო სწორად, ფაქტობრივად, არ არსებობდა კერძო საუბრების ინსტიტუტი და, აქედან გამომდინარე, არავის უჩნდებოდა ასეთი ტიპის ხელშეკრულებების გაფორმების სურვილი. დღესდღეობით, საზოგადოება ყურადღებას ამახვილებს სოციალურ მხარეზე. სამწუხაროა, მაგრამ, რეალობაა, რომ ქორწინებისას აშკარად ჩანს მამაკაცების მხრიდან დაინტერესება მისი პარტნიორის ქონებრივი მდგომარეობით. საკმაოდ გაიზარდა საქორწინო ხელშეკრულებების სიხშირეც და მასშტაბებიც; წყვილებსაც მოემატათ გამბედაობა და სითამამე, რადგან, ნოტარიუსთა პალატის მონაცემებით, საქორწინო ხელშეკრულებების დადების მსურველთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება, რაც სოციუმის აზროვნების განვითარებაზე მიანიშნებს. საქორწინო ხელშეკრულების დადება არ წარმოადგენს რაიმე სავალდებულო ხასიათის აქტს, მისი დადება მხარეთა თავისუფალ ნებაზეა დამოკიდებული.

**- რა კატეგორიის წყვილები დებენ ხელშეკრულებებს?**

- საქართველოში განჩენენ მდიდარი ადამიანები, რომელთა ქონებრივი მდგომარეობის სტაბილურობა მათთვის მცხად და მნიშვნელოვანია. მათ სურთ, შეინარჩუნონ ქონებრივი უფლებები მეკვიდრეობით ან სხვა კანონიერი გზით მიღებულ ქონებაზე; მენარჩუნებენ, რომლებსაც აქვთ მსხვილი ბიზნესი, ან პირები, რომელთაც წინა ქორწინებიდან განიცადეს ქონებრივი დანაკარგები, ცდილობენ, დაიცვან თავი ქონებრივი კრახისაგან ხელახალი დაქორწინებისას. ასეთი ხელშეკრულების დადება ბევრად მნიშვნელოვანია ისეთი კატეგორიის წყვილებისთვის, ვისაც კონკრეტული ქონება და საკუთარი შემოსავალი გააჩნია და ამ საკითხს უდგებიან უფრო გონივრით, ვიდრე სულიერად; ასეთ შემთხვევაში კი საქორწინო კონტრაქტი წარმოადგენს ქონებრივი სტაბილურობის გარანტიას მეუღლეთათვის. საქორწინო კონტრაქტებს ძირითადად აფორმებენ ის წყვილები, რომლებიც არიან ეგრეთ წოდებულ „ბალზაკის აბაკში“, როცა მათ საკუთარი ქონება უკვე გააჩნიათ.

**- რას წარმოადგენს საქორწინო ხელშეკრულება და რას მოიცავს ის?**

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, ქორწინება არის ოჯახის უკმნის მიზნით, ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირი. კანონი ქორწინებას უცილობლად უკავშირებს მისი რეგისტრაციის ფაქტს. არაფერგისტრირებული კავშირი ქალსა და მამაკაცს შორის, თუნდაც ის ხანგრძლივი დროის განმავლობაში გრძელდებოდეს, არ ითვლება კანონიერ ქორწინებად. საქორწინო ხელშეკრულება არის სამოქალაქო გარიგება და წარმოადგენს ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებას იმისთვის, რომ მეუღლეებმა გამოავლინონ თავიანთი ნება და განსაზღვრონ თავიანთი ქონებრივი მდგომარეობა; კარგად აწონ-დაწონონ ყველა მოთხოვნა და სურვილი; ლოგიკურად ჩამოაყალიბონ თავიანთი მატერიალური და მო-

საქორწინო ხელშეკრულებები საქართველოშიც ხელ-ნელა იკიდებს ფეხს. ქართულ სტატისტიკას თუ გადავხედავთ, 2010 წელს 7 საქორწინო ხელშეკრულება გაფორმდა, 2011 წელს - 13, 2012 წელს - 21, 2013 წელს - 32. წელს შეიძინა თვის მონაცემებით, საქორწინო ხელშეკრულებების რაოდენობამ 22 შეადგინა. რას მოიცავს საქორწინო ხელშეკრულებები და რა თავისებურებით გამოირჩევა ქართული საზოგადოება ამ მხრივ, ამის შესახებ ადვოკატთა ასოციაციის წევრს, იურისტ ლელა ქაპითარაძეს ვაგვსაუბრეთ.

**როგორი წყვილები აფორმებენ თბილისში საქორწინო ხელშეკრულებას და რა პუნქტების დასვენს ითხოვენ ქართული დღეისათვის**

რალური ვალდებულებები; სამოქალაქო კოდექსით დადგენილი ურთიერთობების გარდა, დამატებით ან სხვაგვარად განსაზღვრონ მათთვის ხელსაყრელი პირობები, რომლებიც, შეიძლება, ასახავდეს ქორწინების განმავლობაში არსებულ ურთიერთობებსაც და განქორწინების შემთხვევაში დაგები-სა და სხვა ცალკეული საკითხების მოგვარების ნებსაც.



**მქონდა შემთხვევა, როდესაც დიდი სიყვარული საქორწინო კონტრაქტის შევითან დაკავშირებულ მკაცრ მოთხოვნას შევინარა**

საქორწინო ხელშეკრულების არსის უფრო ნათლად გასაგებად გამოვკვეთთ მისი ელემენტები, ესენია: 1. საქორწინო კონტრაქტის სუბიექტები: დასაქორწინებელი პირები ან მეუღლეები; 2. საქორწინო კონტრაქტის ობიექტები: ქონებრივი და არაქონებრივი უფლებები და მოვალეობები; 3. საქორწინო კონტრაქტის მოქმედება დროში: კონტრაქტი, შესაძლოა, იყოს გარკვეული ვადით დადებული ან უვადო; ამავდროულად, კონტრაქტი ქონებრივი და არაქონებრივი უფლებანი და მოვალეობანი გან-

ნისაზღვრება როგორც ქორწინების განმავლობაში, ისე განქორწინებისას. კონტრაქტი, შესაძლოა, დაიდოს როგორც ქორწინების სახელმწიფო რეგისტრაციამდე, ისე მისი რეგისტრაციის შემდეგ, ნებისმიერ დროს. საქორწინო კონტრაქტი, რომელიც დაიდო ქორწინების რეგისტრაციამდე, ძალაში შედის ქორწინების რეგისტრაციის მომენტიდან.

ხელშეკრულების დადებისას მეუღლეებს შეუძლიათ, გააერთიანონ მთელი თავიანთი ქონება, რომელშიც ჩაირიცხება ქორწინების განმავლობაში შექმნილი ქონებაც (საერთო ქონება) ან/ და მთლიანად ან ნაწილობრივ

**საქორწინო პონტაპტიშვილის შიშველობა პონტაპტიშვილი**

თქვენ უარი ამგვარ გაერთიანებაზე და დაავდებით თითოეულის ნილობრივი განცალკევებული საკუთრება ქონებაზე.

ხელშეკრულებით, აქვე შეიძლება იყოს გათვალისწინებული, თითოეული მეუღლის მიერ შემოსავალში მონაწილეობის პირობები, საოჯახო ხარჯების განწივს ნესები და, ასევე, თუ ვინ რა ქონებას მიიღებს განქორწინების შემდეგ. არის შემთხვევა, მით უმეტეს მაშინ, როდესაც ქმარი უცხოელია, საქორწინო კონტრაქტში ჩაიდის პუნქტი, რომელიც ითვალისწინებს რელიგიურ წინამსის პატივისცემას, შვილის გაჩენის აუცილებლობას... მე მქონდა პრაქტიკაში შემთხვევა, როდესაც ძალიან მდიდარი არაბი დაქორწინდა ქართველ ქალბატონზე, რომელიც 40 წელს იყო

მიტანებული. არაბი ქმრის მოთხოვნით, კონტრაქტის მთავარი პუნქტი იყო, რომ ქალბატონის მისთვის უნდა გაეჩინა ვაჟი, მაგრამ, ვინაიდან ქალბატონმა მკურანლობისა და ბევრი მცდელობის მიუხედავად, შვილის გაჩენა ვერ შეძლო, მათი ქორწინებაც შეწყდა და კონტრაქტიც. ეს იყო შემთხვევა, როდესაც დიდი სიყვარული საქორწინო კონტრაქტის მკაცრ მოთხოვნას შეეწირა.

**- ქართული რეალობის მიხედვით, მამაკაცები უფრო არიან ინიციატორები ხელშეკრულების დადების თუ ქალები?**

- ამ კითხვაზე ცოტა გამიჭირდება პასუხის გაცემა, რადგან, როდესაც მხარეები ხელშეკრულების გასაფორმებლად მიდიან, მათ ეს საკითხი უკვე შეთანხმებული აქვთ ერთმანეთთან და ისე მიმართავენ იურისტს ან ნოტარიუსს, თუმცა, ინიციატორი მაინც უფრო ქალბატონე ჩანს, რადგან, შეიძლება, ქართველ მამაკაცებს აქვთ ხელშეკრულების გაფორმების სურვილი, მაგრამ, ამის დაფიქსირება უჭირთ. რაც შეეხება კონტრაქტების დარღვევას, პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მათი შელახული ღირსებების მიუხედავად, ქალბატონები უფრო დიდხანს ფიქრობენ ხოლმე, დაარღვიონ თუ არა ხელშეკრულება, შეწყვიტონ თუ არა კანონიერი ქორწინება მოლაღატე მუდღეობითან. კონტრაქტების დარღვევა ძირითადად ხდება მამაკაცების მოთხოვნით და მიზეზი, ხშირ შემთხვევაში, არის ღალატი, როგორც ერთი, ასევე მეორე მხრიდან, თუმცა, წყვილები ამ მიზეზს ერთმანეთთან შეუთავსებლობით ნიღბავენ. ხშირია შემთხვევები, როდესაც ერთ-ერთი მეუღლე სასამართლოს მიმართავს დავის გადასაწყვეტად, მაგრამ, მხარეები შერიგებულან და სასამართლოშივე დასრულებულა ნებისმიერი დავა.

**- ქართული საქორწინო ხელშეკრულებები ქართული თავისებურებებით თუ გამოირჩევა?**

- ქართულ საქორწინო ხელშეკრულებებში აქტუალურია დედამთილ-მამამთილის თემა; პრაქტიკაში ცნობილია შემთხვევები, როდესაც საქორწინო კონტრაქტის გაფორმებისას ძალიან აქტიურობენ დედამთილები. ვიცი შემთხვევა, როდესაც დედამთილი დაჟინებით ითხოვდა საკუთარი პერსონის დაფიქსირებას კონტრაქტში, რომელიც ძირითადად ქონებრივ თემაზე იყო აგებული. დედამთილის მოთხოვნით, კონტრაქტში უნდა შესულიყო პირობა, რომ მისი დედისერთა შვილი კვირაში სამ დღეს მასთან გაატარებდა; რომ რძალი პატივს სცემდა მის გატაცებებს - საუბარი იყო შინაურ ცხოველებზე, ძაღლებსა და კატების პატივისცემაზე, რომლებიც ქალბატონის სახლის ბინადრები იყვნენ. შვილმაც, დედა დაამიბდა, რომ ის საქორწინო კონტრაქტში „მოხვდა“. ის ოჯახი მოგვიანებით დაინერა და დედამთილი ითხოვდა მისი აზრით კონტრაქტში ჩადებული პუნქტების დარღვევისთვის ფინანსურ „სანქციებს“ რძლის მიმართ, მაგრამ, როდესაც შუიტყო, რომ ის ნებიერა შვილმა მოატყუა, გულის შეტევით საავადმყოფოში მოხვდა. ასე რომ, საქორწინო კონტრაქტი, რა თქმა უნდა, არ არის მთავარი გარანტია იმ წყვილის შორის, რომელსაც პირად ურთიერთობაში აქვს პრობლემები - ასეთ წყვილებს კონტრაქტი ნამდვილად ვერ შევლის.



# როგორ უნდა უნდა დაავადებულ აღამიანებს და რატომ უნდა გამოვიყენოთ ის პროფილაქტიკისთვის

სამწუხარო რეალობაა, მაგრამ, ფაქტია, რომ არა მხოლოდ საქართველოში, არამედ, მთელ მსოფლიოში, კიბოთი დაავადებულ აღამიანთა რიცხვი საგრძნობლად იზრდება. ამას ძალიან ბევრი ფაქტორი განაპირობებს, ერთ-ერთი მიზეზი კი შეიძლება იყოს ორგანიზმის იმუნური სისტემის მოშლა. ამ პრობლემის გადაჭრაში ჩვენ გარშემო არსებული სტრესული გარემო ნამდვილად ვერ დაგვეხმარება. რაც ყველაზე შემამოფრთხილებელია, იმაზე კიბოს გაახალგაზრდავების ფაქტებმა და, ხშირ შემთხვევაში, ამ ვერაგი დაავადების მსხვერპლი ახალგაზრდები არიან. ჩვენმა მკითხველმა კარგად იცის, რომ საქართველოს საავთიაქო ქსელში დიდი ხანია, გამოჩნდა და ხალხში პოპულარობით სარგებლობს ქართული პრეპარატი „კამელინი“, რომელიც გასულ საუკუნეში შეიქმნა ბენედიქტე (ძველი) მაღალკალიბის მიერ. ეს პრეპარატი აძლიერებს იმუნურ სისტემას, თრგუნავს სიმსივნის უფრადებს და აფერხებს მათ გამრავლებას. რაც მთავარია, ამ პრეპარატმა, ადრეც და ახლაც, ძალიან ბევრი აღამიანი სრულყოფილად განკურნა სიმსივნისგან, ბევრ შემთხვევაში კი მოხდა სიმსივნური უფრადების გამრავლების შეჩერება და მეტასტაზები გაქრა. პრეპარატი „კამელინი“ აღამიანები ვერ კიდევ მაშინ იკურნებოდნენ, როდესაც ის ასეთი პოპულარული არ იყო, რასაც უამრავი მადლობის წერილი ადასტურებს. განკურნებული პაციენტები თუ მათი ახლობლები წერენ „კამელინის“ უნიკალურობის შესახებ და მის შემქმნელს პრეპარატის გამოგონებისთვის დიდ მადლობას უხდებიან. ვერ მარტო ერთი ექიმის სამკურნალო პრაქტიკაში არის „კამელინი“ გამოყენებული 227 პაციენტზე. მიუხედავად იმისა, რომ ბევრმა, შეიძლება, არ იცის „კამელინის“ სასწაულებრივი ძალის შესახებ, ვადეის მის მიმართ ნდობა თანდათანობით იზრდება, რადგან ის თავის უნიკალურ სამკურნალო თვისებებზე საკუთარი შედეგებით ლაპარაკობს. ანუ, მის მიმართ ნდობის გაჩენის შესაძლებლობას ის შედეგები იძლევა, რასაც აღამიანები საკუთარ თავზე გამოცდიან. შემდეგ ისინი „კამელინის“ შესახებ უყვებიან ახლობლებს, ნათესავებს, ეს კი მის პოპულარობას კიდევ უფრო მეტად განაპირობებს. შეიძლება ითქვას, რომ ეს პრეპარატი სახალხოდ ნამდვილად იქცა. რაც მთავარია, შედეგები არ არის მოგონილი და გაზვიადებული – „კამელინი“ თავის საქმეს პირნათლად ასრულებს.

მხოლოდ ერთ აფთიაქში „კამელინი“ რამდენიმე ათასმა აღამიანმა შეიძინა, იმკურნალა და შედეგები ხშირ შემთხვევაში დადებითი იყო. რა თქმა უნდა, ყველა პაციენტის აღრიცხვა ვერ ხერხდება, თუმცა, მათი რიცხვი ყოველდღიურად იზრდება. უმეტესობა თანმიმდევრულად, ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ განაგრძობს მკურნალობას. ისინი, ვინც საკუთარ თავზე გამოცდიან ამ პრეპარატის სასწაულებრივ ძალას, შემდეგში „კამელინი“ უკვე პროფილაქტიკისთვის იყენებენ. რა თქმა უნდა, აღამიანების დიდი ნაწილი ექიმის გარეშე ყიდულობს პრეპარატს და მათი რიცხვი ჩვენთვის უცნობია. ერთ-ერთი ექიმის ჟურნალში ერთი წლის განმავლობაში დაფიქსირდა ფილტვის სიმსივნის 102, ხორხის – 28, თავის ტვინის – 19, სარძევე ჯირკვლის – 70-80 შემთხვევა. დამეთანხმებით, რომ ეს საგანგაშო ციფრია; თანაც,

იმასაც თუ დავუმატებთ, რომ ასეთ შემთხვევათა დიდი რაოდენობის აღრიცხვა ჟურნალში ვერ ხერხდება. მაგრამ, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, „კამელინი“ ძალიან ეფექტურია ნებისმიერი სიმსივნის, განსაკუთრებით კი – ფილტვის კიბოსა და სარკომის სამკურნალოდ. ის აფერხებს ტკივილს, აქრობს მეტასტაზებს, ხელს უშლის სიმსივნური წარმოქმნის ზრდას და, ზოგ შემთხვევაში, მას საერთოდ აქრობს. იმას, რომ „კამელინი“ ძალიან ბევრი აღამიანი განიკურნა სიმსივნისგან, ადასტურებს ბევრი წერილი, ასევე, ის აღამიანები, რომლებიც მას მოიხმარენ და თავად წამლის მხარმოებლები. მაგალითად, ერთ-ერთ პაციენტს, რომელსაც სარკომა ჰქონდა, „კამელინი“ მკურნალობის შემდეგ გადაუღეს კომპიუტერული ტომოგრაფია და ეჭვი შეეპარა, საერთოდ ჰქონდა თუ არა სარკომა და იყო თუ არა ავად. არადა, ის საკმაოდ ცუდ მდგომარეობაში იმყოფებოდა, „კამელინი“ მკურნალობის რამდენიმე კურსის ჩატარების შემდეგ კი სრულიად განიკურნა. ასეთი მაგალითი ძალიან ბევრია. რაც მთავარია, ისინი ამ ყველაფრის შესახებ თავდაყვირებინან, ან მათი ახლობლები, ყვავის ნევრები გვიამბობენ, რათა მათი დახმარებით ბევრმა მიიღოს ამ უნიკალური პრეპარატის შესახებ დასწრებითი ინფორმაცია და მისი გამოყენებით გაითმჯობესოს ჯანმრთელობის მდგომარეობა, დაუბრუნდეს ცხოვრების ჩვეულ რიტმს და დაიბრუნოს სიცოცხლის იმედი, რაც ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანია.

**ქალბატონი თამუნა:** ჩემს დას 33 წლის ასაკში აღმოაჩნდა თავის ქალის სიმსივე, რომელიც არ ექვემდებარებოდა მკურნალობას. ნელ-ნელა უფრო ცუდად ხდებოდა, უარესდებოდა მისი მდგომარეობა. გავუკეთეთ ოპერაცია, მაგრამ შედეგი არ იყო მაინცდამაინც სასარბილო. ამიტომ, გადაწყვიტეთ, მკურნალობის სხვა გზები დასაშუალებები გვეცადა. პირადად მე, ჩემი ახლობლისგან გაგებული მქონდა „კამელინის“ სამკურნალო თვისებების შესახებ – მას ჰქონდა ფილტვის სიმსივე, არცთუ კარგი მდგომარეობა, იმკურნალა „კამელინი“ და დღეს თავს კარგად გრძნობს. ამიტომ, მთელმა ოჯახმა გადაწყვიტეთ, რომ ჩემი დისთვის „კამელინი“ დაგვეწყო მკურნალობა. იმ დროს ჩემი და საკმაოდ ცუდად იყო, ვერ ამოძრავებდა ხელებს, ფეხებს. „კამელინი“ გავკეთებისთანავე ორგანიზმმა მუშაობა დაიწყო. რამდენიმე კურსის შემდეგ გავუკეთეთ ანალიზები და პასუხები უკეთესი იყო. სიმსივე დაძლიებული იქნა უფლისა და „კამელინის“ დახმარებით, ჩემმა დამ სიარულიც შეძლო. ამჟამად თავს კარგად გრძნობს, ცოტა უჭირს სიარული, მაგრამ, რა შედარებაა, ყველაფერს აკეთებს. ჩვენ კი „კამელინი“ უკვე პროფილაქტიკისთვის ვიყენებთ.

**კობა გურიელიძე (კომპანია „კამელინი“ აღმასრულებელი დირექტორი და სამეცნიერო პროექტების ხელმძღვანელი, ბიო-**

## ლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი:

– „კამელინი“ თავისი შვილობილი კომპანია ამერიკაში აქვს, ასევე, ევროპაში; ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდანაც ჩამოდიან ონკოლოგები. მაგალითად, ცოტა ხნის წინ ყირგიზეტიდან ჩამოვიდა მთავარი რადიოლოგი, რომელმაც წაიღო „კამელინი“ ხუთივე ფორმა და თავისი ინიციატივით დაარეგისტრირა ყირგიზეტში, დაიწყო პრეპარატის ექსპორტი და ხუთივე ფორმა უკვე საავთიაქო ქსელშია. ბელორუსიაში, ყაზახეთში, ბულგარეთსა და უკრაინაში მიმდინარეობს პრეპარატის რეგისტრაციის პროცესი, უბრალოდ, ამას გარკვეული დრო სჭირდება. ადრეული კვლევა „კამელინის“ შესახებ ანტი-სიმსივნური თვისებები, მოიცავს 1945-1975 წლებს. ამ პერიოდის განმავლობაში „კამელინი“ მოიხმარა ათიათასობით ონკოდაავადებულმა. მათ შორის უამრავი შემთხვევა ისეთი, როცა უმძიმეს სტადიაში მყოფი ავადმყოფისთვის „კამელინი“ იყო უკანასკნელი იმედი და სასწაული, რომელიც რეალურად დადგა მათ ცხოვრებაში. სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერებმა შექმნეს პრეპარატები, რომლებიც მკვეთრად ზრდინ იმუნური სისტემის ეფექტურ მოქმედებას და, შედეგად, კიბოს წარმოქმნის ალბათობაც მინიმალურ დონეზე დასული. ამ პრეპარატებს იმუნომოდულატორები ეწოდება. სწორედ ასეთი შესანიშნავი იმუნომოდულატორია პრეპარატი „კამელინი“ – ინიექციის, კაფსულების, მალამოსა და სანთლების ფორმა. მინდა, ჩვენმა მკითხველმა იცოდეს, რომ იმუნური სისტემის გამაძლიერებელი პრეპარატების შესაქმნელად ამერიკასა და მთელ მსოფლიოში მილიარდები იხარჯება. ამ დროს შემძლია, სიამაყით ვთქვა, რომ „კამელინის“ სითხისა და კაფსულების ფორმამ უმოკლეს დროში წარმატებით გადალახა მეტად პრესტიჟული და რთულად დასაძლევ ბარიერი ამერიკის კვებისა და წამლის სააგენტოს (FDA) სახით და უპრობლემოდ შევიდა ამ ქვეყნისა და ევროპის ბაზარზე.

**– კიდევ ერთხელ განვიმარტოთ, კიბოს საინანაღმდგომ რომელი ფორმის პრეპარატი „კამელინი“ გამოიყენება?**

– რა თქმა უნდა, საინიექციო ფორმა, „კამელინი მ-1.“ ყველა სტადიის კიბოს დაავადებისთვის არის აუცილებელი სხვა პრეპარატებთან კომბინაციაში. ასევე, მნიშვნელოვანია „კამელინი მ-4“ – სანთლები (იმ შემთხვევაში, თუ ავადმყოფი უარს ამბობს ნემსებზე) და „კამელინი მ-2“ – კაფსულების ჩართვა მკურნალობის თითქმის ყველა ეტაპზე. მინდა აღვნიშნო, რომ, ვინაიდან თვითონ „კამელინი“ აბსოლუტურად არარტოქსიურია და არავითარ გვერდით მოვლენებს არ იწვევს, მისი გამოყენება სანთლებისა და კაფსულების სახით ხანგრძლივი დროითაც უსაფრთხოა. ძალზე ეფექტურია პროფილაქტიკური დანიშნულებითაც.

**P.S. ვისაც გაქვთ „კამელინი“ დაკავშირებული კითხვები ან გსურთ კონსულტაცია, დამატებითი ინფორმაციის მიღება ქართული წარმოების პრეპარატთან დაკავშირებით, შეგიძლიათ, დარეკოთ ტელეფონის ნომრებზე: 599 33-10-89; 599 58-09-07; 599 23-03-33; 2-98-57-78; 2-71-04-80; 2-22-26-68; 2-93-20-87.**





- 2012 წელს დანიშნული ბიბლიოთეკის გენერალურ დირექტორად. რა სახელები შეიტანეთ ბიბლიოთეკის საქმიანობაში?

- ჩვენ ბევრი მიმართულებით დაინყეთ მუშაობა. უპირველესად კი, ის საქმეები გავაგრძელებთ, რაც მანამდეც წარმოებდა.

დაინყეთ ბექდორი მასალის დეგიტალიზაცია, ელექტრონულ ფორმატში გადაყვანა. შექმენით რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი, მაგალითად, ციფრული ბიბლიოთეკა. სხვათა შორის, ძალიან კარგი პროექტი გვაქვს ფოტოებთან დაკავშირებით - ციფრული ფოტომატინი, ოჯახ-ოჯახ დავდევართ და ციფრულ რეგისტრში გადავყავს სხვადასხვა პერიოდის ფოტოები.

ასევე, გავაქტიურეთ მემორანდუმები სხვადასხვა ორგანიზაციებთან და ბიბლიოთეკა ნამდვილად მოვაქციეთ ყურადღების ცენტრში.

გავსენით რამდენიმე მნიშვნელოვანი დარბაზი, ელექტრონული თუ სამკითხველო. გავაქტიურეთ ნიგნებით მომარაგება, მათ შორის, სოფლისა და რაიონის ბიბლიოთეკებს. ვხსნი ქართული ნიგნის კუთხეებს უცხოეთში. შესაბამისად, ვფიქრობ, ბიბლიოთეკა დღეს ერთ-ერთი აქტიური ადგილია. მაგრამ, ეს არ ნიშნავს, რომ ბიბლიოთეკა უკვე ისეთია, როგორც წარმოგვიდგენია მე და თქვენ. თუმცა, ამისთვის ჩვენ ყოველდღე ვმუშაობთ.

**სორცილდება რაიმე მნიშვნელოვანი ღონისძიებები და რა ივანებია სამომავლოდ?**

- მაქსიმალურად ვცდილობთ, უცხოეთში შევქმნათ ისეთი ტიპის კომპლექსები, რომლებიც ერთდროულად ბიბლიოთეკაც იქნება და მუზეუმიც. სადაც სექტემბრის ბოლოსთვის, ვხსნი: ემიგრაციის დარბაზს, რეპრესირებული ნიგნების დარბაზს, ვახტანგ მეექვსის დარბაზს, იაკობ გოგებავილის კაბინეტს, სარაგვიშვილის კაბინეტს, თანამედროვე ტექნოლოგიების ცენტრს. ეს ყველაფერი უნდა იყოს სინქრონში, რაც ბიბლიოთეკას, საჭიროსთან ერთად, სასიამოვნოსაც გახდის.

**მიუხედავად დადებითი ღონისძიებების სიუხვისა, პრობლემები მაინც ბევრია. შენობა არასახარბიელო მდგომარეობაშია, მკითხველს დიდხანს უწევს ნიგნისთვის ლოდინი, შეზღუდულია ვებგვერდითა რაოდენობა.**

- უკვე რემონტი დაინყეთ და ნელ-ნელა ეს პრობლემა მოგარდება. რაც შეეხება ნიგნის მინოლების დროს, დარბაზების უმეტეს ნაწილში, 15 წუთამდე დაეიდა და ზოგადად, ვცდილობთ, ყველგან შევამციროთ ეს ინტერვალი. თუმცა, ის მხოლოდ თანამშრომელზე არ არის დამოკიდებული. საჭიროა თანამედროვე ტექნოლოგიები.

რაც შეეხება ვებგვერდებს, აქ ჩვენ სერიოზული პრობლემები გვაქვს. ამიტომ, ახლა პარლამენტთან ერთად შევიმუშავეთ კანონი, რომლის თანახმადაც, ყველა გამომცემლობა ვალდებული იქნება, ბიბლიოთეკას გადამოსცეს ერთი გამოცემა, სხვა გამოცემებს ჩვენ აივსინით ავიღებთ. ძველი, უკვე არსებული მასალის შემთხვევაში კი, ხდება მათი გაციფრულება და იმედია, ამგვარად მოვაგვარებთ ამ პრობლემას.

**ცნობილი გახდა ასეთი პროექტის - „შენობის გარეთ“ შესახებ. რას ითვალისწინებს ის?**

- ჩვენ გვინდა, რომ ის პრაქტიკა, რომელიც არსებობს საფრანგეთში და რამდენიმე ევროპულ ქვეყანაში, - ტრანსპორტი, მინიბუს-

პოეტი, მწერალი, ლექტორი, ტელენამყვანი, პროფესიით ფილოლოგი, გიორგი კეკელიძე ასაკით არცთუ ისე დიდია, მაგრამ უკვე ბევრი და მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებაში აქვს მონაწილეობა მიღებული და დღესაც აქტიურად განაგრძობს საქმიანობას. 27 წლის ასაკში გიორგი კეკელიძე ეროვნული ბიბლიოთეკის, ყველა დროის, ყველაზე ახალგაზრდა დირექტორი გახდა.

მის საქმიანობას თან ახლავს საკმაოდ ხმაურიანი პირადი ცხოვრება.

ბატონ გიორგის სწორედ პროფესიულ საქმიანობასა და პირად თემებზე სასაუბროდ ვენვიეთ, თუმცა აღმოჩნდა, რომ მან მედიასთან პირადზე საუბარი შეწყვიტა. მაგრამ, მცირე ინფორმაცია მაინც მოვიპოვეთ მისივე დახმარებით.

მოკლედ, გთავაზობთ ინტერვიუს გიორგი კეკელიძესთან.

**ვისთან საუბარი აუკაცალა გიორგი კეკელიძე საკუთარ თავს პირად ცხოვრებაზე და როგორ გახდა ბიბლიოთეკის ღირსშესანიშნავი მოღვაწე**

ებთ ნიგნების ტარება, განცხორციელოთ ჩვენს ქვეყანაშიც. ეს, ალბათ, ოქტომბრიდან დაიწყება და გვექნება პირველი მოძრავი ბიბლიოთეკები. სიამოვნებით ვინცე ნებისმიერ ეზოს, რაიონს, რომ ჩაერთონ ჩვენს პროექტში.

**ცოტა ხნის წინ დაინყო აქცია „მოხეტიალე ნიგნები“, აქვს თუ არა მას საერთო ეროვნულ ბიბლიოთეკასთან?**

- ეს, უბრალოდ, მეგობრობის აქციაა, რომელსაც ჩვენც შევეურთოდით. ჩვენი მხრივ, აქცია დაგარქვით: „დააბინავე ნიგნი ეროვნულ ბიბლიოთეკაში“. თუ ვინმე იპოვნინდა ისეთ ნიგნს, რომელიც ჩვენ არ გვქონდა ან დაკარგული იყო, ვუცვლიდით სხვა ნიგნში გაცვლით ფონდიდან (ცხადია, აქ ისეთი ნიგნებია, რომელთა ეგზემპლარებიც დიდი რაოდენობით გვაქვს). ამ გზით ბიბლიოთეკაში რამდენიმე ნიგნი მოხვდა.

**გავრცელდა ინფორმაცია, რომ კულტურის მინისტრის პოსტი შემოგთავაზეს, რამდენად შეეფერება ეს სიამარულს?**

- არა, არავითარი შემოთავაზება, უბრალოდ, ადამიანებმა თქვეს, რომ კარგი იქნებოდა, თუ მე ვიქნებოდი ამ ადგილას. მაგრამ, მიმანია, რომ ეს ნამდვილად არ იქნებოდა კარგი უპირველესად ჩემთვის, რადგან საჯარო სამსახურში მხოლოდ აქ თუ წარმომიდგენია თავი. შემდგომთვის კი სრულიად განსხვავებული მიზნები მაქვს.

**თქვენ ხართ ლიტერატურული პორტალის lix.ge-ს დამაარსებელი. საიდან გაჩნდა ეს იდეა და რა იყო მიზანი?**

- მე და ჩემი მეგობარი ზაალ ჩხეიძე სტუდენტობისას გამოვეცემით ლიტერატურულ გაზეთს, „ლიოს“ მწირი ხელფასის დანაზოვიდან. შემდეგ შევხვდით ორ საინტერესო ადამიანს, ნიკა ნიკოლაურს და გიორგი კაციას - ელექტრონული რესურსების დამზადების სპეციალისტებს. ეს იდეა მათ ეკუთვნოდა. იმავეროდ, ჩვენც გვექონდა სურვილი, შეგვექმნა ელექტრონული ტიპის ბიბლიოთეკა. შედეგად შეიქმნა lix.ge, რომელიც, ვფიქრობ, ძალიან საჭირო რესურსი იყო თავის დროზე. დღესდღეობით რებრენდინგი მიმდინარეობს და ალბათ, მალე აღდგება შესაბამისი ფორმით. იმ პერიოდში, როცა ის შეიქმნა, საჭიროება ნამდვილად არსებობდა. მსოფლიოს ყველა ქვეყანას გააჩნდა ერთი სივრცე, სადაც თავმოყრილი იყო კლასიკური და მიმდინარე პერიოდის ლიტერატურა.

**საინტერესოა თქვენი შეფასება თანამედროვე ქართულ მწერლობასთან დაკავშირებით.**

- რაც შემიძლია, ვთქვა, ნიჭიერების თვალს-

აზრისით ნამდვილად არ ვუჩივით პრობლემებს. ძალიან ბევრი ნიჭიერი შემოქმედია როგორც პროზაში, ისე პოეზიაში. თუმცა, ავტორებს, ალბათ, უფრო მეტი ყურადღება სჭირდებათ. აქ მაინცდამაინც სახელმწიფოს ყურადღებას არ გვეულისხმობ. ზოგადად, ალბათ, საზოგადოების ყურადღება, ერთი მხრივ და მეორე მხრივ, ლიტერატურული ავენტების, რომლებიც მათ ნამუშევრებს უცხოეთში გაიტანდნენ. მე არ ვამბობ, რომ საქართველოში იქმნება უმაღლესი კლასის მსოფლიო ლიტერატურა, მაგრამ ნამდვილად გვაქვს კარგი ნამუშევრები, რომელთა ნარდგენა მსოფლიო საზოგადოების წინაშე, ნამდვილად არ იქნებოდა შემარცხველი.

**წელს აღნიშნეთ, სრულიად განსხვავებული მიზნები მაქვსო. რას უკავშირდება თქვენი სამომავლო გეგმები?**

- მომავალში ვაპირებ კინემატოგრაფია შევისწავლო და ამ საქმეს მოვიკიდო ხელი.

**თქვენ შესახებ უამრავი ჭორ-მართალი არსებობს. როგორ რეაგირებთ ამასზე?**

- ადრე ვიტყვებდებოდი... ახლა, შეიძლება ითქვას, ცოტა კანი გამისქელდა და ყველაფერს არ და ვერ ვაქცევ ყურადღებას.

**სწორედ ამიტომ, რომ თქვენი იმიჯი არ შეეფერება თქვენს საქმიანობას. რას იტყვი?**

- არა მეგონა... რაღაც პერიოდი, მოღური იყო ჩემს ცხოვრებაზე დაკვირვება. თუმცა, არ მეგონა, ჩემი პირადი ცხოვრება, საქმიან მხარეს აზარალებდეს.

**როგორი ქალბატონები მოსწონს გიორგი კეკელიძეს?**

- გადავწყვიტე, პირად ცხოვრებაზე მედიასთან საუბარი ავკრიძალო. ძალიან ზოგადად კი, უპირველესად, საინტერესო ქალი მომიწონს.

**სიყვარული თუ ახდენს თქვენს შემოქმედებაზე გავლენას?**

- ძალიან დიდ გავლენას ახდენს. ჩემი საქმიანობა სწორედ სიყვარულით არის განსაზღვრული და მოტივირებულიც.

**როგორც ბატონმა გიორგიმ ზემოთ თავად აღნიშნა, პირად თემებზე საუბარი საკუთარ თავს აუკრძალა და გვიჩიოა, ამ თემებზე სასაუბროდ იმ ქალბატონებისთვის მიგვემართა, რომელთა სახელებსაც სხვადასხვა დროს მას უკავშირებდნენ.**

ამჟამად გიორგი კეკელიძეს საკუთარი „ფისისბუქის“ გვერდზე მითითებული აქვს, რომ ურთიერთობაშია ლილე ლოლიშვილიან - ილიაუნის სტუდენტთან, რომელმაც კომენტარზე უარი გვითხრა. უარი გვითხრა ასევე ნანა იკო ხაზარაძემ, რომელთან ურთიერთობის შესახებაც, ბევრს საუბრობდნენ და ამას არც ერთი მათგანი არ უარყოფდა.

სხვადასხვა დროს გიორგი კეკელიძის სახელს მსახიობ სოფო სეზისკვერაძესა და მსახიობ ანა სანაბასაც უკავშირებდნენ. ანა სანაბამ ეს ინფორმაცია უარყო, სოფო სეზისკვერაძემ კი გვითხრა, რომ მათ შორის მხოლოდ მეგობრული ურთიერთობა არსებობს და ამ ქორის საბაბი ერთი უწყინარი ფოტო გახდა, რომელზეც ის და გიორგი უბრალოდ ჩანს მიირთმევენ.



ამჟამად გიორგი კეკელიძეს საკუთარი „ფისისბუქის“ გვერდზე მითითებული აქვს, რომ ურთიერთობაშია ლილე ლოლიშვილიან - ილიაუნის სტუდენტთან



მე-11 გვერდიდან

ბარი. მე დავინყე მუშაობა მასთან სამხედრო ომბუდსმენის პოზიციაზე. უნდა მეკეთებინა ის საქმე, რაც ძალიან მიყვარდა, თუმცა, ალბათ, ერთი თვე იქნებოდა გასული, როცა მოხდა ინციდენტი, რამაც საბოლოოდ გაგვყარა მე და სახელმწიფო სამსახური. მას შემდეგ რაც ვნახე ბაჩო ახალაიას დამოკიდებულება მუხროვანის ნაწილის ჯარისკაცებთან, რის გამოც ჩვენ შორის პირველი კონფლიქტიც მოხდა, მიხვდი, რომ ჩემი ადგილი იქ არ იყო. მე დავხიე სამხედრო ომბუდსმენის მოწმობა და ასე დასრულდა ჩვენი მცირეხანიანი თანამშრომლობა. მოგვიანებით ნავედი ჰამბურგის მშვიდობისა და უსაფრთხოების ინსტიტუტი და ექვსი თვე დავავა გერმანიაში, სამხედრო აკადემიაში. ეს იყო იძულებითი წასვლა, თუმცა, ჩემთვის ძალიან საინტერესო გამოცდილებების წლები.

ამბობენ, რომ ბიძინა ივანიშვილის ნდობით სარგებლობთ. როგორ მოიპოვეთ მისგან ასეთი პატივი?

კარგად მასსოვს ჩემი პირველი შეხვედრა ბიძინა ივანიშვილთან – მაშინ ისიც კი არ ვიცოდი, როგორ გამოიყურებოდა. მე მივდიოდი ექსტრემზე იმ მხრივ, რომ, არ ვიცოდი, ის რას აპირებდა, როგორი იყო მისი პოლიტიკური გეგმები. მასსოვს, ძალიან თბილად შემხვდა და ვისაუბრეთ. ამის შემდეგ ჩვენ ძალიან ექსტრემალური ვითარებებში გვინევდა მუშაობა. კოალიციის ჩამოყალიბებამდე სულ 4-5 ადამიანი ვიყავით და ძალიან ბევრი რამის გაკეთება გვინდოდა თითოეულს. მასსოვს, ერთხელ ვუთხარი კიდევ ბიძინა ივანიშვილს: თქვენგან ამ ოთხი-ხუთი თვის განმავლობაში იმაზე მეტი მივიღე, ვიდრე ყველა უნივერსიტეტიდან, სადაც კი მისწავლია-მეთქი. ის მართლაც საოცარი პიროვნება და ნიჭიერი მენეჯერია.

მე-10 გვერდიდან

უნდა გავიხადოთ წველადობის ზრდა და თუ 2020 წლისთვის, საშუალოდ, ქვეყნის მასშტაბით წველადობას ავიყვანთ 2 ტონამდე, ეს იქნება სასურველი მისაღები და რეალური შედეგი.

დღეს ფურების რაოდენობა ადეკვატურია წველადობის?

მეცნიერები პროგნოზით ამბობენ, ფურები უნდა გაგზარდოს 2020 წლისთვის 890 ათასის ფარგლებში, რაც არარეალურია. საქართველოს ყველაზე კარგ პერიოდშიც, 1977-1987 წლებში, არ ჰყოლია ფურების ასეთი რაოდენობა. ჩემს მეგობრებთან ერთად გაკეთებული პროგნოზით, მაქსიმუმ, შეიძლება, გვყავდეს 650 ათასი ფური. ღირებულების რაოდენობის ზრდას ვარაუდობენ 580 ათასამდე, მე ვფიქრობ, 2020 წლისთვის ეს შეუძლებელია, იმიტომ რომ ფერმერებში მაღალი დაინტერესება არ შეიძინება და ეს სიტუაცია მინიმუმ 2 წელს ასე გაგრძელდება. საერთოდ, თუ ფერმერებისთვის მოტივაციის ამაღლებასა და სტიმულირების მექანიზმი არ შეიქმნა, არაფერი გამოვა. ჯერ ერთი, საკანონმდებლო აქტივი არ არსებობს და რაც არსებობს, მიმართულია ფერმერთა შევიწროებისკენ. კოოპერაციის კანონი თავიდანა დასაწერი. დღევანდელი რეზერვებიდან გამომდინარე, როგორც მეცნიერები ამბობენ, ცხვრის რაოდენობა მილიონ 200 000-მდე შეიძლება, გაიზარდოს, თუმცა რეალობასთან ყველაზე ახლოს იქნება, თუ 2020 წლისთვის ერთ მილიონ ცხვრამდე გავსულიყავით. ამისთვის კი ძალიან ბევრი რამაა გასაკეთებელი.

ფრინველის საქმე როგორ გვაქვს და ამ ჩვენი ადგილობრივი წარმოებისთვის კვერცხი ჩვენია თუ შემოტანილი?

2009-ში 6 მილიონ 600 ათასი სული ფრინველი გვყავდა, შემდეგ ყოველ წელს გვექონდა კლება, მაგრამ 2013-ში გაიზარდა 6 მილიონ 600 ათასამდე. ამას არ შეიძლება არ მივესალმო. ჩვენ თავისუფლად შეგვიძლია, 2030 წლისთვის ვიყოლიოთ 15-20-25 მილიონი ფრთა ქათამი. გვაქვს შესაბამისი პირობები და ტრა-

ჩაბომ დასჭირდა ირაკლი სანიაშვილს „მასპროვკა“ ფრანკფურტში და რას ვერ უიწყებთ ის ბიძინა ივანიშვილს

არაფორმალურ ვითარებაში როგორი ურთიერთობა გაქვთ?

ჩვენ გარკვეული თვისებებით ვგავართ ერთმანეთს – პრინციპულობა და საქმის მიმართ ალალი დამოკიდებულება მისი თვისებაცაა და ჩემიც. ხშირი კონტაქტით არ გვაქვს – მე ყოველთვის ვერიდებოდი მასთან ფაქილარულ დამოკიდებულებას და ახლაც ვნახულობ მაშინ, თუ სადმე მივსახე შეხვედებით ერთმანეთს. მისგან ბევრი ადამიანური სიკეთე და თბილი, გულწრფელი დამოკიდებულება მასსოვს. მას ძალიან უყვარს, როცა ადამიანი ჯანსაღ ცხოვრებას ეწევა. იმ პერიოდში ყოველდღე ვცურავდი, მაგრამ ჩემი რეჟიმის გამო, ამას ვეღარ ვახერხებდი. სიგარეტზე მაძლევდა შენიშვნას. ვუთხარი, როგორც კი ამით ხელისუფლებიდან ვაგუშვებთ, სიგარეტს თავს დავანებებ-მეთქი. სამწუხაროდ, ეს პირობა ჯერ ვერ შევასრულე (იციან).

იმის მოხუცდავად, რომ დიდი პოლიტიკური სტაჟი არ გაქვთ, ახერხებთ, არ მოხვდებით და, შესაბამისად, თქვენი ინიციატივა რეპუტაცია არასდროს დება კითხვის ნიშნის ქვეშ. რა არის თქვენი „კომპასი“ ქართულ პოლიტიკაში, სადაც წესები არ არსებობს?

ძალიან მარტივი მიდგომა მაქვს: რასაც აკეთებ გულთი და სამართლიანად, იქ კომპასი აღარ გჭირდება. ჩემი გზამკვლევი არის განცდა, რომ, არც ერთი სკამი და არც ერთი თანამდებობა არ არის მარადიული. როცა კაბინეტში პირველად შევედი, მაშინვე ვთქვი: „ეს სკამი არის დროებითი!“ – და ამ პრინციპით ვებლემდებოდი დღემდე! ჩემთვის დისკომფორტი და

ფიქრის თემა არაა, რა იქნება ხვალ; ჩემთვის მთავარია, ვაკეთო საქმე, რომელიც ვიცი, რაც შემიძლია და ეს საქმე გავაკეთო მთელი პასუხისმგებლობით. მე მაქსიმალისტი ვარ და საქმე უნდა ამოვწერო ბოლომდე – ყველაფერში ასე ვარ, ცხოვრებაშიც.

ამ პოსტმა თქვენი ცხოვრება როგორ შეცვალა?

გართულდა გრაფიკი, სულ გზაში ვარ. ძალიან დამალა თბილისი-ქუთაისის გზამ (იციან). ოჯახისგან მოწყვეტა არის კიდევ პრობლემა – ადამიანი ოჯახის გარეშე ხომ ვერ გრძნობ თავს კარგად! ზოგს ჰგონია, თუ თანამდებობის პირი ხარ, ყველაფერი ანუობლით გაქვს. ეს არაა ასე, როცა ბევრ საქმეს ხარ შეჭიდებული, ბევრ რამეს თმობ, მაგალითად, თითქმის აღარ მაქვს თავისუფალი დრო; წიგნის წაკითხვისთვის რომ ვერ ვიცი, ესეც მანუხებს. ხასიათი მაქვს ისეთი, არ არსებობს, რამეს ხელი მოვიკიდო და ბოლომდე არ მივიყვანო. ჩემს შვილს სულ ვუბნებები, რომ მამაკაცისთვის მთავარია მოთმინება და პასუხისმგებლობა. აი, ჩემს სახლში, მაგალითად, ყველაფერი ჩემი გაკეთებულია. ამბობენ, რომ ხელმძღვრევი ვარ. ამ ბოლო დროის სიმწვანისა და ხეების მიმართ დამწყრო გატაცება, 40-მდე ხე დავრგე, ეზოში ადგილი რომ აღარ დამრჩა, ეზოს გარეთ დავინყე ხეების დარგვა და გამწვანება. სახლი ავაშენე, ხე დავრგე, ორი ბიჭის შემდეგ ერთი გოგო მაკლია ოჯახში და – კაცი ყველა ფუნქცია შესრულებული მექნება (იციან).

თამაშა საგადაპვილი

ჩაბომ არის საქართველოში დაავადებული პირები და ჩაბომ არ მოწმდება კრონის

დიციები. ამას უნდა მივხედო მეცხოველები საკვები ბაზა. ნარმოიდგინეთ, ქვეყანაში კომბინირებულ საკვებს ვერ ვანარმოებთ. შეიძლება, ვაჭაშით მხოლოდ და მხოლოდ ქატიო?!

იონჯაც არ გვაქვს?!

ვერ თესავენ და არ არის. იონჯას ერთი შეკვრა ღირს 6 ლარი. ჩვენ ეს ყველაფერი კომპლექსურად უნდა დავამუშაოთ. ამას გარდა, აუცილებლად უნდა ვანარმოოთ ცხვრის მატყლი, გვაქვს წელიწადში სამ-ნახევარი ტონის ნარმოების პოტენციალი.

გასაღების ბაზარი არის?

მეცხვარეობის განვითარება ნარმოუდგენელი მატყლის ნარმოებისა, და, შესაბამისად, მატყლის გადამამუშავების გარეშე. ეს ყველაფერი დღევანდელმა ახალგაზრდა მთავრობამ უნდა გაითვალისწინოს: ჩვენი მატყლი მართლაც მაღალი ხარისხისაა და ტრადიციებიც გვაქვს. არადა დღევანდელი მეცხვარე ზუსტად იმ პირობებში ცხოვრობს, რა პირობებშიც ცხოვრობდა და საქმიანობდა მეცხვარე ალექსანდრე ყაზბეგი, არაფერი შეცვლილა. ამიტომ აქ მთელი პატივა შესაძლებელია, რასაც ვამზადებთ მე და ჩემი მეგობრები და სექტემბრის ბოლოს დავდებთ ამ დოკუმენტს. მზად ვართ, ძალიან კონსტრუქციულად ვითანამშრომლოთ საქართველოს მთავრობასთან.

აუცილებლად უნდა ვთქვათ მეთევზეობაზე: თავის დროზე ქვეყანაში წყალსაცავების ფართობი შეადგენდა 50 000 ჰექტარს. დღეს ამდენი აღარ გვაქვს, მაგრამ გვაქვს წელიწადში 70 000-75 000 ტონა თევზის ნარმოების ყველა პირობა და ჩვენ უნდა შევიყვაროთ თევზის პროდუქცია.

რაც მთავარია, ფუტკარი: 2009 წელს გვექონდა 256 000 სკა, შემდეგ ყოველწლიურად იზრდებოდა და 2013-ში უკვე 400 000-ს მიაღწია. ეს მაჩვენებელი კიდევ უნდა გაიზარდოს, ჩვენი

პროგნოზით, 2020 წლისთვის 600 000-მდე. ფუტკარი უნდა გამოვიყენოთ მესხილების ზონებში, იმიტომ რომ ეს დამტვევრისა და მოსავლიანობის გაზრდის არაჩვეულებრივი საშუალებაა. თან, ისეთი ბუნებრივი პირობები გვაქვს, რომ გაზაფხულისა და ზაფხულის პერიოდებში 4-ჯერ შეგვიძლია, გადავიტანოთ ეს სკები სხვადასხვა სიმაღლეებსა და მდებარეობებში, მაგრამ სხვა პრობლემებთან ერთად გვაქვს ჩემების პრობლემა.

როგორი პროზაული პრობლემაა.

ფუტკარი აჯდება და პრობლემაც ესაა. აქაც სერიოზული პროგრამაა შესაძლებელი. ეს ჩვენი სიმდიდრეა: თან, ორმაგი ეფექტი აქვს. თავლის ნარმოება უნდა გაიზარდოს, თუ გავაორმაგებთ და 2020 წლისთვის 10-000-12 000 ტონაზე ავიდეთ, თავად უნდა მოვიხმაროთ. გარდა ამისა, ეს შემოსავლის ძალიან დიდი წყაროც იქნება. პლუს ვეტერინარია: გახარებული ვარ, რომ სახელმწიფომ გულთან ახლოს მიიტანა ბორჯომის, ასპინძის, ადიგენის რაიონებში არსებული ვითარება. მინდა, ვთხოვო საქართველოს მთავრობას, ასეთ სამსახურს და დაავადებებით დაზარებულ ზონებში ვეტერინარიის სამსახური დროებით შეუერთდეს ჯანდაცვის სამსახურს, რადგან ეს პირდაპირ კავშირშია ადამიანების ჯანმრთელობასთან. ჩვენთვის დღეს მნიშვნელოვანი პრობლემაა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ავადობა. მონველილი რომ მოწმდება იმ ბაქტერიებზე, რაც საჭიროა იმ რძიდან გარკვეული პროდუქციის მისაღებად, სხვაზე არაფერზე მოწმდება. ამიტომ ვეტერინარია ძალიან მაღალ დონეზე უნდა იქნეს აყვანილი, რადგან გერსექტივა გვაქვს და ამ პერსპექტივას გამოიყენება საჭიროება: სახელმწიფო დონეზე შემუშავებული პროგრამების სახით.



– მოსავლის აღება-დაბინავებით დრო დავა. რა უნდა გავითვალისწინოთ ამ დროს მთვარის ფაზების მიხედვით?

– მთვარის ფაზები უდიდეს ზეგავლენას ახდენს მცენარეებსა და, ზოგადად, ნათესებზე. ჩვენი წინაპრები სწორედ მთვარის ფაზების მიხედვით არკვევდნენ, როდის ჯობდა თესვა, მკა, მოსავლის აღება, ყურძნის კრეფა, დაწურვა, ღვინის გადალა და ასე შემდეგ. ბევრი ამთხვევს ყურძნის დაკრეფა-დაწურვას მთვარის ფაზებს. ეს ცოდნა ასტროლოგიურ პრინციპს ეყრდნობა, რომელიც ბიოლოგიურ ორგანიზმებზე ციური სხეულებს ზეგავლენას სწავლის. ბიოლოგიურ ორგანიზმს კი ვეკუთვნით არა მარტო ჩვენი, ადამიანები, არამედ მცენარეებიც და, კონკრეტულ შემთხვევაში – ვაზიც.

– იქნებ, კონკრეტულად ვისაუბროთ, რა ზეგავლენას ახდენს მთვარის ფაზები ყურძნის მოსავლის აღება-დაბინავებაზე და როდის არის რთველის დაწყება სასურველი?

– საუკუნეების განმავლობაში მემჩნეული მცენარეების დამოკიდებულება მთვარის ფაზებზე. არსებობს მთვარის სატანური და ნეგატიური დღეები. ესენია: ახალი მთვარიდან მეორე, მესამე, მეხუთე, მეცხრე, მეთორმეტე, მეცამეტე, მეცხრამეტე და ოცდამეცხრე დღეები. ამ დროს მთვარიდან დედამიწაზე მოდის ნეგატიური ენერჯია, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ჯანმრთელობის გაუარესების, კონფლიქტების, ავარიების, ტრავმების გახშირების ალბათობას; მკვეთრად უარესდება ადამიანის გუნება-განწყობაც. ეს, ასევე, ნეგატიურად აისახება მცენარეებზეც, რომლებიც მეტად ფაქიზები არიან მთვარის ენერჯიების მიმართ. იმ დღეებში, როცა მთვარიდან მოდის ნეგატიური ენერჯია, თავისთავად, ის ამ ენერჯიით ავსება ხილს, მაგალითად, ყურძენს და, ის წვენი, რომელიც გამოიყოფა მტვენიდან, გაჯერებულია მთვარის ნეგატიური ენერჯიით. ამიტომ, გვირჩევთ, ამ დღეებში არც დაკრეფით ყურძენი, არც დაწურეთ და არც შეინახოთ. სხვათა შორის, ნეგატიურ დღეებში დაკრეფილ-დაწურული ყურძენი ადამიანის ცუდი სიმთვრალის გარანტიაა. ანუ, ასეთ დროს დაწურულ ღვინოში დიდი აგრესია და ნეგატიური ენერჯია ჩადებული და, თუ მას ახალ მთვარეზე ან სატანურ დღეებში დაღვთვ, შესაძლოა, მთვარულმა უკონტროლო ქმედებები ჩაიდინოთ. ღვინო ადამიანში ამ დროს აგრესიას დებს და ის აუცილებლად სხვაზეც გადადის. ზოგადად, ღვინის ხარისხი, დიდ გავლენას ახდენს ადამიანის ორგანიზმზე. ამიტომ ამბობენ, ღვინო მცირე დოზით წამალია, დიდი დოზით კი – შხამი. ალკოჰოლი იწვევს ადამიანის ორგანიზმში სითხის აორთქლებას და მისი მიღების შემდეგ სითხის მოთხოვნილება იზრდება. სავესმთვარეობის დროს, ადამიანის ორგანიზმში მომატებულია სითხის რაოდენობა და, ჯობია, ამ პერიოდში მიიღოთ სასმელი, რადგან, ახალმთვარეობის დღეებში ორგანიზმი ისედაც სითხის ნაკლებობას განიცდის და ალკოჰოლისგან დამატებული სითხის დეფიციტი ორგანიზმს კრიტიკულ სიტუაციაში ავლავს. ღვინო სამკურნალო თვისებებს იძენს სავესმთვარეობის დღეებში. ასევე, ყველაზე ხარისხიანი ღვინო იწურება მხოლოდ სავესმთვარეობის პერიოდში. არასასურველ დღეებში დაწურულ-დაყენებულ ღვინო კი ორგანიზმისთვის არ არის კარგი. ჯობია, ყურძენი დაწურეთ, როცა მთვარე მოხვედება ცეცხლის სტიქიის ზოდიაქოებში, ესენია: ლომი, მშვილდოსანი და ვერძი.

– რთველისთვის საქართველოში განსაკუთრებულად ემზადებიან და, სწორედ ეს მინდობა მეკითხა: კონკრეტულად რომელი დღეები და პერიოდია ყურძნის კრეფისთვის კარგი და რომელი – ნეგატიური?

საქართველო ვაზის ქვეყნადაა აღიარებული და გასაკვირი სულაც არ არის, რთველს ჩვენში განსაკუთრებულ მნიშვნელობას რომ ანიჭებენ. შესაბამისად, ქართველი მევენახე გამოარჩევს დღეებს, როცა მოსავლის აღება იკრძალებს, ან, პირიქით – კარგია. ღვინოში დაახლოებით 250 ფერმენტია, სწორად დაკრეფილ და მონეულ-დანურულ ყურძენს კი უდიდესი სამკურნალო ძალა და ენერგეტიკა აქვს. ამას რომ თავი დავანებოთ, გლეხები მთელი წლის განმავლობაში თავგამოდებით შრომობენ, შეჭყურებენ ხილის მოსავალს, რომ განუვლი შრომისგან სარგებელი ნახონ. სამწუხაროდ, წლებანდელმა ამინდმა საქართველოს მთელი რიგი რეგიონების მოსახლეობას დიდი თავსატეხი გაუჩინა – ფაქტობრივად, გაუჩანა მოსავლის დიდი ნაწილი. მაგრამ, რაც გადარჩა, იმის დაბინავება მაინც უნდა მოვახერხოთ სწორად. სულ მალე რთველი დაიწყება და დარჩენილი მოსავლის დაკრეფა-დაბინავებაზე ფიქრიც სულ უფრო აქტიური ხდება. ხოლო, იმის შესახებ, თუ რა ზეგავლენას ახდენს მთვარის ფაზები მოსავლის აღებასა თუ დაბინავებაზე, ჩვენმა წინაპრებმა კარგად იცოდნენ და ითვისებდნენ კიდევ. როგორც ასტროლოგი ლაპინო ბუტიკაშვილი ამბობს, მთვარე მოსავლის აღებაზე, ღვინის დაწურვაზე, დაღვასა და ნაბახუსევზეც კი „აგებს პასუხს“. ამიტომ, გვირჩევს, მეტი ყურადღებით მოვეკიდოთ მოსავლის აღება-დაბინავებას, რათა შემდგომში ბარაქაჯ ვნახოთ და საკუთარი ხელით მოყვანილი ყურძენითა და დაწურული ღვინითაც ვისიამოვნოთ.

# როგორ პერიოდია უფროსი ასტროლოგიური რჩევების გათვალისწინებით, ყურძნის მოკრეფა და დაწურვა და ბოსტნეულის მიწიდან ამოღება

– სავესმთვარეობის პერიოდი ყველაზე კარგია ხილის დასაკრეფად, რადგან, ამ დროს, მთელი წვენი, რაც მცენარეშია, ღეროს გავლით თავს იყრის იმ ნაყოფში, რომელიც მიწის ზემოთაა, მაგალითად, ყურძნის, ატმის, ვაშლის, მსხლის და ასე შემდეგ. ახალმთვარეობის დროს კი, პირიქით, მთელი სითხე, ღეროს გავლით ნაყოფიდან მიდის ფესვისკენ. ამიტომ, ამ პერიოდში კარგია იმ მოსავლის აღება, რომელიც მიწის

აღ, რთველი კარგია სექტემბერში, და არა ოქტომბერში, სანამ მზე გაივლის ეკვატორს. ახლა კი, უფრო გასაგები რომ იყოს მოსახლეობისთვის, კონკრეტულად მოგახსენებთ იმ პერიოდებს, როცა კარგია, ან, პირიქით, არ ვარგა რთველის გამართვა და ყურძნის დაწურვა-დაბინავება: 24 სექტემბერს არის ახალმთვარეობა, 7 ოქტომბერს – სავესმთვარეობა, 22 ოქტომბერს – ახალმთვარეობა.

- დაწურვისათვის საუკეთესო პერიოდებია: მთვარე ლომის ზოდიაქოშია – 19.09.2014-21.09.2014; 16.10.2014-18.10.2014.
- მთვარე ვერძის ზოდიაქოშია – 10.09.2014-12.09.2014; 7.10.2014-9.10.2014.
- მთვარე მშვილდოსანშია – 1.09.2014-4.09.2014; 29.09.2014-1.10.2014; 26.10.2014-28.10.2014.

– როგორც ყურძენს წურავენ, მისგან დარჩენილი მასალით არაყს ხდიან. ეს რომელი პერიოდში უნდა მოხდეს?

– არავინ იცის, პირველად სად და ვინ დაწურა ღვინო, თუმცა, საფუძვლიანი ეჭვი მაქვს, რომ ეს საქართველოში მოხდა, რადგან, ჩვენთან ყურძნის კულტურა და ტრადიციებიც ამაზე მეტყველებს. თან, საქართველოს მართავს ლომის ზოდიაქო, ზოგადად, ეს არის ქვიფის, დროსტარებისა და მზიარულების ზოდიაქო; თან, შესაბამისად, ისეთ ტერიტორიაზე ვცხოვრობთ, სადაც, პრაქტიკულად, ვაზის ყველა ჯიბი ხარობს და, ღვინის ხარისხიც, სხვა ქვეყნებთან შედარებით საუკეთესოა. ასევე, აქვე გეტყვით, რომ, თუ საქართველოში დაიწერა პირველი ღვინო, არაყი პირველად არაბებმა გამოხადეს – სიტყვა „ალკოჰოლი“ – არაბულია. საქართველოში არაყს, ძირითადად, ხილისგან ხდიან და ის ცეცხლისა და მზის ენერჯიის მატარებელია. ამიტომ, არცია გამოხადეს ჯობია მაშინ, როცა მთვარე იმყოფება ცეცხლის სტიქიებში – ლომში, მშვილდოსანში ან ვერძში. ზუსტი პერიოდები კი ზემოთ მოგახსენეთ. საერთოდ, ასტროლოგიურად, სწორად ჩაყრილი ვენახი არ საჭიროებს ქიმიკატებისა და სასუქების გამოყენებას და ხშირად მორწყვას, ამასთან, მოსავლიც უკეთესი იქნება და ღვინის ხარისხიც მომატდება. ზოგადად კი, ყველა მცენარეს აქვს თავისი ხასიათი და ენერგეტიკა.



მთვარე მოსავლის აღებაზე, დაწურვაზე, ღვინის დაღვასა და ნაბახუსევზეც კი „აგებს პასუხს“

ქვემოთაა, მაგალითად, კარტოფილის, სტაფილოსი და ასე შემდეგ. ასე რომ, რთველი კარგია სავესმთვარეობის დღეებში, როცა ნაყოფი წვენითაა სავსე – ამ დროს უფრო გემრიელია, უფრო ტკბილი და სასარგებლო. ძველ საბერძნეთში, უძველესი დროიდან, 22-23 სექტემბერს, როცა მთვარე გადადის სასწორის ზოდიაქოში, იმართებოდა დიონისეს მისტერიები. დიონისე არის ღვინის ღვთაება, ამიტომ, ამ დროს რთველობას ამთხვევდნენ. საქართველოშიც, 22 სექტემბერამდე რთველის ჩატარება, ეს კარგია, რადგან, შემდგომ პერიოდში მზე ეკვატორს გადალახავს და გადავა სამხრეთ ნახევარსფეროში, დედამიწაზე კი დაიწყება მცენარეების მიძინების პერიოდი. ჩემი აზრით, პირველად სწორედ საქართველოში დაწურეს ღვინო. ჩვენში დღესაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება რთველს და, ამიტომ, უნდა გავითვალისწინოთ ის ასტროლოგიური რჩევები, რომლებსაც დიდ ყურადღებას აქცევდნენ ჩვენი წინაპრები. ასე რომ, ზოგადად,



აუცილებელია, ყველამ იცოდეს, თუ როგორ უნდა დაცვას თავი იმ პრობლემი-საქე, რომელიც თან ახლავს ზაფხულს, მზეს, ზღვას, უკონტროლო და შემთხვევითი საქციელს, რომელიც არადედატების და შევბუღების დროს გაცილებით უფრო „თავისუფალია“, ვიდრე ჩვეულებრივ დღეებში.

როგორც ვირუსული ინფექციების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ბატონი ვა-ხტანაძე კვიციანი ამბობს, სწორედ დასვენების შემდგომ პერიოდში იჩენს თავს ადამიანის ჯანმრთელობისთვის საშიში დაავადებები; კერძოდ, ზოგს ნამზურის შემდეგ კანზე უჩნდება გამონაყარი, რომელიც ჩირქდება და უსიამოვნო შესახედ-ავია. ასევე, შემთხვევითი ინტიმის დროს, შესაძლოა, ადამიანი ისე დაინფიცირდეს, რომ მთელი ცხოვრება ვირუსის მატარებლად დარჩეს.

# როგორ დავაავადებთ ახლან ზაფხულს დასვენებას და რაგომ უნდა მიიქსიოთ განსაკუთრებული ყურადღება ჯანმრთელობას ზღვიდან დაბრუნების შემდეგ

– ბატონო ვახტანგ, სტატისტიკურად, ვირუსული პათოლოგიებით დასნებოვნების საფრთხე ზაფხულში იმატებს, მისი გამოვლი-ნება კი შემოდგომით ხდება. რას გვიჩვენებს, როგორ დაავადებული ამისგან თავი და, ზო-გადად, რა გამოვლინებები ახასიათებს ამ პათოლოგიებს?

– ამ მხრივ, განსაკუთრებული სიფრთხილი-სა და წინდახედულობის გამოვლენა გმართე-ბთ. როცა ადამიანი დასასვენებლად იმყოფება, უნდა მოერიდოს შემთხვევითი სექსუალურ კონ-ტაქტებს, რადგან, ამ დროს ჩნდება ინფექცი-ების გადადების საშიშროება, გენიტალური ჰე-რპესი იქნება ეს თუ პაპილომავირუსი. აქვე, იმასაც გეტყვით, რომ არც ერთი ეს დაავადება სრულ განკურნებას არ ექვემდებარება. გენიტ-ალური ჰერპესის ვირუსი გადადის სქესობრი-ვი გზით და, სხვათა შორის, დღესდღეობით ძალიან გავრცელებულია მოსახლეობაში. შესა-ძლოა, ადამიანი მისი მატარებელი იყოს და ეს არც კი იცოდეს. რაც შეეხება გამოვლინებებს, მას ახასიათებს კანზე ბუშტუკოვანი, მტკივნე-ული გამონაყარი, წვის შეგრძობა; არასასი-ამოვნო შესახედავია და ინვეტ ნერვოზებს. პა-პილომავირუსიც ძალიან გავრცელებულია და არც მისი სანინალმდეგო ანტივირუსული პრე-პარატი არსებობს. ახასიათებს კანზე მეჭექის სახის გამონაყარი; თუმცა, შესაძლოა, ამ დროს არც კანზე გამონაყარმა იჩინოს თავი, მაგრამ, ადამიანი ვირუსის ფარული მატარებელი იყოს. დასვენების დროს არ უნდა ეძებოთ შემთხვე-ვითი კონტაქტები, რათა ერთმა დაუცველმა ნა-ბიჯმა მერე მთელი თქვენი ცხოვრების წესი არ შეცვალოს, რაც ჯანმრთელობის მხრივ სერიოზულ პრობლემებს შეგიქმნით და გაგამ-ნარებთ. ამიტომ, როცა დასასვენებლად მიდიხ-ართ, თავის დაზღვევის მიზნით, ჯობია, საიმე-დო, უსაფრთხო და მუდმივი სასიყვარულო პარ-ტნიორი გახლდეთ. სამწუხაროდ, ამას ბევრი არ ითვალისწინებს. მე, როგორც ექიმს, ხშირ-ად მხვდება პრაქტიკაში ამ, ეგრეთ წოდებული, „საკურორტო დაავადებით“ შეწუხებული ადამ-იანები.

– თუ არსებობს ვირუსული პათოლოგიე-ებით დაავადებულთა ეპიდემიოლოგიური მო-ნაცემები საქართველოს მასშტაბით? და, მო-სახლეობის რამდენი პროცენტია ამ ვირუს-ის ანუ, ეგრეთ წოდებული „საკურორტო და-ავადების“ მატარებელი?

– მიუხედავად იმისა, რომ ეპიდემიოლოგი-ური მონაცემები საქართველოს მასშტაბით არ არსებობს, ვირუსული პათოლოგიებით დაავა-დებულთა რიცხვი ჩვეს ქვეყანაში საკმაოდ დი-და. ხშირად პაციენტებს მიზეზის დასახელება უჭირთ და ეს გასაგებია ჩემთვის. ბევრს არ უყვარს მისი აღიარება, რომ სექსუალურ პარ-ტნიორს ხშირად იცვლის. თუმცა, ჩემთვის, რო-გორც სპეციალისტისთვის, ეს ნათელი და და-საბუთებულია.

– პაპილომავირუსი, როგორც ვიცით, ყვე-

ლაზე გავრცელებული დაავადებაა. შესაძლ-ებელია თუ არა, ამ ვირუსით ადამიანი დაბ-ინძურებულ წყალში ბანაობისას დაინფიც-რდეს?

– დაავადების მიხედვით, პაპილომავირუსი ჯანმრთელ ადამიანზე მხოლოდ დაავადებული ადამიანისგან გადადის და არა(ც და არა(ც სა-კვებიდან, წყლიდან ან ჰაერიდან. ცუდია, რომ პაპილომავირუ-სით დაავადების შეს-ახებ მოსახლეობა არ არის სათანადოდ ინ-ფორმირებული. ჩემი აზრით და, ალბათ, თქვენც დამეთანხმე-ბით, ჯობია, ამის შე-სახებ ყველაფერი იც-ოდნენ მათ, რომლებ-იც ვერ არ არიან ინ-ფიცირებული. ანუ, სა-ნამ სქესობრივ ცხო-ვრებას დაიწყებს, მა-ნამდე უნდა იყოს ის ინფორმირებული. მი-ნდა გითხრათ, რომ პროფილაქტიკა სჭირ-დება ჯანმრთელ და არა დაავადებულ ადამიანს. აქვე იმასაც მოგა-ხსენებთ, რომ უცხოეთში მუშავდება პაპილო-მავირუსის სანინალმდეგო ვაქცინა, რომელიც გამოცდის პერიოდს გადის. ეს ვაქცინა უნდა გაუკეთდეს ადამიანს სქესობრივი ცხოვრების დასაწყისამდე და ამას უნდა ჰქონდეს მასობრივი ხასიათი. ის შექმნის მყარ იმუნიტეტს ინფექცი-ის სანინალმდეგოდ და იქნება თავდაცვის ერთ-ერთი საშუალება.

– საუბარში ახსენეთ, ჩემამდე მოსულ ად-ამიანებს უჭირთ მისი აღიარება, რომ სექს-უალური პარტნიორისგან დაინფიცირდნენ. საინტერესოა, რით იმართლებენ თავს?

– ბევრმა არ იცის პაპილომავირუსის შესახ-ებ და ამას არც კი მიიჩნევს ჯანმრთელობისთ-ვის საშიშ დაავადებად. მაგალითად, ყოფილა შემთხვევა, ამისწინა პაციენტისთვის ამ ვირუსის გადადების გზების შესახებ და გაკვირვებული



გენიტალური ჰერპესის ვირუსი გადადის სქესობრივი ურთიერთობის გზით და დღესდღეობით ძალიან გავრცელებულია. შესაძლოა, ადამიანი ამ ვირუსის მატარებელი იყოს და არც კი იცოდეს

სახით უთქვამთ: იცით, შეიძლება, ზღვაში ბან-აობის დროს დაავადდეთ. ამით ისინი თავს იტყუებენ, ცდილობენ, საკუთარი ქცევის დამ-ალვას, მაგრამ, მე რას გამოიპარებენ. და, და-კვირვებულ ვარ, ძირითადად, როცა ქალს არ ჰყავს მუდღე, თავის მართლებას ამ გზით ცდილობს.

– ვირუსული დაავადებები მომავალი დე-დისთვისაც სერიოზულ საფრთხეს წარმო-ადგენს?

– დიას, ეს ვირუსული დაავადებები, შემდ-გომ, ორსულობისა და მშობიარობის დროს, ნაყოფსა და თავად დედის ჯანმრთელობას უქ-მნის საშიშროებას და ეს ყველა ქალმა უნდა გაითვალისწინოს. მესმის, ადამიანები ვართ და, ასეთი, ეგრეთ წოდებული, „საკურორტო შეც-დომა“, შესაძლოა, ბევრს მოუვიდეს. თუ თავი ვერ შეიკავებ და შეცდით, ჯობია, დასვენები-დან დაბრუნების შემდეგ, გარკვეული ხნით უარი თქვით საყვარელ ადამიანთან სექსუალურ ურ-თიერთობაზე, ჩაიტაროთ შესაბამისი გამოკე-ვლევები და გამორიცხოთ ნებისმიერი ვირუსუ-ლი დაავადების შესაძლო არსებობა. ასე რომ, თუ ინტიმური ურთიერთობა გექნებათ წყალ-ში, წყლის პირას, ტყეში ან ტყის პირას, ამას ბინძურ წყალსა და გარემოს ნუ დაბრუნდებით.

– ამ მხრივ, დამცავი სა-შუალებები არ არის საიმ-ედო?

– სამწუხაროდ, დამცავი საშუალებები ყველა ინფექ-ციისგან არ იცავს ადამიანს. პაპილომავირუსი, შეიძლება, კანიდან გადაგედოთ და პრე-ზერვატივი ამ დროს ვერ და-გიცავთ, მაგრამ, შიდსისა და სხვა ვერაგი დაავადებების-გან დაცული იქნებით. დამ-იჯერეთ, ყველაზე კარგი და-მცავი საშუალება მუდმივი სექსუალური პარტნიორია, რომელთანაც სიფრთხილედ არ დაგჭირდებათ. ზაფხულ-ში, დასვენების შემდეგ ბევ-რი დაინფიცირებული ადამ-იანი ჩამოდის კურორტიდან და ამით სხვებსაც უქმნის პრობლემას. ხშირად ხდება,

რომ, როცა შევებულების შემდეგ ქმარი შინ ბრუნდება, იქ კი მას შემთხვევითი ინტიმური კავშირი ჰქონდა და ამის შედეგად შეეყარა ვირუსული დაავადება, ის უკვე თავის მუდღე-ს ანიფიცირებს. თავის შრივ, ის შვილზეც ახდენს გავლენას და, არ არის გამორიცხული, რომ ორსულობის დროს ნაყოფიც დაინფიცირ-დეს დედის მუცელში. ვფიქრობ, ამ რისკად ნამდვილად არ ღირს ის, რაც შემთხვევითი ნაცნობისთვის შემდეგ უნდა გამოვიტყვებოთ მო-წყვება. ამიტომ, გირჩევთ, კურორტიდან დაბ-რუნების შემდგომ, შესაბამისი გამოკვლევები ჩაიტაროთ, დარწმუნდეთ თქვენს ჯანმრთელ-ობაში და ცხოვრება განაგრძოთ უსაფრთხოდ და არა შიშისა და სტრესის ქვეშ, თუ როდის გამოვლინდება ზაფხულში დაშვებული „შეცდ-ომის“ შედეგები.

ონა დათვიძა



## ნათელხილველი - ნელი ბიჩიკაშვილი

თუ ბევრი გასაჭირი დაგატყდათ თავს, როგორცაა უბრალოება, ბედის ჩაკეტვა, უშეილოება, ჯადოს ზემოქმედება, ნარკომანია, ლოთობა, კაზინოდამოკიდებულება და სხვა. მიმართეთ ნათელხილველ ნელი ბიჩიკაშვილს! ქალბატონი ნელი იმ ერთეულთა შორისაა, ვისაც შეუძლ-ია უზუსტესად ინინანარმეტყველოს თქვენს თავს დატყბილი უბედუ-რების მიზეზი და ამ მიზეზის განეიტრალება მოახდინოს... ქალბატონმა ნელიმ ბევრ უშვილო წყვილს აჩუქა შვილის ყოლის ბედნიერება...

ჩანერა ხდება წინასწარ.  
ტ: 214-20-65 (პინა). 593-30-65-51, 599-20-37-64, 597-10-23-37.



- ცოტა ხნის წინ ნუცა ბუზალაძემ „იურმალაზე“ გამარჯვება მოიპოვა. თქვენთვის, როგორც მისი სიმღერის კომპოზიტორისთვის, როგორი შეგრძნება იყო ეს?

- ეს საოცრად ამაღლებული შეგრძნებაა, რომელიც ძალიან სასიხარულოა ნებისმიერი მუსიკოსისთვის. მნიშვნელოვანია, როცა შენი ნაწარმოები ასეთ წარმატებას აღწევს და ძალიან ბედნიერი და გახარებული ვარ ამის გამო. ამის მოლოდინი მქონდა კიდევ.

- ქართულ შოუ-ბიზნესში ძალიან ბევრი მომღერალი თქვენს სიმღერებს ასრულებს, ეს, ალბათ, დიდ შრომას და ძალისხმევას მოითხოვს თქვენგან.

- რა თქმა უნდა. მე 2000 წლიდან შევუდექი თბილისში ამ საქმიანობას. მანამდე, იცით, რომ ბათუმში ვცხოვრობდი, იქ დავიბადე და გავიზარდე. უკვე თოთხმეტი წელია, ამ საქმეს ვემსახურები. მომღერლების 98 პროცენტს აქვს ჩემი არაერთი სიმღერა შესრულებული. ძირითადად, ჰიტები, თუმცა არის რაღაც სიმღერებიც, რომლებიც ჰიტები არ არის. ხდება ხოლმე ასე, მუსიკოსს ყველა სიმღერა ჰიტი ვერ გამოსდის. ასეთი მხოლოდ ჯეკსონი იყო, მაგრამ, დღემთუბზე საუბარი სხვაა. საქმიანობას, რა თქმა უნდა, აქტიურად ვაგრძელებ. ჯერ ისევ ახალგაზრდა ვარ და ყველაფერი წინ მაქვს.

- ხომ არ გამოყოფდით ჩვენი შოუ-ბიზნესიდან მომღერლებს, რომლებსაც ნამდვილად შეუძლიათ ხარისხიანი და გემოვნებიანი მუსიკის შესაბამისად შესრულება?

- მომღერლებზე არ ვიცი, რა გითხრათ. არ მინდა, ვინმეს ეწყინოს. საბოლოოდ, ქართველი მომღერლებით აღფრთოვანებული ნამდვილად არ ვარ. კომპოზიტორებს რაც შეეხება, აქ უნარს გააჩნია. კონკურენტუ კოლეგა ნამდვილად არ მყავს, ისინი სხვა მუსიკას აკეთებენ, მე - სხვას.

- ქართულ შოუ-ბიზნესზე სახარბიელოს ნამდვილად ვერაფერს ვიტყვით, რა არის ამის მიზეზი?

- გეტყვით, რაც არის ამის მიზეზი. პირველ ყოვლისა, ეს არის ტექსტები. ჩემი აზრით, მომღერალი თვითონ უნდა წერდეს მუსიკასაც და ტექსტსაც. კომპოზიტორი და ტექსტის ავტორი ძალიან ახლოს უნდა იყვნენ და ერთნაირად უნდა გრძობდნენ. მარტო რიტმზე ტექსტის აწყობა არ არის საქმარისი. ტექსტის ავტორმა ბოლომდე უნდა იგრძნოს და გაითავისოს ის, რასაც კომპოზიტორი გრძნობს და ამის მიხედვით უნდა შეიქმნას მუსიკა. ასეთი შემთხვევა პირადად მე მქონია - შემიქმნია ჩემს მუსიკაზე ტექსტი. ეს ერთ-ერთი მთავარი მიზეზია. დანარჩენი მომღერლების პროფესიონალიზმზეა დამოკიდებული. ის, რომ ფული არ გვაქვს და პატარა ქვეყანა ვართ, გავიგეთ, მაგრამ, კიდევ არის სხვა პრობლემებიც, რომლებსაც ბოლომდე ვერ ჩაგვწვდი და დღემდე ძიებაში ვარ.

- ხშირად გამოიგონია, რომ ქართველ მსმენელსაც ადანაშაულებენ, თითქოს მათ უხარისხო მუსიკა მოსწონთ.

- ქართველ და, საერთოდ, მსოფლიო მსმენელს ვერ გამოვყოფდი ერთმანეთისგან. თუ მსმენელს მიაწოდებ ხარისხიან პროდუქტს, ის აუცილებლად მოეწონება. მთავარია, მიანოდ, რომ შეგინდოს. თუ არ ანედე, მაშინ, რასაც ანედიან, ის მოსწონთ. ზოგადად, გემოვნებიანი მუსიკა სადავოა. ყველას სხვადასხვა უნარი მოსწონს და ვერაფერს დაუმტკიცებ, რომ ის, რაც მოსწონს, უგემოვნოა. არც მე ვარ მეტრი, რომ განესაზღვრო, რა არის გემოვნებიანი, ყველას თავისი გემოვნება აქვს. მე კი მეუბნებიან, რომ გემოვნებიანი, მუსიკა მაქვს, თუმცა, ალბათ, ამას ის ამბობს, ვინც ჩემნაირად აზროვნებს. მაგრამ, ვიღაც ასე არ ფიქრობს და საბოლოოდ ამაზე ვერაფერს შეთანხმდება.

- ერთი პერიოდი უკრაინასა და რუსეთში აპირებდით კარიერის გაგრძელებას, შეიცვალა რამე თუ იმავეს გეგმავთ?

- დაბს, ასე იყო. ორთვე-ნახევარი უკრაინა-

ცოტა ხნის წინ ნუცა ბუზალაძემ „იურმალაზე“ გამარჯვება მოიპოვა და ამით მთელი საქართველო გაახარა, განსაკუთრებით სასიხარულო კი ეს ფაქტი, ბუნებრივია, მისი სიმღერის ავტორისთვის - მაია კაჭკაჭიშვილისთვის აღმოჩნდა.

ბოლო რამდენიმე წელია, ქართველი მომღერლების უმრავლესობა სწორედ მის სიმღერებს მღერის, მაგრამ, მიუხედავად ამისა, კომპოზიტორი მაინც მიიჩნევს, რომ ის „გეოგრაფიული შეცდომაა“ და ამერიკაში გამგზავრებას აპირებს სწავლისა და კარიერის გასაგრძელებლად. გარდა ამისა, მას საინტერესო გეგმები აქვს შვილებთან დაკავშირებით.

მის ცხოვრებაში არსებულ სიახლეებსა და განვლილი ცხოვრების მნიშვნელოვან ეტაპებზე მაია კაჭკაჭიშვილი „თბილისელებს“ ესაუბრა.

## რა შედეგი მოჰყვა მაია კაჭკაჭიშვილის უკრაინაში სსოვრებას და რაგომ არის სიუპერული მისთვის მანჯა

მი ვცხოვრობდი და ეს დრო ნაყოფიერი აღმოჩნდა. იქ დავეწერე სიმღერები და დავტოვე საპროდიუსერო ცენტრში, სადაც ოფიციალურად ვაფორმდა, რომ ეს იყო ჩემი სიმღერები, რომლებსაც ვერაფერს „მომპარავდა“. მათთან კავშირი მაქვს. ის სიმღერები უკვე რეალიზებულია და ძალიან მალე გაულერდება. იქ ვაჩერებას საქირება აღარ მოითხოვდა და ამიტომ დამოკვიდი.

- თუმცა, მაშინ ამბობდით, რომ ქართულ შოუ-ბიზნესში არსებული მდგომარეობის გამო, საქართველოდან წასვლას აპირებდით. ეს აზრი შეიცვალეთ?



ერთი სიტყვით, მე ვარ გეოგრაფიული შეცდომა. მე მიყვარს საქართველო, მაგრამ, მე რასაც ვნერ, ის მუსიკა აქ შეცდომაა. ამიტომ, უნდა ნავიდე იქ, სადაც ის არ იქნება შეცდომა

- არა, ეს გარდაუვალია, მე აუცილებლად წავალ. ამჯერად ამერიკაში ვაპირებ წასვლას. მიუხედავად იმისა, რომ ვარ 33 წლის, ვაპირებ, ბოსტონში ჩავაბარო. პარალელურად, ვიმღერებ ბარში ან სადმე კლუბში. ელემენტარულად, თავიდან შემოსავალი რომ მქონდეს. მაქსიმუმ სამ თვეში ამერიკაში უნდა ვიყო.

- მინდა, თქვენ მიერ განვლილი გზა

**ფაქტობრივად, უპატრონოდ ვიყავი. ნამდვილად ვინც ვინც და ვაპირებდი, რადგან სხვა საშუალება არ არსებობდა. შემდეგ უაქარია ფალიაშვილის სახელობის მუსიკალურ სასწავლებელში ესწავლობდი, იქიდან ვოკალის პედაგოგად გამოიშვეს „ბომბორაში“ და ჩემი კარიერა აქედან დაიწყო. პირველი წარმატება, ალბათ, მაშინ მოვიდა, როცა ნინო ბადურაშვილმა იმღერა ჩემი სიმღერები. შემდეგ კი - „სტუდ-**

იომ“. კიდევ ბევრი წარმატება იყო, ახლა ყველას ვერ გავისახე. სირთულეებიც ბევრი შემგზავდა.

- პირად ცხოვრებასაც შევეხოთ. ვიცი, რომ ულამაზესი სიყვარულის ისტორია გაკავშირებთ მომღერალ ლევან ლაზარაშვილთან.

- ლევანის გულშემატკივარი ბავშვობიდან ვიყავი, ალბათ, პირველი კლასიდან. მერე ჭორები გავრცელდა მისი დაღუპვის შესახებ და მეც ასე ვიცოდი. თბილისში რომ ჩამოვედი, ჩემმა მეგობარმა, დათო გოდერძიშვილმა, მიმიყვანა სტუდიაში. იქ დავგვხვდა ლევანი. რა თქმა უნდა, ვიცანი. მერე მოვლენები ისე განვითარდა, რომ შეგვარებული გავხდით, შემდეგ კი დავქორწინდით. ჩემი ამაზე ულამაზესი ოცნების ახდენას ჰგავდა. ფილმივით იყო.

- თქვენს საუბარში იგრძნობა ხოლმე, რომ ეს დამორბედა დროებითა და, ერთ დღესაც, ისევ ერთად იქნებით.

- აი, მაგას კონკრეტულად ვერასდროს ვიტყვი. ცაბა არ იცის, საერთოდ რა მოხდება. არ ვიცი, შეიძლება, მოხდეს, მაგრამ, ახლო მომავალში არა მგონია, მე და ლევანი ერთად ვიყოთ, იმიტომ, რომ ჩვენ უკვე ჩვენი ცხოვრება გვაქვს - ის ყაზახეთში ცხოვრობს, მე ამერიკაში ვაპირებ გამგზავრებას; ორივეს ჩვენ-ჩვენი გეგმები გვაქვს. შეიძლება, რომ დავებრდებით, მერე ვიცხოვროთ ერთად (იცინის). ამ მომენტისთვის მთლიანად საქმეზე ვარ გადაართული. მე პირადი ცხოვრება არ მაქვს.

- თუმცა, ზოგი ქალი მუშაობასთან ერთად პირადი ცხოვრების აწყობასაც ახერხებს. თქვენ ერთგვარ აღნიშნეთ, რომ სიყვარულის გემინიათ, ეს ხომ არ არის ამ ყველაფრის მიზეზი?

- დაბს. ჩემი აზრით, სიყვარული ტანჯავს ადამიანს. მე გადავწყვიტე და მინდა, რომ არაფერი არ მიყვარდეს მთელი ცხოვრების განმავლობაში, იმიტომ, რომ ძალიან ემოციური ადამიანი ვარ და ძალიან რთულად ვიტან ამ ყველაფერს. ჩემთვის სიყვარული ტანჯავდა და არ მინდა ის, მინდა, რომ კარგად ვიყო. ამიტომ, მაქსიმალურად ვცდილობ ავირიდო თავიდან. შეიძლება თქვენს, დიდი ფარი მიჭირავს ხელში და, ცვდილობ, აღარაფერს შევიყვარო.

- ამ გულსტაკების მიუხედავად, ორი არაჩვეულებრივი შვილი გყავთ. არ გასაყვადურობენ, რომ საქმის გამო მათთვის ძალიან ცოტა დრო გრძობათ?

- რა თქმა უნდა. ზუსტად ვიცი, დრო რომ გავა, ამას მე ძალიან ვინანებ. მაგრამ, არ შემიძლია, რაღაც მოვინებთ გაგაკეთო, ამიტომ, ყოველთვის ბოლომდე ვიხარავები. იმედს მაქვს, გამოიგებენ შვილები, რადგან ისინიც მუსიკოსები არიან და, ჩემებლები რომ გახდებიან, მიხედვით ჩემს დამოკიდებულებას საქმის მიმართ. დარწმუნებული ვარ, თვითონაც ასე იქნებიან. მეზობლები და ნათესავები კი ვერ გამოიგებენ. მოუცლელობის გამო, გასვენებებშიც კი ვერ დავედგარ და გამოდის, რომ მე ვარ ცუდი ნათესავი.

(გაგრძელება 35-ე გვერდზე)



ბევრს აქვს ცხოველების პანიკური შიში და, მათი სახლში ყოლა კი არა, მათთან მიახლოებაც კი ვერ წარმოუდგენია. სწორედ ასეთი შიში ჰქონდა ნინო ჩხეიძეს, სანამ მის სახლში პატარა, საყვარელი, პომერანიერის ჯიშის ძაღლი არ მიუყვანა მეუღლემ, რომელსაც დუდი დაარქვეს. დღეს კი მის გარეშე ცხოვრება ვეღარ წარმოუდგენია და სულ იმაზე ღელავს, მისი ოჯახის ახალ წევრს რამე არ წამოსტკივდეს.

# როგორ სარკლოს ეპებს ნინო ჩხეიძე თავისი წლინახევრის ღუდისთვის და საღ ისვენებზე ისინი ერთად

**ნინო ჩხეიძე:** არასდროს მყოლია ცხოველები, რადგან, მათი პანიკური შიში მქონდა. სტუმრად თუ მივიდიოდი, პირველად იმას ვეკითხებოდი, სახლში ძაღლი ან კატა ხომ არ გყავთ-მეთქი. თუ რომელიმე ჰყავდათ, არ მივიდიოდი.

## მხოლოდ ძაღლისა და კატის შიში გქონდა თუ ფრინველებისაც?

– მარტო ძაღლის და კატის კი არა, ბატის და კვატის ახლაც მემინია (*იცინის*). დედაჩემსაც ემინია ცხოველების. ბავშვობაში სულ მაფროთხილებდა, არ მეცხო, ხელი არ მოჰკიდოდა და, ვხუმრობ ხოლმე, მგონი, ცხოველების შიში გენეტიკურად დამყვანა-მეთქი. სხვათა შორის, სულ გამბობდი, თუ ოდესმე მოვინდომე სახლში ძაღლის მოყვანა, ჩათვალეთ, რომ ძაღლიან ცუდად ვარ-მეთქი (*იცინის*). ბავშვობაში ჩიტები კი მყავდა, მაგრამ, ვერ მოვუარე და დამეხოცა. მოკვლედ, ჩიტის გარდა ყველაფრის მემინოდა და, ვერ წარმომედგინა, ძაღლი ან კატა თუ იგლეხა ჩემს სახლში.

## თუმცა, ახლა შენს სახლში უსაყვარლესი ძაღლი – დუდი ცხოვრობს. როგორ შეგუე და საიდან მოხვდა ის შენთან?

– რალაც პერიოდში, მოვინდომე, პატარა, „ბუ“ ძაღლი მყოლიდა, ჩემი ქმარი წავიდა და ეს მომიყვანა. საყვარელი, კეთილი ლეკვი იყო და, რაც მთავარია, ძაღლის შიში ვადამალავინა. პომერანიერის ჯიშის, ჩინური წარმოშობის. გვეგონა არ გაიზრდებოდა, მაგრამ, შეეცვლით (*იცინის*). წესით, უნდა ყოფილიყო თეთრი, ფუმფულა და პატარა, მაგრამ, შეგვრჩა შავი, დიდი და ფუმფულა დუდი. თუმცა, ახლა ისე მიყვარს, ვერც ერთ პატარა ძაღლში ვერ გავცვლი. ვერ წარმოიდგენთ, როგორი კეთილია. ისე უხარია ჩემი დანახვა, რომ მახტება და მეფერება. არადა, პატარა რომ იყო და ფეხებში მედებოდა, დისკომფორტი მქონდა და, ამის გამო, დილით, საწოლიდან რომ ვდგებოდი, ჩუსტების ნაცვლად, ბოტებს ვიცვამდი და ისე დავდიოდი (*იცინის*). დუდიც ბოტებზე მახტებოდა და ისე გამოხატავდა ჩემდამი სიყვარულს. ახლა კი ძალიან შეეჩვიე, ვეფერები კიდევ და ჩემი ხელთაც ვბან და ვუყვლი.

## რამდენი წელია, დუდი შენთან ცხოვრობს?

**დუდი, წახი, თაბი, ფაფულა და პატარა უნდა მოვილიყო, მაგარამ, შეგვრჩა შავი და დიდი, თუმცა, ისე მიყვარს, ვერ ვიშვებოდი კატარა ძაღლში ვერ ვიშვებოდი**

## რამდენი წელია, დუდი შენთან ცხოვრობს?

– ნელინდნახევარია, დუდი ჩვენთან ცხოვრობს. თავიდან, სახელზე რომ დაფიქრდი, ბევრი ვერსია მქონდა: კუსი, ბუსი, შშიკი, მიკი, მაგრამ, ბოლოს დუდი ვარჩიე. ეს სახელი „მე-საყვარლა“ და, თან, ჩემს ძაღლს ძაღლიან უხდება.

## დუდი შენს ტანსაცმელსა და ფეხსაცმელს არ ემტერება?

– მარტო ამაზე გვაქვს კონფლიქტი მე და დუდის (*იცინის*). არ დამავინწყდება, ერთხელ, ძვირად ღირებული ფეხსაცმელი ვიყიდე, უფრო სწორად, ჩამოიტანეს უცხოეთიდან და ნისიად წამოვიღე, ფული ნელ-ნელა უნდა გადამეხდა. მივიტანე სახლში გახარებულმა და დავანწყვე შემოსასვლელში. მაშინ დუდი ძაღლიან პატარა იყო. დილით ვდგები და, რას ვეხედე?! – მარტო პლასტმასის ქუსლი ჩანს. კინალამ ჭკუიდან გადავედი. ძაღლიან ვეჩხუბე და ვურტყი ჩემს საცოდავ დუდის. ახლა კი ვნანობ, მაგრამ, მაშინ რომ არ მეცემა ჭკუას ვერ ისწავლიდა. ახლა, არ ეკარება ჩემს ფეხსაცმელებს, რადგან, იცის, რაც მოუფა.

## როცა შენს სიმღერას უსმენს, რა რეაქცია აქვს?

– ჩემს სიმღერაზე რეაქცია არ აქვს, დუდის ჩემს ხმაზე აქვს რეაქცია. რომ დავუძახებ მოფერებით: მოდი, დუდი, მოგეფერო-მეთქი, ყურებს მაღლა სწევს და მისი სახე უნდა ნახოთ. როცა პიანინოზე ვუკრავ, მომიჯდება გვერდით, მერე ორ ფეხზე დგება და ისე მისმენს. ძაღლიან უყვარს მუსიკა და, უნდა ნახოთ, ორ ფეხზე როგორ ცეკვავს.

## ცნობილია, რომ, ვისაც სახლში ცხოველი ჰყავს, დროთა განმავლობაში, ის პატრონს ემსგავსება. შენ თუ აღმოაჩინე მსგავსება დუდისა და შენ შორის?

– დუდი მგავს იმაში, რომ ძაღლიან მოსიყვარულეა, კეთილი და უყვარს მუსიკა. და, კიდევ, საკუთარი თავის ფასი იცის (*იცინის*).

## პასპორტში რა გვარი უნერია?

– ჩემს გვარს ატარებს, „დუდი ჩხეიძე“ – ასე უნერია პასპორტში და ეს ჩემი მეორე შვილია, თანაც – ბიჭი.

## ესე იგი, სარკლოს ვეძებ?

– ჰო, სარკლოს ვეძებთ, მაგრამ, დუდის შესაფერისს. უცხოეთში რომ მივიდივარ, დუდის სასტუმროში ვტოვებ ხოლმე, სადაც ძაღლიან კარგად უვლიან. იქ გაიჩინა შეყვარებული – ბონი, რომელიც საკმაოდ დიდი, ლაბრადორის ჯიშის და, თან, ჰყავს ქმარი. მაგრამ, დუდი ისეთი დაჯერებულია თავის თავსა და გრძობებში და ისეთი ხასიათისა, მაინც უმტკიცებს

და ეფიციენტ სიყვარულს ამ ლაბრადორს. ახლაც რომ ვეკითხები, გინდა ბონისთან წაგიყვანო-მეთქი? მაშინვე ყურებს დაცქვეს და შემომციტინებს. ასე რომ, ჩემი დუდი რომანტიკულია და იცის სიყვარულის ფასი (*იცინის*). მე კი, როგორც სადედამთილო, ლამაზ სარკლოს ვეძებ, რომ ლამაზი შვილიშვილები მყავდეს. ასე რომ, ბონი დავინუნე და ახლა ულამაზესი, თეთრი, დუდის მსგავსი, პომერანიერის ჯიშის სარკლო მყავს შეგულბული. დუდი იმდენი პოზიტივი შემოიტანა ჩემს ცხოვრებაში, რომ, ახლა ვნანობ, ამდენი წლის განმავლობაში ეს რატომ მოვიკვლი. იმდენად გულწრფელი და ალალი გამოხედევა იგრძნობა მისი თვალებიდან და ისე უხარია ჩემი არსებობა, ვეფერობ, რომ ძაღლების სიყვარული ყველას უნდა შეეძლოს და მათი არ უნდა გვეშინოდეს. ბედნიერებაა, როცა ხედავ, როგორ სჭირდება, როგორ გრძობს შენს დამოკიდებულებას და ისიც შენი ერთგულია. ახლა მისასაც კი ვეფიქრობ, ძლიერი, „აფჩარკის“ ჯიშის ძაღლი ხომ არ ვიყოლიო-მეთქი.

**დუდის სათამაშობითა და ლამაზი ჩაცმელებით არ ანებებ?**


– უცხოური სატიდან გამოვუნერე ლამაზი სახლი, მაგრამ, ვერ მიხვდა, რა იყო და არაფრად ჩაავლი. ახლა მინდა, ლამაზი ქუდი და პალტო გამოვუნერო და გამოვპრანჭო ჩემი ბიჭი ზამთრისთვის.

## ამ ზაფხულს სად დასვენებ შენი ბიჭი?

– საგურამოში, ავარაკზე წამოვიყვანეთ და, ეზო რომ დანახა, ლამის გაგიჟდა – დარბის, დახტის, თამაშობს და თავის სტიქიაშია. ბედნიერი, რომ ჩემს სტუდიას გასცდა და მარტო ჩემი ყავის სმას არ უყურებს. დასასვენებლად წამოსულმა, იგრძნობ რომ ძაღლია და ძაღლიან კარგად ისვენებს. ჩაკეტულ სივრცეში მართლა ცოდევა ცხოველი, არ უნდა შეზღუდო, თუკი მასზე მართლა შეგტკივა გული და ხშირად უნდა გაიყვანო სუფთა პაერზე.

## მერე, სახლში გაზრდილი ძაღლისთვის ღია სივრცეები ნებავრობა, ცოტა საშიში არ არის?

– სხვათა შორის, ამას წინათ, ნავთის ბოთლი ნახა ეზოში. ეტყობა, სუნი ვერ აიტანა – მივხვდი, ვერ იყო კარგად. შემეშინდა, სასწრაფოდ დავბანე, გავასუფთავე, ფენით გავაშრე და მოვიდა ხასიათზე. თუ ძაღლი ოჯახის წევრად მიგანჩია, ისე უნდა მოუარო, როგორც ნამდვილ ოჯახის წევრს. დუდის ადრე კანის დაავადება შეეყარა; როგორც გვითხრეს, გენეტიკურიც იყო და, თან – ვირუსულიც. ისე ვინერვიულე, ვერ ავიწერო. სულ მემინია, არ მომიკვდეს-მეთქი. ექიმიდან რომ მომიყვანეს და მის ტანზე ზოგ ადგილას ცხოველი და გადატყეპული დაინახე, ძაღლიან განვიცადე. თუმცა, ყველაფერმა კარგად ჩაიარა და დღეს სრულიად ჯანმრთელია. ახლა კი ისვენებს და კარგ ვარემობა – საგურამოს პაერს ყლაპავს, ნებავრობს და თავის გემოზე დარბის ეზოში.



# როის სიღრმეს ჩაღიგებოდა მამაკაცი მასთან აუცილებლად დამარცხდება – ეს გარდაუვალია. მხოლოდ ქალს აქვს ნელში გატეხის და გაანადგურებს, დაუკარგავს საკუთარი თავის რწმენას, დაუქვეითებს თვითშეფასების უნარს და პიროვნულად დააკნინებს. კაცმა უნდა იცოდეს, რომ ასეთი გადანყვებილობა მიღებული ქალი ძალიან საშიშია, რადგან, მან უკვე ზუსტად იცის, სად ატყენს მას ყველაზე მეტად. ამიტომ, კაცს ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ, თუ ქალთან, მით უფრო – საყვარელ ქალთან ბრძოლას დაიწყებს, აუცილებლად წააგებს, თანაც, წააგებს ძალიან მტკივნეულად...

**თინა (41 წლის):** კაცები სულელები არიან. ჭკვიანები რომ იყვნენ, ეცოდინებოდათ, რომ საყვარელ ქალთან ბრძოლა არ უნდა დაიწყოთ, რადგან, აუცილებლად წააგებენ, და, თანაც ძალიან მტკივნეულად. ქალები ძალიან საშიშები ვხდებით, როცა ომში გვითრევენ, თანაც, ქალურ თავმოყვარეობაზე დაბიჯებით. მამაკაცი ვერც კი ხვდება, რა შარში იგდებს თავს, როცა, ნებსით თუ უნებლიეთ, გამოწვევას გვიგზავნის.

### – კი მაგრამ, ყველა ქალი ხომ არ არის მებრძოლი?

– არ დაიჯეროთ. კაცები სწორედ მანდ უშვებენ შეცდომას. ყველა ქალი მებრძოლია, თანაც, შეუპოვარი, თავგანწირული მებრძოლი. ეს კი ძალიან საშიშია, იმიტომ რომ, თვითონაც არ იცის, რა შეუძლია...

### – კაცები არ არიან საშიშები, თუკი მათ ბრძოლას გამოუცხადებ?

– არც ისე. კაცები ბოთები არიან და მათი შესაძლებლობები მათივე ფიზიკური ძალის იქით არ მიდის, უფრო სწორად – ვერ მიდის. მათი მოქმედების არეალი ძალიან შეზღუდულია და, ისევე მათთვის ავსობებს, ფრთხილად იყვნენ. ჭკვიანი თუა კაცი, ცოლს იმ კრიტიკულ წერტილამდე არ მიიყვანს, როცა ის უკვე ყველაფერზეა წამსვლელი.

### – მაინც, რაზეა ქალი წამსვლელი?

– უჰ, არ მკითხოთ. გააჩნია, რა მიმართულებას აირჩევს შურისძიებისთვის. იმას არ ვამბობ, რომ ყველა ქალი აუცილებლად დალატობს ქმარს, ასე ნამდვილად არ არის, მაგრამ, ზოგი უფრო საშიშ მეთოდს ირჩევს და კაცს, პრაქტიკულად, ანადგურებს. მაგალითად, ართმევს ბიზნესს, აკოტრებს ფინანსურად, ანადგურებს მას მორალურად... ძალიან ბევრი საშუალება არსებობს. გულებით, მთავარია, ქალი ბრძოლაში არ ჩაებას ქმრის წინააღმდეგ, თორემ, კაცი ყველა ვარიანტში მწარედ წააგებს, ისეთ საშინელ მარცხს იწვევს, ცხოვრება აღარ მოუნდება. კაცების პრობლემა ის არის, რომ მათ წარმოადგენს არ აქვთ ქალების შესაძლებლობებზე. აგდებით უყურებენ თავიანთ ცოლებს და ფიქრობენ, მე რასაც მინდა, იმას ვააკეთებ; როგორც მინდა, ისე ვიცხოვრებ, ეს ხმასაც ვერ ამოიღებო. ზოგიერთი ცოლი მართლაც მთელი ცხოვრება არ იღებს ხმას, მაგრამ, ყველა ადამიანი არაპროგნოზირებადია, ვინ როდის ამოფრქვევა ვულკანივით, არავინ იცის, მით უმეტეს, როცა ქალზეა საუბარი.

ძალიან უწყინარი და მორჩილი ცოლი ვიყავი საკმაოდ დიდი ხნის – თვრამეტი წლის განმავლობაში. ვზრდიდი შვილებს და ვუფლდი, რომ იტყვიან, თვალებში შევცოცხინებდი ქმარს. თურმე არც ერთი მამაკაცი არ ყოფილა იმის ღირსი, რომ ცხოვრება მას მიუძღვნა.

თუ ქალმა საბოლოო გადანყვებილება მიიღო და ქმარს ომი გამოუცხადა, მამაკაცი მასთან აუცილებლად დამარცხდება – ეს გარდაუვალია. მხოლოდ ქალს აქვს ნელში გატეხის და გაანადგურებს, დაუკარგავს საკუთარი თავის რწმენას, დაუქვეითებს თვითშეფასების უნარს და პიროვნულად დააკნინებს. კაცმა უნდა იცოდეს, რომ ასეთი გადანყვებილობა მიღებული ქალი ძალიან საშიშია, რადგან, მან უკვე ზუსტად იცის, სად ატყენს მას ყველაზე მეტად. ამიტომ, კაცს ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ, თუ ქალთან, მით უფრო – საყვარელ ქალთან ბრძოლას დაიწყებს, აუცილებლად წააგებს, თანაც, წააგებს ძალიან მტკივნეულად...

გულუბრყვილოდ მჯეროდა, რომ ბედნიერი ვიყავი. მაგრამ, გვერდით დასაყრდენი და ერთგული მეგობარი კი არა, საერთოდ არავინ მყოლია. ვერ ვიტყვი, რომ ქმარი მატერიალურად არ უზრუნველყოფდა – ყოველთვის იმაზე გაცილებით მეტი მქონდა, ვიდრე ნორმალური არსებობისთვის არის საჭირო, მაგრამ, ეს, თურმე, საერთოდ არაფერს ნიშნავს. კარგად მანამდე ვიყავი, სანამ მეგონა, რომ ქმარს ვუყვარდი და პატივს მცემდა.

### – უნებ კი, გაიგეთ, რომ გლალატობდათ?

– არა, არაფერი მსგავსი. ძალიან კარგად მახსოვს ის დღე, როცა ჩემმა ქმარმა, ვითომ ზუმრობით, გამომიცხადა – მთელი ცხოვრება ჩემს გემოზე ვიცხოვრე და, მეცოდები, შენი ცხვირის იქით რომ ვერასდროს, ვერაფერს ხედავდიო. ეს ნელნად-ნახევრის წინ მოხდა და ლამის ენა ჩამივარდა, ისეთი მოულოდნელი.

## არ გაგებ, რომ ჩველა ქალი ფლატობს ქმარს, ზოგი უფრო საშიშ მეთოდს ირჩევს მის განსანადგობლად

ლი იყო ეს განცხადება. მაგრამ, ამაზეც არ შეჩერდა, განგრძო თავისი იდიოტური მონოლოგი: უკვე ასაკში ხარ, მალე სარკემი ჩახედვის შეგეშინდება, ქალურ მომხიბვლელობას დღითი დღე კარგავ და მალე არც ერთი მამაკაცი ზედ აღარ შემოგხედავს. იყო მომენტები, როცა ეჭვი მანუხებდა, არ გლალატა ჩემთვის. ზოგჯერ მართლაც ახერხებდი ხოლმე მაგარ ფორმაში ყოფნას, რომ სექსუალური ქალის იმიჯი გქონდა და მეც კი მიღვიძებდი ლტოლვას, მაგრამ, ახლა უკვე შემძლია, მშვიდად ვიყო – შენგან საშიშროება აღარ არსებობს, მე კი ისევე მოვიხილავ ქალებს, როცა მომიხდება – დივიდენდები ხომ უნდა მივიღო, მთელი ცხოვრება რომ ვპაახაბდიო... თითქოს ვილაცამ მაგრად შემანჯღრია, მტკივნეულად და უხეშად. მაშინვე მივიღე გადანყვებილება, რომ ჩემს ქმარს საშინლად ვანანებდი ამას. ჩხუბი არ დამინცია და სკანდალი არ ამიტეხ-

ავს – ამას აზრი არ ჰქონდა, მაგრამ, იმწუთშივე ომი გამოუცხადა. როგორი საცოდავები და უსუსურები არიან კაცები ქალური შურისძიების წინაშე... პირადი მაგალითით კიდევ ერთხელ დავამტკიცე ეს ჭეშმარიტება.

### – რატომ არ მოინდომეთ, გაყროდით?

– რას ამბობთ? ამას სერიოზულად მეკითხებით? ორმოცი წლის ასაკში გაყვროდი კაცს, რომელმაც ჩემი ცხოვრების თვრამეტი საუკეთესო წელი შეიწირა? რა სისულელეა! ის უნდა დასჯილიყო იმისთვის, რაც თქვა და რისი გაკეთების სურვილიც ჰქონდა. უკვე ველარავინ დამარწმუნებდა იმაში, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში ჩემთვის არ უღალატია. რა თქმა უნდა, მივალატობა.

### – ამიტომაც გადანყვით სამაგიეროს გადახდა?

– ეს არ იყო მხოლოდ სამაგიეროს გადახდის სურვილი. მე უნდა დამემტკიცებინა მისთვის, რომ უსარგებლო ნივთი არ ვიყავი – სწორედ ეს იყო ჩემთვის გაცილებით მნიშვნელოვანი. ზოგადად, ქალმა კაცს არ უნდა მისცეს უფლება, აბუჩად აიგდოს, ფეხქვეშ არ უნდა გაათელინოს ღირსება – ეს არის მთავარი პირობა, რომ ქალმა საკუთარ „მეს“ სცეს პატივი. მაშინ მას ყველა დააფასებს – ქმარიც და შვილებიც. ხელის ერთი მოსმით ჩამიყარა ქმარმა წყალში, რაც როდისმე გამიკეთებია. ისეთი რეალობის წინაშე აღმოვჩნდი, მტერს რომ არ უსურვებ. ჩემთვის ყველაზე საყვარელმა, ახლობელმა და ძვირფასმა პიროვნებამ (ყოველ შემთხვევაში, მე ამის მჯეროდა) პირდაპირ მითხრა – შენ ვინ ხარ, ძველი კალოში, რომელიც არავის არაფერში სჭირდება; მე კი ყოველთვის შემძლია, უკეთესის პოვნაო. ეს იყო შოკური თერაპია, რომელმაც თავისი შედეგი გამოიღო: ზუსტად ერთ თვეში, ჩემს ქმარზე თორმეტი წლით უმცროსი საყვარელი გავიჩინე და, შესაბამისად, ჩემს გარეგნობასაც მივხედე. მზრუნველი ცოლი და მისი ყოველდღიური „ბატალიები“ წარსულს ჩაბარდა. შვილებს იმდენად აღარც ვჭირდებოდი, თან, დიდი ენთუზიაზმით შესვდნენ ჩემი იმიჯის შეცვლას.

### – შვილებმა იციან, რომ საყვარელი გაყავთ?

– არა, ეს შვილებმა არ იციან. იცის ქმარმა



# ვინ ეძებს მამას საქართველოში და რატომ დაკარგა ერთმანეთი მამა-შვილა

ვიაჩესლავ ვაჟას ძე სერგევი (დედის გვა-რზეა) ეძებს დახლოებით, 65-66 წლის ვაჟა კურტანიძეს.

**ისტორია:** ვეძებ მამას, ვაჟა კურტანიძეს. ჩემი მშობლები ერთმანეთს დაშორდნენ და მას შემდეგ, მე მამა არ მინახავს. ძალიან მი-ნდა, მისი მოძებნა და ნახვა. შეიძლება, ამჟამად თავისი ოჯახი აქვს და მე მყავს ნახევარ-ძმები ან დები. მინდა მათი გაცნობაც. პირა-დად მე, საქართველო-დან ძალიან შორს ვიმ-ყოფები და მინდა, მა-მის მოძებნაში დამეხ-მაროთ. მაქვს ვაჟას ერთადერთი სურათი, რომელსაც გიგზავნით კიდევ. ვიმედოვნებ, მა-მაჩემსაც ენდომება ჩემი ნახვა და გაცნობა.



**რა იყო იმის მიზეზი, რომ მშობლების დაშორების შემდეგ მამასთან კავშირი არ ეკონია?**

– პატარა ვიყავი, როცა ჩემი დედ-მამა ერ-თმანეთს დაშორდა. მამა დაქორწინებული იყო 1950 წელს დაბადებულ მარინა სერგეევზე (დედაჩემზე). ამჟამად დედა უკვე 64 წლისაა. მან იცის, რომ მე მამის მოძებნა მინდა და ამის წინააღმდეგი არ არის. ჩემთვის უცნობია მიზეზი, თუ რატომ არ დამიკავშირდა მამაჩე-მი ამდენი წლის განმავლობაში, მაგრამ მასზე გაბრაზებულიც არ ვარ. მას თავისი ცხოვრე-ბა აქვს და ალბათ, ასე გადაწყვიტა. სამაგიე-როდ, მე ძალიან მინდა მისი პოვნა და ნახვა. მიუხედავად იმისა, რომ მე ის თითქმის არ მახსოვს, მინდა, მისი მოძებნა. წლების განმ-ავლობაში ვფიქრობდი მამა როგორ მეპოვა, მაგრამ სულ ცოტა ხნის წინ გადავწყვიტე,

მისი აქტიური მოძებნა, რადგან დამოუკიდებ-ლად ვერაფერი მოვახერხე. იმედი მაქვს, მამ-აჩემი კარგადაა და გამოემხმარება.

**– რამდენი ხანია, რაც მამა არ გინახ-ავს?**

– ჩემი მშობლები ერთმანეთს 80-იან წლე-ბში დაშორდნენ და იმ დროიდან მე მამაზე არაფერი გამიგია. ვიცი მხოლოდ ის, რომ ცხოვრობდა საქართველოში, ქალაქ თბილი-სში. მეტი მის შესახებ არაფერი ვიცი. სიმა-რთლე გითხრათ, მხოლოდ მისი ფოტოს იმ-ედი მაქვს. გიგზავნით ჩემი პატარაობის ფო-ტოსაც, იმედია, მამა მიცნობს და მიხვდება თუ ვინ ეძებს. ფოტოზე მე და დედა ვართ.



**– თუკი მამაშ-ენს აქვს თავისი ოჯახი და შვილები ჰყავს, რას ფი-ქრობ, როგორი იქ-ნება მათი რეაქც-ია თუ, გაიგებენ, რომ მათ მამას რუსეთიდან შვილი ეძებს?**

– იმ შემთხვევაში, თუ მამაჩემის ოჯახის წევრებმა ჩემი არსებობის შესახებ არაფერი იციან, მაშინ მათთვის ეს ყველაფერი გაურკ-ვევლობა და არასასიამოვნო სიურპრიზი შეი-ძლება იყოს. მაგრამ, მე მაინც მაგონია, რომ მამაჩემის ოჯახმა იცის ჩემი არსებობის შესა-ხებ და ჩემი გამოჩენა მათთვის, იმედია, დის-კომფორტი არ იქნება. ყოველ შემთხვევაში, მე მამისგან არაფერი მინდა, გარდა იმისა, რომ ვიპოვო და გავიგო, თუ როგორაა; მყავს

თუ არა ნახევარძმა ან და, როგორები არიან ისინი. თუ კი იმათი მხრიდანაც იქნება სურ-ვილი, მობარული ვიქნები, რომ ჩვენს შორის ნათესაური კავშირი დამყარდეს. თუ წინააღ-მდეგნი იქნებიან, ამასაც როგორმე გავიგებ.

**– ერთმანეთის პოვნის შემთხვევაში, რო-გორ და სად გეგმავ მამის ნახვას. როგო-რც ვიცი, რუსეთში ცხოვრობ და შეძლებ-დი საქართველოში ჩამოსვლას?**

– მე საქართველოში ჩამოსვლის დიდი სურვილი მაქვს, თითქმის ისეთივე, როგორც მამის პოვნის. მაგრამ, ამ კითხვაზე პასუხს ვერ გაცემთ, რადგან არ ვი-ცი როგორ ან რით დასრუ-ლდება ჩემი ისტორია. თუ აღმოჩნდა, რომ მამაჩემსაც ისევე უნდა ჩემი ნახვა, რო-გორც მე, მაშინ ალბათ, ორ-ივე ყველაფერს ვილონებთ, რომ ერთმანეთი ვნახოთ. არ ვიცი, როგორი იქნება, ან სად მოხდება ჩვენი შეხვედრა. სი-მართლე გითხრათ, მე სურ-ვილი მაქვს, საქართველოში შევხვდეთ ერთმანეთს. არ აქვს მნიშვნელობა სად მოხდება ჩვენი შეხვედრა, მთავარია, შე-დგეს.

**თუ გაქვთ რამე ინფორმაცია ამ ისტორიასთან დაკავშირებით ან თუ გასურთ, თქვენც გაგანიოთ დახმარება დაკარგული ახლობლის მოძებნაში, დაგვიკავშირდით: 239-23-52; 239-23-53; 593 22-04-31. დარეკეთ საღამოს, 6 საათის შემდეგ. E-mail: tbiliseleb2001@yahoo.com. ნატალია მახარაშვილი**

და ჯერ ისევ გაოგნებულია – ვერ დაიჯერა, რომ ასეთი რამის გაკეთება შემძლო. თავს ისე მოვუარე, გადავყევი ჩემი სხეულის თი-თოეულ ნაწილს და ძალიან შევიცვალე, ისე გამოვიყურები, ნაცნობიც და უცნობიც პი-რდალბული მიყურებს.

**– ქმარს პირდაპირ უთხარით, რომ ულ-ალბათ?**

– ისე გავაკეთე, რომ გავეო – ამას გან-საკუთრებული მოხერხება არ სჭირდება. ოლ-ონდ, არ მითხრათ, რომ ჩემი მხრიდან წარ-მოუდგენლად ცუდი საქციელია, შურისძიე-

რგისი ხარ და მეგობრადაც. მე ეს გავაკე-თე და სულაც არ ვნანობ. ჩემი ქმარი ჯერ განრისხდა, გადაირია... მერე დამემუქრა – გაგშორდები, საერთოდ ცარიელ-ტარიელს დაგტოვებ და მერე ნახავ, იმ შენ ლანჩაკ საყვარელს კიდევ თუ ენდომებიო. მშვიდად ავუხსენი, რომ 34 წლის მამაკაცი სულაც არაა ლანჩაკი, ის არის ჩამოყალიბებული პიროვნება, რომელსაც თავისი გზა უკვე ნაპოვნი აქვს, შემდგარია, მუშაობს და არ-ავისზე არ არის დამოკიდებული. არც ცო-ლი ჰყავს და, შესაბამისად, მაქვს პერსპექ-ტივა, უფრო სერიოზული ურთიერთობა მეო-ნდეს მასთან. თანაც, ის ქონება, რომლის წართმევიცაა მემუქრება ქმარი, თანაცხო-ვრების დროს გვაქვს შეძენილი, ანუ, ნახე-ვარი ჩემია. როცა ეს ყველაფერი კარგად გააცნობიერა, ფერი ეცვალა და გაყრახე სიტყვაც აღარ დაუძრავს... დადის გასუსუ-ლი, კეთილად მიღიმის და ურთიერთობის გაჯანსაღებას ცდილობს. თან, სულ კუდში დამდეგს, სულ რაღაცას იგონებს, რომ ჩემ გვერდით იყოს. მიხარია, როცა ვხედავ, რო-გორ იტანჯება – მან ეს ნამდვილად დამი-სახურა. ვინ არის ახლა „მედიკალი“?... ჩემმა შურისძიებამ „სექსუალური მეთოდით“ ძალიან გაამართლა. ნავიდეს და ეძებოს ახლა ჩემზე უკეთესი ქალი, თუ აქვს კიდევ ამის თავი. ცხოვრება ხომ მიქცია ომად და, წაავო კიდევ ეს ომი.

**დალი მიქელაძე**

## რედაქციაში წერილი მოვიდა

**უკვე დიდი ხანია, ვგრძნობ, რომ ქმარი მატყუებს, მაგრამ ფაქტზე ვე-რაფრით ვერ გამოვიჭირე. როგორ მოვიქცე? პირდაპირ ვეჩხუბო და და-ვამთავრო ყველაფერი თუ მოვითმ-ინო, სანამ რეალური ფაქტები არ მექნება ხელთ? ვიცი, რომ დაველა-პარაკო, ყველაფერს უარყოფს და, შეიძლება, აქეთ დამადოს ბრალი, შე-შლილი ხარო. მიჩინეთ რამე.**

**გამომხმარებელი:** მგონი, მაინც უნ-და დაელაპარაკოთ. ეს აუცილებელ-ია და გარდაუვალი. საუბრისას აუც-ილებლად აღმოჩენით რაციონალურ მარცვალს – მიხვდებით, რომელ ებ-იზოდში გატყუებთ და იმაშიც გაერ-კვევით, შემდგომში როგორ იმოქმე-დოთ.

**ფსიქოლოგი  
მაგდა როზაქიძე**

## იყო მომენტები, როცა ეჭვი მანუხმავდა, არ გეღალატა ჩემთვის, ზოგჯერ ახმრხმავდი სმსხალურ ფორმაში მოწინასწარ

ბის მიზნით ლოკინში რომ ჩავუწევი უცხო მამაკაცს. მაგრამ, ასე მარტივადაც არ ყო-ფილა საქმე. მე მომეწონა ეს ურთიერთობა, თანაც – ძალიან. თავი ისევ სასურველ ქა-ლად ვიგრძენი. როცა აღმოაჩენ, რომ ქმარს არათუ საყვარლად არ უნდისხარ, მეგობრ-ობაზეც „ვერ ქაჩავ“, რაღა გრჩება მეტი?! – უნდა დაუმტკიცო, რომ საყვარლადაც ვა-



**ანა კოვაჩი:** ყაზახეთში ჩასვლამდე ხუთი წელი არ ვცხოვრობდი საქართველოში, ამიტომ, არ გამჭირვებია ყაზახეთში ცხოვრება. თან, წელიწადში ერთხელ ჩამოვდივარ, ზოგჯერ – ორიჯერ. მშობლებს, მეგობრებს ინტერნეტით სულ ვკონტაქტობ და, ერთი, რაც ყველაზე მეტად მენატრება, არის ქართული საჭმელი. აქ კი არის ყველაფერი, ქართული რესტორნებიც, მაგრამ, ქართული სულგუნი არ აქვთ, არადა, ძალიან მიყვარს. ამის გამო ნორმალური ხაჭაპური ვერ გამოვაქცევ, თან, მეგრული ხაჭაპური მიყვარს და აქაური ყველით არ გამოდის ისეთი, როგორიც მინდა. ჩემს მეუღლეს ძალიან მოსწონს და, ზოგადად, უყვარს ქართული კერძები. ცოტა ხნის წინ მისი ოჯახის წევრები იყვნენ ჩვენი სტუმრად, მათ შორის – 87 წლის ბაბუა. ქართული სუფრა გავანწყვე, ხინკლები გავაკეთე და ძალიან მოეწონათ. ყველაზე სასაცილო ის იყო, რომ ჩემმა მეუღლემ ბაბუას უთხრა, კუჭების ჭამა არ არის საჭიროო. არადა, ბაბუას უფიქრია, რომ არ შეეცამო, ანას ეწყინებოდა და შეჭამა. ყაზახური ნაციონალური კერძის – ბიშპარმაკის მომზადებაც ვისწავლე, რომელსაც აკეთებენ ცხვრის ან ცხენის ხორცისგან – ცომს ცალკე ხარშავენ, ხორცს – ცალკე და მერე ერთად მიორთმევენ. „ბიშპარმაკი“ ხუთ თითს ნიშნავს – წინათ ხელით ჭამდნენ ამ კერძს. ყაზახებს საკმაოდ საინტერესო კულტურა აქვთ; ისეთი არა, როგორც ჩვენ, მაგრამ, მაინც საინტერესოა.



**ცოტა ხნის წინ, როგორც იქნა, ოფიციალურად დავინიშნეთ. დღეაჩემი და ვაპტივით, მისი ნათესავებიც**

– **მასხოვს, უნივერსიტეტში აპირებთ სწავლის გაგრძელებას.**  
– უკვე მეორე კურსზე გადავედი. ყაზახური ენაც ვისწავლე და გამოცდაც ჩავაბარე – 100-დან 85 ქულა ავიღე. ყაზახეთის ერთ-ერთ საუკეთესო უნივერსიტეტში ფსიქოლოგიურზე ვსწავლობ, სახელმწიფო უნივერსიტეტი. ეს პროფესია ყოველთვის მინტერესებდა. რუსულ სექტორზე ჩავაბარე და, რადგან უცხოეთის მოქალაქე ვარ, ამიტომ, პირდაპირ მივედი და ნახევარი წლის საფასური გადამახდევინეს. ნახევარი წლის შემდეგ კი ყველა გამოცდა ჩავაბარე, 100-100 ქულა ავიღე და გრანტზე ვადამიყვანეს, ანუ, ყაზახეთის სახელმწიფო აფინანსებს ჩემს სწავლას, რაც, როგორც შევითქვე, პირველი შემთხვევა ყოფილა – აქამდე უც-

მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ ნარმატიული მოდელი ანა კოვაჩი, რომელიც წლების წინ ისეთი საბოლოო სახლებთან მუშაობდა, როგორცაცაა „ელი სააბი“, „გოტი“, „ლანდინი“, „შანელი“, აქტიურ სამოდელო საქმიანობას აღარ ეწევა, ყაზახეთში მას ძალიან საინტერესო და აქტიური ცხოვრება აქვს. გარდა იმისა, რომ სასიამოვნოდ ატარებს თავისუფალ დროს მეუღლესთან ერთად, ფსიქოლოგის სპეციალობასაც ეუფლება; მან უკვე ისწავლა ყაზახური ენა, ყაზახეთის ისტორია და, რაც მთავარია, მეუღლის ოჯახის წევრები არა მხოლოდ გარეგნობითა და ხასიათით, ქართული კერძების მომზადებითაც მოხიბლა.

## როგორ ახერხებს ანა კოვაჩი ყაზახი მეუღლის ნათესავეების გაოსებას და რაგომ გაღაწყვიტა მან ფსიქოლოგის კარიერის გაკეთება

ტარებ მასზე, მის მეგობრებზე, ნათესავეებზე. დავალებებს რომ მაძლევენ, ხომ უნდა ჩავატარო ვინმეზე და, ყველა თანახმაა, ეხალისებათ. თოვიდან ჩემი ჯგუფელი თაგონებიც ძალიან მეხმარებოდნენ, ძალიან კარგად მიმიღეს, მისხნიდნენ რაღაცეებს. ლექტორებმაც იციან, რომ არ ვარ იქაური, ამიტომ, ცდილობენ დამეხმარონ, რთული კითხვები არ დამისვან. ისინი, ვინც ჩემთან ერთად არ სწავლობენ, მაგრამ ზოგჯერ ერთად გვიწევს ლექციებზე დასწრება, გაოცებულები მიყურებენ ხოლმე, უცნაურ კითხვებს მისვამენ. მე და ჩემი მეუღლე ყოველ საღამოს ერთმანეთს ვუ-

როგორც პატიოსანმა გოგონამ, ვუთხარი, ჯერ უნდა დავფიქრდე-მეთქი. მან კი მითხრა: ან ახლავე მიპასუხე, ან ბეჭედი დამიბრუნეო. მოკლედ, კარგად ვიხალისეთ, ვიხუმრეთ, მერე კი აღვინიშნეთ. დღეაჩემი ჩემთან ერთად არის, უზრალოდ, ჯერ ვერ გაიციო, რადგან, ჩემი მეუღლე მივლინებაშია ნასული. რომ დაბრუნდება, აღვინიშნავი. მისი ნათესავეებიც აქ არიან და მერე ქორწილსაც გადავიხდით, ოღონდ, ზამთარში არა – აქ ძალიან ცივა. სხვათა შორის, ზამთარში მინდა თხოლამურებზე დავდე და ცივურებზე სრიალიც ვისწავლო.

– **სამოდლო კარიერას აღარ აგრძელებ?**  
– არ დამინებებია თავი. საქართველოში რომ ჩამოვედი, მამუკა კიკალიშვილის პროექტში მივიღე მონაწილეობა, ბოროტი ქალის როლი მქონდა და ძალიან კარგი გამოვიდა. მიხარია, რომ ქალბატონ ისასთან და მამუკასთან ერთად დავეცემით ეს გადაღებები. ყაზახეთში ამისთვის დიდად არ მცალია, თან, აქ ეს ბიზნესი დიდად არ არის განვითარებული. ზოგჯერ ძალიან მენატრება გადაღებები, ექსპერიმენტები, სტილის შეცვლა.  
– **მასხოვს, შარშან, დაბადების დღეზე, მეუღლემ დაიბარა სურპრიზი მოგინყო. ნელს როგორ ჩაიბარა შენმა დაბადების დღეზე?**  
– მეორე დაბადების დღე მქონდა ყაზახეთში და სურპრიზი მომიხწო – მითხრა, რომ ერთად

ზიარებთ აზრებსა და გეგმებს. მეც მაქვს ჩემს პროფესიასთან დაკავშირებული გეგმები: მინდა, ფსიქოლოგიური ცენტრი გახსნა, ოღონდ, ბავშვებისთვის – ბავშვთა ფსიქოლოგია ძალიან მინტერესებს. მაგრამ ჯერჯერობით შეუძლებელია, ხუთი წელი კიდევ უნდა ვისწავლო: ბაკალავრია და, შემდეგ – მაგისტრატურა.

### – თავისუფალი დროს სად გიყვარს ყოფნა?

– კინოში გიყვარს სიარული, ყოველ მშაბათს მივდივარ. ძირითადად ფანტასტიკა გვაინტერესებს. ორივე დავდივართ სპორტდარბაზში, ოღონდ, ერთდროულად ვერ ვახერხებთ. კიდევ, ბუნებაში გავდივართ, ფოტოებს ვიღებ – ეს ჩემი კიდევ ერთი გატაცებაა. აქ არ არის ისეთი ლამაზი არქიტექტურა, როგორც თბილისში, მაგრამ, ლამაზი ბუნება აქვთ და კარგი ფოტოები გამოდის. ვცდილობთ, ხანდახან ერთად ვითამაშოთ ჩოგბურთი, მაგრამ, ზოგჯერ ცალ-ცალკე გვიწევს. საქართველოში ერთად ჩამოსვლა ვერ მოვახერხებთ – ვერ დავამთხვეთ ერთმანეთს დრო. თუმცა, ჩემი ქმარი ადრე ორი წელი ცხოვრობდა საქართველოში და კარგად იცნობს ჩვენს ქვეყანას. ქართული სიტყვებიც იცის, რაღაცეებს ამბობს ხოლმე. რომ ვუთხრა, „მე შენ მიყვარხარ“ – გაიგებს.



ვარი ის არის, რომ მივლინებაში იყო და მძლიერი უნდა დახვედროდა, რომელსაც მეც ვაყვები. აეროპორტში რომ დამინახა, ჯერ გაუყვირდა. მე მისი მეგობრები ფაფრთხილებული მყავდა, რომ გზაში შამპანური და ბუშტი მიყვარდა დახვედროდნენ, მაგრამ, ავკიანდებოდით და ამის გამო ხან რა მოვიფიქრე, ხან რა. გაოცებულნი მიყურებდნენ, ვერ მისვდა, ამ მხრივ. მძლიერი ფარგანტუბული, ნელა მიდიოდა და ეკითხებოდა: ასე რატომ დადისარო. მერე მისმა მეგობრებმა გადაგვილობეს გზა და გადმოვიდნენ ბუშტებით, შამპანურით, ძალიან გაუხარდა. მხიარული და ხალისიანი ადამიანი, ყურადღებიანი და, ამ ყველაფერმა განაპირობა ის, რომ მის გვერდით ვარ. პოზიტიურ ადამიანთან ურთიერთობა და ცხოვრება ძალიან ადვილია. ალბათ, ბევრ მამაკაცს შეეძინებოდა ამ ნაბიჯის გადადგმა, ანუ, გაუჭირდებოდა გოგონას გადაყვანა უცხო ქვეყანაში, მეგობრების, ოჯახის წევრების, საქმის გარეშე, მან კი ეს გააკეთა. ორივემ გავრისკეთ და ამ რისკმა გაამართლა. თან, ახლა უკვე ჩემი საქმე მაქვს, მეგობრები მყავს და ყველაფერი კიდევ უფრო ადვილია.

### – ცოტა ხნის წინ ერთად იყავით ვეროპაში. როგორი დრო გაატარეთ?

– იტალიაში წავიდით ორი კვირით. ჯერ ვენეციაში იყავით, მერე – ფლორენციაში, შემდეგ კი – ზღვაზე. კარგად დავისვენეთ, გონდლათიც ვისეირნეთ.

### – მასხოვს, ქორწილის გადახდას გეგმავდით. რა ხდება ამ მხრივ?

– გვიხდება, მაგრამ, ვერ მოვახერხებთ. ცოტა ხნის წინ, როგორც იქნა, ოფიციალურად დავინიშნეთ. დღეაჩემი და ვაპტივით, მისი ნათესავეებიც. ჩემთვის ბევრჯერ უთხოვია ხელი, მაგრამ, ახლა ვენეციაში სურპრიზი გამიკეთა – სყვარული ამისხნა და ოფიციალურად მიხოვდა ხელი. მე,

**გაზაზები ნახშირბადი კარგის, გიშვარკარის პოპულარან პინაპლა, რომელსაც აპოთეკან ან სხვების ან სხვის სტრესისგან: სომს ნალკა სარკან, სტრეს ნალკა და პიპა პიტაქ პიპიტაქი**

ხოეთის მოქალაქისთვის ყაზახეთის სახელმწიფოს არასდროს გადაუხდია სწავლის საფასური. თავიდან, როცა ყაზახური ენის სწავლა დადინე, ცოტა გამიჭირდა და სხვა სტუდენტებს ჩამოვჩინებოდი – ადგილობრივები იყვნენ და მათ კარგად იცოდნენ ყაზახური, მაგრამ, ბოლოს გამოცდა მათ დინეზე ჩავაბარე. კიდევ, ვისწავლე ყაზახეთის ისტორია.  
– **ალბათ, მეუღლესაც მოსწონს შენი არჩევანი.**  
– ძალიან მოსწონს და აინტერესებს. საინტერესო რაღაცეებს ვუყვები, თან, ტესტებს ვა-



ნიჭიერი დიზაინერი დიანა ქვარინანი დაახლოებით ერთი წელია, რაც ქართულ ბაზარზე გამოჩნდა და თავისი ფერადი, ხარისხიანი ქსოვილით შეკერილი ორიგინალური სამოსით, უკვე შეძლო ქართველი მოდის მოყვარულების მოხიბვლა. მისი ორივე ჩვენება, ჯერ გაზაფხულზე თბილისში, სულ ახლახან კი - ბათუმში საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა და მეორე დღეს თბილისიც და ბათუმიც მის უღამაზეს კოლექციებზე ლაპარაკობდა. თეთრი ქვიშა, მეთევზის ბადე, მეზღვაურის სამოსი, თევზის ფარფლები, ოკეანე, ზღვა, მალდივები - ეს ყველაფერი დიანას მიერ ბათუმში წარმოდგენილი კოლექციის ინსპირაცია გახდა. მის საზღვაო სამოსში გამოწყობილი ქალი კი ძალიან ლამაზი, სექსუალური და ყველასგან განსხვავებული...

## რატომ გადაწყვიტა დიანა ქვარინანი ქალის სოციალური გათავისუფლება და როგორ გახდა თბილისში, პირველივე ჩვენების შემდეგ, მისი სამოსი მოდური და აკოუნტაბელი

**დიანა ქვარინანი:** მთელი ზაფხულის განმავლობაში იმდენად გამიგრძელდა მუშაობა, რომ ვერსად წავედი. თან, ჩვენება დაიგეგმა და მისი გაცდენა არ მინდოდა. შესაბამისად, თბილისში დავრჩი და უკვე ვმუშაობ ახალ კოლექციაზე. ენერჯაივ მყოფი ვარ, რადგან ძალიან მიყვარს ჩემი სამსახური, ამით ვცხოვრობ და არ მეზარება მუშაობა. თავიდან ვფიქრობდი: როგორ გავაკეთებ მე ამ ყველაფერს მარტო-მეთქი?! მაგრამ, ახლა უკვე შევეგუე: ვიცი, რა როგორ უნდა გავაკეთო. თუმცა, სადმე რომ მივდივარ, ვნერვიულვ: რატომ მივდივარ და სასვენებლად, რას გავაკეთებს ხალხი უჩემოდ.

**- დიდი ხანი არ არის, რაც საკუთარი მოდის სახლი გახსენი, მაგრამ ბრენდს - „დიანა ქვარინანი“ უკვე ყველა იცნობს და ქუჩაშიც დაშინებულს შენს სამოსში გამოწყობილი არაერთი ადამიანი.**



ამ ყველაფერში დიდი როლი ითამაშა განათლებამ და გამოცდილებამ. ბევრი რამ ვისწავლე რომში სამი წლის განმავლობაში - როგორ დამენყო ფეშენ-დიზაინის სფეროში ბიზნესი, გაყიდვები. რომის შემდეგ დიდი გამოცდილება მივიღე მოსკოვში, სადაც სხვადასხვა დიზაინერთან ვმუშაობდი. ვნახე პროცესი, როგორ იქმნება კოლექცია, ხალხი ნი-



**რადგან თბილისი იყო, ამიტომ ძალით შევკერე 5 შავი კაბა. არც ერთი არ გაიყიდა და დავმალე, დღემდე სანყოფში კიდეა**

თბილისი იყო, ამიტომ ძალით შევკერე 5 შავი კაბა. არც ერთი არ გაიყიდა და დავმალე, დღემდე სანყოფში კიდეა. ჩემი მხრიდან დიდი რისკი იყო ჭრელი ტანსაცმლის გამოფენა, მეგონა, იტყოდნენ: როგორი ფერადია - ვფიქრობდი, მაღაზიას 2-3 თვეში დაგვეტყავდი. მაგრამ, რისკმა გაამართლა. ზამთარში ისეთ ფერად კაბებს ვყიდდი, მეც კი მიკვირდა. ყველაზე მეტად, იცი, რა მომეწონა საქართველოში - ძალიან გემოვნებიანი ხალხი ცხოვრობს. მილანი ხომ მოდის ქალაქად მიიჩნევა, მაგრამ იქ იმდენი ლამაზი, მოვლილი და მოდურად ჩაცმული გოგონა არ დადის, რამდენიც საქართველოში. ქართველ გოგონებს იმდენად საინტერესო სტილი, შიკი აქვთ და ეს ძალიან მეხმარება, დიდი სტი-

მულია ჩემთვის. როდესაც კოლექციას ქმნი და მხოლოდ კომერციაზე ფიქრობ, ვერ იქნები დიზაინერი, ვერ შექმნი ორიგინალურ რაღაცას. თუ მხოლოდ შემომქმედებაზე იფიქრებ, გავკეთებ იმას, რაც გინდა - ესეც არ შეიძლება. კონცეპტუალური მოდა ძალიან მომწონს, მაგრამ ამას ვერ გავაკეთებ, რადგან მე მსიამოვნებს, როდესაც ხალხი ყიდულობს ჩემს სამოსს. ქუჩაში უკვე იმდენს აცვია... ძალიან მიხარია.

**- რამდენად საინტერესო იყო შენთვის სხვა დიზაინერთან მუშაობა?**

- ძალიან საინტერესო იყო. ერთი იდეა მაქვს, რომელიც მინდა, მივანოლო სამხატვრო აკადემიას. კონკურსის ჩატარება მინდა, სადაც აკადემიის სტუდენტების სამოთხე სადიპლომო ნამუშევარს ამოვარჩევ. შემდეგ ისინი შექმნიან კოლექციებს, რომლებიც ჩემთან, მაღაზიაში გაიყიდება მათი სახელით. ჩემი ერთ-ერთი დიდი



წარმატება იყო ის, რომ მომეცა საშუალება, რომის შემდეგ მოსკოვში წავსულიყავი და გამოცდილ დიზაინერთან ერთად მემუშავა. ასეთი იყო ცნობილი დიზაინერი მამა ციგალი - ცოტა არასტანდარტული, უფრო ბოჰემური. მეორე დიზაინერი გახლდათ კირა პლასტინინა. მას აქვს ძალიან დიდი ბრენდი, 50 მაღაზია და ეს ჩემთვის უფრო კომერცია იყო. მან გააკეთა ახალი ხაზი „ცუმისთის“, რომელიც ძალიან პრესტიჟულია და იქ ყველაფერი ძვირადღირებულია. როდესაც „ცუმის“ კოლექციაზე დაინწყეს მუშაობა, მათთან ოფისში დიზაინერად ვმუშაობდი. ცალკე გამოცხადდა კონკურსი. მე მოვეწონე და დავინწყე მუშაობა. თუმცა, ამას გარდა, კიდევ სხვა რაღაცებზეც ვმუშაობდი - პრინტებს ვხატავდი, ქაღალდის ეტიკეტებს ვაკეთებდი. მოკლედ, საკმაოდ ბევრი საქმე მქონდა. იმდენად მინდოდა ტანსაცმლის შექმნა, რომ რეალურად, ყველაფერს ვაკეთებდი. თუმცა, შეზღუდული ვიყავი, რადგან სხვა დიზაინერთან ვიყავი, რაც ნორმალურია. უბრალოდ, მის სტილს დი და მერე ჩემებურად ვარგებდი. დიზაინერობის ყველა მსურველი პირველ კურსზე პირველივე ლექციაზე იდებ ამბიციუბითაა. მეც ასე ვიყავი, ვფიქრობდი, ობი-კუბტურს შევექმნიდი, მაგრამ, რომ სწავლობ, მერე რეალობას კარგად ხედავ. კარ-



ვხედავდი და მერე ჩემებურად ვარგებდი. დიზაინერობის ყველა მსურველი პირველ კურსზე პირველივე ლექციაზე იდებ ამბიციუბითაა. მეც ასე ვიყავი, ვფიქრობდი, ობი-კუბტურს შევექმნიდი, მაგრამ, რომ სწავლობ, მერე რეალობას კარგად ხედავ. კარ-



გია, თუ ამ რეალობას ერგები, ხვდები, რომ ამბიცია, ცხვირის ანევა ამ სფეროში ცუდია. შეგიძლია, ჩვეულებრივი, კარგი სამოსი შექმნა და გაუღიბო ყველას, რადგან არავისგან არაფრით განსხვავდები.

**- ახლახან ბათუმში გქონდა ჩვენება, სადაც შენი ახალი საზღვაო კოლექცია წარადგინე, რომელიც ძალიან ლამაზია - ყველაფრის ჩაცმა მოუნდება ადამიანს... ამიტომაც, ისევე როგორც პირველმა ჩვენებამ, მეორემაც, ანუ უკვე საზღვაო კოლექციაში გამოწყობილმა „დენდმა“, დიდი მოწონება დაიმსახურა.**

- ჩემს „დენდს“ ძალიან ვუფროთხილდები და იმისთვის, რომ კარგი გამოსულიყო, მასში ძალიან ბევრი რამ ჩავედ. პირველად განსაკუ-



– სიამაყე, საკუთარი თავის სიყვარული, პატივმოყვარეობა, ქედმაღლობა, მედიდურიზა, ყოყოობა – ეს ყველაფერი ერთ-ერთი ძირითადი მოვლენის – „საკუთარი თავის მიმართულების“ სხვადასხვა სახეებია. ამპარტავენბასა და სიამაყეს წმიდა მამები „ცოდვების დედას“ უწოდებენ. თანამედროვე ადამიანი განსაკუთრებით არის დაზიანებული ამ ცოდვით.

**– რატომ არის პატივმოყვარეობა და სიამაყე მძიმე ცოდვები?**

– კლემენტის „კობის“ მიხედვით, ისინი ყრმასა და მამაკაცს, მარცვალსა და პურს, საწყისსა და დასასრულს შვევანან. სიამაყის – ამ საწყისი ცოდვის უცვლელი სიმბოლოებია: საყვარლის აუტენტულობა, ქების წყურვილი, იოლი გზების ძიება, მუდმივი ორიენტირება სხვებზე – რას იტყვიან, როგორ შეხედავენ ამას, რას იფიქრებენ? წმიდა იოანე კობისალმწერელი ამბობს, რომ სიამაყის უშუალო ხარობს, როდესაც ჩვენში სათნოების სიმრავლეს ხედავს, რადგან, რაც მეტი წარმატება გვაქვს, მით მეტი საკვებია სიამაყისთვის. როდესაც ვმსჯელობთ, პატივმოყვარეობით ვივსებთ; როდესაც დაფარულში ვმარხულობთ – ამ დროს ვამაყობთ საკუთარი კეთილგონიერებით. თუ ლამაზად გვაცვია, მაშინაც ვამაყობთ; თუ ცუდად გვაცვია, მაშინ კიდევ უფრო მეტი სიამაყე გვეუფლება, რადგან, მუდმივად ვფიქრობთ, რომ ჩვენი, ჩვენი ცხოვრების წესიდან გამომდინარე, უფრო მეტს ვინახავთ ურებთ. თუ საუბარს ვიწყებთ, მაშინაც სიამაყე გვძლევს; თუ მდუმარებაში ვართ, ისევ ამ ცოდვას ვეძლევი. სიამაყე უდიდესი თავდაჯერებულობაა, რომელიც უარყოფს ყველაფერს, რაც მისი არ არის. ის რისხვის, სისასტიკისა და ბოროტების წყაროა, ღმერთის შეწვევის უარყოფაა, „დემონის ციტადელია“. სიამაყე შეუვალი კედელია ადამიანსა და ღმერთს შორის. ის ღმერთისადმი მტრობა და ყოველგვარი ცოდვის საწყისია;



**სიამაყე შეუვალი კედელია ადამიანსა და ღმერთს შორის. ის ღმერთისადმი მტრობა და ყოველგვარი ცოდვის საწყისია; ის არის თითოეული ცოდვის შემადგენელი ნაწილი**

– დიხ, ასე უწოდებს სიამაყეს წმიდა სიმონ სინელი. ამაყი ადამიანი ხშირად ყველაფერში მარცხდება: ფსიქოლოგიურად – სვედა, სინდევ, უნაყოფობა; მორალურად – მარტოობა, უსიყვარულობა, სიბრაზე; საღვთისმეტყველო თვალსაზრისით – სულის სიკვდილი, რომელიც ხორციული სიკვდილი უსწრებს; ფიზიოლოგიურად და პათოლოგიურად – ნერვული, სულიერი დაავადება. სიამაყის განცდა ხშირად ადამიანის აულაგ-

**– ასეთ დროს ადამიანს შეუძლია საკუთარი ცოდვის, ცოდვილი მდგომარეობის დახსნა?**

– ამაყი ადამიანი ვერ ხედავს საკუთარ ცოდვას. ასეთ დროს ის ხშირად ვარდება განკითხვის ცოდვაში, აქამდე კი ის საკუთარი ცოდვების უზრუნველყოფით მიდის. როდესაც ადამიანი საკუთარ უსჯულოებას უყურადღებოდ ტოვებს, ის მაშინვე იწყებს მოყვასის ცოდვების თვალთვალს, ამას კი შედეგად მოჰყვება ის, რომ მასზე ცუდს ამბობს, განკითხავს, ამცირებს, ბოლოს კი თვითონ ვარდება ცოდვაში და ხშირად უარესშიც. რადგან, იმის გამო, რომ ადამიანი არ ზრუნავს საკუთარ ცოდვებზე, მათ გამოსწორებაზე, როგორც წმიდა მამები ამბობენ: „არ ტირის საკუთარ მკვდარს“, არამედ სხვებს განკითხავს, ეს კი განაპირობებს მას ღმერთისგან. თუმცა, არ უნდა დაგვაფიქრდეს, რომ სხვა რამეა ადამიანზე ძვირის თქმა და, სხვა – განკითხვა და დამცირება. ძვირის თქმის დროს ადამიანი დაძრახავს მეორე ადამიანს ცუდ საქციელზე, სიჭრუეს, ბოროტებას, მაგრამ, თუ მასზე იტყვის, რომ ცრუა, მატყუარაა, მრუშიან მრისხანე და ბოროტი – ასეთ დროს უკვე განკითხავს მას. თუმცა, ზოგიერთი ადამიანი

**სიამაყე, ამპარტავენბა, განკითხვა – ყველაზე მძიმე და დღეს გავრცელებული ცოდვებია, რომელთა არასწორი გააზრებისას ხშირად კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში ვვარდებით. ზოგ შემთხვევაში კი ამ ცოდვების წარმოშობის მიზეზი უსიყვარულობაა, უფრო სწორად, საკუთარი თავისადმი გადამეტებული სიყვარული და სხვების უსიყვარულობა, უპატივცემულობა და ზოგჯერ სიძულვილიც. როგორ წარმოიშობა ეს ვნებები ჩვენში და როგორ გავთავისუფლდეთ მათგან, ამის შესახებ გვესაუბრება ნარიყალას წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მამა გიორგი (თაყვლორაშვილი):**

**რატომ უნდა გავთავისუფლდეთ ადამიანი ამ ცოდვისგან?**

ერთ-ერთი გავრცელებული ფორმები განდიდებისა და დევნის მანიაა. ეს გაზრდილი თვითშეგნებისგან იღებს სათავეს, რაც არასდროს ახასიათებს მორჩილ, უბრალო, საკუთარ თავზე მუდმივად არაკონცენტრირებულ ადამიანს. სულიერი დაავადების მთავარი მიზეზი საკუთარი პიროვნების გაზვიადებული შეგრძნებაა, ადამიანებისადმი მტრული დამოკიდებულებაა, მსგავსების ნორმალური უნარის დაკარგვა და შეჯელების გაუკუღმართებაა. თუმცა, როგორც ყველა ვნებასა და ცოდვას, სიამაყესაც ჰყავს თავისი მკურნალი.

– როგორ უნდა გავთავისუფლდეთ ადამიანი ამ ცოდვისგან?

– თავმდაბლობა, მორჩილება, სიყვარული ადამიანებისადმი, ახლობლებისადმი, სამყაროს კანონებისადმი, ობიექტური სიმართლისადმი, სილამაზისა და ყოველი კეთილსამართლიანობისადმი და ყოველი უნარის ადგენა, უფლის გზაზე დადგომა, წყნის დათმენა, მწუხარების, ავადმყოფობის გადატანა; ძაგების უსიტყვოდ ატანა; მოყვასის, თავისი მსგავსის სიყვარული და სწორედ მაშინ მოიპოვებს ადამიანი სულიერ სიმშვიდეს. ვისაც უყვარს, ის ადამიანის კეთილდღეობისთვის ზრუნავს. ადამიანის გრძნობათა შორის, სიყვარული, თავისი სრული განვითარებით, ყველაზე ამაღლებული, ძალმოხილი და მკაფიო გრძნობაა. ის არის სულიერი და ზნეობრივი სიხალისის განსაკუთრებული განცდა, რომელიც ერთ ადამიანს უძლიერებს შინაგან მიზიდულობას მეორე ადამიანის მიმართ. ქრისტიანული სიყვარულით სასუქად ადამიანის გული თავის თავში, სიყვარულში, სხვასაც იღებს და თავდაც ეძლევა სხვას. მისი გულის კარი გახსნილია და თავისკენ მიიზიდავს მას, ვინც უყვარს. რაც მთავარია, ქრისტიანული სიყვარული ახლობებს ადამიანს ღმერთთან, რომელიც თავად სიყვარულია. ქრისტიანული სიყვარული ყველას მოიცავს – მეგობარსაც და მტერსაც. ეს არის გზა, რომელსაც ზეცამდე მიყვარათ და ქრისტეს მზაძველად და უფლის დარად გვხდის. ვინც ეგოისტურად, მხოლოდ საკუთარი თავისთვის ცხოვრობს, ის უფლის, ეკლესიის მიღმა იმყოფება. თუკი ადამიანს სურს, ღირსეულად მოიძიოს ბედნიერება, მან არ უნდა შექმნას საკუთარი კეთილდღეობა, არამედ, მოიპოვოს საერთო კეთილდღეობის საგანძურადან, თუკი საერთო საქმე ყვავის ერთობლივი ძალისხმევით და, მაშინ იქნება ის ბედნიერი. ყოველი ადამიანი თითქოს არის რამდენიმე კონცენტრული წრის ცენტრი: უახლოესი წრე – ოჯახური მოვალეობები, შემდგომი წრე – ვალდებულებები თანამოქალაქეთა მიმართ და, ბოლოს არის ჩვენი მოვალეობის წრე სრულიად კაცობრიობის მიმართ. მაგრამ, ქრისტიანისთვის, პირველ ყოვლისა, უნდა იყოს ღმერთის მიმართ მადლიერებისა და სიყვარულის გრძნობა. ასეთი ადამიანის გულში აღარ აქვს ადგილი ამპარტავენბას, სიამაყეს, სხვების განკითხვასა და უსიყვარულობას.

**– როგორ უნდა გავთავისუფლდეთ ადამიანი ამ ცოდვისგან?**

– დიხ, ასე უწოდებს სიამაყეს წმიდა სიმონ სინელი. ამაყი ადამიანი ხშირად ყველაფერში მარცხდება: ფსიქოლოგიურად – სვედა, სინდევ, უნაყოფობა; მორალურად – მარტოობა, უსიყვარულობა, სიბრაზე; საღვთისმეტყველო თვალსაზრისით – სულის სიკვდილი, რომელიც ხორციული სიკვდილი უსწრებს; ფიზიოლოგიურად და პათოლოგიურად – ნერვული, სულიერი დაავადება. სიამაყის განცდა ხშირად ადამიანის აულაგ-

**მუდმივად საკუთარ თავზე კონცენტრირება ადამიანს საშფაროსს და ღმერთს**

მე, გაუთავებელ მრავლისმეტყველებამ ვლინდება. საკუთარ თავში ზედმეტი თავდაჯერებულობა ხშირად გადადის განკარგულების გაცემის ვნებაში: ის სხვებს ესმის თავს, თუმცა, ვერ იტანს, როდესაც ოღნავ მინც ენებია მას. იგი განაგებს სხვის ყურადღებას, დროს, ძალებს, ენერჯიას, ხდება კანდიური და თავხედი; მისი საქმე მნიშვნელოვანია, სხვისი – უმნიშვნელო. როდესაც მისი აგრესიულობა წინააღმდეგობას აწყდება, ეს მასში უკურეაქციას იწვევს: ღიზინდება, ჩირვეულობს, ვიუტობს. დარწმუნებულია, რომ მისი არ ესმით. შეიძლება ითქვას, რომ ეს მდგომარეობა ცოტათი თუ განსხვავდება შუმლილობისგან. ნიშანდობლივია ისიც, რომ სულიერი დაავადების



საქალაქო კანონის მკვლარი დამცველი

ერთ საგანგებო მრავალი წლის განმავლობაში ცხოვრობდა, ლოცულობდა და შრომობდა ერთი ბერი. მას ჰყავდა ერთი მონაფე – მორჩილი. ბერი სულით ძლიერი და სულიერ მოღვაწეობაში დაუღალავი იყო. მისი მორჩილი კი დასუსტდა, მას უდაბნო მძიმე ეწვინა და გაიპარა ქალაქ ალექსანდრიაში. მაგრამ აქ მას მწარე ხვედრი მოულოდა: ის დაიჭირეს კერპთაყვანისმცემლებმა და ქრისტიანობის მიმდევრობის გამო მოკლეს. ასე იღიდა ახალი მონაფე. ქრისტიანებმა მისი სხეული დიდი პატივით ჩაასვენეს კუბოში და ტაძარში დაასვენეს. როცა ტაძარში წირვა დაიწყო, მორწმუნეთა წირვის დანების წინ გაისმა ხმამალა: „რაოდენი კათაკმეველნი ხართ, განვედით“. ყველა მლოცველი აუნერგელა განცვიფრებამ შეიპყრო: დაინახეს, რომ კუბო ნაწილებით თავისით გავიდა ტაძრიდან და სტოაში (კარიბჭეში) გაჩერდა; წირვა დასრულდა, კუბო კი ისევ ტაძარში შემოვიდა და იქვე გაჩერდა, სადაც წინათ იდგა. ყოველ წირვაზე მეორედობდა ეს სასწაული. ალექსანდრიელი ქრისტიანები განცვიფრებამი მოდიოდნენ, იძიებდნენ ამ კაცის ცხოვრებას და ბოლოს შეიტყვეს მიზეზი არაჩვეულებრივი სასწაულისა: თავისი ნებით და ჩუმად რომ დატოვა მან სიცოცხლეში უდაბნო, მით დაარღვია მორჩილების აღთქმა და არ დაიცვა უპირველესი სათნოება მორჩილებისა. ამისთვის ბრმა (მასწავლებელმა) დასაჯა ურჩი მონაფე წყევლა-კრულებით და არ განუხსნია ის ქრისტესთვის ნამებულის სიკვდილის შემდგომაც; ამიტომ, წმიდა მონაფე ყოველი წირვის დროს ტაძრიდან გადიოდა სტოაში, სადაც კათაკმეველნი (კათაკმეველი – მოუნათლავი, ქრისტიანული წესით მოსანათლავად გამზადებული) და სინანულში მყოფნი ცოდვილნი იდგნენ. ეს ამბავი გაიგო ბერმა – მასწავლებელმაც. ალექსანდრიელი ქრისტიანნი მივიდნენ მასთან და სთხოვეს, განეხსნა იგი, ესე იგი, შეცოდება შეენდო. მან განხსნა იგი – შეცოდება შეუნდო და მერმე ამ წმიდანის ნაწილი განისვენებდა ტაძარში.

„რაოდენი შერათ ქვეყანასა ზედა, კრულ იყოს იგი ცათა შინა, და რაოდენი განხსნათ ქვეყანასა ზედა, ხსნილ იყოს იგი ცათა შინა“ (მათე 18,18).

წმიდა გრიგოლი და ირაპი

წმიდა გრიგოლის ლოცვითა და ცრემლით უამრავი ადამიანი იკურნებოდა. მასთან ნაცყაყედლს არა მარტო კაცნი პოვებდნენ, არამედ, არაბნი ნადირნიც კი. ერთხელ ნეტარი გრიგოლი და ორი ძმა შატბერდის მახლობლად, მთაზე, რაღაც საქმეზე იყვნენ ნასულეები. უეცრად მათ ირემი დაინახეს, რომელიც მონადირეებს მოემწყვდიათ. საწყალი ნადირი ვერაფრით დაუსტებებოდა მათ ხელიდან. ირემი მონაზუნებისკენ გაიქცა და გონიერებით სწორედ ნეტარ გრიგოლთან მივიდა. თავი წმიდანის ხელზე დადო და თითქოს ატირდა მოახლოებული საფრთხის გამო. წმიდა გრიგოლმა ნუგეშისცა მას და უთხრა: „ქრისტეს სახელით, ვერაფერს გაენებს შენ ეს მტერი, ნუ გემზინა!“ ეს რომ ამ მონადირეებმა დაინახეს, ძალიან გაუკვირდათ და ადიდეს უფალი. ისინი წმიდანთან მივიდნენ, მან კი ჯვარი გადასახა მონადირეებს, აკურთხა, ირმის ნაცვლად სხვა საქმელი მისცა და ისინიც წავიდნენ, ირემი კი მშვიდობით განუტყვეა.

ასეთივე შემთხვევა მოხდა ხანძთაშიც: წმიდა მამა თავის სენაკში იყო. მონასტრის მახლობლად უამრავმა მონადირემ ოთხი გარეული თხა მოიმიწყვდია. ცხოველები სირბილით შეცვივდნენ წმიდანის სენაკში და ნეტარ გრიგოლს გარს შემოესვივნენ. იგი მიხვდა ცხოველების მოსვლის მიზეზს, ნუგეშისცა მათ და ბრძანა: მონადირეებს გამასპინძლებოდნენ და შემდეგ უკან წარეგზავნათ, თავად კი ცხოველები დაპურა და მშვიდობით განუტყვეა.

მოქალაქი გვირგვინი

**კითხვა:** გთხოვთ გვიპასუხოთ, რამდენად შესაძლებელია სხვადასხვა ადგილებზე დაკრძალული მიცვალებულების ერთ, საგვარეულო სასაფლაოზე გადასვენება?

**პასუხი:** თუ თქვენ ამის სურვილი გაქვთ, შეგიძლიათ, მშვიდად გადასვენოთ თქვენი მიცვალებულები ერთ სასაფლაოზე. ამას ეკლესია არ ეკრძალებათ. მთავარია, ილოცოთ მათი სულელებისთვის.

**კითხვა:** სახლში გვაქვს გარდაცვლილი ნათესავების ძველი სურათები, ზოგი გადიდებული. სად წავილოთ ისინი?

**პასუხი:** გარდაცვლილი ნათესავების სურათები, განსაკუთრებით – გადიდებული, ხშირად უხერხულობას იწვევს. მათ გადაგდებას ერთდროულად, შენახვაც აზრს კარგავს. ამიტომ, ასეთ დროს, შეგიძლიათ, ეს სურათები სადმე სუფთა ადგილზე დანათო. ეს სურათებზე გამოსახული ადამიანების სხოვნებას ჩრდილს არ მიაყენებს.

**კითხვა:** შეიძლება თუ არა ორი ჯვარი ერთდროულად ტარება შეიძლება, თუ საამისოდ სასულიერო პირის ურთხვევა გაქვთ, ან, თუ ეს ჯვარი წამოღებულია წმინდა ადგილიდან, მაგალითად, ნაკურთხია უფლის საფლავზე. სხვა შემთხვევაში უნდა ატაროთ ერთი ჯვარი, რადგან ქრისტე ერთ ჯვარზე ეწინა.

**კითხვა:** ჩვენი საქციელიდან რა ახარებს უფალს?

**პასუხი:** როგორც წმიდა მამები გადმოგვცემენ, უფლის გულის მოგება შეიძლება ადამიანებთან ალერსიანი მოპყრობით, განრისხებულის დაცხრობით, უკეთური საგნებისგან მწერის არიდებით, ბლნი აზრების უკუგდებათ, ლოცვისთვის საკუთარი თავის ძალდატანებით.



ქეშეპარიტი სარგებუნობა

როგორ შეიქმნა ხალხმართლის მოყვარად პერსონალიზირებული შინაგონი

ქალწული მონონია, რომელიც სიყმაწვილეშივე შედგა მონაზვნად, შესახებდავად მშვენიერი და კეთილმსახური, მაგრამ საქმით კი კერპთაყვანისმცემელი იყო, ვინაიდან, ის აგროვებდა სიმდიდრეს და არასოდეს აძლევდა სამონაწლოს. მას ჰყავდა ძმისწული ქალი, გულით საყვარელი მინანია. ფიქრობდა მხოლოდ იმაზე, რომ ის რაც შეიძლება რიგიანი კაცისთვის მიეთხოვებინა და დაივიწყა თავისი ზეციური სასიძო. გლახაკთა მონაწალე წმიდა მაკარიმ, რომელიც გულითადი მწუხარებით უცქერდა ამ გზადანუღელ მონაზონს, განიზრახა ღვთისადმი მისი მოქცევა, რაც მან შემდეგი სახით შეასრულა: ის სიყმაწვილემ ძვირფასი თვლები – გამთლელი იყო და მონონიას მიერ ცნობილი, რადგან, მონონია საუცხოო ნივთების მოყვარული იყო. ერთ დღეს წმიდა მაკარი მივიდა მასთან და უთხრა: „ერთი ვინმე ყიდის ორ ძვირფას თვალს – ზურმუხტსა და იაგუნდს; მე არ ვიცი, მისი საკუთრება ისინი თუ ნაპარავი აქვს, მაგრამ, ვარწმუნებ, რომ საუცხოო სამკაულნი იქნებიან შენი ძმისწულისთვის; ვაჭარი მათ იაფად იძლევა – ასე, ხუთას ოქროდ“. მონონიას ძალზე გაუხარდა და სთხოვა წმიდა მაკარის, რომ ხელიდან არ გაეშვა საუცხოო შემთავაზება და, რადგანაც თვითონ არ უნდოდა, მონასტრიდან გასულიყო, მამინევე ჩააბარა მას ფული. კეთილმსახურმა მღვდელმამ მიიღო ოქრო, ნავიდა და რამდენიმე დღე არ ეწვინა მას, მონაზონს კი მასთან კაცის გაგზავნა რცხვენოდა, ვინაიდან, წმიდა მაკარი იყო კაცი ყველასგან პატივცემული და საზოგადო რწმუნებადამსახურებული. ბოლო მონონია შეხვდა მას ეკლესიაში და უკითხა: „იყიდე თუ არა თვლები?“ – „ისინი მე სახლში მაქვს, – მიუგო მართალმა, – ხომ არ გსურს, ჩემთან მოხვიდე და გასინჯო? თუ მოგწონება, წაიღე და, თუ არა, ისევ ოქრო დაიბრუნე“. მონონია სიხარულით წაჰყვა მას.

მაკარიმ შეიყვანა ის ერთ ოთახში, მაგრამ რა დინახა მონონიამ იქ? მამაკაცი, გლახაკი, კოჭლი, ბრმანი, განრღვეული, რომელიც ისხდნენ სადილად და ლოცავდნენ მონონიას სახელს. დაანახა ისინი და უთხრა მას მაკარიმ: „აი, შენი იაგუნდი“. შემდეგ მეორე ოთახში შეუძღვა. განცვიფრებული მონაზონი მღუმარედ შეჰყვა მას და დაინახა დედაკაცი გაჭირვებული, ზოგი მოხუცებულობით, ზოგი ავადმყოფობით, რომლებიც ასევე სცდილობდნენ და ღმერთს სთხოვდნენ მონონიას დღევრძეობას. მაკარიმ აჩვენა ისინი და უთხრა: „აი, შენი ზურმუხტი. როგორ ფიქრობ, არის რამე უძვირფასესი ამ თვლებზე? თუ გსურს, წაიღე ისინი, თუ არ გსურს, დამიტოვო მე და შენი ფულიც შენვე წაიღე“. მონონიამ არ იცოდა, რა პასუხი გაეცა და, სირცხვილით ანთებულმა, ხმამაღულად დატოვა იქაურობა. როცა მარტო დარჩა, მონონია დაფიქრდა, წარმოიდგინა მთელი თავისი ცხოვრება და ერთი კეთილი საქმე ვერ გაიხსენა, ისე ძენუსა და, რომ მწუხარების გამო ძლიერ ავად გახდა, გონებაში ეხატებოდა მას ხან სიბნელე გარესკენისა, ხან ცეცხლი დაუმრეტელი; ხოლო უცხო ვინმე მამაკაცი დიდებით გაბრწყინებული უჩვენებდა ყოველივე ამას და ეუბნებოდა მას: „აი, სამიწებლებანი, რომელთაგან შეუძლია შენი ხსნა იმ იაგუნდას და ზურმუხტს, რომელიც იყიდა შენთვის ნიღდა მაკარიმ“. ამით შემთხვეული მონონია თითქოს ძილსგან წამოვარდა და იგრძნო უკეთ ყოფნა. ამ დროიდან მონონია პატივს სცემდა მაკარს, როგორც თავის მფარველ ანგელოსს; გამოიკვალა ცხოვრების სახე და შეიქმნა უხვი მზრდელი ღარიბთა.

ქეშეპარიტად, ის ყიდულობს ძვირფას იაგუნდს, ვინაიდან ამ თვლებით შეიძლება ზეციური სასუფეველის მოპოვება.

„იყვენი თქვენ მონაწალე, ვითარცა მამა თქვენი (ღმერთი) მონაწალე არს“ (ლუკა 6,36).

როგორცადა რეპეზ ტომარაქვი



# აპროპოს ზოგ-კლუბების ყველაზე ასაკოვანი ფეხბურთელები

30 წელს გადაცილებული ვარსკვლავების გარეშე თანამედროვე ფეხბურთის წარმოდგენა შეუძლებელია. მათი გუნდში ყოფნა ახალგაზრდა მოთამაშეების უდიდესი სტიმული და მავალითია იმისა, თუ როგორი უნდა იყოს პროფესიონალი ფეხბურთელი. ვთავაზობთ ევროპული ტოპ-კლუბების ყველაზე ასაკოვან ვარსკვლავებს.

## ფრანკისპო ტოტი, „რომა“ – 38 წლის

„რომას“ ლეგენდა და უცვლელი კაპიტანი, ფრანჩესკო ტოტი, 38 წლისაა და მიმდინარე სეზონი მისთვის განსაკუთრებულია, რადგან იგი ჩემპიონთა ლიგას უბრუნდება. ტოტის გარეშე „რომას“ შეტევების ნახვა წარმოუდგენელია და, ასაკის მიუხედავად, ის კლუბის ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელია. ფრანჩესკო სამაგალითო სპორტსმენია ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის, ხოლო რომაული კლუბის მიმართ მისი ერთგულების შესახებ ლეგენდები დადის.

## დიდია დროგბა, „ჩელსი“ – 36 წლის

ლეგენდარული კოტდივარელი ფორვარდი თავის უკანასკნელ სეზონს ატარებს დიდ ფეხბურთში. კარიერის დასასრულელად დროგბამ „ჩელსი“ შეარჩია, სადაც ის პირადად ჟოზე მურინიომ მიიწვია. დროგბა, ასაკის მიუხედავად, ისეთივე საშიში მეტოქეა, როგორც მანამდე იყო, თუმცა, უნდა ითქვას, რომ თანაბარ დონეზე ორი ტაიმის თამაში მას უჭირს.

## ვიროსლავ კლოზა, „ლაციო“ – 36 წლის

მსოფლიოს ჩემპიონმა მიროსლავ კლოზემ მაჟორულ ნოტზე დაასრულა სანაკრებო კარიერა.



ის მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში საუკეთესო ბომბარდირია, ხოლო, რაც შეეხება მის საკლუბო კარიერას, მიმდინარე სეზონი იტალიის ჩემპიონატში კლოზესთვის უკანასკნელი იქნება – მან ოფიციალურად გამოაცხადა, რომ 2014-2015 წლების სეზონის ბოლოს ამთავრებს პროფესიულ კარიერას.

## ანტონიო დი ნატალე, „უდინეზა“ – 37 წლის

„უდინეზეს“ ლიდერი, „ბებერი მგელი“ ანტონიო დი ნატალე, გასული სეზონის ბოლოს აპირებდა ბუცების ლურსმანზე დაკიდებას, თუმცა, გადაიფიქრა და, ამ სეზონშიც, იგი უდინური კლუბის მთავარი დამრტყმელი ძალა იქნება. 37 წლის დი ნატალე ისეთივე სახიფათოა მეტოქის საჯარიმოში, როგორც 27 წლის ასაკში იყო.

## ანდრეა პირლო, „იუვენტუსი“ – 35 წლის

პირლო შეუცვლელი ფიგურაა „იუვენტუსსა“ და იტალიის ნაკრებში. ცნობილია, რომ „სკუადრა აძურას“ ახალი მწვრთნელი, ანტონიო კონტე დიდ იმედებს ამყარებს მასზე და, სოლიდური ასაკის მიუხედავად, ჯერჯერობით არც პირლო გეგმავს კარიერის დასრულებას. ანდრეა პირლო უკანასკნელი წლების ერთ-ერთი ყველაზე ქარიზმატული იტალიელი ფეხბურთელია.



## ჯანლუიჯი ბუფონი, „იუვენტუსი“ – 36 წლის

კიდევ ერთი „დინოზავრი“ „იუვენტუსიდან“, 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონი და მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე ჯერჯერობით არ აპირებს კარიერის დასრულებას და, იმის გათვალისწინებით, რომ მისი თანამემამულე დინო ძოფი 40 წლის ასაკში გახდა მსოფლიოს ჩემპიონი 1982 წელს, შესაძლოა ბუფონი 2018 წლის მსოფლიო ჩემპიონატზეც ვიზილით „სკუადრა აძურას“ რიგებში.

# ინინა შიკი სტინიო-ქაზის სანა მახლა

რუსეთის ქალაქ ჩიტას ერთ-ერთი სტრიპტიზ-ბარის შესასვლელთან დიდი ბანერი გამოჩნდა, რომელზეც ცნობილი მოდელი –



ინინა შიკია გამოსახული ეროტიკულ თეთრეულში. აღნიშნული ბანერის ფოტო ირინას თაყვანისმცემელმა განათავსა მოდელის „ფეისბუქის“ ოფიციალურ გვერდზე. როგორც ჩანს, სტრიპტიზ-კლუბს უკანონოდ აქვს გამოყენებული ირინა შიკის ფოტო, რადგან, კრიშტიანუ რონალდუს საცოლის პრეს-სამსახური, რომელიც საქმის კურსშია, ახლო მომავალში შესაბამის უწყებებს მიმართავს, რათა ბანერი მოხსნას.

# ლენოქს ლუისის სქესუალური ჯიშის აღმოჩენა

ცნობილი ბრიტანელი მოკრივის, მსოფლიოს ჩემპიონის, ლენოქს ლუისის პრომოუტერმა, ფრენკ მელოუნმა, რომელიც ლუისის მთელი კარიერის განმავლობაში ედგა გვერდში, სქესის შესაცვლელად ოპერაცია გაიკეთა და ამერიკიდან კელი მელოუნი გახდა. 61 წლის ექსპრომოუტერის თქმით, ის დაბადებით ქალი იყო, რომელიც მამაკაცის სხეულში ცხოვრობდა. ოპერაციამდე ფრენკ მელოუნი ორი წლის განმავლობაში იღებდა სპეციალურ ჰორმონულ პრეპარატებს ხმის კორექციისთვის და თმის მოშორების პროცედურებს იტარებდა. ჯერჯერობით უცნობია თვით ლენოქს ლუისის პოზიცია აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით.

# ზუანი და მუსი – „ფიფა 15-ის“ მანიკანა

ცნობილი და პოპულარული საფეხბურთო სტიმულატორის, „ფიფა 15-ის“ ავტორებმა შეარჩიეს ის ფეხბურთელები, რომლებიც კომპიუტერული თამაშის გარეკანზე იქნებიან წარმოდგენილნი. თამაშის იმ ვერსიაში, რომელიც დიდ ბრიტანეთში გაიყიდა, მომხმარებლებს ყდაზე „ბარსელონიდან“ ლიონელ მესი და „ჩელსიდან“ ედენ აზარი შეეგებებიან. „ფიფა 15-ის“ გაყიდვა ამერიკასა და ევროპაში სექტემბრის ბოლოს დაიწყება.

გვერდი მოამზადა შუანგი რუსაქაი

# უძიესი აღმოჩენა – ბაქოში აღმოჩენილი ენასტის საფარი

ქალაქ სალონიკიდან 105 კილომეტრზე, მაკედონიის ისტორიულ ოლქში, ძველბერძნული დასახლების, ამფიპოლის ახლოს, არქეოლოგებმა უცნობი სამარხი იპოვეს, დასახლება ჩვენს წელთაღრიცხვამდე 437 წელს დაარსდა როგორც ათენის კოლონია, მაგრამ, ჩვენს წელთაღრიცხვამდე 357 წელს ის ფილიპე მეორე მაკედონელმა, ალექსანდრეს მამამ დაიპყრო.

სამარხისკენ, რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე 300 წლით თარიღდება, ფართო, 5 მეტრი სიგანის გზას მიყვავართ. შესასვლელს, რომლის დიამეტრი 497 მეტრია, ორი სფინქსი იცავს. აქვე იპოვეს 5 მეტრი სიმაღლის ლომის ქანდაკება, რომელიც, მეცნიერთა ვარაუდით, ადრე სამარხის თავზე იდგა. სამარხი მორთულია მარმარილოთი და ფრესკებით, რომლებიც ნაწილობრივ დანგრეულა რომაელების მმართველობის დროს. გამოცხადებულია ალბათობა იმისა, რომ აქ თვით ალექსანდრემ პოვა უკანასკნელი ნაცსაყუდელი – მეცნიერთა მტკიცებით, იგი 323 წელს, ბაბილონში გარდაიცვალა და ეგვიპტეში დამარხეს. ფიქრობენ, რომ აქ დასაფლავებულია სამეფო ოჯახის წევრი, ან მაღალი თანამდებობის სამხედრო პირი ალექსანდრე მაკედონელის ახლობლებიდან. ასევე, ცნობილია, რომ ამფიპოლისში ჩვენს წელთაღრიცხვამდე 311 წელს მაკედონელი სამხედრო მეთაურის, კასანდრას ბრძანებით, სიკვდილით დასაჯეს როკსანა და ნომინალური მეფე, ალექსანდრე მეოთხე – ცოლი და შვილი ალექსანდრე დიდისა.



# მსოფლიოს 10 ყველაზე გლიჯარი პოლიტიკოსი

# პოლიკუდი, ხეივანი და პარსკვლავები...

ყველაზე მეტი მილიარდერი ამერიკასა და რუსეთშია დაკავებული პოლიტიკით. ამას ნიხაი უფროსად „ფორბსმა“ გამოაქვეყნა ყველაზე მდიდარი პოლიტიკური მოღვაწეების რეიტინგი. ვთავაზობთ სიის პირველი ათეულის მონაცემებს:

**მაიკლ ბლუმბერგი. ქონება – 22 მილიარდი დოლარი (№20 – მსოფლიოს სიის მიხედვით).** ქალაქ ნიუ-იორკის მერი 2002 წლიდან. საინფორმაციო სააგენტოს Bloomberg-ის დამაარსებელი და მფლობელი. პოლიტიკაში 1990-იანი წლების ბოლოდანაა. მერის პოსტზე არჩევის შემდეგ დაინიშნა სიმბოლური ხელფასი – 1 დოლარი. ცხოვრობს საკუთარი ბიზნესის შემოსავლების ხარჯზე. მესამე ვადით რომ არჩეულიყო, მისი ინიციატივით, ნიუ-იორკის კანონმდებლობაში ქალაქის საბჭომ ცვლილებები შეიტანა.

**მიხაილ პროსკორნოვი. ქონება – 13,2 მილიარდი დოლარი (№58 – მსოფლიოს სიაში, №7 – რუსეთის სიაში).** პარტია „სამოქალაქო პლატფორმის“ ლიდერი 2012 წლიდან. კერძო საინვესტიციო ფონდის, ვაგუფ „ონეკსიმის“ ხელმძღვანელი. კენჭს ყოფიდა საპრეზიდენტო არჩევნებში და მესამე ადგილი დაიკავა.

**ბიძინა ივანიშვილი. ქონება – 6,4 მილიარდი დოლარი (№153 – მსოფლიოს სიაში, №25 – რუსეთის სიის მიხედვით).** იყო საქართველოს პრემიერ-მინისტრი 2012 წლის 25 ოქტომბრიდან. კაპიტალი დააგროვა რუსეთში, დაიწყო ბანკ „რუსეთის კრედიტის“ შექმნით. სანამ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურ მოღვაწეობას დაიწებდა, გაყიდა რუსეთის აქტივები და უარი თქვა რუსეთის მოქალაქეობაზე. 2012 წელს საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული პარტიის – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ ხელმძღვანელი.

**სილვიო ბერლუსკონი. ქონება – 5,9 მილიარდი დოლარი (მსოფლიოს სიაში – №169).** იტალიის ყოფილი პრემიერ-მინისტრი. საგამომცემლო ტრესტის – „არნოლდო მონდადორი ედიტორს“ თანამფლობელი. დაკავებულია სადაზღვევო, სავაჭრო და საინვესტიციო ბიზნესით. 1994 წლიდან, მის მიერვე დაარსებული უმსხვილესი მემბარჯვენი პარტიის – „ნი ინალიის“ ლიდერი. სამეგრეთ-აურთხა მინისტრთა კაბინეტის. 2012 წლის 26 ოქტომბერს, გადასახადების გადაუხდელობის გამო, სასამართლომ ოთხი წლით პატიმრობა მიუსჯავა; ჩამოერთვა უფლება, დაიკავოს სახელმწიფო თანამდებობა სამი წლის განმავლობაში.

**ჰენრი როს პერო-უზროსი. ქონება – 3,5**

**მილიარდი დოლარი (მსოფლიოს სიის მიხედვით – №314).** ორჯერ იყო ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტობის კანდიდატი. იყო IBM-ის ტომ-მენეჯერი. დააარსა საკუთარი კომპანია EDS, რომელიც მიჰყიდა General Motors-ს. ამჟამად ფლობს Perot Systems Corporation-ს, რომელსაც მისი ვაჟი მართავს.

**ანდრი ბურნიში. ქონება – 3,5 მილიარდი დოლარი (მსოფლიო სიაში – №314, რუსეთის სიის მიხედვით – №29).** ფედერალური საბჭოს წევრი 2011 წლიდან. კომპანია „ოუსაგროს“ ძირითადი მფლობელი. პარტია „ედინაია როსისა“ წევრი. 2012 წელს, 2,2 მილიონი რუბლით, წლიური შემოსავლის მქონე ჩინოვნიკებს შორის მან, მეოთხე ადგილი დაიკავა.

**ნაზიმ სავირსი. ქონება – 3,1 მილიარდი დოლარი (მსოფლიო სიაში – №367),** პარტია „თავისუფალი ევგვიტელების“ ლიდერი. მისი მამის მიერ დაარსებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის, ამჟამად Wind Telecom S.P.A-ის თანამფლობელი. პოლიტიკაში 2011 წლიდანაა. მონაწილეობას იღებდა მოვლენებში, რომლებშიც პრეზიდენტ პუტინი მუხარატის გადადგომა გამოიწვია. პარტია „თავისუფალი ევგვიტელები“, რომელიც თავად დააარსა, შედის ევგვიტის პარლამენტის უმრავლესობის ბლოკში – „ძმები მუსლიმანები“.

**ნაჯიბ მიჰაბი. ქონება – 3 მილიარდი დოლარი (მსოფლიო სიაში – №377).** ლიბანის პრემიერ-მინისტრი 2011 წლიდან. ძმასთან ერთად ფლობს სატელეკომუნიკაციო კომპანია Investcom-ს. 1998 წელს გახდა ლიბანის საზოგადოებრივი სამუშაოებისა და ტრანსპორტის მინისტრი. იყო ლიბანის ნაციონალური კრების წევრი. არაერთხელ განიხილებოდა პრემიერ-მინისტრის პოსტის კანდიდატად, მაგრამ, მხოლოდ 2005 წელს გახდა, ისიც, სამი თვით. მეორედ ეს პოსტი 2011 წლის 25 იანვარს დაიკავა.

**სეპასტინე პინიარა. ქონება – 2,4 მილიარდი დოლარი (მსოფლიო სიის მიხედვით – №521).** ჩილეს პრეზიდენტი 2010 წლიდან. მისი ძირითადი აქტივებია სატელეკომუნიკაციო კომპანია Chilevision. 1990-1998 წლებში იყო სენატორი. პრეზიდენტის არჩევნებში 2005 წელსაც მონაწილეობდა, მაგრამ, გამარჯვება მხოლოდ 2010 წლის არჩევნებში შეძლო.

**ჯაჰ ბრინი. ქონება – 2,1 მილიარდი დოლარი (მსოფლიოს სიის მიხედვით – №601).** სიმდიდრე უძრავი ქონების ინვესტირებით დააგროვა. არის ჯონ ჰონსონის ბიზნესპარტნიორი და ფონდ Polson&Co-ს ხელმძღვანელი. 2010 წლიდან პოლიტიკაშია. ამერიკის შეერთებული შტატების დემოკრატიული პარტიიდან სენატის პრაიმერში ფალორდაში იყრის კენჭს.



რტიის – „ნი ინალიის“ ლიდერი. სამეგრეთ-აურთხა მინისტრთა კაბინეტის. 2012 წლის 26 ოქტომბერს, გადასახადების გადაუხდელობის გამო, სასამართლომ ოთხი წლით პატიმრობა მიუსჯავა; ჩამოერთვა უფლება, დაიკავოს სახელმწიფო თანამდებობა სამი წლის განმავლობაში.

# მსოფლიო ფაქტები

- \* იტალიის საგარეუბნო რესტორნებში სტუმრებს მენიუს არ სთავაზობენ.
- \* ვატიკანში ბერლინის შედეგს, კოლონდას, 162 წმიდანის სტატუსი და 284 სვეტი ამშვენებს.
- \* ქარის ღერობის სადღეღობად ინდიელები მრგვალ ტაძრებს აგებდნენ.
- \* თურქისა და ტექნიკური მაკრატლების გარდა, არსებობს კულინარიული – თოხლოდ მოხარული კვერცხის თავის მოსაჭრელი მაკრატელი.
- \* ანტიკურ ეპოქაში შარვალი საერთოდ არ იცოდნენ. პირველად ის მომთაბარეებმა გამოიყენეს, შემდეგ კი მინაიმომქედებმა აითვისეს.
- \* კატების პირველი გამოფენა 1895 წელს ნიუ-იორკში, მედიენ სქერ გარდენში გაიმართა.
- \* მეორე მსოფლიო ომის დროს საბჭოთა

- ჯარისკაცების ყველაზე ხშირი ალავი მაჯის საათი იყო. ერთს მარცხენა ხელზე იკეთებდნენ და ბერლინის დროს უჩვენებდა; მეორეს – მარჯვენაზე და მსოკოვის დროზე აყენებდნენ.
- \* ერთ-ერთი უძველესი ბუნებრივი ტრენაჟორი იყო კავალერისტის მონამზადებელი ვარჯიში – ამხედრებულს ვაზი უნდა გაესხლან.
- \* ევგვიტელები ქურუმები თმას სხეულის ყველა ადგილიდან იშორებდნენ.
- \* მოცარტის „ორხმიანი კანონი“ სანოტო ჩანანკრში ორჯერ ნაკლებ ადგილს იკავებს ნებისმიერ სხვა „ორხმიან კანონთან“ შედარებით, რადგან, პირველი ხმა – პარტიტურაში იკითხება დასაწყისიდან, ხოლო მეორე ხმა – ბოლოდან, ანუ, უკუღმა.

ყველასთვის ცნობილი პოლიკუდის დიდების ხეივანი – 5,6 კილომეტრი სიგრძის გზა კალიფორნიის შტატში, ლოს-ანჯელესში, პოლიკუდის ბულვარსა და ვაინ-სირთის შორის. ეს ის ადგილია, სადაც ცნობილი ვარსკვლავები მუსიკაზე დებიან. 1958 წელს შექმნილი გზა 25 000-მდე „ვარსკვლავითაა მოჭედული“, რომლებსაც ყოველწლიურად 25 ახალი ვარსკვლავი ემატება. ეს მართლაც უნიკალური და სამუდამო სახსოვარია მსოფლიოში სახელგანთქმული და საყვარელი ვარსკვლავებისადმი. თუმცა, ამ, ერთი შეხედვით, უტყვი ძეგლების მიღმა საინტერესო ისტორიები იმალება. ამ ხეივანში ვარსკვლავი რომ მიიღო, დიდი წვლილი უნდა შეიტანა ხუთი გასართობი დარგიდან ერთში – (კინო, ტელევიზია, მუსიკა, რადიო ან თეატრი). ეს წესი ძალიან იშვიათად ირღვევა და ვარსკვლავებს შეუფასებელი დამახსურებისთვის ანიჭებენ. მაგალითად, 1993 წელს „აპოლონ 11-ის“ კოსმონავტებმა – ნილ ამსტრონგმა, ედვინ „ბაზ“ უმცრომა და მიკელ კოლინზმა ევროპალური დაფა მიიღეს „სატელევიზიო ინტელსტრიაში შეტანილი წვლილისთვის“ – მთვარეზე მათი ისტორიული გადასვლა პირდაპირ გადაიციმოდა ტელევიზიით.

რონალდ რეიგანი ამერიკის ერთადერთი პრეზიდენტი, რომელმაც პოლიკუდის ვარსკვლავი მიიღო. ვარსკვლავი აქვს, ასევე, არნოლდ შვარცენგერს, კალიფორნიის გუბერნატორს. აქტიორული ოსტატობისთვის ასეთი პატივის ღირსები გახდნენ სხვა პოლიკუდისთვის: ჯორჯ მერვე, შვედენის პაპი-განი, უილიამ შარისონ ჰეისი, ტომ ბრედლი.

პოლიკუდის ხეივანის ისტორიის განმავლობაში სულ ოთხი ვარსკვლავი მოიპარეს (ალსანიშნავია, რომ თითოეული 136 კილოგრამს იწონის): კერე დუვლასისა და ჯეიმს სტიუარტის ვარსკვლავები – 2000 წელს, როდესაც შესაკეთებლად აიღეს. ხუთიდან ერთი ვარსკვლავი ჯინ ოტრინმაც დაკარგა; გრეგორი პეკის ვარსკვლავის მოსახსნელად კი ქურდებმა პეტონის სახეზე გამოიყენეს.

ყველაზე მეტი „ოჯახური“ ვარსკვლავი დააგროვეს ბერიმორგმა, თუმცა, მათ ერთად ვერ ნახავთ, რადგან ვარსკვლავების განლაგება გარკვეული წესით ხდება. მაგალითად, ფანრის გურუების ვარსკვლავები ჩინურ თეატრ „გრაუმბთან“ არის განლაგებული, „ოსკარის“ პრემიის ლაურეატებისა კი – თეატრ „დოლიბისთან“.

დიდი სიზუსტითაა აღრიცხული ვარსკვლავების მდებარეობა, თუმცა, მომღერალ რიჩარდ კრუისისა და მსახიობ ჯერალდინა ფარარის ვარსკვლავებს განკუთვნილი ადგილები ვერ ნახავთ – მოიპარეს, დაიკარგა თუ საერთოდ არ დადგმულა – ამოუხსნელი საიდუმლოა.

სხვადასხვანაირად ექვეყიან თავიანთი კუმირების ვარსკვლავებს ფანები: უკეთებენ მინანქრს, ხატავენ, ნაწილებად ამტვრევენ და სახსოვრად მიაქვთ. საბედნიეროდ, ხუთი იგლესიასის თაყვანისმცემლები ასაკოვანი ქალბატონები არიან, რომლებიც რეცხავენ და აპრიალებენ მის ვარსკვლავს.

ხეივანში რამდენიმე ერთნაირ გვარს შეხედვით, მაგალითად, 15 უილიამს; რომინ უილიამსის წარწერით კი ორი ვარსკვლავია. 2009 წელს, მაიკლ ჯექსონის ვარსკვლავის ნაცვლად, პოპის მეფის თაყვანისმცემლებმა უამრავი ყვავილი, სამახსოვრო ნივთი და სანთლები რადიონამყვან მაიკლ ჯექსონის ვარსკვლავზე დატოვეს.

1978 წელს, 50 წლის იუბილეზე, ვარსკვლავი გაუსხნეს მიკი მაუსს – ის პირველი მულტპერსონაჟი იყო პოლიკუდის ხეივანში. 1985 წელს კი პირველ გამოგონილ პერსონაჟს – ბაგზ ბანს ერგო ეს პატივი. 1960 წელს როლების ოსტატურად შესრულებისთვის ძალღებმა – სტრონგპარტმა დალესიამაც მიიღეს ვარსკვლავები; 1963 წელს რინტინ ტინმა კი – ყველა ძაღლის პატივსაცემად.

2002 წელს კვლავ დარღულ ტრადიცია და, მუჰამედ ალის ვარსკვლავი, მისივე თხოვნით – „ნიანსანარმეტელების სახელზე ფეხით არ უნდა იარონო“, – თეატრ „დოლიბის“ კედლებზე გააკეთეს.

**გერდი მოამზადა ლამაზ ბაგალინამ**



**როდის ხდება გზაზე დიდხანს ნოლა ჰიპერტონიული კრიზისი, ინფარქტის ან ინსულტის გზაზე**

მზე, პრაქტიკულად ყველა სახის გამოსხივების წყაროა. ხილული სინათლე ელექტრომაგნიტური გამოსხივების მხოლოდ ერთ-ერთი სახეა. ელექტრომაგნიტურია, ასევე, რადიოტალღები, ინფრარითელი, ულტრაიისფერი და რენტგენული გამოსხივება. ასეთი ტალღების გარდა, მზისგან მოდის ისეთი ნაწილაკების ნაკადები, როგორებიცაა ნეიტრონები, ასევე, მზის ქარი - დამუხტულ ნაწილაკთა, ანუ წყალბადის ატომის ბირთვებისა და ელექტრონების ნაკადი.

მზის აქტიურობით გამოწვეული მაგნიტური ქარიშხლების პერიოდში ადამიანის ორგანიზმში სისხლში ადრენალინის გამოტყორცნის პროცესი იმატებს. ის შედარებით ნელა და წყვეტილად მოედინება, გული კი საგრძობლად იტვირთება, რაც, შესაძლოა, გახდეს ჰიპერტონიული კრიზისი, ინფარქტის ან ინსულტის მიზეზი. ამიტომ, მნიშვნელოვანია ამინდის გათვალისწინება და საჭირო ზომების მიღება.

მზის ულტრაიისფერი გამოსხივება ადამიანისთვის საზიანო არ არის, თუ ატმოსფეროს ოზონურ შრეს შენარჩუნებული აქვს პირვანდელი სიმკვრივე და აკავებს ულტრაიისფერი ნაკადის 99 პროცენტს. მაგრამ, ოზონური შრის დარღვევა დამატებით ყურადღებას და კანის დაცვას მოითხოვს.

ქერათმიანებს ნაზი და თეთრი კანი აქვთ, ასევე ყვალთმიანებსა და ჭორფლიანებს. ისინი, ვისაც ტანზე ბევრი მუქი ფერის ხალი აქვს, უმჯობესია, თუ საერთოდ არ გაირუჯებიან.

**ამ საზონზე ღვინოსა ალკოჰოლზე დაამარცხებით**

ძალიან აქტიური ადამიანებიც კი ზაფხულის პერიოდში ითენთებიან, მუდმივად ძილის შეგრძნება და აპათია ანუხებთ, სწრაფად იღლებიან. ეს ყოველივე ორგანიზმში ჰორმონ სეროტონინის ნაკლებობის გამო ხდება, რომლის გამოსაწესებლად აუცილებელია, სწორი დღის რეჟიმი, მზის სინათლე და ჯანსაღი ცხოვრების წესი. ორგანიზმი ამ მდგომარეობის კომპენსაციას ცდილობს და დიდი რაოდენობით წვავს კალორიებს. ამის გამო კი, ხშირად გინდებთ ტუბილური - შოკოლადი, ნამცხვარი, კანფეტი, ათასგვარი სასუსნავი. ეს კი თავის მხრივ, გასუქებას იწვევს.

ზაფხულის დეპრესიის დასაძლევად, პირვე-

ლი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, ესაა ძილის სწორი რეჟიმი. დასაძინებლად ერთსა და იმავე დროს დაწეით და ძილის ხანგრძლივობა წელიწადის სხვა დროსთან შედარებით, ერთი საათით შეამცირეთ. თუ გარკვეული მიზეზების გამო, უძილობა განუხებთ, ძილის წინ ეთერზეთებიანი თბილი აბაზანა მიიღეთ, სანოლ ოთახში კი ვარდის სურნელოვანი სანთელი აანთეთ.

მნიშვნელოვანია სუფთა ჰაერზე სეირნობაც. ფიზიკური ვარჯიში კი გამოეზიზღებასა და სხეულის ნონის შენარჩუნებაში დაგეხმარებათ. ამ მეთოდით მოთენთილობას ადვილად დაამარცხებთ.

ეცადეთ, რაც შეიძლება, დიდი რაოდენობით ხილ-ბოსტნეული ჭამოთ და ერიდოთ მძიმე და კალორიული კერძების მიღებას. ერთადერთი გამონაკლისი, ამ დროს შოკოლადია, რომელიც იმუნურ სისტემას აძლიერებს და გუნებაგანწყობასაც საგრძობლად აუშჯობესებს. უმჯობესია, ჭამოთ შავი შოკოლადი, რადგან თეთრი შოკოლადი ამ თვისებას მოკლებულია. აგრეთვე, ეცადეთ, ხშირად გამოიწვიოთ დროს სვენიებისა და ისეთ ხალხთან ურთიერთობისთვის, ვისთანაც თავს კარგად გრძობთ. ეს დეპრესიის დაძლევაში დაგეხმარებათ.

**კრაზანა პარკის სანაღველე გზების ფუნქციის დარღვევას და აუშჯობასას ვაჟური სისხლის მიმოქცევას**

კრაზანა შეიცავს სხვადასხვა, ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებას და აქვს მრავალმხრივი ფარმაცოლოგიური თვისება. ყველაზე აქტიური ნაერთებია ფლავონოიდები, რომლებიც ხსნის სპაზმებს სანაღველე გზებიდან, ნაწლავებიდან, სისხლძარღვებიდან და შარდ-სასქესო, კერძოდ, შარდსადინარების გლუვი კუნთებიდან. ფლავონოიდები აუშჯობესებს ნაღვლის გამოდინებას, ენინააღმდეგება შეგუბებით პროცესებს ნაღვლის ბუშტში და ამგვარად იცავს ორგანიზმს კენჭების წარმოქმნისგან.

ფლავონოიდები ასევე, ხსნის ნაწლავურ სპაზმებს, აღადგენს ნორმალურ პერიტალტიკას, აუშჯობესებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მონელებით ფუნქციას.

კრაზანა ხსნის სისხლძარღვთა, განსაკუთრებით კაპილარების სპაზმს, აუშჯობესებს ვენური სისხლის მიმოქცევას და ზოგიერთი შინაგანი ორგანოს სისხლით მომარაგებას, აძლიერებს შარდვას, იწვევს შარდსანვეთების კედლის მოდუნებას და ამაღლებს თირკმლის ფილტრაციის დონეს.

კრაზანას ახასიათებს ანტიანთებითი და ანტიმიკრობული მოქმედება. ეს მცენარე ზრდის კუჭის სეკრეციას.

კრაზანის პრეპარატები ფართოდ გამოიყენება კუჭ-ნაწლავის, ღვიძლის, თირკმლის დაავადებების დროს. მის ნაყენს პირში სავლებად იყენებენ ღრძილების ანთებისა და სტომატიტების დროს. კრაზანის კომპრესებით კი, ინფორმული, სისხლმდენი ჭრილობები უნდა დაი-

მუშაოთ. კრაზანა ზრდის ადამიანის მგრძობელობას მზის სხივების მიმართ. ამიტომ, ის გამოიყენება კანის თეთრი ლაქების სამკურნალოდ.

კრაზანით დამზადებული პრეპარატები გამოიყენება სანაღველე გზების ფუნქციური დარღვევების, ჰეპატიტების, ნაღვლის შეგუბების, ნაღვლის ბუშტის ანთების, ნაღველკენჭოვანი დაავადებების საწყისი სიმპტომების, დაბალი მჟავიანობით მიმდინარე გასტრიტების, თირკმელულის ფუნქციის დაქვეითების, თირკმელკენჭოვანი დაავადებების დროს.

ნახარში ასე უნდა მოამზადოთ: მომიწიქრებულ ჭურჭელში აურიეთ ნახევარი სუფრის კოვზი დაქუცმაცებული მცენარე, დაასხით ორი ჩაის ჭიქა მდულარე წყალი, მოათავსეთ ორთქლის აბაზანაზე და ნახევარი საათი გააჩერეთ. შემდეგ გადმოდგით, გადაწურეთ და შეინახეთ გრილ ადგილას, ერთი დღე-ღამის განმავლობაში. მიიღეთ მესამედი ჩაის ჭიქა, დღეში სამჯერ, ჭამამდე ოცი წუთით ადრე.

**ზაფხულში ორგანიზმის ჰიპოთენიით მომარაგება აუცილებელია**

ზაფხულში გაქვთ შანსი, ორგანიზმი ვიტამინებით მოამარაგოთ. ამისთვის სეზონური ახალი ხილი ნამდვილად მისწრება. წვენი რომ თავისი უნიკალური და სასარგებლო თვისებები შეინარჩუნოს, აუცილებელია, მათი მომზადების წესები დაიცვათ.

სასურველია, ხილი და ბოსტნეული გახეხოთ პლასტმასის სახეხზე და არა ლითონისაზე, რადგან რკინასთან შეხება ანადგურებს ვიტამინების ნაწილს, განსაკუთრებით კი C ვიტამინს. თუ წვენსაწერი გაქვთ, კურკიან ხილს წუ ჩაყრით. ფოთლოვანი ბოსტნეული კი ხორცსაკეპ მანქანაში გაატარეთ და შემდეგ განუშერეთ.

ფერმენტები, ვიტამინები და არომატული ნივთიერებები სწრაფად ნადგურდება ჰაერზე ჟანგბადის ზემოქმედების გამო. ამიტომ, წვენი უშუალოდ მიღების წინ უნდა მოამზადოთ ან შეინახოთ მინის, ფაიფურის ან მომიწიქრებულ, მჭიდროდ თავდახურულ ჭურჭელში.

წვენი უნდა სვათ ცელ-ნელა, პატარა-პატარა ყლუპებით. წვენი ცოტა ხნით პირის ღრუში გაიჩერეთ, რათა ნერწყვს შეერიოს. ეს ხელს უწყობს ორგანიზმის მიერ მის მთლიანად შენოვას.

არ არის საჭირო იმ ხილისა თუ ბოსტნეულის გათლა, რომლისგანაც წვენის გამოწერვას აპირებთ, რადგან ვიტამინების უმეტესობა სწორედ კანქვე ილექება. ასევე, არ არის რეკომენდებული წვენს დაუმატოთ შაქარი.

**ადამიანის მალა კუჭის ზომაზე და მოქმედება**

როცა ადამიანს შია, გემოვნების რეცეპტორები მაშინვე აცნობენ ამას ტვინს და ისიც უბრძანებს კუჭს, დაიწყოს საჭმლის მომწელებელი წვენის გამოყოფა. ადამიანი საკვებს ჭამს, კუჭი კი მას ინელვებს. ამ პროცესს ნივთიერებათა ორი ფაზა ურეგულირებს: პირველია მადის აღმძვრელი და ცხიმების დამგროვებელი ნაერთები, მეორე კი - ფერმენტები, რომლებიც შიმშილის გრძობას ამცირებს და, ასევე, სხეულის მასას აკონტროლებს. როცა ეს



# ქვიშის რჩევები

ორი ჯგუფი ჰარმონიულად მოქმედებს, ყველაფერი რიგზეა, მაგრამ, საკმარისია, წონასწორობა დაირღვეს და უპირატესობა პირველი ჯგუფისკენ გადაიხაროს, რომ გასუქებას ვერ გაეცქვივით. ყველაზე მძიმე შედეგს ისინი განიცდიან, ვისაც განსაკუთრებით კარგად აქვთ განვითარებული ცხიმოვანი ცვლაში მონაწილე ფერმენტები, რომელთაც ცხიმების დაშლა და ცხიმოვანი დეპოებში მათი ჩალაგება ევალებათ. ამ ფერმენტების ხელშეწყობით, ორგანიზმში საკვებიდან საჭიროზე სწრაფად შეინოვს ცხიმებს და უფრო და უფრო მეტ კალორიას ითხოვს.

ადამიანის მადა ხშირად კუჭის ზომანზეა დამოკიდებული. გურმანებს ეს ორგანო დღითი დღე ეზრდება და უფრო მეტი საჭმელი საჭიროდება დასაწყობებლად. იმისთვის, რომ კუჭი ზედმეტად არ გააღიზიანოთ და საჭმლის მომწელებელი ფერმენტების გამოყოფა შეამციროთ, იკვებეთ ხშირად და მცირე ულუფებით. სადღიო და ვახშამი კი ერთსა და იმავე დროს მიირთვით – ამით კუჭს მიაჩვევთ, საჭმლის მომწელებელი წვენი მხოლოდ მაშინ გამოიყოფა, როცა ის ნამდვილად საჭიროა.

სადღიამდე ერთი საათით ადრე დალიეთ ერთი ჭიქა მინერალური წყალი, ის მდიდარია ტუტე ლითონებითა და მათი მარილებით. ამიტომ, ბლოკავს კუჭის წვენის სეკრეციას, რაც შიმშილს ამცირებს.

რაც უფრო დიდხანს გრძელდება საჭმლის მიღების პროცესი, მით მეტად ძლიერდება დანაყრების გრძნობა. არ დაგვიწყნდეთ, უნდა ჭამით მშვიდად და აუჩქარებლად. ამ დროს დასაწყობებლად გაცილებით ნაკლები კალორია გყოფნით.

ერთდღე ტკბილ, გაზიან სასმელებს. ასეთი სასმელები პირის ღრუსა და კუჭის ლორწოვან გარსს ალიზიანებს და შიმშილის გრძნობას იწვევს.

ცარიელ კუჭზე მიღებული მლაშე საჭმელი, მწნილი და მცენარეული სალათები მადას ზრდის. ამიტომ, ვაზბია, ჯერ მთავარი კერძი ჭამით და ზემოთ ნახსენები საკვები შემდეგ მიაყოლოთ.

შიმშილის ცენტრს სისხლში არსებული გლუკოზა ალიზიანებს და მადის სიძლიერესაც ეს ფაქტორი განაპირობებს. ეცადეთ, გვიან საღამოს არ ჭამოთ ტკბილეული, ცომეული და მსუყვე საკვები, განსაკუთრებით კი – თაფლი, მურაბა, კომპოტი, ნამცხვრები და შოკოლადი.

## ბრინჯი და სოია ორგანიზმისთვის კალიან სასარგებლო პროდუქტებია

ბრინჯი B ჯგუფის ვიტამინის შეუცვლელი წყაროა, რისი წყალობითაც, მის მოყვარულებს ნერვულ სისტემასთან, თმასთან და კანთან დაკავშირებული პრობლემები იშვიათად აწუხებთ. ხოლო, ვიტამინი B, რომელიც ბრინჯში ასევე დიდი რაოდენობითაა, ორგანიზმს დაბერებისა და გულ-სისხლძარღვთა დაავადებებისგან იცავს. შესაძლოა, სწორედ ამავალი სიცოცხლის ხანგრძლივობის საიდუმლოა. ამას გარდა, ბრინჯი მიკროელემენტების ნამდვილი საბადაა. ის დიდი რაოდენობით შეიცავს რკინას, თუთიას, მაგნიუმს, კალციუმსა და კალიუმს.

ადამიანის ჯანმრთელობისთვის ყველაზე სასარგებლოა ყავისფერი ბრინჯი. ის თეთრი ბრინჯისგან იმით განსხვავდება, რომ გადამუშავ-

**კითხვა: ვარ 22 კვირის ორსული და მკერდიდან გამომდის რაღაც მოთეთრო სითხე, ეს ნორმალურია?**

**პასუხი:** დიახ, ორსულობის მეორე ტრიმესტრიდან მკერდიდან ხსენის (რძის წინამორბედი) გამოსვლა ნორმალურია.

**კითხვა: ექვსი თვის ბავშვს აქვს ცუდი სუნი პირში და ასეთივე სუნი შევნიშნე მაჭყურა საწოვარაზეც. მყავდა პედიატრთან და მითხრა, რომ იყო სოკოს ბრალი. მაგრამ მაინც შევინია სხვა რამის ბრალი არ იყო.ზოგადად ბავშვი არის ძალიან მშვიდი.**

**პასუხი:** გამოუცვალეთ საწოვარა და თუ უსიამოვნო სუნი კვლავ შენიშნეთ უნდა ჩაუტაროთ პატარას პირის ღრუს ნაცხის ბაქტერიოლოგიური კვლევა.

**კითხვა: რა დაავადებაა ყირიმ-კონგოს ცხელება?**

**პასუხი:** ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელების (CCHF) ვირუსი იწვევს მძიმედ მინდინარე ვირუსული ჰემორაგიული ცხელების ეპიდემიურ შემთხვევებს. CCHF-ის ეპიდემიურ შემთხვევებისას ლეტალობა 40 პროცენტამდეა. ვირუსი უმთავრესად ადამიანს გადაეცემა ტკიპებისა და მსხვილფეხა რქოსანი ცხოველებისაგან. ინფექციის ადამიანიდან ადამიანზე გადაცემა შესაძლებელია ინფიცირებული პირის სისხლთან, გამონაყოფებთან, ორგანოებთან ან სხეულის სითხეებთან ახლო კონტაქტის შემთხვევაში. სიმპტომები გამოვლინდება უეცრად, აღინიშნება ცხელება, მიაღვია, (კუნთების ტკივილი), თავბრუსხვევა, კისრის ტკივილი და დაჭიმულობა, ზურგის და თავის ტკივილი, ჩასისხლიანებული თვალეები და ფოტოფობია

(მგრძობელობა სინათლეზე). ასევე, დასაწყისში შესაძლებელია, დაფიქსირდეს გულისრევა, ლებინება, დიარეა, ტკივილი მუცლის არეში და ყელის სინითლე, ხოლო შემდგომ – ხასიათის მკვეთრი ცვლილება და გონების დაბინდვა. გამოხატულია ჰეპატომეგალია (ღვიძლის ზომამში მომატება), ტაქიკარდია, ჰემორაგიული გამონაყარი.

**კითხვა: ვთხოვთ, მიპასუხოთ, როგორია პულსისა და სუნთქვის სიხშირის ნორმა ბავშვებში?**

**პასუხი:** აქ არის მოცემული ნორმები სხვადასხვა ასაკისათვის - პულსის სიხშირე და სუნთქვის სიხშირე: 1 თვემდე - 140-160 (პულსი) 40-50 (სუნთქვა); 6 თვემდე 130-135 (პულსი) 35-40 (სუნთქვა); 1 წელი - 120-125 (პულსი) 30-35 (სუნთქვა); 2 წელი - 110-115 (პულსი) 35-35 (სუნთქვა); 3 წელი - 105-110 (პულსი) 30-35 (სუნთქვა); 5 წელი - 100 (პულსი) 25 (სუნთქვა); 8 წელი - 90 (პულსი) 20-25 (სუნთქვა); 10 წელი - 80-85 (პულსი) 20 (სუნთქვა); 12 წლის - ზემოთ 70-75 (პულსი) 16-18 (სუნთქვა).

**კითხვა: მაინტერესებს ექოსკოპიის საშუალებით თუ გამოჩნდება სიმსივნე ორგანიზმში. მავალითადა, ღვიძლის, ფილტვების, თირკმელისა და შარდის ბუშტის?**

**პასუხი:** მუცლის ღრუს ორგანოების (ღვიძლი, თირკმელები, შარდის ბუშტი, პროსტატა, საშვილოსნო, საკვერცხეები) სიმსივნე შესაძლებელია გამოვლინდეს.

**რუბრიკას უძღვება ოჯახის ექიმი მაია ნუცუბიძე**

ების დროს, მხოლოდ ჩენჩოს აცლიან, დარჩენილი მარცვალი კი ბევრ მიკროელემენტსა და ვიტამინს შეიცავს. ყავისფერი ბრინჯი შეიცავს, ასევე, თეორზეტებს, რის გამოც მალე ფუჭდება. უმჯობესია, ბრინჯი ორთქლზე მოხარშოთ, რათა ვიტამინები არ დაიკარგოს.

რაც შეეხება სოიას, მას ხშირად განიხილავენ, როგორც ხორცეულის შემცველ პროდუქტს. ის უნიკალური თვისებების მქონეა. ბევრი სხვა მცენარეული პროდუქტისგან განსხვავებით, სოია ადამიანის ორგანიზმს უზრუნველყოფს არა უჯერდისით, არამედ სრულფასოვანი ცილით. სოიისგან ამზადებენ რძის პროდუქტების შემცველებსაც, მაგალითად, სოიის რძეს, იოგურტს, ხაჭაპოს და ყველს. მასში შემავალი ცილა, ყველა მცენარეულ ცილასთან შედარებით, უფრო სრულფასოვანია. თანაც ის სოიაში გაცილებით მეტია, ვიდრე ხორცში. ცილის გარდა, სოია საკმაოდ დიდი რაოდენობით შეიცავს კალციუმს. ის აახალგაზ-



რდავებს ორგანიზმს და ებრძვის სიმსივნის განვითარებას. ასევე, შეიცავს ჰორმონის მავარნივითიურებას – ფიტოესტროგენებს, რაც არც ხორცშია და არც თევზში. ამიტომ ის აუცილებლად უნდა მიირთვათ, მნიშვნელობა არ აქვს, რა სახით, მაგრამ, აუცილებლად შეიტანეთ თქვენს რაციონში.

**გვერდები მოამზადა ნონა ლათიფიძე**

# რა შეითხვევამ დაუნგრია სხოვრება ლალი ბაღუჩაშვილს და როგორ განაღო თავისგა ენაჲ ის კოჲულარული მსახიოზი

მისი ცხოვრება ამ ერთი ფილმით შეიცვალა. ვერანზე დარჩა ის სიღამაზე, რომელსაც დრო ვერ წაშლის. დღეს ეს არაჩვეულებრივი ქალბატონი თავისი ცხოვრების დღიურებს გადავიშლით იმ პერიოდების განხილვით, რითაც ის აქამდე მოვიდა. ეს ლალი ბაღუჩაშვილის საოჯახო ალბომია.

„მეცხრე კლასში ვიყავი, თეიმურაზი რომ გამორჩნდა ჩემს ცხოვრებაში. ჩემზე ათი წლით უფროსი იყო, უნივერსიტეტში სწავლობდა მეხუთე კურსზე. ჩემი დედაშვილიც, ოთარ თენგიშვილი, უნივერსიტეტში სწავლობდა. ოთარის და – ლეილა და მე ტოლები ვიყავით. ოთარი, როგორც ჩვენზე უფროსი, ორივეს ჩაგვეციდებდა ხოლმე ხელს და დაგვატარებდა აქეთ-იქით – ხან თეატრში, ხან კინოში, ხან კონცერტზე... ერთხელ, უნივერსიტეტში წაგვიყვანა სტუდენტურ საღამოზე. მაშინ ძალიან გამორჩეული იყო უნივერსიტეტი და ყველა ის ასალგაზრდა, ვინც იქ სწავლობდა: ნოდარ დუმბაძე, ლამა ჯანაშია, ნიკუშა ჩიქოვანი (სიმონ ჩიქოვანის შვილი), თამაზ ჭილაძე, ოთარ ჭილაძე, ზურაბ კაკაბაძე, ნიკო ჭავჭავაძე (ზურაბ ჭავჭავაძის მამა), გურამ ლორთქიფანიძე, თემო ნაცვლიშვილი... ძლიერი კონტინგენტი იყო და აი, ესენი შემოვიდნენ საექიმო დარბაზში. მაშინ გაიცნო ოთარმა თემო და აღარც მოსცილებია გვერდიდან, ოცდაოთხი საათი დასადევდა კუდში – ერთად ქეიფობდნენ, მოვიდოდნენ ჩემთან სახლში, იმღერებდნენ, წავიდოდნენ. მერე გაიცნო თემომ სხვა დედაშვილები, ბიძაშვილები და ყველას დაუმეგობრდა. ნიკო კეცხოველი იყო მაშინ რექტორი, ძალიან უყვარდა თემო და უთხრა, ჩვენთან კომკავშირში უნდა წავიყვანო. ჩართეს ამ კომკავშირულ საქმიანობაში და დაიწყო კარიერული წინსვლა. სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა თანამდებობაზე იყო. მისმა ყველა მეგობარმა იცოდა ჩემ შესახებ და მოჰყვებოდნენ ხოლმე, დანაყებული შე-

ვარდნაძით, დამთავრებული თამაზ ჯანელიძითა და გოგი ანდრონიკაშვილით. მე მოვიდოდი სკოლიდან, დავადებდი ჩანთას და გავვარდებოდი სახლიდან, იმიტომ, რომ არ მაინტერესებდა, ჩემთვის ძალიან დიდები იყვნენ. ერთხელ, ასე შემოვვარდი და ვთქვი – პაპონ ვსეკ ჩორტუ-მეთქი. ედუარდიც იქ იყო. ჩორტთან არა ვართ, საღლა უნდა წავიდეთო, – თემომ თქვა.



იმ პერიოდში ძალიან აქტიური დასწრება მიდიოდა ყველა სექტაკლზე, ბილეთები არ იმოვებოდა; ოპერა ქუხდა – ჭაბუკიანი იყო, ოტელი... ჩემთან კლასში ოცი ბილეთი ერთად მოდიოდა და ყველა მიმყავდა. ამას ყველაფერს, რასაკვირველია, თეიმურაზი აკეთებდა. ასე ნელ-ნელა მოხდა ჩვენი დაახლოება. სადაც არ უნდა წავსულიყავი, ყველგან მას ვაწყებოდი. ჩემს მეგობრებსაც ძალიან მოსწონდათ, ყველას უყვარდა. ძალიან კომუნიკაბელური და ენამახვილი იყო. კარგი იუმორი ჰქონდა, კარგად მღეროდა. გურამ ლორთქიფანიძე, თემო ნაცვლიშვილი, ჩემი ქმარი – ეს სამნი დადიოდნენ და ისეთი სიმღერებს მღეროდნენ, იმდენ რამეს მიყვებოდნენ და ისე ალაამაზებდნენ ჩემი და ჩემი ამხანაგების ცხოვრებას, ვერ ავიწყრთ.

თემური ძალიან ეჭვიანი იყო, ამიტომ, თითქმის ყოველთვის ჩემ გვერდით იყო გადაღებულზე. თუ დანახავდა, რომ ვილაცხას ზედმეტად გაუბრუნდა ჩემკენ თვალი, ერთს გახედავდა, მაგრამ, სამაგიეროდ ნასამა იცოდა, – იმან შემოგხედა, ამან შემოგხედაო – ტვინს წაიღებდა. ჰოდა, წადი და მისდიე, მე ხომ არ შემისხედავს-მეთქი. დილით რომ გავახსენებდი, გუშინ რა ამბავი იყავო-მეთქი, ზურაფერს წუ მუუბნებო – და, გარბოდა. მე არ ვეჭვიანობდი. ჩემი დედამთლილი მუუბნებოდა, ცოტა იეჭვიანული. შეიძლება, მართლა რალაც ჰქონდა დამალული, მაგრამ, არც ერთხელ ჩემთვის ეჭვიანობის საბაბი არ მოუცია, ისე გაიარა ჩემმა ცხოვრებამ. თუმცა, არ იყო ისეთი კაცი, სადმე, სუფრასთან მჯდარიყო და ლამაში ქალი ვერ შეემჩნია. თბილისში არაფერი იმალებდა, მით უმეტეს, ისიც საკმაოდ პოპულარული იყო; ასე რომ, განსაურდებოდა აუცილებლად. ლამაზი დაქალები მყავდა, ჩემზე ათასჯერ ლამაზები და მათთან მეგობრობდა, მაგალითად, ჯუნა გერსამია, თინა მიქელაძე – ევგენი მიქელაძის ქალიშვილი... თინას სახით ისეთი სიღამაზე დადიოდა ქალაქში, ბიჭები კი არა, გოგოები დასდევდნენ, მაგრამ, ერთი წუთით თავში არ მომსვლია აზრად, რამე მეფიქრა. დედამთლიან ერთად ცხოვრობდით, იმიტომ, რომ თემო მისი ერთადერთი შვილი იყო და არც არასდროს მიფიქრია ცალ-ცალკე გვეცხოვრა. სულ რომ არასწორი ფყოფილიყავი, მაინც მე მომეზნობოდა და შავ დღეს დააყრიდა თავის შვილს. მერე ცალკე მეტყვოდა: იცი, ლალიკო, მე კი შენ მოგიდექი, მაგრამ, იმაში თემოც სწორი იყო. თემოს დედა და მამა ყვარლი-

დან იყვნენ, რუსული ენის მასწავლებლები. ნახევარი ყვარელი ჩვენს სახლში ცხოვრობდა – თავიანთ შვილებს ჩვენთან გზავნიდნენ, ვინც თბილისში აბარებდა უმაღლესში. რომ კვდებოდა, დაიბარა, ყვარელში დამკრძაღლეთ მშობლების გვერდითო. თქვენ არ იცით, რა დასაფლავება მოუწყო ყვარელმა – იქაურობა ხალხით იყო სავსე. გზადაგზა ყვავილებს უყრიდნენ.

ცხოვრება ვის რას უზნადებს, არავინ იცის. როდესაც ოჯახი შევექმენი და ორი ბიჭი გაჩნდა, ძალიან გალაღებული ცხოვრება მქონდა. თემოს ყოველთვის თავისი ადგილი ჰქონდა საზოგადოებაში. როგორც უკვე ვთქვი, ძალიან პოპულარული იყო თავის თაობაში, ყოველთვის თანხარდობებზე იყო. გაუთავებელი ფესტივალები, უამრავი სტუმარი რუსეთიდან... მაშინ არ იყო ამდენი რესტორანი, როგორც დღეს არის, ამიტომ, ოჯახებში იმღებოდა სუფრები და ყველა ჩვენი სტუმარი იყო. კახეთიდან არაჩვეულებრივი ღვინო და დოვლიათი ჩამოგვდიოდა. ოჯახში ყველა ტრიალებდა: მე, ჩემი დედამთლილი, ორი დამხმარე ქალი გვეყავდა, ვიღაც ისედაც ყოველთვის ცხოვრობდა ჩვენთან და ვიყავით ასე, სტუმრის ოჯახი, ასეთი ცხოვრება გვქონდა. მერე ყველაფერი დაინგრა, გა-



დმოყრავდა. მაშინაც იყო ეს პიროვნული და პირისპირებები და ამ რალაც ავანტიურებს შეენიჩრა ჩემი მუღულე – მინისტრობიდან (კულტურის მინისტრი) პირდაპირ ვისოსება მიღმა აღმოჩნდა. ეს ახლავა მასობრივი თანამდებობის პირების დაჭერა, მაშინ კი იყო ერთი ასეთი ტალღა და თემოც მოხვდა ამ ტალღაში. არსებობდა ასეთი ორგანიზაცია – „კახეზე“ და, თუ მისი ინტერესის არეალში აღმოჩნდებოდი, ძალიან ცუდი ანგარიშსწორება იცოდა. თემოსგან რალაცეები აინტერესებდათ – აღმოჩნდა, რომ მისი მეშვეობით კრემლზე უნდოდათ გასვლა, ვილაცეების ჩამოჭერა – როგორც ხდებდა ხოლმე. დაჭირეს ჩემი ერთი შვილი, მეორე შვილი – პირველად შვილებზე გადმოვიდნენ, რომ ზენოლა ყოფილიყო თემოზე და ის ალიარება მოეპოვებინათ, რაც მათ უნდოდათ. მე მომინია სამი მამაკაცის ასეთ სიტუაციაში – დაკეტილ სივრცეში პატრონობა. ყველაზე მეტად მაინც ერკვეოდა ზარალდა, იმიტომ, რომ ჯარში მსახურობდა ცხინვალში. მოჰკიდეს ხელი, ჯერ სომხეთში გადაიყვანეს, იქიდან – ბაქოში, უზბეკეთში და მეც ასე დავდევი. არ მეძინა კი არა, ოცი კილო დავიკელი; ისეთი სისუსტე მქონდა, კედელ-კედელ დავდიოდი, რომ არ დავცემულიყავი. იმ სამინელმა ქართულმა თვისებამ, ერთმანეთის დანდობა რომ არ ვიცოდი დამღრღნა და გაწინა კიდევ, მაგრამ, ჩვენმა ხალხმა, საოცარი გვერდში დგომაც იცის გაჭირვებაში და მე მთელი ქალაქი მხარში ამოვიდგა – ეს იყო მთელი ინტელიგენცია, გვარებს აღარ ჩამოვთვლი. უცნაური რამ ხდებოდა: მიუხედავად იმისა, რომ თემო დაპატიმრებული





იყო, სადაც შევდიოდი, ყველგან დიდ პატივს მცემდნენ ეს მაღალი თანამდებობის პირები. ვუალორთქიფიანძიმ, ამ არაჩვეულებრივმა პიროვნებამ, შეუძლებელი შეძლო, ყველაფერში მეხმარებოდა; შოთა გორგოძე, რომელმაც, აღარ იცოდა, რით ეცა პატივი, ვახტანგ რაზმაძე... რაც ახლა მესმის, რას უკეთებდნენ „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები პატიმრებს, მაშინ მსგავსი რამ არასდროს მსმენია. ჩემს ქმარს პირადი მტრები ჰყავდა, თან, ძლიერი ჩინოვნიკები, მაგრამ, არც კი მოსვლია ვინმეს აზრად, რამე ეკადრებინა, უბრალოდ, ჩაკეტული სივრცეში ამყოფეს რაღაც პერიოდს და შეიღების დაჭრით დასაჯეს, თორემ, არც უცემიათ, არც უნამებიათ, არც სიტყვიერი შეურაცხყოფა მიუყენებიათ და ბოლომდე „ბატონ თემურს“ ეძახდნენ... გინახავთ, პატიმართან ქალაქის პროკურორი გაბრძოდეს და თავისი ხელით გამოჰყავდეს ციხიდან?!

კინოში აღმოვჩნდი 1968 წელს. მე და ჩემი მეუღლე შემთხვევით მოვხვდით სუფრასთან, რაღაც ბანკეტზე, სადაც იჯდა ვახტანგ ტაბლიაშვილი, იქ იყვნენ ჟურნალისტებიც. გავარდა ხმა, რომ კონსტანტინე გამსახურდიას „დილო-სტატის მარჯვენის“ მიხედვით, ფილმს იღებენ ვახტანგ ტაბლიაშვილი – რეჟისორი, რომელმაც „ქეთო და კოტე“ გადაიღო, ეს უდიდესი ფილმი. გადამღები ჯგუფი შემდგარია, მაგრამ, ჯერ არც ერთი მსახიობი არ არის შერჩეული. წარმოიდგინეთ, ამ ძალიან თავშეკავებულ ენციკლოპედიური განათლების მქონე, ქართული კარგად მცოდნე, ძალიან აკადემიურ კაცს,



ლაპარაკს არ ვაცდიდი – ალბათ, ეს გმირი ასეთი უნდა იყოს, ის ისეთი უნდა იყოს-მეთქი, – ძალიან ვაქტიურობდა. კიდევ რაღაც ჰკითხეს ჟურნალისტებმა და, – აი, ვკითხობ ამ ლამაზ ქალბატონს, მგონი, ერთნაირად ვაზროვნებით, – ინტელიგენტურად გამამასხარა. რომ წამოვედით გაზმი თემო მეუბნება: რომ ლაპარაკობ-

დი, თუ შეამჩნიე, ბატონი ვახტანგი როგორ დაკვირვებით გიყურებდა და გისმენდაო. არ ვაცალე კაცს ლაპარაკი და, ალბათ, იფიქრა ეს ვინააო, – ვუპასუხე თემოს. არა, სულ სხვანაირად გიყურებდაო. რამდენიმე დღის შემდეგ გვირეკავს ბატონი ვახტანგი სახლში – მიინდა, დღეს საღამოს დავგაპტიოთო. წავედით. სასტუმრო „ივერიაში“ სუფრა იყო გაშლილი და მთელი გადამღები ჯგუფი და ბატონი კონსტანტინეც იქ არიან. სერიოზული საუბარი მიდის კონსტანტინესა და ვახტანგს შორის. ბატონი კონსტანტინე და ხმას როგორ ამოვიღებ, ვზოვარ დადუმებული. უცებ ტაბლიაშვილი ეუბნება: ვახტანგ, შორენას გასინჯვა არ სჭირდება, შორენა აქ ზისო. არადა, პირველად მხედავდა. ბატონო კონია, კი მაგრამ, თქვენი პერსონაჟი შორენა რომ ოქროსფერთმიანია და მე კი მისი სანინალმდეგო ვარ-მეთქი?! არ დამავინცდება მისი შემოხედვა – ისეთი გამჭოლი მზერა ჰქონდა, რომ ვახტანგეც და ვატიცადა კედელს. „კონია არ ვარ მე, კონსტანტინე ვარ!“ – გამინწორა. მერე, როდესაც ეკითხებოდნენ ჩემზე, რა ნიშნით შეარჩიეთ შორენას როლზეო, პასუხობდა, არ ჰგავს ამ თანამედროვე თხზვსო. ბატონი ვახტანგისთვის კი უთქვამს: მასში არის ის, რაც მთავარია შორენაში – ის მთლიანად ბიბლიოთეკა... რომ მივედით და სინჯობა გააკეთეს, იქ იყო ერთი ხანში შესული ფოტოგრაფი, რომელიც თავის დროზე ნატა ვანნაძის პირადი ფოტოგრაფი ყოფილა. როცა რაღაც ტექსტი მომცეს, ნაკითხვის შემდეგ მოვიდა და შემაქო: ყოჩაღ! ისე თამაშობთ, თითქოს თქვენ უკან ათი ფილმი იყოსო. ჩემზე ნინ ლეილა აბაშიძეს უკეთებდნენ სინჯს ვარდისაზარზე. ვდგავარ და ვუყურებ ლეილას – რომ დაამთავრებენ, მერე ჩემზე უნდა გადმოვიდნენ. ისე ნერვიულობდა ლეილა, სახეზე ნითლად დაყარა. მეგობარი მახლდა თან და მითხრა: ხმა ვერ ამოვიღე, ვიფიქრე, ლეილა თუ

ასე ლეღავს, ლალის რა დაემართება, ხმას ვერ ამოიღებო. მაგრამ, პირიქით მოხდა, რომ დავინახე, ის ასე ნერვიულობდა, შინაგანი ლეღვა მომხსნა. ასე ჩაიარა ამ სინჯებმა. რუბეტიცი-



ებს გადიდონენ ერთმანეთში ოთარ მეღვინეთუხუცესი და თევგიზ არჩვაძე, ჩემთან ვახტანგს არც ერთი რუბეტიცია არ ჩაუტარებია – ესენი მიჩვეულები არიან, ამ ფრახას გინდ ასე ნაკითხავენ, გინდ ისე და არ დაიმტამებებიან, მაგრამ, როგორც კი ამას ლალის გავაკეთებინებ, ის მსახიობი არ არის და იმწუთასვე დაიმტამებო. სხვათა შორის, ამ ნაწარმოებში სახელი შორენა არ იყო, ბორენა იყო. როცა იბეჭდებოდა ნაწარმოები, კორექტორს შემოლია – ბ-ს ნაცვლად შ დაუნერა და ბატონ კონსტანტინეს მოსწონებია.

დღო აბაშიძე თემოს მეგობარი იყო და სულ აგაუხებდა ჩემს ქმარს: ამ ბოვს კინოში მაინც გადაიღებენო – ეუბნებოდა. ნუ ასულელებ, რა სისულელეს უდებ თავში, მსახიობი რომ დემოზდა, მსახიობს მოვიყვანდი ცოლადო. თემო თვითონ ძალიან არტისტიული იყო, უყვარდა მსახიობები, თუმცა, მაინც ტრადიციული იყო. იმიტომ, რომ უკვე თვითონ შორენა არსებობდა, კონსტანტინე იყო, ვახტანგი – ყველამ ხმა გაკმინდა, სხვა დამოკიდებულება გაჩნდა. არც არსებობდა ძალა, რომელიც მე გამაჩერებდა. ამ ფილმმა მთლიანად შეცვალა ჩემი ცხოვრება. სადაც არ უნდა წავიდე, დღემდე, 75 წლის ასაკშიც, ყველგან უდიდეს პატივს მცემენ – ამას სულ ვგრძნობო!”

ჯა პატარაია

(23-ე გვერდიდან)

თრებით ვინერვიულე, რადგან ეს უფრო გაცნობის მომენტი იყო. მზად ვიყავი იმისთვის, რომ ვილც ცულდს იტყოდა ან კარგს. მაგრამ, ჩემთვის მთავარი ის იყო, როგორ გაიყიდებოდა. მაინც ეს არის წარმატება და არა ის, ვინ რას იტყვის. თუმცა 100 პროცენტით კარგი დაწერეს ჟურნალისტებმა და პლუს, გაყიდვების რაოდენობამ მაჩვენა, რომ კოლექცია კარგი იყო. რაც შეეხება ბათუმის ჩვენებას, ეს იყო „რესორტ“. ძალიან მიწოდდა ამ კოლექციის შექმნა. იმდენად მიყვარს ზაფხული, ზღვა, რომ ეს კიდევ ცალკე შთაგონებაა. მეზღვაურის ბადე, თეთრი ქვიშა... მაღლივებზე ვიყავი და დღემდე მაქვს თეთრი ქვიშა შენახული, თევზის ფარფლები, მეზღვაურის ფორმა – ამ ყველაფერს მაგონებდა კოლექციის ყველა ქსოვილი, რომელიც შემდეგ გადმოვიტანე სამოსში. წარმოვივადინე გოგონა, რომელიც ზღვაზე, კარგ კურორტზეა. ის დღითი გამოდის სანაპიროზე, რომ გაირუჯოს და იცვამს საცურაო კოსტიუმს, შემდეგ მიდის კოქტეილის დასალევად და ზემოდან უნდა შემოიცვას რამე, ცოტა „სევიკი“ და ესეც აქვს. შემდეგ, დღის განმავლობაში, მეგობრებთან ერთად მიდის კაფეში და შეუძლია, მისთვის შექმნილი გარდერობიდან აირჩ-

## ჩაბომ გაღაწყვიტა ღიანა ქვარიანა ქალის სოჭათი გაუიჟვლება და როგორ გახდა თბილისში, პირველივე ჩვენების შემდეგ, მისი სამოსი მოღვაწი და კოპულაკული

იოს ბევრი რამ, თუნდაც კაბა მაქმანით, რომელიც საცურაო კოსტიუმზეც იცმევა და ცალკეც. საღამოს ან ღამე, კლუბში ნასასვლელადაც ხომ უნდა რაიმეს ჩაცმა, ამისთვისაც აქვს სამოსი. ანუ, მისთვის მთელი დღის გარდერობი შევქმენი. გარდა ამისა, თხელი აბრეშუმის პალტოები გავაკეთე, რომელიც შეგიძლია, საღამოს სივრცეში ჩაიცვა. ბათუმში „ავთანდილის“ ჩვენებაზე სივრცე იყო, ჩავიცვი და მივხვდი, რომ ძალიან კარგი რამეა ზღვაზე, ზაფხულში, სივრცეში. ფეხსაცმელიც სპორტულია, თუმცა ისეთი ცხვირი გავუკეთე, რომ იმავდროულად ქალურიც ყოფილიყო.

– ის, ვინც ამ სამოსს ჩაიცვამს, ნამდვილად არ დარჩება უყურადღებოდ.

– ცოტა გამოვანინე ქალის სხეული, ცოტა ათი გაგამიშვლე, რადგან მაინც ზღვაა. მე არ მიყვარს მოკლე კაბები, დეკოლტე, ქალი – ტი-

ტველი, ჩამცული უფრო მომწონს. მაგრამ ზაფხულს უხდება: ფეხების გამოჩენა, მკერდის, თან როცა გარუჯული ხარ. რეტრო, 50-60-70-იანი წლები მიყვარს ძალიან და ეს ემჩნევა ჩემს კოლექციას, განსაკუთრებით საცურაო კოსტიუმებს. 80-90-იანი წლების საცურაო კოსტიუმები არ მომწონს, ამიტომ უფრო რეტროს სტილის გავაკეთე: მაღალი წელითი, ლიფი-კორსეტი და ქართველ გოგონებს ძალიან მოეწონათ. თავიდან მეგონა, არავის მოეწონებოდა, მაგრამ იმდენმა დამირეკა, იმდენს უნდოდა ზუსტად ეს საცურაო კოსტიუმი... ბათუმში ჩვენების მერე ბევრი მოვიდა მაღაზიაში, დამატებითი კლიენტები, რომლებიც მანამდე არ იყვნენ ჩემთან ნამყოფები, მითხრეს: ერთი სული გვქონდა, როდის ჩამოვიდოდით თბილისში, შენი მაღაზიის სანახავადო. ეს მე ძალიან მახარებდა.

ნათია უტიანჭვილი



ნიწო: წარსულში არაერთი სასწაულის მომსწრე ვყოფილვარ. ადრე არ ვაქცევდი ამას ყურადღებას, ახლა კი, ყველაფერი კარგად რომ გავაანალიზებ და ვიცი, რა შეიძლება მოხდეს ცხოვრებაში სასწაულისა თუ გაფრთხილების სახით, თავს უფლებას ვაძლევ, ხმაამღლა ვის-აუბრო ამაზე.

– მაგრამ, რაც ჩვენ გარშემო ხდება, ამ ყველაფერს თუ ყურადღება მივაქცივთ და ყველაფერი გულთან ახლოს მივიტანთ, შეიძლება, ფსიქიკური პრობლემების წინაშე აღმოვჩნდეთ, ან უკეთეს შემთხვევაში, ნერვულ აშლილობამდე მივიღოთ.

– გეთანხმებით, მაგრამ, არც იმის იგნორირება შეიძლება, რომ ყველაფერი შემთხვევითობა არ არის. მგონი, დაფიქრებად ღირს ის მოვლენები, რაც ჩვენ გარშემო ხდება და ამას შემთხვევითობასთან არანაირი კავშირი არ აქვს, – უმრავლესობას მაინც. როცა გააანალიზებთ და მიხვდებით, რომ თავისთავად არაფერი ხდება და დაფიქრებით იმაზე, რომ, შეიძლებაო, ბევრი უსიამოვნო ამბისთვის აგერიდებინათ თავი, მიხვდებით, რასაც გვულისხმობ. პირადად მე, ყოველ წერილმანს ვაკვირდები და, ჩემს პატარა ოჯახთან, ახლობლებთან და მეგობრებთან ერთად, მშვიდად და დაცულად ვგრძნობ თავს. ბევრი სასწაულიც გადამხდენია, ერთი ნოდებული, „უთქმელი“ გაფრთხილებებიც დავიჯერე და, მერწმუნეთ, უამრავ ამოუცნობ დეტალს ჩაწვდი. არადა, როცა მეგობრები და ნაცნობები მიყვებოდნენ თავს გადახდენილ უცნაურ ამბებს, ამაზე ბევრს ვიცინოდი. ვამბობდი, ნეტა, თავიანთი მონაცემების თუ სჯერათ-მეთქი. ბევრჯერაც მიხუმრია – ნადით ფსიქიატრს გაეცინჯეთ, სრულ ჭკუაზე არ ხართ-მეთქი.

– რამ შეცვალა თქვენი დამოკიდებულება მსგავსი ამბების მიმართ და როდის მიხვდით, რომ სასწაულები მართლაც ხდება?


– ვინამე, როცა თავად შევეჯახე სასწაულს. ახლავე გიაბობთ: ეს ამბავი დაახლოებით ოცი წლის წინ მოხდა. ერთ-ერთი თანაკურსელის, ნინოს დაბადების დღე იყო და მეგობრები დაგვპატიჟა. რაჭის მთიან სოფელში ცხოვრობდა. ზაფხული იყო, გამოცდები ჩაბარებული გვექონდა და, ვიფიქრეთ, ნავალთ, გავახარებთ, დაბადების დღეს მივულოცავთ, თან დავისვენებთ კიდევო. ქვესი მეგობარი ჩავედით – ოთხი გოგო და ორი ბიჭი. მართლაც, რომ დაგვიჩინა ნინომ, გადაირია სიხარულით. იმ საღამოს კარგად წავუქეიფეთ და გვიან ღამით დავენეით დასაძინებლად. ორსართულიანი სახლი ჰქონდათ და მეორე სართულზე დაგვანგინა. კიბეზე რომ ავიდოდით, შევნიშნე კიბის ქვემოთ, სარდაფთან ახლოს, ბებიამისი იდგა და ხელში რძით სასუსე ჯამი ეჭირა, თან რალაცას ბუტბუტებდა. ნინოს სიცილით ვუთხარი: ბებიაშენი კიბის ქვეშ დავინახე, იდგა ჯამით ხელში და რიტუალს ატარებდა-მეთქი. მან კი სრული სერიოზულობით მომიგო: ბებიამეტი ყოველ საღამოს ასხამს ჯამში რძეს და დგამს – ჩვენი სახლის სარდაფში, გველი ბინადრობს და მისთვის აკეთებს ამასო. ვიფიქრე, ხუმრობს-მეთქი და ყურადღება არ მივაქციე. ღამით ადგომა დამჭირდა საპირფარეოსთვის. კიბეზე რომ ჩამოვედი, ჯამი დავინახე კიბისთავში, თუმცა მასში რძე აღარ ესხა. კი გამიკვირდა, ნეტავ, რატომ აღარ ასხია-მეთქი, მაგრამ, ვისთვის მეკითხა? მოკლედ, მეორე დღით ნინოს ბებომ სუფრა გაშლილი დაგვახვედრა. სწორედ მაშინ ვიხსენებ დრო და ვკითხვ იმ ჯამის შესახებ.

ამბობენ, თუ ადამიანი თავის გარშემო მიმდინარე პროცესებსა და მოვლენებს გულისყურით დააკვირდება, ბევრ უბედურებას აცილებს თავიდან. ეს სიმართლეა და ამაზე ყველა უნდა დაფიქრდეს. ზოგჯერ გაფრთხილებასაც ვიღებთ ამა თუ იმ ცოტად და ამას ყურადღებას არც კი ვაქცევთ, არ ვითვალისწინებთ, რომ რაიმე ცუდის მანიშნებელი შეიძლება იყოს ეს ყოველივე, შემდეგ კი მომხდარს სასწაულს ან ბედისწერას ვანერო.

რუბრიკის სტუმარი, ქალბატონი ნინო, საკმაოდ საინტერესო რესპონდენტი აღმოჩნდა. სწორედ მისგან შევიტყვეთ, რომ ერთი შეხედვით საშინო ქვენარმავალი, თურმე, შესაძლოა, ადამიანს მფარველადაც კი მოვევლინოს.

## რატომ ითვლება გველის მოკვლა ღიღ სოლვად და როდის ხდება ის ჩვენი ბაღის წინასწარმავალი

მიპასუხა, სტუმრები ხართ, შვილო და, არ მი-ნდა, შემიხედო. ამიტომ, უმჯობესია, ამ კითხვაზე არ გიპასუხოთო. ისეთი ინტერესიანი ვარ, მე დამაოკებდა?! გადავკვიდე, გინდა თუ არა, მითხარით და არ შემემინდება-მეთქი. აი, მისი მონაცემის შემდეგ კი დავფიქრდი და მივხვ-



დი, რომ ადამიანები დიდ ცოდვას ჩავდივართ, როცა ქვენარმავალს დაუნდობლად ვკლავთ, გვემინია მისი, გვეზიზღება და არც მის „უთქმელ“ გაფრთხილებას ვაქცევთ ყურადღებას.

– ასეთი რა გაიმართ თქვენი თანაკურსელის ბებიაშე ქვენარმავალზე?

– ბებების წინ, როდესაც ნინო გაჩნდა, მის დაბადებას დიდი ზარ-ზეიმით შეხვედრიან, რადგან, ბავშვი მშობლებს ათწლიანი ლოდინ-

როცა ნინო იმ სახლში იყო ხოლმე და თამაშობდა, ხის უზარმაზარი ტოტი მოტეხილა და ჩამოვარდნილა. ის სახლი რომ მდგარიყო და შიგნით ბავშვი ყოფილიყო, მარტო სასწაული თუ გადაარჩენდა. გაცტებულან ბებია და ბაბუა. მაშინ უთქვამს ბებიამისს, ის გველი ბავშვის გადასარჩენად მოსულა, გველებს ხომ მოვლენების წინასწარი განჭვრეტის უნარი აქვთო. ამ ნათქვამისთვის არავის მიუქცევია ყურადღება. გავიდა ათი წელი. ნინო სახლის უკან, მაგიდასთან იჯდა და მეცადინებდა. მამამისი და დედამისი ყანაში იყვნენ ნასულები. უცბად, ნინოს გული წასვლია და გადავარდნილა. სწორედ იმ დროს, როცა ნინო ცუდად გახდა, დედამისს ყანაში უზარმაზარი გველი დაუჩნდა. მომიყვა, იკლავებოდა, თითქოს ჰაერში სტუნავდა, მერე გაიშალა და ჩვენი სახლისკენ გას-რიალდა. ვიფიქრე, ბავშვმა არ დაინახოს, მიმისგან არ გადამერიოსო, დავეყარე ყველაფერი და სახლისკენ გავიქეციო. იქ მისულს კი გულ-ნასული ბავშვი დახვედრია. რომ არა ის გველი, შეიძლება, შვილი მომკვდომოდაო. ამ ამბის შემდეგ მიხვდით, რომ ნინოს გველი მფარველობდა. დღეს კი, დაახლოებით მეტწილად ვირიანი გველი ჩვენი სახლის სარდაფში ბუდობს. მხოლოდ ღამით გამოდის და სწორედ მას ვუდგამ ჯამით რძეს, რომ დალიოსო.

– სხვათა შორის, გამიგია, რომ, თუ ეზოში ან სახლის სარდაფში გველი დაიბუდებს, ის ოჯახის მფარველია და მისი მოკვლა არ შეიძლებაო.

– სწორედ, ასეა და, თუ მასზე ვინმე ხელს აღმართავს, ოჯახს უბედურება არ ასცდება. მართალია, ქვენარმავალს ლაპარაკი არ შეუძლია, მაგრამ, ცქცვეობის გავაძნობს მოსალოდნელ უბედურებას. თუ არ გააბრაზე, მასზე არ გაინივ და რამე არ დაუშავე, თავადაც არაფერს გავნებს. პირიქით, შეიძლება, თქვენი მფარველობა იკისროს და მოსალოდნელი სააფრთხელებიც კი აგაცილოთ თავიდან. ადამიანების მიმართ მათ განსაკუთრებული გრძნობა აქვთ – თუ გველმა ადამიანი მიიღო და შეიყვარა, ისე ეხმარება და ისეთ უბედურებებს აცილებს თავიდან, რომ ვერც წარმოიდგენო. გამიგია, აკვანზე როგორ იყვნენ შემოხვეულები გველები და იცავდნენ ჩველს ცხოველების თავდასხმისგან, როცა მათი მშობლები ყანაში მუშაობდნენ. დღეს არაერთ ადამიანს ჰყავს გველი ბინაში როგორც შინაური ცხოველი და, მათ თუ ჰკითხავთ, ის ძალზე მეტ ერთგულებას უწევს. ასე რომ, თუ ქვენარმავალს უერთგულებთ, მისი არ შეგემინდებათ და ისე მიუდგებით, როგორც საჭიროა, მაშინ მისგან მხოლოდ სიკეთესა და მფარველობას უნდა ელოდოთ და არა საფრთხეს.

ნონა ღათაძე



### ქლიანი მოტივასია

როგორი ნეგატიურიც არ უნდა იყოს, შუერი ერთ-ერთი ძლიერი მოტივატორია. ზოგჯერ ასეთივე მოტივატორია ეჭვი. გააჩნია, რამ გამოიწვია ეჭვი და რა ემოციები აღძრა ჩვენში. თუმცა, აუცილებლად გასათვალისწინებელია ის, რომ შურიც და ეჭვიც დამანგრეველია ჩვენი ფსიქიკისთვის. ამიტომ, უმჯობესია, ავიცილოთ ისინი... შემთხვევით არაა, რომ ყველა რელიგიაში შურიც და ეჭვიც მძიმე ცოდვად არის მიჩნეული. მაგრამ, როგორც ყველაფერს, ამ ქვეყანაზე ამ ორ საშინელ გრძობასაც აქვს მეორე მხარე, ანუ სულ ცოტა პოზიტივი. მაგალითად, თუ ქალი ეჭვიანობს მამაკაცზე, ის ეცდება, ყველანაირად გაიუმჯობესოს გარეგნობა. შეიცვალოს სტილი და აზომილოს თვითშეფასების უნარი. ეს ეჭვის პოზიტიური გამოვლინებაა და თუ მამაც ეჭვიანობს, ჯობია, ენერჯიტივი ამ მიმართულებით მიმართოს და არა საგარეულო მონინაღმდეგის განადგურებისკენ. ყველა სიტუაციაში უნდა გიყვარდეს საკუთარი თავი და გვეგროდეს იმის, რომ არავისზე ნაკლები არ ხარ. შურს და ეჭვს თუ თქვენს სამსახურში ჩაყენებთ, ამით მხოლოდ მოიგებთ. შეადგინეთ თქვენთვის პროგრამა, როგორ გახდეთ უკეთესი და იმოქმედეთ. აჯობეთ იმ ნეგატიურ ენერჯიას, რომელიც დაგიგროვდათ. მაშინ შური და ეჭვი მოტივაციად იქცევა.

ქალს ყოველთვის აქვს უნარი, მოერიოს საკუთარ ემოციებს და არ ნავიდეს თვითგანადგურებისკენ. მთავარია, მოინდომოს და იმამი, რაც მისთვის ცუდია, აუცილებლად იპოვოს სარგებელს.

ასე რომ, გაითვალისწინეთ თქვენი ძლიერი მხარეები და ყველაფერი კარგად იქნება.

### პაქითაბო ღა არ პოქირობო

ქალების მთავარი პრობლემა ის არის, რომ ხშირად ემოციით და სპონტანურად მოქმედებენ. უშვებენ სერიოზულ შეცდომებს და ვერც აცნობიერებენ, რას ამაყებენ ამით. მაგალითად, ვის არ უნუნუნია დაქალთან საკუთარ ქმარსა და ოჯახურ პრობლემებზე დარწმუნებული ვარ, უმრავლესობას მიაჩნია, რომ სწორად იქცევა. უშვებს „ოროქლს“ დაქალთან, აგრესიისგან იცლება და ქმართან უკვე დამშვიდებული ბრუნდება. სინამდვილეში, ეს სერიოზული შეცდომაა. ჯერ ერთი, ადრე თუ გვიან, ყველა დაქალი დაიღლება თქვენი პრობლემებით და მეორე დაქალს მოუყვება, როგორ მოაბეზრეთ თავი... ფიქრობთ, რა არის ამამი ცუდი, თუკი ახლობელ ადამიანს საკუთარ სატკივარზე მოუყვებით და ნუგეშს მისგან მიიღებთ. მაგრამ, პრობლემა, რამაც თქვენს მეგობართან მოგიყვანათ, მოუგვარებელი რჩება და დიდი შანსია, თავი ხელახლა და მეტი სიმწვავეთ იჩინოს.

მეორე პრობლემა ოჯახური კამათის გარეშე, საჯაროდ გამოტანა, რაც ისევე თქვენ მოგიტანთ უსამოყენებას. ჭორებს დაუღლებს სათავეს, რაც ძალიან არ მოგეწონებათ. საერთოდ არ გვახსენდებათ, რომ ჭორების გავრცელებას თავადვე შეუწყეთ ხელი და ძალიან გაბრაზდებით ყველა მეგობარზე, ვინც რთულ სუთებში არ გერთგულათ.

და კიდევ... რაც ხშირად გალანძვავთ მეუღლეს მეგობრებსა და ნათესავებთან, მით ცუდად მოექცევიან ისინი მას. ქმართან ურთიერთობას გამოასწორებთ და ძალიან გენყინებ-

ათ, როცა დაინახავთ, რომ თქვენი ახლობლები პატივს აღარ სცემენ კაცს, რომელიც გიყვართ. დამნაშავე თავად იქნებით – რეპუტაცია ხომ თქვენ გაუფუჭეთ... ამიტომ, იფიქრეთ... იქნებ უკეთესი გამოსავლი მოიფიქროთ...

### მე ასეთი ვარ... მიიღე!

ფსიქოლოგები ერთხმად ამტკიცებენ, რომ ყველა ბედნიერ ოჯახს რეცეპტი ერთი აქვს. პრინციპი ერთია, როცა საქმე წყვილის წარმატებულ ურთიერთობას ეხება. სექსუალური სიძინის ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ნამდვილად არსებობენ წყვილები, რომლებიც ერთად დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობენ და ერთხელაც არ უჩნდებათ. ყველა პრობლემას, რომელიც მათ აქვთ, სრული თანხმობით, მშვიდი საუბრებით ჭრიან და აგვარებენ. პარალელურად, არსებობენ ისეთი წყვილებიც, რომლებსაც გაძლება არ შეუძლიათ ხმაურის, ჩხუბის, ემოციური აფეთქებების გარეშე. ისინიც, თავის მხრივ, ბედნიერები არიან... შეიძლება, ამიტომაც არსებობს გამონათქვამი: „სულელს ცოლ-ქმრის ჩხუბი მართალი ეგონაო“. სკანდალებს მართავენ, ამტვრევენ ჭურჭელს... მაგრამ ისევე ერთად არიან „ტონუსამალებულები“. მაინც რამა ბედნიერების დიდულო?

პირველი და მთავარი – მუხის ხისგან საახალწლო ნაძვის ხე არ გამოვა. ჯობია, არც იოცნებოთ ამზე. ანუ, ერთმანეთი ისეთი უნდა გინდოდეთ, როგორც ხართ სინამდვილეში. ყველა მცდელობა პარტნიორის ხასიათის შეცვლისა, მარცხით დასრულდება და თან გაიყოლებს თქვენს ურთიერთობასაც... შეეცადეთ, ყოველდღე გიხაროდეთ ის, რომ სწორედ ამ ადამიანის გვერდით იღვიძებთ და ერთად ხართ. თქვენ ხომ ძალიან, ძალიან გინდოდათ მასთან ყოფნა. მაშინ მზად იყავით, მიგელოთ ის, თავისი ნაკლითაც და ღირსებითაც. ხოლო თუ გინდათ ისწავლოთ, როგორ გაუგოთ თქვენს მეორე ნახევარს უკეთ, უბრალოდ, იფიქრეთ მასზე უფრო ხშირად, ვიდრე საკუთარ თავზე.

### არ ვიღაპრაქოთ?!

სრულფასოვანი კომუნიკაცია სასიცოცხლოდ აუცილებელია ნებისმიერი ურთიერთობისთვის. ამის გარეშე ყოველდღე შეუძლებელი გახდება წყვილის თანაცხოვრება. ქორწინებაში სტაბილურობას განსაზღვრავს როგორც კარგი და რეგულარული სექსი, ასევე ნორმალური კომუნიკაცია. თუ წყვილს ერთმანეთის არ ესმის, შეუძლებელია მათ შორის სიყვარულზე ლაპარაკი. ბუნებრივია, ლტოლვა და ვნება არ გამოირიცხება, მაგრამ ეს ბევრს არაფერს ნიშნავს.

ცოლ-ქმარი ერთმანეთს ხშირად უნდა ელაპარაკებოდეს. ნებისმიერ თემაზე და, რაც მთავარია – გულთადად, ისტერიკის, პრეტენზიების და ურთიერთის მიმართ ბრალდებების ნაყენების გარეშე.

კიდევ ერთი უმთავრესი პირობა ნორმალური, სრულფასოვანი ურთიერთობისთვის ერთმანეთისთვის კომპლიმენტების თქმა – ორმხრივად სასამოყენო და სტიმულის მომცემი. ნესად შემოიღეთ, არ დაიგროვოთ წყენა და თუ რამე არ მოგეწონებათ, მაშინვე უთხარით ერთმანეთს. გაარკვიეთ გაუგებრობა და მამინვე შერგიდით.

თბილი, ალერსიანი სიტყვების გარეშე, ქალს განსაკუთრებით უჭირს... ის თითქოს შინაგანად „ქრება“, როგორც ყვავილი უწყლოდ ჭკნება და ცხოვრების ხალისს კარგავს. მამაკაცებსაც ძალიან უყვართ კომპლიმენტები. როცა კაცს არ აქებენ, მას არასრულფასოვნების კომპლექსი უჩნდება. კარგავს საკუთარი თავის რწმენას და შესაბამისად, პრობლემები უჩნდება კარიერაშიც. რატომ უნდა დამენანოს კეთილი სიტყვა ადამიანისთვის, რომელიც მიყვარს?! – იფიქრეთ ამზე და იზრუნეთ ერთმანეთის კარგ განწყობაზე!

### ჯალოსური უნაზა

„გმადლობ, რომ არსებობ!“ – ეს ის სიტყვებია, რომელიც ნებისმიერ ქალს, თუ ამას პარტნიორისგან მოისმენს, საოცარ სტიმულს მისცემს, შეუძლებელს შეაძლებინებს და მეტი მომხიბვლელობას შესძენს.

სამსუხაროდ, მხოლოდ იშვიათი უმცირესობა მამაკაცებისა, ახერხებს იმას, მიხვდეს – ქალს რა სჭირდება. არადა, მას ბევრი სულაც არ სჭირდება. ყურადღება და სულ ცოტა სიბო. რატომ უჭირთ მამაკაცებს, გაიღონ ეს ელემენტარული?! ვერ ხვდებიან თუ არ ხვდებიან?! ამ კითხვაზე პასუხი არ არის ადვილად მოსაფიქრებელი. ალბათ, ისევე მამაკაცებმა უნდა გვიპასუხოთ, მაგრამ ისინი დუმან. ეს ის თემაა, რომელსაც გაუბრძანა...

ფსიქოლოგები კაცებსაც ურჩევენ, მეტი დრო დაუთმონ საკუთარ მეორე ნახევარებს, იყვნენ მათ მიმართ ყურადღებიანები და გულსხმიერები... ნუ იძუნებენ კომპლიმენტებში და ზოგჯერ მაინც უთხარან საალერსო სიტყვები. კაცები თუ ამას დაიჯერებენ, მხოლოდ მოიგებენ და პრობლემებიც ნაკლები ექნებათ.

ქალს სჭირდება სულ რაღაც სამი-ოთხი ჯადოსნური ფრაზა. მათ კაცი თავადაც შეარჩევს. თუკი გულწრფელად მოინდომებს ამის საყვარელ მეორე ნახევარს, შესაფერის სიტყვებსაც იპოვინს.

მაგრამ ზოგჯერ მთავარი პრობლემა ის არის, უნდა კი საერთოდ მამაკაცს, მისი ცოლი ბედნიერი და გახარებული იყოს, შეიგრძნოს საკუთარი ქალობა და დატკბეს ამ სიხარულით. ძალიან ცოტა კაცს თუ ესმის, რა დიდი პლუსია მათთვის სწორედ ასეთი, სრულფასოვანი ქალის გვერდით ცხოვრება.



გვერდი მოამზადა ნინო ნულუკიძე



# სწორი არჩევანი

ნებისმიერი დიეტა და ვარჯიშები მაშინ ითვლება შედეგიანად, თუ ის ჯანმრთელობას არ ვნებს, უფრო სწორად, თუ აჯანსაღებს ორგანიზმს.

რას ვაკეთებთ ჩვენ იდეალური ფორმების მისაღწევად? პირველ ყოვლისა, ვინცებთ დიეტის დაცვას, ზოგჯერ ფიტნეს-კლუბის აბონემენტსაც ვყიდულობთ და გულდასმით ვეცნობით კოსმეტიკური საშუალებების პროცედურებს; ასევე, საჭიროზე მეტად ვითვალისწინებთ ნაცნობ-მეგობრების გამოცდილებას, მაგრამ, ძალიან ხშირად, მათი „კომპეტენტური“ რჩევები არათუ უმედეგო, არამედ ჯანმრთელობისთვის მავნებელიც აღმოჩნდება ხოლმე, რადგან, ნებისმიერი დიეტა, შესაძლოა, ეფექტური იყოს ერთისთვის, მაგრამ, არასასურველი შედეგი გამოიღოს მეორისთვის. ამიტომ, დაიმახსოვრეთ, რომ ყველაზე სასარგებლო დიეტა შეიძლება შევიაროთ მხოლოდ ექიმ-დიეტოლოგმა; ზოგადად კი, დაბალკალორიული დიეტების დაცვა ეკრძალება ორსულებს, მეძუძურ დედებს; ასევე, მათ, ვისაც ქრონიკული დაავადებები აწუხებს და 45 წელს გადაცილებულ ქალბატონებს.

ექიმთან კონსულტაცია საჭიროა ფიტნეს-ცენტრში ვარჯიშის დაწყებამდეც. შეგახსენებთ, რომ საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის



მრავალი დაავადებისა და გულ-სისხლძარღვთა სისტემის დარღვევების დროს, მიძიმე ვარჯიშები აკრძალებულია, ამიტომ, აქაც ინდივიდუალური შერჩევაა საჭირო.

რაც შეეხება კოსმეტიკურ საშუალებებსა და პროცედურებს, ამ შემთხვევაშიც ინდივიდუალური მიდგომაა აუცილებელი - ორგანიზმის თავისებურებების, კანის ტიპის, ცხოვრების წესის გათვალისწინებით. გახსოვდეთ, რომ, თუ გართულება გაქვთ სუნებზე, კატეგორიულად გეკრძალებათ არომატურაბის პროცედურები.

მათ კი, ვისაც არ აქვს დრო ან საშუალება, მიმართოს შესაბამისი დარგის ექიმს, ვურჩევთ, დაიწყოს დილის გამამხმეველი ვარჯიშები და მიწიუმე ერთსაათიანი საღამოს მოციონი (დაძინებამდე 2 საათით ადრე); ასევე, უვნებელია ფეხით სიარული, ველოსიპედით სეირნობა, ცურვა და სწრაფი ცეკვები დღის ნებისმიერ მონაკვეთში. ყოველივე ეს ხელს უწყობს არა მხოლოდ წონაში დაკლებას, არამედ, ინვესს დადებით ემოციებს, რაც განსაკუთრებით აუცილებელია ორგანიზმის გაჯანსაღებისთვის.

ზაფხულის ცხელ დღეებში არ არის მიზანშეწონილი ვარჯიშებით გადაღლა ან ძალიან მკაცრი დიეტა. ყველაფერი საჭიროა წონის ფარგლებში, რათა ორგანიზმი არ გადაიღალაოს ან არ დასუსტდეს.

ზაფხულში გაცილებით ადვილია დიეტის დაცვა, რადგან, სიცხის გამო ისედაც არ გვაქვს ხორციანი, ცხიმოვანი და სხვა მიძიმე საკვების მოთხოვნილება, ხილისა და ბოსტნეულის არჩევანი კი იმდენად მრავალფეროვანია, რომ ყველაზე პრეტენზიულ ადამიანსაც კი არ გაუჭირდება სასურველი პროდუქტის შერჩევა; უბრალოდ, არ უნდა დაგვავინყდეს, რომ კვირის განმავლობაში უნდა მივიღოთ ყველა აუცილებელი ვიტამინი და მიკროელემენტი, რათა ორგანიზმი არ გამოიფიტოს.

გთავაზობთ ერთკვირიანი დიეტის ნიმუშს (შეგიძლიათ, ზოგიერთი ხილი და ბოსტნეული სხვა სახეობით ჩაანაცვლოთ):

### პირველი დღე

**საუზმე** - 1 ჭიქა მწვანე ჩაი ან ფინჯანი ყავა (ორივე უშაქროდ), 1 ნაჭერი ყველი, 1 ცალი მოხარშული კვერცხი.

**სადილი** - ცოცხალი ბოსტნეულის (კომბოსტო, სტაფილო, ბულგარული წიწაკა) სალათა ყველანაირი მწვანით (ძალიან ცოტა მარილით), 1 ჩაის ჭიქა უცხიმო კეფირი ან მანონი, 2 ფირფიტა „ხლებცი“ ან 2 პატარა ნაჭერი ცხვილი შავი პური.

**ჯანსაღი** - თქვენთვის სასურველი ხილის ასორტი.

**შუალედებში** - ახალგამონურული ხილისა და ბოსტნეულის წვენი (უშაქროდ), გაზავებული წყალი (პროპორციით: 2 ნილი წვენი, 1 ნილი წყალი).

ჩვეულებრივი სასმელი წყალი - დღეში 2-3 ლიტრი.

### მეორე დღე

**საუზმე** - 1 ჩაის ჭიქა უცხიმო მანონი + 1 ცალი საშუალო ზომის ბანანი.

**სადილი** - 2 ცალი საშუალო ზომის კიტრისა და 2 ცალი საშუალო ზომის პომიდვრის სალათა მწვანელებით; 3 სადილის კოვზი მოხარშული ლობიო (ნაკლები მარილით); 1 ჩაის ჭიქა გაზაგასული მინერალური წყალი. 2 ფირფიტა „ხლებცი“ ან 2 პატარა ნაჭერი ცხვილი შავი პური.

**ჯანსაღი** - აირღუმელში გამომცხვარი 2 ცალი მოზრდილი ვაშლი თითო კოვზი თაფლით. წვენი და წყალი - იმავე რაოდენობით.

### მესამე დღე

**საუზმე** - 1 ფინჯანი ყავა ან 1 ჭიქა მწვანე ჩაი (ორივე უშაქროდ), 100 გრამი უცხიმო ხაჭო, 1 ნაჭერი ცხვილი შავი პური თაფლით.

**სადილი** - 2 მომცრო ნაჭერი მოხარშული თევზი, ხილის ასორტი, 1 ჭიქა ახალგამონურული ხილის წვენი (წყალში გაზავებული), 2 ფირფიტა „ჰერკულესი“ ან 2 პატარა ნაჭერი ცხვილი შავი პური.

**ჯანსაღი** - ბოსტნეულის სალათა, 1 ჭიქა გაზაგასული მინერალური წყალი. წვენი და წყალი - იმავე რაოდენობით.

### მეოთხე დღე

**საუზმე** - 1 ფინჯანი რძიანი ყავა (უშაქროდ), 1 ნაჭერი უცხიმო და უმარილო ყველი, 1 ფირფიტა „ჰერკულესი“.

**სადილი** - ბოსტნეულის სუპი, 1 ცალი მოხარშული კვერცხი, 1 ჭიქა ახალგამონურული ხილის წვენი (წყალში გაზავებული) 2 ნაჭერი ცხვილი შავი პური.

**ჯანსაღი** - მოხარშული მკარონი (ზემოდან მოასხით 2 ჩაის კოვზი ზეთუნის ზეთი); 1 ჩაის ჭიქა გაზაგასული მინერალური წყალი. წვენი და წყალი - იმავე რაოდენობით.

### მეხუთე დღე

**საუზმე** - მოხარშული „ჰერკულესი“ ნებისმიერი ხილით (უშაქროდ), 1 ჭიქა მწვანე ჩაი.

**სადილი** - კიტრისა და პომიდვრის სალათა მწვანელებით, 2 ნაჭერი უცხიმო და უმარილო ყველი, 2 ნაჭერი ცხვილი შავი პური.

**ჯანსაღი** - უცხიმოდ მოხარშული წინიბურბა (ძალიან ცოტა მარილით).

წვენი და წყალი - იმავე რაოდენობით

### მეექვსე დღე

მეორდება პირველი დღე.

### მეშვიდე დღე

მეორდება მეორე დღე.

# კოსმეტიკის რჩევები

**კითხვა: რა რაოდენობის კოსმეტიკური რძის, დამატენიანებელი ან მკვებავი კრემის ნასმა შეიძლება სხეულზე? რა ჯობია, ძალიან ცოტა ნავისვა თუ, პირიქით, ბევრი, რომ კანმა მეტი შეინოვოს?**

**პასუხი:** საერთოდ, ყოველთვის უნდა დაიცვათ ზომიერება. ძალიან ცოტა კრემის ნასმის შემთხვევაში, კანი საჭირო რაოდენობით ვერ შეინოვს ვიტამინებსა და მიკროელემენტებს; ხოლო, თუ ძალიან ბევრს ნავისვამთ, ამით დაირღვევა კანის ბუნებრივი დამცავი პოტენციალი, რომ აღარაფერი ვთქვათ კრემებით გაფუჭებულ ტანსაცმელზე. მთელ სხეულზე ნასასმელი კრემის საკმარისი დოზა პინგ-პონგის ბურთის ტოლი უნდა იყოს. ეს რაოდენობა უნდა იმყოფინოთ კიდურებისთვის, დეკოლტესთვის, მუცლისთვის, ზურგისთვის, ღუნდულებისთვის და თქვენთვის.

კოსმეტიკური რძის რაოდენობა უნდა განსაზღვროთ სადილის კოვზებით - 2-3 სადილის კოვზი კოსმეტიკური რძე (თქვენი სიმაღლისა და სივანის გათვალისწინებით) საკმარისი იქნება.

**კითხვა: ზოგჯერ, თვალის გელის ნასმის შემდეგ, მიშუბდება ქუთუთოები, მიუხედავად იმისა, რომ ერთსა და იმავე გელს ვხმარებ. რატომ უნდა ხდებოდეს ასე?**

**პასუხი:** თუ, რომელიმე კონკრეტული გელი უნდება თქვენს კანს, მაგრამ ხანდახან მაინც იწვევს ქუთუთოების შეშუპებას, ამის მიზეზი უნდა იყოს გელის არასწორად მოხმარება, ანუ, ზედმეტი რაოდენობით ნასმა. თითოეული თვალის გარშემო საკმარისია ბრინჯის მარცვლის ზომის გელის ნასმა; გარდა ამისა, მისი „შეტანა“ კანში უნდა მოხდეს თითების მსუბუქი დარტყმებით, შემდეგი მიმართულებით: ზედა ქუთუთოს უძრავ ნაწილზე - თვალის გარეთა კუთხიდან შიდა კუთხისკენ, ხოლო ქვედა ქუთუთოზე, პირიქით - შიდა კუთხიდან საფეთქლისკენ.

**კითხვა: რა სიხშირით შეიძლება სახეზე ნიღბების გაკეთება ცხელ დღეებში?**

**პასუხი:** თუ გულისხმობთ ცოცხალი ხილისა და ბოსტნეულის ნიღბებს (დანა-



მატების გარეშე), შეგიძლიათ, გაიკეთოთ ყოველ საღამოს, დაძინებამდე 2-3 საათით ადრე; რძის პროდუქტების ნიღბები კი - კვირაში ორჯერ.

მომზადდა  
თამარიკო ზამთარაქმ



ჩემი შვილიშვილი ოჯახი ანბრავა

ჭკუიდან ვარ გადასული ნერვიულობისგან. ალბათ, ასეთ თემაზე ჟურნალში ნერილის გაგზავნის გამო ბევრი დამინათავს, მაგრამ პირდაპირ ვერ ვუბნები სათქმელს ჩემ შვილიშვილს და, თუ ეს ნერილი ნაიკითხა („თხილსელების“ ყოველი ნომერს თავიდან ბოლომდე კითხულობს), იქნებ გაითვალისწინოს.

ჩემი შვილიშვილი, ეთო, 26 წლისაა. მეექვსე ნელია, გათხოვილია, ჰყავს 4 წლის ბიჭი და კარგი ქმარი, მაგრამ ოჯახი ენგრევა – ქმარს ეყრება იმის გამო, რომ გაიგო, საყვარელი გაუჩინა. ვეხვეწები, ვემუდარებ, რომ ასე ხელაღებით ოჯახი არ დაანგრეოს, მაგრამ არაფრის გაგონება არ უნდა. ერთხელაც დავსვი და დავეცალაპარაკე. მაინტერესებდა, იყო იგი ყველაფრის მიზეზი. აღმოჩნდა, რომ ინტიმური ურთიერთობა არ ჰქონიათ მოგვარებული. ეთომ მითხრა, მამაკაცის მოთხოვნილება არ მაქვს და სულ იმას ვცდილობ, თავიდან ავირიდო მასთან სიახლოვე. კი არის ჩემი გაზრდილი, მაგრამ, მაინც ვერ ვუთხარი, რომ ასეთ ცოლს არც ერთი კაცი არ გაუჩერდება, აუცილებლად მოძინის იმას, ვისაც მასთან ურთიერთობა სიხარულსა და სიამოვნებას მოჰგვრის. თვითონვე მითხრა, რა ჩემი ბრალის, რომ ფრიგიდული ქალი ვარო. რა თქმა უნდა, ეს მისი ბრალი არ არის, მაგრამ, თან იმას რომ მიმტკიცებს, ქმარი ძალიან მიყვარსო, ხომ უნდა ილიოს რამე?

ძალიან ბევრი ფიქრის შემდეგ ჩემად ნავედი სექსოპათოლოგთან (ჩემი ნაცნობის შვილია) და ყველაფერი მოუყუვევი, რა თქმა უნდა, არ მითქვამს, რომ ჩემს შვილიშვილს ეხებოდა ყველაფერი. იმან ძალიან ბევრი რჩევა მომიცა და, ყველაფერთან ერთად, ისიც მითხრა, რომ ასეთ შემთხვევაში, თურმე, ძალიან ბევრი რამ ყოფილა დამოკიდებული მამაკაცზე – ქმარი გავებით უნდა მოეკიდოს ამას და თვითონაც უნდა ეცადოს,



რომ ცოლს „გასაღები“ მოუძებნოს და მასში ვნება გააღვიძოს, მით უმეტეს, თუ ერთმანეთი უყვართო. კიდევ რაღაც-რაღაცეები მორჩია, მაგრამ, როგორ ვინდა, ეს ყველაფერი ან ერთს ვუთხრა და ან მეორეს, არ მეტყვიან, დაბერდი და მთლად გამოჩურჩულიდი?! არადა, გული მიკვდება, ჩემს შვილიშვილს რომ ვუყუებო. ბავშვიც გიჟდება მამაზე და უშაბოდ რატომ უნდა გაიზარდოს.

(მე-18 გვერდიდან)

მათ ჩემი არ ესმით. მაღლობა ღმერთს, ჩემი შვილები ხელოვანები არიან და ისინი ზუსტად გაიგებენ, რა მიტრიალებდა თავში.

– კონკრეტული გეგმები ხომ არ გაქვთ შვილების მომავალთან დაკავშირებით?

– არ მინდა, ხმაშალალი ნათქვამი გამომივიდეს, მაგრამ, ჩემი შვილები ნამდვილად არიან არაამქვეყნიური ნიჭის პატრონები. მე რომ მათ სიმღერას ვუსმენ, ისე მღერავენ, ცოტა მეშინია. იმდენად მაგრები არიან, რომ, მგონია, მე ეს არ დავიმსახურებ. თუმცა, ფაქტია, რომ დამიმსახურებია. ჯერ კიდევ კვლევები ვარ, ეს ბავშვები ნორმალურები არიან თუ არა.

მერაბ სანოძეს უნდა, რომ ტყუუბებს ალბომი გაუკეთოს. მეც, უკვე 15 წელია, „სანო სტუდიამი“ ვმუშაობ. სანო ერთ-ერთის ნათლიაა, მაგრამ, უნდა, რომ ჩვეულებრივი მომღერლებით აიყვანოს და მათი პროდუქტები გახდეს. ეს სექტემბრისთვის იგეგმება. როცა მზად იქნება, ალბომს აუცილებლად წავიღებ ამერიკაში და ყველა სერიოზულ სტუდიებში მივიტან. დარწმუნებული ვარ, ძალიან მალე ამათი წაყვანაც მომიწევს.

ინციდენტი

დღეს ქალიც ადვილად გაიჩენს საყვარელს, თუ ქმართან მოწონიერებული არ აქვს ინტიმი და კაცს რა დააკავებს.

სექსოპათოლოგთან რომ ვიყავი, იმან მითხრა, თურმე დანგრეული ოჯახების დაახლოებით 40 პროცენტი სექსობრივი შეუთავსებლობისა და ქალის ფრიგიდულობაზე მოდის. ალბათ, დამეთანხმებით, რომ ეს სამინელებაა. არადა, ძალიან მარტივად შეიძლება გადაწყდეს საქმე – წყვილი ერთად უნდა მივიდეს შესაბამის სპეციალისტთან და მისი რჩევები გაითვალისწინოს. შეიძლება, ყველას არ ეშველებს, მაგრამ იმ 40 პროცენტის ნახევარიც რომ გადაარჩეს ოჯახის დანგრევას, ცუდია?!

თიარი, 78 წლის.

ძალიან ვნადობ, რომ ჩემს მეგობარს სიყვარული არ გამოუვტყვი

ვარ 38 წლის, გაუთხოვარი. რაც წამოვიზარდე, მას მერე ვოცნებობ ლამაზ, მყუდრო ოჯახზე ბევრი შვილით, ბები-ბაბულებით, მაგრამ, ისე მიხება, რომ ეს ოცნება ოცნებად დარჩა. თუ სასწაული მოხდა და ბედი გამეხსნა, ანუ – გაეთხოვდი, ყველაზე კარგ ვარიანტში, ერთი შვილის გაჩენას თუ მოვასწრებ, მაგრამ, ჯერჯერობით არანაირი ნიშანია ამისა არ არსებობს. ალბათ, ასე იმიტომ წარმართა ჩემი ცხოვრება, რომ არასდროს არ ვიყავი აქტიური გოგო, უფრო სწორად რომ ვთქვა, ზედმეტად მორიდებული ვიყავი, ისეთი, ბიჭებს მხოლოდ სამეგობროდ რომ უნდათ და მასში ქალს ვერ ხედავენ. არადა, გარეგნობითაც არა მიშავდა და სხვა მონაცემებითაც, მაგრამ, ეტყობა, ძალიან მაკვარდა გამზარდეს ჩემმა მშობლებმა და ყველაფერი ამის შედეგია. ლამის ოთხ ათეულ წელს ვასრულებ და, პრაქტიკულად, ფლირტი არ მქონია, ერთადერთ შემთხვევას თუ არ ჩავთვლი – იყო ერთი ბიჭი, რომელსაც სერიოზულად მოვწონდი და კარგა ხანს ვხვდებოდი კიდევ (ოღონდ, ძალიან დიდი შუალედებით); სხვათა შორის, ისიც მითხრა, რომ ვუყვარვარ, მაგრამ, ჩვენს შეხვედრებს არანაირი რომანტიკა და ფიორვერკები არ ახლდა და ვერ შევიყვარე, თუმცა, ცუდი ბიჭი არ იყო. ბოლოს კი ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ, მითხრა, მე რაიონში ვზრუნდები, ჩემს მშობლებთან და მეცც იქ უნდა იცხოვრო ჩემთან ერთად, თან, ეს ულტიმატუმით ნამომიყვან, ისიც კი არ უკითხავს, საერიოდ თუ ვიყავი თანახმა მის ცოლობაზე.

ჩემი ცხოვრების ნახევარი უკვე გავიარე და განსაკუთრებით იმაზე მწყდება გული, რომ, უკან როცა ვიხედები, ვერაფერ ლამაზსა და განსაკუთრებულს ვერ ვიხეხებ. საბოლოო ჯამში, ვისაც

საუბრები

მოვწონებივარ, ყველას ცოლად ვუნდოდი, ყოველგვარი რომანტიკების გარეშე. მე კი მიხდოდა, ვინმეს ძალიან ვყვარებოდი, დანახა და დაეფასებინა ჩემი ღირსებები, ერთად გვევლო წვიმში, ერთად გვეცინა თუნდაც უმიზეზოდ...

პირადად მე ერთადერთხელ მიყვარდა ნამდვილი სიყვარულით. ჩემი თანაკლასელი იყო, რომელთანაც ვმეგობრობდი, მაშინდელი ტერმინით, ვდაქალ-ძმაკაცობდით. ძალიან მიყვარდა, უზომოდ, მაგრამ, ერთხელაც არ მიგონობინებდა. ჩემი სამეგობროდ ერთადერთმა გოგომ იცოდა ეს ამბავი და სულ ჩამჩჩინებდა, პირდაპირ თუ არ ეტყვი, აგრძობინე მაინცო, მაგრამ, არ ვიკადრე ამის გაკეთება და, იცით, რატომ? რომ ეთქვა, კარგი გოგო ხარ, მაგრამ, შენისთანა გოგოები არ მომწონსო, ან, უტერმინოდ ეპასუხა, არ მიყვარხარ, თავი დამანებეო, ხომ მოკვლავდები დამცირებლად და შეურაცხყოფისგან?! ამიტომ, მერჩვენა, მხოლოდ მეგობრები ვყოფილიყავით. სხვათა შორის, ვერც იმან აინყო პირადი ცხოვრება – ორჯერ შეირთო ცოლი და ორჯერვე გამოირა. ერთხელ შემეხდა ქუჩაში და მაშინ მითხრა, ისე გებრძობები, ერთ ქალსაც კი არ ვყვარებოდივარ ნამდვილი სიყვარულით. მაშინაც ვერაფერი ვერ ვუთხარი. მერე ჩვენი „კულტოცი“ თავისთავად დაიშალა – ვინც ნავიდ-ნამოვიდა და აღარავის ეცალა ერთმანეთისთვის. წელს ვაპირებდი სკოლის დამთავრების 20 წლისთავის აღნიშვნას და გულში გადაწყვეტილი მქონდა, ახლა ვეტყვი, მთელი ცხოვრება შენ მიყვარდი-მეთქი, მაგრამ, ესეც არ გამომივიდა – მოულოდნელად გარდაიცვალა და თანაკლასელებმა მხოლოდ ორი თვის შემდეგ გავიგეთ ეს ამბავი, ისიც, შემთხვევით.

ძალიან განვიცადე. დღესაც ვერ ვიჯერებ, რომ აღარ არის და ძალიან მწყდება გული – ისე წავიდა ამქვეყნიდან, ვერ ვუთხარი, რომ ის ერთი ქალი მე ვიყავი – იქნებ ახლა ცოცხალი ყოფილიყო.

თაბა, 38 წლის.

რედაქციაში შემოსული უამრავი წერილიდან ამოვარჩიეთ საუკეთესო აბები და თავაზობთ მკითხველს. „ინტიმური საუბრებისთვის“ ისტორიები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ელექტრონული ფოსტით: tbiiliselebi2001@gmail.com ან მოიტანოთ რედაქციაში წერილის სახით.

რა შედეგი მოჰყვანა მათა კაჭკაჭიშვილის უკრაინაში სხოვრებას და რატომ არის სიყვარული მისთვის ტანჯვა

ერთი სიტყვით, მე ვარ გეოგრაფიული შეცდომა. მე მიყვარს საქართველო, მაგრამ, რასაც ვნერ, ის მუსიკა აქ შეცდომაა. ამიტომ უნდა ნავიდე იქ, სადაც არ იქნება შეცდომა.

– ერთ-ერთ პოსტში წყნას გამოთქვამთ იმის გამო, რომ დახმარება მხოლოდ თქვენგან უნდათ, როცა თქვენც იგივე გჭირდებათ, გაითვალისწინებთ სოლომე.

– მე ისეთი ვარ, რომ მიყვარს ადამიანზე ბოლომდე თან გადაყოლა. მერე, მე რომ დამჭირდება მათი დახმარება, ის უკვირთ, თითქოს მათთვის არასდროს არაფერი გამოიკეთებია, არადა, ბევრისთვის ლამეებიც მითენებია. მომღერალს სიმღერას რომ დავუწერ, სულაც არ ვარ ვალდებული, თავზე დავადგე და სხვა ყველაფერიც მე გავუკეთო, მაგრამ, მე ასეთი ვარ და, სანამ სიმღერა არ მიიღებს ისეთ სახეს, როგორც მე მინდა, მანამდე ბო-

ლომდე ვიხარავები. ეს ძალიან მნიშვნელოვანია მომღერლისთვის. ყველას უნდა, რომ მე ბოლომდე ვყავდე, მერე მეც რომ მინდა, ვინმე მყავდეს, ძალიან უკვირთ. იმიდა, ქრისტეს ასაკში მაინც ვისწავლი ქუქუს და ცოტა სხვანაირად მოვიქცევი.

– თქვენი ღიღის შესახებ რას გვეტყვით? უკვე საგრძნობი შედეგი გაქვთ.

– დავინყე საგრძნობად სწრაფი კლებით. როგორც წესი, ასეა ხოლმე – თავიდან სწრაფად იკლებ და შემდეგ ცოტა ჩერდება. ახლა ამ ეტაპზე ვარ, მაგრამ, ვიცი, რომ მალე დაიძვრება და, ახალი წლისთვის, ვფიქრობ, ჩემს სასურველ ფორმაში უნდა ვიყო.

– რა არის თქვენი სასურველი ფორმა?

– მინდა, რომ 67 კილო ვიყო – რატომღაც, ეს ციფრი ამოვიჩემე.



– ქალბატონო ანა, თავდაპირველად, თქვენ შესახებ გვიამბეთ.

– მე ვარ ანა მიქაძე, პროექტ „ქართული ყველის“ ხელმძღვანელი. 7 წელია, ამ პროექტზე ვმუშაობ. თავიდან ვმუშაობდი, როგორც ფოლკლორის ტექნოგრაფი. თუმცა, არც ფოლკლორისტი ვარ და არც ეთნოგრაფი. პროფესიით ფილოლოგი ვარ. მაგრამ, ზოგადად, ქართული სამეურნეო კულტურით დაინტერესდი.

– რამ გამოიწვია თქვენი ინტერესი?

– სამეურნეო კულტურის პოზიციების გადასახედოდან, ყველაზე გამოუვლელი და დაუფასებელი საქართველოში რძის პროდუქტები იყო. ჩვენთან ძალიან კარგად არის პოზიციონირებული ღვინო, თავი და ასე შემდეგ. უსამართლოდ გახლდათ დაწარგული ყველი, რომლის მხოლოდ 4 სახეობა იყო ცნობილი: იმერული, სულგუნი, გუდა და ქარხნის.

თავდაპირველად, ლიტერატურაში დაიწყო ქართული ყველის სახეობების ძიება, შემდეგ ექსპედიციებიც იყო და საკმაოდ ბევრი სახეობა აღმოვაჩინე.

– პირველი ნაბიჯის გადადგმა, მით უმეტეს მაშინ, როცა წინა მორბედიც არ გვავს, რთულია. თქვენს შემთხვევაში როგორ იყო?

– საქმეს მარტო შევუდექი, რადგან მაშინ ეს თემა არავის აინტერესებდა. ყველს რომ ვახსენებდი, ფეხები უკან მრჩებოდა, რადგან ყველს ეციხებოდა და არასერიოზულად უყურებდნენ ამ საკითხს. უცხოელები მეუბნებოდნენ, რომ ჩვენს ყველი ძალიან მარილიანია და არ მოსწონდათ. ქართველი ექსპერტები სხვადასხვა არ იყო სახარბიელო შეფასებები. მაგრამ, როგორც გითხარით, ლიტერატურას გავეცანი და იქ მარტო ჩამონათალიც კი იმდენად მთავრად იყო აღმოჩნდა, გადავწყვიტე, უკან არ დამეხია. ყველაფერი დამთავრდა იმით, რომ დაიბადა პროექტი „ქართული ყველი“. ჩვენ გვაქვს ეთნოგრაფიული მუზეუმი და ცუდი ქურჭლის ასლები. აქედან ერთ-ერთი ყველის ქურჭელია, რომელსაც 6 000 წლის ისტორია აქვს. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. მაგრამ ერთია, როცა ლიტერატურას კითხულობ, მუზეუმში ნივთს ნახავ და მეორე, როცა ექსპედიციაში გადიხარ და თავად ადევნებ თვალს მათი დამზადების წესს. ასე წელ-წელ, სოფელ-სოფელ შეიქმნა პროექტის პირველი ქარგა.

– როდის იყო პირველი სერიოზული გამოხმაურება?

– პროექტი 2004 წელს დაიწყო. როგორც გითხარით, თავიდან არასერიოზულად უყურებდნენ. მაგრამ, გადავწყვიტე, ყველასთვის დამემტკიცებინა, რა შედეგი ქართულ ყველს. ისეთებიც გამოჩნდნენ, რომლებმაც ჩემს სიტყვებს დაუჯერეს და გვერდში დამიდგნენ. ეკონომიკის სამინისტროში განაცხადი შექმნილი, მაგრამ გამოხმაურება არ იყო.

2010 წელს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ გამართა ღვინის კონგრესი, სადაც სოფლის სხვადასხვა კუთხიდან იყვნენ ჩამოსული. კონგრესს დასჭირდა გაფორმება და მოვლარეთეს ჩვენი. ყველის ფესტივალი სიღნაღში გაიმართა. უცხოელებში ქართული ყველს მაინცდამაინც კარგი სახელი არ ჰქონდა. ის ოთხი სახის ყველი, რომლითაც მათ რესტორნებში უმასპინძლებდნენ, არ მოსწონდათ. ამიტომ, ავტობუსებიდან ჩამოსვლას არც აპირებდნენ.

მე, ჩემი მხრივ, ბევრ ადამიანთან ვიყავი შეთანხმებული: მეყველებთან, მოცეკვავეებთან, ქალბატონი მზია აფრიდონიძე დამირადა, კონკრეტულ გაგიკეთებოდა და ასე შემდეგ. მაგრამ, იქიდან გამომდინარე, რომ მაშინ ამას სერიოზულად არავინ უყურებდა, ეს დაპირებები ყასიდად ნათქვამად ჩავთვალე და შეიძლება არც არ-

დაახლოებით თვე-ნახევარია, რაც თბილისში „ყველის სახლი“ გაიხსნა, სადაც შეგიძლიათ ნახოთ, არა მხოლოდ ტრადიციულად ცნობილი რამდენიმე სახეობა, არამედ უამრავი სახის ქართული ყველი, რომელთა აღმოჩენა და ფართო ასპარეზზე გამოტანა პროექტ „ქართული ყველის“ ხელმძღვანელს, ქალბატონ ანა მიქაძე-ჩიქვაძის სახელს უკავშირდება.

როგორც ქალბატონი ანა თავად აღნიშნავს, ეს ეროვნული პროექტია, რომლის მიზანაც ქართული ყველის პოზიციონირება და იმ სიმაღლემდე აყვანაა, რომელზეც დღეს თუნდაც ქართული ღვინო დგას, არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მსოფლიოს მასშტაბით.

## რატომ იყო ქართული ყველის მიმართ არასერიოზული და მოკიდებული

ავინ მოსულიყო. ბოლოს და ბოლოს ჩემი ბიუჯეტი 1 000 დოლარს შეადგენდა და ისიც ნასესხები მიქონდა. ამ ყველაფრის გამო ძალიან ვერგო-ოვლობდი, მაგრამ მართლა სასწაული მოხდა. სიღნაღში, ბებრის ბაღში ვიჯექი და ზუსტად იმ დროს, როცა ფესტივალი უნდა დაწყებულიყო, უამრავი ავტობუსი მოვიდა. 10 წუთში იქაურობა გაივსო. მარტო იმერეთშია ისეთი სანახაობა მოაწყო, ეგ ღირდა ყველაფრად. ფანდურებით, გიტარებით, დოლებით, ნაციონალურ-კუთხური ტანსაცმლით იყვნენ მოსულნი. მღეროდნენ, დანწული ლოზე გაართეს. ქალბატონმა მზიამაც შესარულა დანაპირები და კონცერტი გამართა. ყველიც უამრავი მოიტანეს. ადვილს ვერ ნახავდით, სადაც საინტერესო რამ არ ხდებოდა და უამრავი ხალხი არ იყო.



შეიძლება, მთელმა მსოფლიომ არ იცის ჩვენ შესახებ, მაგრამ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტი მოხდა – ჩვენს ერთ-ერთ ყველს – „ტენილს“ „იუნესკომ“ კულტურის ძეგლის სტატუსი მიანიჭა

მეღვინეებიც ჩამოვიდნენ, მაგრამ ყველის გასინჯვას არ აპირებდნენ. ებრაული გასუფმა კამერის მანონი და „ტენილი“ ყველი გასინჯა და ყველას ურჩია გასინჯვა. მათი გაოგნებულ სახეები უნდა გენახათ, როცა ყველს აგემოვნებდნენ.

ფრანგი მეღვინეების დელიგაციის ხელმძღვანელი მეორე დღეს ტელევიზიით გამოვიდა და თქვა: „ხალხნო, ვიცო, რომ ძალიან კარგი ღვინო გაქვთ, მაგრამ მე გუშინ აღმოვაჩინე ქართული ყველი. მსგავსი ვემოსი და ასეთი მრავალფერო-

**ზრანბი პოლიტიკის დეკლარაციის ხელმოწერის შემდეგ რამდენიმე დღის განმავლობაში:**  
**„ხალხნო, ვიცი, რომ ძალიან კარგი ღვინო გაქვთ, მაგრამ მე გუშინ აღმოვაჩინე ქართული ყველი. მსგავსი ვემოსი და ასეთი მრავალფერო-**

ვანი პროდუქტია ვერ არსად შემხვედრია. ხელები ამინევია“. უკვე შემდგომ პერიოდში მსგავს შეფასებას ძალიან ბევრჯერ შევხვდი.

– ამ მომენტისთვის რა მასშტაბებს მოიცავს „ყველის სახლი“?

– ვერ კიდევ მწირი მასშტაბები გვაქვს, თუმცა იმდენი მომცემი მდგომარეობაა. რაც მთავარია, მოხდა სამინაო თუ საგარეო აღმოჩენა. შეიძლება, მთელმა მსოფლიომ არ იცის ჩვენ შესახებ, მაგრამ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტი მოხდა – ჩვენს ერთ-ერთ ყველს, „ტენილს“ „იუნესკომ“ კულტურის ძეგლის სტატუსი მიანიჭა. შემდეგ ზოგმა ფერმერმა აიტყცა მისი რეცეპტი და თვითონაც დაიწყო დამზადება.

– ასეთ შემთხვევაში თქვენთან შეთანხმე-

ბა უხდებათ ფერმერებს?

– ამ საქმიანობის გამო სოფელში გადავსახლდი, სადაც პატარა სანარმოს ვამყენებ. იქ ექსპერიმენტებს ვატარებ და ვაპირებ, ჩემი მემუშავებული სახეობის ყველს დამზადებას. ეს ეთნოგრაფიული სახარბიეო იქნება, მუზეუმის დატვირთვით და ნებისმიერ მსურველს არა მხოლოდ მისი დათვალიერების, არამედ პროცესში მონაწილეობის საშუალებაც ექნება. მაგრამ ამ მომენტისთვის მე არ ვარ არც ერთი ყველის ავტორი. უბრალოდ, ვიპოვე ისინი და დავარეგისტრირე. სურსათის უზრუნველყოფის სამსახურმა ახლახან შექმნა ნორმა, რომლის თანახმად, თუ ვინმე ჩემ მიერ „საქპატენტში“ დარეგისტრირებულ ყველს ნაიღებს, მე შემიძლია ვუჩივლო. აქამდე ასე არ იყო. თუმცა, არავის ჩივებდა არ ვაპირებ. პირიქით, რაც მეტი გააკეთებს, უკეთესია. მთავარია, თუ აზნაღებენ, არ დაარღვიონ ტექნოლოგია და წესები, წინააღმდეგ შემთხვევაში, აუცილებლად ვუჩივლებ. თუმცა, საქართველოსთვის ეს ყველაფერი ჯერჯერობით ცოტა ადრეა.

– ფესტივალებში აქტიურად მონაწილეობთ?

– წელნინადმი ერთხელ ტარდება ფესტივალი. ახლა ვემზადებით კავკასიური ყველის ფესტივალისთვის. საჭიროა, ჩვენმა ზაზარმა ნახოს, რა ხდება მუზეუმის სახელმწიფოებში და კონკურენციამ რაებას, რაც დადებითად აისახება ჩვენს წინსვლაზე.

– რამდენი ხანია, რაც მალაზია გახსენით და აქტიურია თუ არა მომხმარებელი?

– ეს არის მალაზია-კავკ, მოუ-რუმის ტიპის. სადაც იფინება ჩვენი პროდუქტი. თვე-ნახევარია, რაც ვახსენებ. ვერ ვიტყვი, რომ მომხმარებელი ძალიან აქტიურებს. გახსნის მეორე დღეს მარხვა დაიწყო, ზაფხულია და ქალაქიც დაცარიელდა, მაგრამ, ბუნებრივია, ეს ფაქტორები გათვალისწინებული გვქონდა. შედეგის მიხედვით გეტყვით, რომ ეს ბიზნესი ნამდებინა ნამდებინად არ არის. განვითარების დინამიკა ძალიან კარგია. თუმცა, ის არ არის, რაც უნდა იყოს. უფრო მეტად დაინტერესება არის სალაროებიდან, კორპორატიული სალაროებიდან, ივენთებიდან, ბანკებიდან... „თბილისი ბანკს“ ჩაუტარეთ ყველის და ღვინის ფესტივალი. ხშირად გვირეკავენ ქორნილისთვისაც. ერთხელ უზარმაზარი ქორნილი გავაფორმეთ წინანდალში. სადაც ყველის მაგიდა ცალკე იყო და ხალხი თეფშებით იდგარ რიგში. ცნობილი ადამიანების წვეულებებსაც ხშირად ვაფორმებთ.

– როგორი ფასები გაქვთ?

– ჩვეულებრივ, ყველზე (გუდა, იმერული...), რომლის შექმნაც ყველან შესაძლებელია, ჩვენთანაც ტიპური ფასებია. მაგრამ, ყველის განსაკუთრებულ სახეობებს, რომლებიც იშვიათია, მომხმარებელიც იშვიათი მყავს. რასაკვირველია, მას ფასიც შესაბამისი აქვს. თუმცა, ადეკვატურ ყველს ვეროპაში ათჯერ მეტი ფასი აქვს.

– უახლოეს მომავალში, მასშტაბების გაზრდას თუ გეგმათ?

– ამისთვის მხოლოდ მე არ ვარ საკმარისი. მასშტაბების გაზრდისთვის, ქართული ყველის ტრადიციების პირობების შექმნისთვის, სახელმწიფოს მხრიდან სერიოზული ძალისხმევა საჭიროა.

ქეთი კვაანაძე





# ეპიკა ქანსი

**გაგრძელება. დასაწყისი**  
**იხ. „თბილისელი“ №31-34(713)**

– კარგი, მაპატიე, – ტომასმა ისევ შეავსო სასმისები და ჭიქა აიღო, – შენ გაგიმარჯოს, უფრო სწორად, შენ და შენს ცოლს ერთად გაძღვევრდებით, დიდ სიყვარულსა და ურთიერთგაგებას გისურვებ...

რეზომ გაოცებით შეხედა ამერიკელს:

– კარგად გისწავლია სადღეგრძელოების თქმა.

– ჰო, რაც მომწონს, იმას ძალიან სწრაფად ვითვისებ, – გაეცინა ტომასს, – საერთოდაც, მომწონხართ ქართველები, მაგრამ, რალაც-რალაცებს ვერ ვიგებ.

– მაგალითად?

– მაგალითად... – დაიწყო ტომასმა და რეზოს თვალეში შეხედა, – არ გენყინება, რომ გითხრა?

ტომასის ხმაში რეზომ ისეთი გულწრფელი ნოტი დაიჭირა, უცებ იგრძნო, რომ ეს ახალგაზრდობის უცხოელი, აბსოლუტურად განსხვავებული ცხოვრების წესით, განსხვავებული მენტალიტეტით, განსხვავებული შეხედულებით სიყვარულზე და, საერთოდ, ცხოვრებაზე, ამ წუთებში მისთვის ყველაზე ახლობელი ადამიანი გახდა და მასთან გულის გადასლა მოუნდა.

– არ მენყინება, მიდი, მითხარი, რას ვერ იგებ, – უპასუხა ღიმილით, – სასმელმა გულწრფელობის განწყობაზე დამაყენა... სასმელმა და იმ მამაკაცურმა თანადგომამ, რასაც ახლა შენგან ვგრძნობ.

ტომასმა კეთილად გაუღიმა და პირდაპირ უთხრა, რასაც ფიქრობდა:

– მაგალითად, ვერ ვიგებ ქართველი კაცების დამოკიდებულებას ცოლების, ან, თუნდაც, შეყვარებულების მიმართ. უკვე მესამედ თუ მეოთხედ ვარ საქართველოში და, ქუჩაშიც და წვეულებებზეც თვალში მხედვება თქვენი უცნაური ურთიერთობა ქალებთან.

– რას გულისხმობ? – ვერ მიხვდა რეზო.

– რას და, თქვენ, ქართველ კაცებს, გრცხვენიათ თქვენი სიყვარულის გამოხატვის თუ გამოყვანების. ამერიკით დანაყებულ, ყველა ქვეყანაში, სადაც კი ვყოფილვარ, შეყვარებუ-

ლები ქუჩებში ან ჩახუტებულები დადიან, ან ხელჩაკიდებულები და ერთმანეთს ისე შესცივინებენ თვალებში, შორიდანვე იგრძნობს ვილაც უცნობი გამგელელი, რომელიც თუნდაც ცალი თვლით შეხედავს, რომ მათ ძალიან უყვართ ერთმანეთი; იგივე შემძლია ვთქვა ცოლ-ქმარზე, რომლებსაც ერთმანეთის გვერდით ყოფნით გამოწვეული ისეთი ბედნიერება აწერიან სახეზე, თითქოს უნდათ, რომ მთელ ქვეყანას დაანახონ, როგორ უყვართ ერთმანეთი. ეს განსაკუთრებით მამაკაცებს ეტყობათ – ისინი დაუფარავად ცდილობენ, გვერდით მყოფ ცოლსა თუ შეყვარებულს აგრძობინონ სიყვარული, ზრუნვა და მფარველობა... აქ კი რა ხდება?

– აქაც იგივე ხდება, – რეზომ ქართველი კაცების დაცვა სცადა, მაგრამ, აღარ განაგრძო, სიტყვა ისევ სტუმარს დაუთმო.

– არა, იგივე კი არა, ყველაფერი პირიქით ხდება, – განაგრძო ლაპარაკის აზარტში შესულმა ტომასმა, – ნებისმიერ ქვეყანაში, სადაც ჩავდივარ ხოლმე, მიყვარს ქუჩაში სეირნობა და ხალხის დაკვირვება – ამით რალაც დასკვნებს ვაკეთებ ხოლმე, ისე, ჩემთვის; თან, იმ ქვეყანაზე გარკვეული აზრი მექმნება.

– მერე, რა აზრი შეგექმნა ქართველებზე?

– ზოგადად, კეთილი ხალხი ხართ, სტუმარზე თანგადაყოლა იცით, დედების და, ზოგადად, ქალების სადღეგრძელოებს ფეხზე წამოდგომით სვამთ, ლექსებითა და სიმღერებით ასხამთ სოტბას, მაგრამ, რა ხდება სუფრის მიღმა?

– მაინც, რა ხდება ისეთი, რაც შენთვის მიუღებელი აღმოჩნდა? – გაეცინა რეზოს.

– სწორედაც რომ მიუღებელი – ხომ ხედავ, შენ თვითონვე მომანდევ ის სიტყვა, რომელსაც მე ვერ მივაგენი. ჩემთვის მიუღებელია ის, რომ ქუჩაში, თუნდაც ძალიან ახალგაზრდა წყვილები ისეთი სახეებით დადიან, თითქოს გაბუტულები არიან; ხელგადახვეული და ხელჩაკიდებული შეყვარებულები ძალიან იშვიათად დამინახავს; უფრო მეტიც, ორი-სამი ნაბიჯით წინ ბიჭი მიდის, თითქოს არ უნდა, ვინმე მიხედვს, რომ გვერდით შეყვარებული მიჰყვება; გოგო კი უკან მიჩანჩალებს რალაცნაირი დაჩაგრული სახით... აი, რაც შეეხება ცოლ-ქმარს, აქ უფრო მძიმე სურათია: ქუჩაში მოსეირნე დაოჯახებული წყვილი თითქმის არასდროს დამინახავს.

– შენ რა იცი, რომელი წყვილია დაოჯახებული და რომელი – არა, რა, შუბლზე აწერიან? – ისევ გაეცინა რეზოს.

– შენ წარმოიდგინე, აწერიან. მართალია, ქუჩაში მოსეირნე ცოლ-ქმარი თითქმის არასდროს შემინიშნავს, მაგრამ, სამაგიეროდ, დამინახავს, როგორი სახეებით გამოდიან სახლიდან ან როგორი სახეებით სხედან მანქანაში...

– მაინც, როგორი? – დაინტერესდა რეზო, რადგან, ბევრი რამ

მართლაც ენიშნა.

– როგორი და, გაქვავებული, უფრო ხშირად კი – გაღიზიანებული თუ გაბოროტებული, თითქოს რამდენიმე წუთის წინ სამკვდრო-სასიცოცხლოდ იჩხუბეს და ახლა იძულებულნი არიან, ერთად წავიდნენ სადღაც... ქალს უფრო განაწყენებული ან გულნატკენი სახე აქვს, კაცს კი – გაავებული, რომ, იძულებულია, ასეთი ქალი ეჯდეს გვერდით, არადა, დიდი ალბათობით, შეიძლება, წინა საღამოს, სადღაც, სუფრაზე, მუხლზე დაჩოქილმა ან სკამზე ასულმა შესვა ქალების სადღეგრძელო სწორედ იმ ცოლის თამალობით, რომელიც ახლა მას გვერდით უზის გაბოროტებული სახით; ან, სულაც, შეიძლება, წინა ღამეს, სექსის დროს, ათას სასიყვარულო სიტყვას ჩასწურულვდა, ახლა კი ისე აღიზიანებს ამ ქალის არსებობაც კი, რომ მისკენ გახედვაც არ უნდა...

– დიდძალი დაკვირვებები ჩავიტარებია, – ცოტა ირონია გაურია ხმაში რეზომ, – სამწუხაროა, რომ ქართველ კაცებზე ასეთი აზრი შეგექმნა, სინამდვილეში, არც ისე ცუდები ვართ, როგორც შენ გგონია...

– მაპატიე, მაგრამ, მე ჯერ არ დამიმთავრებია, – შეანწყვინა ტომასმა, – ძალიან გთხოვ, მომიხმინე.

– რა მოვისმინო, ჩვენი ლანძღვა-გინება?

– ეს ლანძღვა-გინება არ არის, ეს სულ სხვა რამეა.

– რა სხვა რამე?

– თუნდაც სოციალური დაკვირვება დაარქვი, ან, უბრალოდ, უცხოელი მეგობრის დაკვირვების შედეგი...

– კარგი, უცხოელო მეგობარო, განაგრძე ქართველი კაცების გატისკვა.

– „გატისკვა“ რა არის? – ვერ გაიგო ტომასმა.

– ეს სლენგია და, მსუბუქად რომ ვთქვა, გალანძღვამდე მისულ მკაცრ კრიტიკას, უფრო ზუსტად, ალბათ, სიტყვით ცემას ნიშნავს. ინგლისურად არ ვიცი ამ სიტყვის შესაფერი სი უარგონი და ამიტომ ვთქვი ქართულად, – აუხსნა რეზომ.

– სხვათა შორის, სულ მინდა, გკითხო: სად ისწავლე ინგლისური ასე კარგად? აბსოლუტურად უმცდლოდ ლაპარაკობ...

– სამი წელი ლონდონში ვსწავლობდი, მერე კი ორი წელი ამერიკაში ვიყავი სტაჟირებაზე, ასე რომ, გასაკვირი არაფერია.

– ნათიამ?

– რა – ნათიამ? – უცებ დაიხაზა რეზო.

– ნათიამ სად ისწავლა ინგლისური? – გაეღიმა ტომასს რეზოს რეაქციაზე.

– ჰო... ნათია მხოლოდ ამერიკაში სწავლობდა ორი წელი.

– გასაგებია... – ტომასმა ჯიბიდან სიგარის კოლოფი ამოიღო და რეზოს შესთავაზა: – არ გინდა? ნამდვილი ჰავანურია, მეგობარმა ჩამომიტანა და ხანდახან ვერთობი ხოლმე.

– არ მიყვარს სიგარა, ისედაც იშვიათად ვწენვი, მით უმეტეს – ნასვამზე, – რეზომ ჭიქები შეავსო და ტომასს მიუჭახუნა, – განაგრძე, რასაც ამბობდი ქართველ კაცებზე.

– რაზე გაფიქრდი? – დაფიქრდა ტომასი, – ჰო, მანქანაში ჩამჯდარ ცოლ-ქმარზე, გაცოფებული თუ ნაჩხუბარი სახეებით რომ სხედან გვერდგვერდ და თითქოს ერთი სული





აქვთ, როდის მოიშორებენ ერთმანეთს თავი-დან.

- ეს ყოველთვის ასე არ არის, - ისევ დაიცვა ქართველი კაცები რეზომ.

- მაგრამ, უმრავლეს შემთხვევაში ასეა, - არ დაეთანხმა ტომასი, - ყოველ შემთხვევაში, შემოიძლია, ვთქვა, რომ ერთმანეთის სიახლოვეთ ბედნიერი და სახეგაციკროვნებული წყვილი საქართველოში ჯერ არ დამინახავს.

- სხვაგან?

- სხვაგან - თითქმის ყველგან. თქვენ ძალიან უცნაური ხალხი ხართ. არ გენყინოს, მაგრამ, ქართველი კაცები მხოლოდ სუფრაზე ან სხვების დასანახავად არიან რაინდები.

- თუ ხვდები, რომ ნელ-ნელა აძლიერებ ქართველი კაცების თავზე ქაქის დასხმას? - ამკარად გაბრაზდა რეზო, - ზედმეტი ხომ არ მოგდის? ან, აქ, ამ დარბაზში, ვის ხედავ არ-არაინდს?!

- ხომ დავთქვით, რომ მე იმას გეტყვოდი, რასაც ვფიქრობ, შენ კი არ გენყინებოდა, - შეახსენა ტომასმა.

- ჰო, მაგრამ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ კონტროლი აღარ გაუწიო შენს სიტყვებს, - მკაცრად უპასუხა რეზომ და გამაფრთხილებლად დაუქნია თითი, - თანაც, თუ კრიტიკაზე მიდგა საქმე, მეც მიცხოვრია ამერიკაში და მეც შემოიძლია, თქვენს უარყოფით თვისებებზე ვილაპარაკო. ქართველი კაცების რაინდობაში ეჭვის შეტანა კი, რბილად რომ ვთქვა, დამამცირებელია, მით უმეტეს - ამერიკელი-სგან. ჩვენ უძველესი ვართ, თქვენი ქვეყნის ასაკის კი სკამები და კომოდი მიდგას სახლში, სხვაზე რომ არაფერი ვთქვა, - ამკარად გაცხარდა რეზო.

- რატომ ბრაზობ? მე, უბრალოდ, იმას ვამბობ, რასაც ვხედავ. ვიცი, რომ ერთ-ერთი უძველესი ერი ხართ მსოფლიოში; რომ რაინდობა თქვენი სულის თვისებაა, მაგრამ, რატომღაც, რაინდობას თქვენს სულიერ მოთხოვნილებად კი არა, ერთი დიდი სპექტაკლის პატარ-პატარა ეპიზოდებად აღვიქვამ, რომლებსაც მხოლოდ საჩვენებელი დანიშნულება აქვს.

- რას გულისხმობ? - ისევ ამირიზა რეზო.

- ნელან მკითხე, ამ დარბაზში მყოფთაგან რომელი ქართველი კაცი არ არის რაინდიო.

- ჰო, მერე?

- გინდა, გითხრა სიმართლე? არ გაბრაზდები?

- მითხარი.

- აქ მყოფთაგან არც ერთი არ ხართ რაინდი, მათ შორის, არც შენ.

- რატომ? - მართლა დინტერესდა რეზო.

- ახლავე ავიხსნი: თქვენი თანამშრომლებიდან, როგორც ვიცი, ორი-სამი კაცი თუ იქნება აქ ცოლის გარეშე მოსული; ასევე, ალბათ, რამდენიმე გაუთხოვარი ქალიც გყავთ სამსახურში და, შესაბამისად, მეორე ნახევრების გარეშე მოვიდნენ. ყველა დანარჩენს ან ცოლი ახლავს, ან - ქმარი, ანუ, დაოჯახებულ წყვილები არიან.

- მერე? - ინტერესი გაუძლიერდა რეზოს.

- მერე ის, რომ, ალბათ, არ შეგიხედავს მათთვის ცეკვის დროს. აი, თუნდაც ახლა, სახეზე დავაკვირდეთ საცეკვაოდ გამოსულ ყველა ქართველ მამაკაცს და, ხომ არ ვიცი, ვინ ვისი ცოლი ან ვისი ქმარია, მაინც შეუმც-

დარად გეტყვი, რომელი კაცი ცეკვავს თავის ცოლთან და რომელი - სხვა ქალთან, გინდა?

- მიდი.

- რაზე დავნაძლევდით?

- ერთ დოლარზე, - გაეცინა რეზოს, - ამერიკელები დიდ სანაძლეოს ერთ დოლარზე დებენ ხოლმე.

- კარგი. ერთ დოლარზე და, კიდევ, გულ-წრფელ პასუხებზე.

- რა პასუხებზე? - ჰკითხა რეზომ და უცბად მიხვდა, რომ ტომასს მისგან რაღაცის გაგება აინტერესებდა, თუმცა, არ აგრძნობინა, რომ მიხვდა.

- ერთმანეთს ნებისმიერ ხუთ-ხუთ კითხვას დაუფსავთ და ორივემ გულწრფელად უნდა გავცეთ პასუხი.

- დაახლოებით ასეთ თამაშს თამაშობენ ჩვენთან სკოლის ასაკის გოგონები, ოღონდ, რვეულში წერენ კითხვებს და თავიანთ ნაცნობებს აძლევენ გულწრფელი პასუხების ჩასაწერად, - გაეცინა რეზოს.

- კარგად მოუფიქრებიათ. რა ჰქვია ამ თამაშს?

- „მეგობრობის დღიური“.

- ჰოდა, ჩვენც ვითამაშოთ „მეგობრობის დღიური“, ოღონდ, ზეპირად, მით უფრო, რომ ამ საღამოს განმავლობაში თითქმის დავმეგობრდით. თანახმა ხარ? - გულითადად გაუღიმა ტომასმა.

- თანახმა ვარ, - უპასუხა რეზომ და უკვე მეორედ იგრძნო, რომ ეს უცხო ადამიანი მართლა ძალიან ახლობელი გახდა მისთვის.

ექსპერიმენტი ტომასის გამარჯვებით დასრულდა - თორმეტი მოცეკვავე კაციდან ყველა სწორად გამოიცნო, ვინ ცეკვავდა ცოლთან და ვინ - სხვა ქალთან.

- მაგარი ხარ, - ხმამაღლა გაეცინა რეზოს, - ხელები ამინევია. მიდი, დამისვი კითხვები.

ის იყო, ტომასმა პირველი შეკითხვის დასმა დააპირა, რომ ცეკვები შეწყდა და კარაკე დაიწყო. როგორც კი პირველი სიმღერა გაჟღ-

ერდა, პატარა სცენაზე ნათია ავიდა, მიკროფონი აიღო და გამოაცხადა:

- შეეცდები, ჩემი შესრულებით გული არ გაგიხეთქოთ, მაგრამ, ამ სიმღერას ვუძღვნი აქ მყოფ ყველა შეყვარებულ მამაკაცს, განურჩევლად ასაკისა, ეროვნებისა, და, რა თქმა უნდა, თანამდებობისა!

დარბაზში ტაში და მოწონების შეძახილები გაისმა, რის შემდეგაც ნათიამ სამი სიმღერა ზედიზედ შეასრულა, თან იქ მყოფი ქალებიც აიყოლია და, ისეთი ფიორვერკი მოაწყო, ყველა მის სახელს გაიძახოდა.

გაოგნებული რეზო პირდაღებული უყურებდა ცოლს, თითქოს ეჭვი ეპარებოდა, ის ლამაზი ქალი, რომელიც მთელი დარბაზის ყურადღების ცენტრში მოექცა, მართლა ნათია იყო თუ არა. ტომასი მოჭუტული თვალებით, ღიმილით აკვირდებოდა მას და ხანდახან ნათიასაც გახედვდა ხოლმე, რომელიც, ერთი შეხედვით, მთელი არსებით მისცემოდა მზიარულებას, მაგრამ, მხოლოდ ტომასმა შენიშნა (როგორც ქალების „ექსპერტმა“), რომ მისი ახალი მეგობრის ცოლს თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე და გაფაციცებით ექებდა დარბაზში ვიღაცას.

კარაკე სადღეგრძელოებმა ჩაანაცვლა, მერე ვიღაცამ ქართული ცეკვები მოითხოვა - სტუმრებს ვასიამოვნოთო და, რეზოს აღარ ახსოვდა, საღამოს დაწყებიდან უკვე მერამდენედ ჩამოუვარდა ყბა გოცებისგან, როცა ნათიამ ქართული ცეკვების შესრულებაშიც პირველი ადგილი აიღო.

- მართლა მაგარი ქალია! - აღფრთოვანება ვერ დამალა ტომასმა, - ნამდვილი ცედი-ოფალია. ბედნიერი კაცი ხარ, ასეთი ცოლი რომ გყავს - იცოდე, ამას ნამდვილი შურით გეუბნები. თუმცა, სიმართლე გითხრა, მაინც-დამაინც ბედნიერად არ გამოიყურები.

- რა, დილიდან საღამომდე პირი უნდა მქონდეს მოხეული და ვიცინოდე?

- არა, მაგრამ, არც ცხვირ-პირი არ უნდა ჩამოგტიროდეს მთელი საღამო. თუმცა, ამას



იცნობრო - ნიშნავს, კვალი დატოვო

ბატონ ოთარ კიკვაძეს, „ყამირი და ნასვენნი მიწების ათვისების“ პიონერსა და სამგზის მოლაშქერს, სახალხო განათლების ნარჩინებულ მოღვაწეს, ქალაქ ქუთაისის განათლების ღვანლმოსილ მუშაკს, ჰუმანური პედაგოგიკის რაინდს, თავმდაბალ, სამართლიან, უანგარო, კოლორიტულ პიროვნებას, საუკეთესო პროფესიონალს, 29-ე საშუალო სკოლის ყოფილ სასწავლო ნაწილის გამგეობის, რომელმაც შეძლო, ცოდნის სურვილით აენთო უამრავი მოსწავლის გული და გონება, გულოცავთ საიუბილეო თარიღს - დაბადების 80 წლისთავს!

ძნელია თქვენზე ლაპარაკი, თუმცა ნარსულში ამაზე არ დავფიქრებულვართ. თქვენი ცხოვრება არც დამქანცველია, არც ერთფეროვანი და არც მოსაწყენი. ყოველთვის საინტერესო ხალხი გეხვიათ გარს და მუდამ თავდაუზოგავად იღვწოდით. გყავდათ მიჯნური, რომელიც გიყვარდათ და უყვარდით, თუმცა, ნარსულში განგიცდიათ ძლიერი სიყვარულიც, ზოგჯერ უიძლო. იყო დიდი ტრაგედია: მეუღლის - დალმატი ჯღარკავასა და ვაჟიშვილის - შალვას (შაკოს), ძმის - ბონდოს და სიძის - ზუბა ლორთქიფანიძის უდროოდ დაღუპვამ მიძიმე დალი დაასვა თქვენს ცხოვრებას.

გყავთ მეგობრები, ნათესავები, აღზრდილების სახელოვანი პლეადა; გყავთ საკვირველი ქალიშვილი, მედიცინის დოქტორი შორენა და სანუკვარი შვილიშვილი - მარიამ ლორთქიფანიძე.

უამრავი ტკივილის მიუხედავად, სიცოცხლე მშვენიერია და ცხოვრებას ნამდვილად აქვს აზრი. ამიტომ, ვთხოვთ უფალსა და სამყაროს განგებას, კიდევ დიდხანს გაცოცხლოთ თქვენი ოჯახის წევრებისა და ახლობლების გასახარად. ფვარავდით და გაძლიერებდით უფალი!

ლამარა ლეჟავა-გვიჟაქაი, ნათია მიჰვალაქა-მრეალაშვილი, ლილა გვანციაქა-მარია.



შევეშვით, ჯობია, ჩვენს სანადღესო დაფებრუნდეთ. შენ დაინწყებ თუ მე დაინწყო?

- სულერთია, - ამოიხვეწა რეზომ.

- მაშინ, შენ დაინწყე. ოღონდ, პირობა არ დაივინყო, ორივემ აბსოლუტურად გულწრფელად უნდა ვუპასუხოთ თითოეულ კითხვას.

- კარგი, - თქვა რეზომ და უცებ იგრძნო, რომ უცნაური აზარტი დაეფუფო - სხვისი საიდუმლოს გაგების და საკუთარი დარდის ხმამალა თქმის, - პირველი კითხვა: ასე რატომ ინტერესდები ჩემი პირადი ცხოვრებით?

- იმიტომ, რომ შენ ყველაზე მეტად დაგიახლოვდი ამდენი ხალხიდან. მომენონე - საინტერესო ტიპი ხარ, არასტანდარტული. თან, შენი ცოლიც მომენონა, უფრო სწორად...

რეზო ისევ დაიბაძა:

- მე შენ გაგაფრთხილე, ტომას...

- დენთივით ნუ ფეთქდები ყოველ სიტყვაზე და მაცადე სათქმელის დასრულება, - ღმიღლით უთხრა ტომასმა, - უფრო სწორად, თქვენი წყვილი მომენონა - ძალიან უხდებით ერთმანეთს, მაგრამ, აშკარად რალაც ისე ვერ გაქვთ: ნათიას თვალბეჭდში დიდი ტკივილი ჩანს, შენს თვალბეჭდში - დაბნეულობა. ამიტომაც დავინტერესდები. საერთოდაც, ხომ გითხარი, მიყვარს ადამიანებზე დაკვირვება და მერე დასკვნების გამოტანა - ეს ჩემი ჰობია.

- კიდევ რა არის შენი ჰობი?

- ეს მეორე კითხვა?

- როგორც ვინდა, ისე ჩათვალე.

- მეორე კითხვად ჩაგივთვლი. კიდევ მაქვს ერთი ჰობი - ჩემთვის აბსოლუტური ადამიანების დახმარება, როცა ვხედავ, რომ რალაც უჭირთ და გადამწყვეტი ნაბიჯი ვერ გადაუდგამთ.

- ნათია სერიოზულად მოგენონა? - ჰკითხა რეზომ და თავი ჩალუნა, რადგან, თვითონვე შერცხვა, ეს კითხვა რომ დაუსვა.

- ნათია მომენონა როგორც ლამაზი ქალი და, ამავე დროს, როგორც ნიჭიერი და ხალისიანი ადამიანი.

- სულაც არ არის ხალისიანი, ჩემს ჯინაზე იქცევა ასე. ყოველდღიურ ცხოვრებაში კი ზედმეტად წყნარი და მშვიდი ადამიანია, - თითქოს საკუთარ თავს აუხსნა რალაც მნიშვნელოვანი, ისე დაფიქრებით თქვა რეზომ, - იმდენად ერთფეროვნად წყნარი და მშვიდი, რომ გაქცევა მოგიწევდა. არანაირი სიახლე, არანაირი ინიციატივა... სულ ერთნაირად მზრუნველი და მონესრვიებულია და, სიმართლე გითხრა, სწორედ ამან დამალა. მომბეზრდა ასეთ ერთფეროვან ქალთან ცხოვრება... არ

დაიჯერებ და, წარმოდგენაც კი არ მქონდა, ცეკვა და სიმღერა თუ შეეძლო...

- თუ შენ ფიქრობ, რომ შენს ცოლს „შებმას“ დაუწყებ, ცდები, - შეწყვეტილი სიტყვა განაგრძო ტომასმა, - მართალია, ვგიჟდები ქალებზე, მაგრამ, არც ისეთი გარყვნილი ვარ, რომ ახალდამეგობრებული კაცის ცოლს დაუწყო არმიყობა. თანაც, არის უფრო მნიშვნელოვანი მიზეზი, რომ ეს არ გავაკეთო, თორემ, შენისთანა მუდო ქმარზე ნამდვილად ახი იქნებოდა.

- რა მიზეზი?

- ეს უკვე მეოთხე კითხვაა, - შეასხენა ტომასმა და უცებად ძალიან სერიოზულად უთხრა: - ამის მიზეზი ისაა, რომ ძალიან უყვარხარ შენს ცოლს, მიუხედავად იმისა, რომ ქალუბისთვის საოცრად არასაინტერესო მამაკაცი ხარ - მუდო, გადაუწყვეტილი და უხასიათო...

- რატომ ვარ მუდო, გადაუწყვეტილი და უხასიათო? - ეწყინა რეზოს, - სიმღერასა და ცეკვა-თამაშში რომ არ ჩავერთე?

- ეს უკვე ბოლო კითხვაა...

- არა, ამას შენი პასუხიდან გამომდინარე გეკითხები, ერთი კითხვა კიდევ დამრჩა.

- კარგი, ასე იყოს, - დაეთანხმა ტომასი, - მაგაზეც გაცემე პასუხს, მაგრამ, შემპირდი, რომ არ გეწყინება.

- მიდი, არ მენწყინება, - რეზო მართლა დაინტერესდა, რას ეტყოდა ტომასი, რადგან, გულში ბევრ რამეზე ეთანხმებოდა.

- მუდო იმიტომ ხარ, რომ, მთელი საღამოა, სხვებისგან განცალკევებით, ჩემთან ერთად უზიხარ მაგიდას, გაუთავებლად სვამ, ათას რამეზე მელაპარაკები და ერთხელაც არ გაგჩენია სურვილი, ცოლთან ერთად იცეკვო, მით უმეტეს, ასეთ ქალთან.

- სხვათა შორის, შენი თავი მე ჩამაბარეს, - შეასხენა რეზომ.

- გასაგებია, მაგრამ, თოთო ბავშვი ხომ არ ვარ, რომ კალთაში ჩამისვა, არც შენ იმხიარულო და მეც არ მომცე ამის საშუალება?

- მიდი და იზიარე, მე დავგოზავდი? - გაუკვირდა რეზოს და დარბაზისკენ გაიხედა, რადგან, გაიგონა, როგორ გამოაცხადა წამყვანმა ნათია ზემის დედოფლად.

- ხომ ხედავ, თვალი მაინც ცოლისკენ გაგივრდა, მაგრამ, ერთი ადგილის სკამიდან დაძვრა გეზარება, რომ მიხედვით მასთან და თუნდაც ერთი თბილი სიტყვა უთხრა. სხვათა შორის, ისიც წელს შენკენ იყურება, შენს მზერას ეძებ. სულან თქვი, ჩემს ჯინაზე იქცევა ასე. შენს ჯინაზე კი არა, შენთვის იქცევა ასე, მაგრამ, შენ მუდო მამაკაცის კლასიკური ნიმუში ხარ და ამიტომაც ვერ ხედავ და არ გესმის.

- დიდი მადლობა. გადაუწყვეტილი რატომ ვარ?

- გადაუწყვეტილი იმიტომ ხარ, რომ, ასეთი ანგელოზის პატრონმა საყვარელი გაიჩინე - ეს, ალბათ, ის ქალია, რომელსაც წელან ფანჯარასთან ელაპარაკებოდი; სხვათა შორის, ჩემი საქმე არ არის, მაგრამ, არ შემიძლია,

არ გითხრა, რომ საერთოდ არ მომენონა, ვერც კი შევადარებ ნათიას, თუმცა, ეს შენი პირადი საქმეა და, თანაც, გემოვნებაზე არ დავობენ... მოკლედ, ცოლი აღარ გიყვარს, საყვარელი გაიჩინე და, ვინდა, მასთან ნახვიდე, მაგრამ, მაინც ვერ დგამ ამ ნაბიჯს. რა გაკავებს, შვილი? არა მგონია. მომბეზრდა ერთფეროვანი ქალი, რომ ამბობ, ერთხელ მაინც გიფიქრია, რომ მისი ერთფეროვნება შენი ერთფეროვნებიდან მომდინარეობს? ან, იქნებ, მასაც მომბეზრდი ასეთი უხასიათო? ქალს ძალიან ბევრი რამ სჭირდება, ჩემო კარგო; ძალიან ბევრი უნდა გაილო მისთვის, რომ მთლიანად შენი გახდეს და ცხოვრება გაგილამაზოს.

- ნათიასთვის არასდროს არაფერი დამიკლია, - თავი გაიმართლა რეზომ.

- რა არ დაგიკლია, ტანსაცმელი? ფეხსაცმელი? საქმელ-სასმელი? ეგ ყველაფერი ქალისთვის - ნორმალურ და ქმრის მოყვარულ ქალს ვგულისხმობ, - მესახარისხოვანია. მე გეტყვი, რაც დააკელი შენს ცოლს: ელემენტარული ყურადღება, სითბო და ალერსი... ალერსი-სი, - დაუმარცხლა ტომასმა, - გასოვდეს, ქალი კატასავითაა, დღეში რამდენჯერმე თუ არ მოეფერე, გადაგეჩვენა და იმასთან წავა, ვისგანაც მეტ სითბოს იგრძნობს.

- არა ხარ მართალი, - უმწეოდ ჩაილაპარაკა რეზომ.

- ახლავე დავიმტკიცებ, რომ მართალი ვარ, - გაცხარდა ტომასი, - ოღონდ, მართალი მიპასუხე: რამდენი ხანია, შენი ცოლისთვის სიყვარული არ აგისწინა? რამდენი ხანია, ერთად არ გისივრნიათ? რამდენი ხანია, მისთვის ყვავილები არ მიგიერთმევია? - ძირფას საჩუქარზე აღარაფერს ვამბობ... რამდენი ხანია, არ გითქვამს მისთვის, რომ ის ერთადერთი და განუმეორებელი ქალია შენს ცხოვრებაში? და, რაც მთავარია, მამატიე, მაგრამ, მაინც უნდა გკითხო: რამდენი ხანია, სექსი არ გქონიათ? ოღონდ, მოვალეობის მოხდა კი არა, ნამდვილი სექსი - ცხელი და ვენებიანი...

- ხუთის მაგივრად, მგონი, ოცდახუთი კითხვა გამოგივიდა.

- პასუხს თავს ნუ არიდებ, რამდენი ხანია, ეს ყველაფერი არ მომხდარა შენი ცოლის ცხოვრებაში? სახეზე გატყობ, რომ ძალიან დიდი ხანია, შენ კი მისგან მაინც ითხოვ მხიარულებას, სახალისო ინიციატივებს და ათას სისულელეს. წელან გითხარი, იქნებ მასაც მომბეზრებოდა და ყველაზე დამსახურებული სამაგიერო შენთვის ის იქნებოდა, რომ საყვარელი გაეჩინა, შენ კი რქებდადგმულს გეველო; მაგრამ, ის სხვანაირი ქალია, მას შენ უყვარხარ ისეთი, როგორც ხარ და შენ ამის დანახვას არ გინდა. როგორ შეიძლება, ასეთი ქალის უყურადღებოდ დატოვება თუნდაც ერთი წუთით? აქაც კი მარტო მოვიდა - დაგეზარა, სახლში მიგეკითხა და ერთად მოსულიყავით და, ალბათ, აქედანაც მარტოს გაუშვებ...

- აქედან მე სახლში აღარ დაგებრუნდები, - თითქმის გადამწყვეტი თქვა რეზომ, - უფრო სწორად, მხოლოდ ჩემი ნივთების წამოსაღებად მივალ.

- ნათიამ ეს იცის?

- ჰო, უკვე ვუთხარი.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**



# დაბადების რისხვს უდიდესი გავლენა აქვს ჩვენს ხასიათსა და თვისებებზე



რუბრიკას უძღვება თბილისის სამედიცინო აკადემიის პროფესორი, ასტროლოგი **მიხეილ ცაბარაული**

*„ღმერთო, მომეცი მოთმინება, რომ ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, გამბედაობა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისაგან“.*

**კურტ ვონეგუტი**

**ნებისმიერი ჩვენგანის დაბადების დღე-სა და რიცხვს უდიდესი გავლენა აქვს ჩვენს ხასიათსა და თვისებებზე. დღეს ვაკაცნობთ, თუ როგორი ხასიათი და თვისებები აქვთ ამა თუ იმ რიცხვში დაბადებულ ადამიანებს.**

**1, 10, 19 და 28** რიცხვში დაბადებულები ინდივიდუალისტი არიან; აქვთ განსხვავებული შეხედულებები, არიან ჯიუტები და მიზანსწრაფულები; ასევე, შეუძლიათ, შემოქმედებთაღ მიუდგენ ყველა საქმეს, რითიც არ უნდა იყვნენ დაკავებული. ისინი გამოირჩევიან დამოუკიდებლობით, ლიდერული თვისებებით, არტისტიკულობით, ორიგინალური აზროვნებითა და პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობით.

**2, 11, 20 და 29** რიცხვში დაბადებულ ადამიანებს აქვთ მდიდარი წარმოსახვის უნ-

არი, მაგრამ, აკლიათ საკუთარი თავის რწმენა, ამიტომ ისინი არც ისე შეუპოვრები არიან თავიანთი იდეების განხორციელებისას. გამოირჩევიან მგრძობიარობით, ემოციურობით, ექსტრასენსური უნარით, დიპლომატიურობით, მეოცნებეობით.

**3, 12, 21 და 30** რიცხვში დაბადებულები ძალიან თავმოყვარეები არიან, არ ემორჩილებიან სხვებს. ხშირად აღწევენ მაღალ საზოგადოებრივ მდგომარეობას თავიანთი მიზანდასახულობით. ასევე, გამოირჩევიან განსაკუთრებული სიყვარულის უნარით, არტისტიკულობით, ინტელექტუალური შესაძლებლობებით, იუმორის გრძნობით, მეწყევი ხასიათით, მდიდარი წარმოსახვის უნართა და ინტუიციით.

**4, 13, 22 და 31** რიცხვში დაბადებული ადამიანები პრაქტიკულები და მგრძობიარეები არიან. იშვიათად აღწევენ წარმატებებს, მელანქოლიურობის გამო ხშირად ითრგუნებიან; გამოირჩევიან წესრიგის სიყვარულით, პატიოსნებით, სიჯიუტით; არ ეშინიათ მძიმე სამუშაოს შესრულების. ასევე, არიან პესიმისტები, ემოციურები, ნერვიულები. აქვთ პასუხისმგებლობის გრძნობა.

**5, 14 და 23** რიცხვში დაბადებულები კარგი მოაზროვნეები და სამართლიანები არიან. მოქმედების დროს ახასიათებთ იმპულსურობა. აქვთ მისწრაფება, რომ იზოგონ ფული და გამოირჩევიან დამყოლი ხასიათით; ასევე, არიან გულმაყინეები, ინტელექტუალურები, ემოციურები, პროფესიონალები; გამოირჩევიან სხარტი აზროვნებით.

**6, 15 და 24** რიცხვში დაბადებული ადამიანები ადვილად იპყრობენ გარშემო მყოფთა ყურადღებას. არიან ჯიუტები და თა-

ვიანთი მიზნების მისაღწევად გადაწყვეტილებას არ ცვლიან. შეუძლიათ ნებისმიერ ადამიანთან ურთიერთობა, საქმისთვის თავდადება, გარშემო მყოფებზე უანგაროდ ზრუნვა, თუმცა, ამავედროულად, არიან ამბიციურები და ადვილად ექცევიან სხვების გავლენის ქვეშ.

**7, 16 და 25** რიცხვში დაბადებულები გამოირჩევიან ინტუიციითა და მიმზიდველობით. ძლიერ გავლენას ახდენენ გარშემო მყოფებზე. ახასიათებთ მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალურობა, სიჯიუტე, არტისტიკულობა, აზროვნების ანალიტიკური უნარი, რომანტიკუმი, მახვილი ინტუიცია. ადვილად შეუძლიათ ურთიერთობის დამყარება.

**8, 17 და 26** რიცხვში დაბადებული ადამიანები არიან მგზობარე ბუნების, ახასიათებთ დამოუკიდებლობა, მაგრამ ხშირად ხვდებიან გაუგებრობების მსხვერპლნი და სწორედ ამის გამო, გულის სიღრმეში მარტოდ გრძნობენ თავს. ასევე, გამოირჩევიან ფულის შოვნის უნარით, არსებული სიტუაციის საღად შეფასებით, კარგი ორგანიზატორული ნიჭით. არიან ემოციურები, ამავედროულად, ზარმაცები და ზოგჯერ მერყევივითც კი.

**9, 18 და 27** რიცხვში დაბადებულები არიან სხვების მიმართ გულმონყალეები, თანაგრძობას უწევენ გარშემო მყოფებს, არიან ეგოისტები, თუმცა, შეუძლიათ მშვიდი ურთიერთობების დამყარება. ასევე, არიან დიდსულოვნები, მოუთმენლები, დამოუკიდებლები, ამბიციურები, ნიჭიერები, არტისტიკულები. ახასიათებთ სხვების დახმარება. აქვთ პასუხისმგებლობის უდიდესი გრძნობა.

ასე რომ, თუ გსურთ, ადამიანის ხასიათი შეიტყოთ, გაიგეთ მის დაბადების რიცხვი და ასე გაარკვეით, რა კუთხით უნდა მიუდგეთ მას.



## შეკითხვა ასტროლოგს

**კითხვა:** დავიბადე 1983 წლის 15 ივლისს, საღამოს 23 საათზე. დავამთავრე საავიაციო ფაკულტეტი. მინდა უცხოეთში წასვლა. თუ მირჩევთ იქ კარიერის გაგრძელებას?

**პასუხი:** ავიაციის სფერო თქვენთვის დამბრკოლებელია. ამიტომ, თუ ორმაგი ძალისხმევა, შეუპოვრობა და მიზანსწრაფულობა არ გამოავლინეთ, ისე წარმატებას ვერ მიიღწევთ. საერთოდ, პროფესიული თვალსაზრისით, თქვენთვის უკეთესია ისეთი სფეროები, როგორებიცაა: ისტორია, არქეოლოგია, ეთნოგრაფია, საბანკო, ეკონომიკური, სავაჭრო, საფინანსო საქმე. რაც შეეხება უცხოეთს, თქვენი კოსმიური მისია უკავშირდება სამშობლოს. ამიტომ, თქვენთვის მთავარია ოჯახის შექმნა, სტაბილურობა ნათესავებთან ურთიერთობაში და პატრიოტიზმი. დროებით კი, მაგალითად, ცოდნისა და კაპიტალის დასაგროვებლად, კარგია შემდეგი ქვეყნები: ამერიკის შეერთებული შტატების დასავლეთი ნაწილი, შოტლანდია, ჰოლანდია, თურქეთი, ახალი ზელან-

დია, ჩინეთი, ინდოეთი, ნორვეგია, დანიის ჩრდილოეთი ნაწილი, მექსიკა, კუბა.

**კითხვა:** მე დავიბადე 1985 წლის 23 მაისს, დილის 7 საათზე, ჩემი რჩეული კი - 1983 წლის 9 თებერვალს. გავვიმართლებს თუ არა სამომავლოდ ურთიერთობა სასიყვარულო-საოჯახო თვალსაზრისით?

**პასუხი:** ურთიერთობა თქვენ შორის, საერთო ჯამში, მისაღება რეორტც ნების, ასევე, თვეების მიხედვით. ხასიათში ბევრი მსგავსებაა, რაც სამომავლოდ პარმონიულ ურთიერთობას გაიწვდებთ საოჯახო და სასიყვარულო თვალსაზრისით.

**კითხვა:** ჩემი და დაიბადა 2006 წლის 19 ოქტომბერს. მაინტერესებს, რა არის მისი კარმული მისია დედამიწაზე და რომელ პროფესიაში უფრო მას მეტი წარმატება სამომავლოდ ასტროლოგიური კუთხით?

**პასუხი:** თქვენი დის კარმული მისიაა, იყოს მომავალში აქტიური, ენერგიული, ინიციატივიანი; ასევე, უნდა იყოს ლიდერი, უმ-

იშარი, მებრძოლი. დაეყრდნოს კეთილშობილებას. სადაც შევა, შეიტანოს სიმშვიდე და ჰარმონია. შეძლოს შუამავლის ფუნქციის შესრულება. პროფესიებიდან კი მისთვის კარგი და წარმატების მომტანია: პლასტიკური ქირურგია, კარდიოლოგია, სტომატოლოგია, სახელმწიფო ზემალალ ემელონებში ადმინისტრაციული საქმიანობა, საიუველირო ბიზნესი, არქიტექტურა, დიზაინი, პარფიუმერიულ-კოსმეტიკური ბიზნესი, ოურისპრუნდენცია, რადიო, ტელევიზია, პრესა, სარეკლამო, საგამომცემლო საქმიანობა, პროფესიული დიპლომატია, ტურისტული ბიზნესი.

**კითხვა:** მე დავიბადე 1989 წლის 10 იანვარს, ღამის საათებში, ჩემი რჩეული კი - 1990 წლის 2 იანვარს, დილის საათებში. როგორ შევეწყობით ერთმანეთს?

**პასუხი:** თქვენი ურთიერთშეწყობა საშუალოა. ნლების მიხედვით, ეს, ხუთბალიანი სისტემიდან შეიძლება სამი ბალით შევაფასოთ. დასავლური კალენდრით, ურთიერთგაგება იქნება, მაგრამ, ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენციებიც არის მოსალოდნელი. თუ შეძლებთ თვითკონტროლს, დათმობას, მაშინ ურთიერთობა ოთხი ბალით შეფასდება.



ორშაბათი 1 სექტემბერი

08.00 დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" 08.30 დ/ფ "სტივენ ჰოკინგის დიდებული სამყარო 09.30 ან/ფ "კრიპტო სუპერ ძალი" 10.30 "ყოჩაღების ქუჩაზე" 11.00 ტ/სერ. "გაბა ჯი" 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 12.30 ტ/სერ. "სიყვარულის სიღმელოვანი" 14.00 "სამოთხის ვაშლები" 15.00 ტ/სერ. "ვზს სპი პარლი" 17.00 ტ/სერ. "ჭორიკანა" 18.30 "ქართული დოკუმენტალისტიკა" 21.00 ტ/სერ. "ვზს სპი პარლი" 22.00 მხ/ფ "რადგან პინსოლი მიყვარს" (კ.კოსტნერი) 00.15 მხ/ფ "მონსტრები ღვს".

08.00 სერ. "ზურისაპაზი". 09.00 კულინარიული დუელი 10.00 სერ. "გაფის ანაბრა". 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა. 11.15 სერ. "სილა". 14.40 სერ. "სიყვარული, ცა და მიწა". 17.35 სერ. "მინდა გახსოვდეს". 18.45, 19.03 სერ. "ღირსების სპეც" 1 სერ. 20.55 სერ. "ვაჟი პარლი". 22.00, 23.00 სერ. "შუა ჯალაქი". 00.00, 01.00 სერ. "20 წუთი". 02.00 მხ/ფ. "ჰოლივუდური ფინალი" (თ.ლონი).

07.00 სერ. "არ დამივიწყო" 08.00 ქ.მხ/ფ. 10.00 სერ. "მთროვალა სიყვარული" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 ქ.მხ/ფ. "ოპ, ეს საშინელი ბაღიანოვო" 14.00 ქ.სერ. "ალუბლების ქაჩა" 16.00 სერ. "ვალი" 18.45 სერ. "სტამბოლის ცა" 19.45 სერ. "პარადი" 22.00 გააცინე და მოიგე 23.00 იტალიური ბორბალი 00.00 სერ. "ჩემი სოლის დაქალები" 00.30 სერ. "ვაჟი ვაჟილოვისა" 01.00 მხ/ფ. 03.00 კურიერი დაიჯესტი 03.30 მხ/ფ.

06.10 საგალობელი 06.20 დ/ფ "დები ტრევისის მხიარული სახლი" 06.45 მხ/ფ "აინის თოვლი" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 21.05 პატრიარქის ქადაგება 10.40 საკვირაო სახარების განმარტება 10.50 კვირავე 12.05 მხ/ფ "ში, მანსტრო" 13.35 კონცერტი -ანს. "ლაბალი" 15.05 ტელეზღაპარი 15.20 ზღვარზე 15.45 სპექტაკლი - "ალაღა" 17.20 დეკორატიული ფლორა 17.35 დიდ ხარ შენ, უფალო 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი ალტეპის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სახლენი 19.20 მხ/ფ "ჩაქალი სული" 20.40 ძილი ნებისა 21.25 პატერეკი 21.30 ღვთის სახლი 21.45 წმინდა მღვდელმთავარი იოანე ოქროპირი 22.25 "მთავარ-სარდალი" დავით აღმაშენებელი I ნან. 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დ/ფ "ცანწავალა" გოდერძი ჩოხელი 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ "რიგითი რაინის გაღასარჩენად" I ნან.

7.00 ახალი ამბები 7.20 მულტფილმი 8.10 ფარული კამერა 8.30, 1.20 სამედიცინო გადაცემა "პულსი"(გამ.) 9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00 მესტრო 9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00 ახალი ამბები 9.30, 1.40 გადაცემა "ფული და სურვილები"(გამ.) 10.05, 11.05 სერიალი "სიყვარული და ღირსება" 12.30 "თქვენი გადახდილი"(ანეკდოტები) 13.05, 14.05 სერიალი "ასი" 15.40, 16.03, 17.03 სერიალი "1001 ღამე" 18.40, 19.05, 20.07 სერიალი "ჭოჩი და გუნდი" 21.00 მესტროს "ცხრიანი"(საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) 21.20 სერიალი "დიდაზული საუკუნე" 0.10 TV 11 მესტროზე (იუმორისტული გადაცემა) (გამ.) 0.30 ბრძოლა წესების გარეშე (სპორტული შოუ) 2.30 მონიტორის ჟურნალისტური გამოძიება(გამ).

კინოთეატრები კინოთეატრი "რუსთაველი" რუსთაველის გამზირი №5. ტელ.: 293-22-53, 255-50-00.

1-7 სექტემბერი დარბაზი 1 12.00, 14.15, 17.20 - "თვითმფრინავები 2" 3D (ქართულად); ხანგრძლივობა: 1 სთ და 25 წთ. 20.00, 22.30 - "შუაჩარებალნი 3"; ხანგრძლივობა: 2 სთ და 05 წთ. დარბაზი 3 12.00, 14.30, 17.30, 20.00 - "კუ ნინეპი" 3D; ხანგრძლივობა: 1 სთ და 30 წთ. 22.30 - "თვითმფრინავები 2" 3D (ქართულად); ხანგრძლივობა: 1 სთ და 25 წთ. დარბაზი 4 12.00, 14.30, 20.00 - "პარიზალი"; ხანგრძლივობა: 1 სთ და 40 წთ. 17.15, 22.30 - "ვიდეო დიდაზისთვის"; ხანგრძლივობა: 1 სთ და 35 წთ. დარბაზი 5 12.00, 14.30, 17.30 - "შუაჩარებალნი 3";

ხანგრძლივობა: 2 სთ და 05 წთ. 20.00 - "თვითმფრინავები 2" 3D (ქართულად); ხანგრძლივობა: 1 სთ და 25 წთ. 22.30 - "პარიზალი"; ხანგრძლივობა: 1 სთ და 40 წთ. (ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი)

კინოთეატრი "აშიანი" კოსტავას ქუჩა №36. ტელ.: 299-99-55.

დარბაზი 1 12.00, 14.30, 17.30 - "თვითმფრინავები 2" 3D; ხანგრძლივობა: 1 სთ და 25 წთ. 20.00, 22.30 - "შუაჩარებალნი 3"; ხანგრძლივობა: 2 სთ და 05 წთ. დარბაზი 2 12.00, 14.30 - "შუაჩარებალნი 3"; ხანგრძლივობა: 2 სთ და 05 წთ. 17.00 - "პარიზალი"; ხანგრძლივობა: 1 სთ და 40 წთ. 20.00, 22.30 - "კუ ნინეპი" 3D; ხანგრძლივობა: 1 სთ და 30 წთ. დარბაზი 3 12.00 - "პარიზალი"; ხანგრძლივობა: 1

სამშაბათი 2 სექტემბერი

08.00 დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" 08.30 დ/ფ "დროისა და სივრცის მიღმა" 09.30 ან/ფ "კრიპტო სუპერ ძალი" 10.30 "ყოჩაღების ქუჩაზე" 11.00 ტ/სერ. "გაბა ჯი" 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 12.30 ტ/სერ. "სიყვარულის სიღმელოვანი" 14.00 "გურმანია" 14.30 დ/ფ "არქიტექტურა" 15.00 ტ/სერ. "ვზს სპი პარლი" 17.00 ტ/სერ. "ჭორიკანა" 18.30 "შეხვედრები მწერალთა სახლში" 21.00 ტ/სერ. "ვზს სპი პარლი" 22.00 მხ/ფ "ზოგჯერ დიდი ნებაგება" 00.00 მხ/ფ "წყვილი" 1 სერ. 01.30 დ/ფ "სტივენ ჰოკინგის დიდებული სამყარო".

08.00 სერ. "ზურისაპაზი". 09.00 კულინარიული დუელი 10.00 სერ. "გაფის ანაბრა". 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა. 11.15 სერ. "სილა". 14.40 სერ. "სიყვარული, ცა და მიწა". 17.35 სერ. "მინდა გახსოვდეს". 18.45, 19.03 სერ. "ღირსების სპეც" 2 სერ. 20.55 სერ. "ვაჟი პარლი". 22.00, 23.00 სერ. "შუა ჯალაქი". 00.00, 01.00 სერ. "20 წუთი". 02.00 მხ/ფ. "მე დავიდი პარ" (ჯ.კავიზელი).

07.00 სერ. "არ დამივიწყო" 08.00 მხ/ფ. 10.00 სერ. "მთროვალა სიყვარული" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 ქ.მხ/ფ. "ახალი არკადია" 14.00 ქ.სერ. "ალუბლების ქაჩა" 16.00 სერ. "ვალი" 18.45 სერ. "სტამბოლის ცა" 19.45 სერ. "პარადი" 20.50 ეროვნული ლატარია 22.00 გააცინე და მოიგე 23.00 სოციალური ცელი 23.30 სერ. "ჩემი სოლის დაქალები" 00.00 სერ. "ვაჟი ვაჟილოვისა" 01.00 მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა 01.00 მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი 03.30 მხ/ფ.

06.10 დ/ფ "დები ტრევისის მხიარული სახლი" 07.35 მხ/ფ "რიგითი რაინის გადასარჩენად" I ნან. 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სახლენი 10.35 დ/ფ "ცანწავალა" გოდერძი ჩოხელი 11.10 წმინდა მღვდელმთავარი ალმაშენებელი 11.35 პატერეკი 11.40 ღვთის სახლი 12.10 მხ/ფ "ჩაქალი სული" 13.30 კონცერტი -ანს. "ვაგნაგადა" 15.05 ტელეზღაპარი 15.20 დ/ფ "თემის სეობა" 15.50 მხ/ფ "ზოლიანი დოლი" 17.20 დეკორატიული ფლორა 17.35 დიდ ხარ შენ, უფალო 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი ალტეპის განმარტებანი 19.20 მოკ. "არაჩაუღარაჩი რაინი" 20.00 ლია აუდიტორია 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 "ჩემი ამბავი" 21.25 ისტორიის გაკვეთილი 22.25 მეზარეულები წუთისოფლისა 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 ჩემი ფონდი 23.35 "მთავარსარდალი" დავით აღმაშენებელი II ნან. 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ "რიგითი რაინის გადასარჩენად" II ნან.

7.00 ახალი ამბები 7.20 მულტფილმი 8.20 ფარული კამერა 8.40 გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი"(გამ.) 9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00 მესტრო 9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00 ახალი ამბები 9.30, 1.40 გადაცემა "ფული და სურვილები"(გამ.) 10.05, 11.05 სერიალი "სიყვარული და ღირსება" 12.30 "თქვენი გადახდილი"(ანეკდოტები) 13.05, 14.05 სერიალი "ასი" 15.40, 16.05, 17.05 სერიალი "1001 ღამე" 18.40, 19.05, 20.07 სერიალი "ჭოჩი და გუნდი" 21.00 მესტროს "ცხრიანი"(საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) 21.20 სერიალი "დიდაზული საუკუნე" 0.10 TV 11 მესტროზე (იუმორისტული გადაცემა) (გამ.) 0.30 ბრძოლა წესების გარეშე (სპორტული შოუ) 1.20 გადაცემა "60 კითხვა ინტერეიში"(გამ.) 2.30 მონიტორის ჟურნალისტური გამოძიება(გამ).

გაგრძელება 47-ე გვერდზე

სთ და 40 წთ. 14.30 - "კუ ნინეპი" 3D (ინგლისურად); ხანგრძლივობა: 1 სთ და 30 წთ. 17.30 - "კუ ნინეპი" 3D; ხანგრძლივობა: 1 სთ და 30 წთ. 20.00, 22.30 - "შუაჩარებალნი 3" (ინგლისურად); ხანგრძლივობა: 2 სთ და 05 წთ. (ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი: www.info-tbilisi.com. ან დაგვიკავშირდით მუდგ ტელეფონზე: 218-22-55.

ინფო-თბილისი თქვენი გზაგადასასვლელი თბილისში INFO-TBILISI YOUR GUIDE TO TBILISI www.info-tbilisi.com

# ღორის ხორცი სოკოთი



**საჭირო ინგრედიენტები:** 2 კილოგრამი ღორის რბილი ხორცი, 4 ცალი მოზრდილი პომიდორი, 400 გრამი მაგარი ყველი, 2 თავი ხახვი, 500 გრამი ქამა სოკო, 1 კონა კამა, სუნელი, მარილი და შავი პილპილი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** ღორის ხორცი დაჭერით სტეიკის ნაჭრებად, თითოეულს ყველა მხრიდან ნაუსვით ცოტა მარილი, პილპილი და სუნელი და დააწყვეთ ზეთიან ტაფაზე.

პომიდორი დაჭერით რგოლებად და ხორცის თითოეულ ნაჭერზე დააწყვეთ ორი-სამი ცალი. გახეხეთ ყველი, გაყავით

ორ ნაწილად. ერთი ნაწილი მოაყარეთ პომიდვრის ნაჭრებს, ზემოდან კი – წვრილად დაჭრილი ცოტა კამა. ცალკე ტაფაზე მოშუშეთ ძალიან წვრილად დაჭრილი ხახვი, დაუმატეთ დაჭრილი სოკო და შუშეთ, სანამ მთელი სითხე არ ამოშრება. გააცივეთ, ხახვიანი სოკო მოათავსეთ ყველიანი და კამიანი ხორცის ნაჭრებზე, სულ ზემოდან მოაყარეთ დარჩენილი ყველი და აცხვეთ 50-60 წუთის განმავლობაში, 200 გრადუს ტემპერატურაზე (აირღუმელი ნინასნარ გააცხელეთ).



## ყაბაყის პიცა

**საჭირო ინგრედიენტები:** 2 ცალი საშუალო ზომის ყაბაყი, 3 ცალი კვერცხი, 1,5 სადილის კოვზი ფქვილი, 0,5 კონა კამა, 1 ჩაის კოვზი საფუარი, 1 ცალი დიდი პომიდორი, 50 გრამი მაგარი ყველი, მარილი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** ყაბაყი გათაღეთ და მსხვილკბილა სახეხზე გახეხეთ (ყაბაყი ძალიან ნორჩი არ უნდა იყოს). რადგან ყაბაყში ბევრი სითხეა, ბადურაზე განურეთ.

გახეხილ ყაბაყს შეურიეთ წვრილად დაჭრილი კამა, კვერცხი, ფქვილი და საფუარი. მიიღებთ ცომის მაგვარ მასას, რომელსაც დაუმატებთ მარილს გემოვნებით (შეგიძლიათ დაუმატოთ სასურველი სუნელიც). ფორმას ნაუსვით ცხიმი და მოაყარეთ საფანელი. გააცხელეთ აირღუმელი. პომიდორი დაჭერით რგოლებად, ყველი კი გახეხეთ. ყაბაყის ცომი მოათავსეთ გამოსაცხობ ფორმაზე. ზემოდან დააწყვეთ პომიდვრის ნაჭრები, მოაყარეთ ბლომად ყველი და შედგით ცხელ აირღუმელში, 180 გრადუს ტემპერატურაზე. 20 წუთში გამოცხვება და „პიცა“ მზად იქნება. ცხელს ფორმიდან ვერ ამოიღებთ. აცადეთ, კარგად გაცივდეს.



\* ფებსაცმელების ჩანცობა ჩემოდანში ყოველთვის მის განაპირა კუთხეებში ჯობია.

# გამოსხვარი რულეტი



**საჭირო ინგრედიენტები:** 300 გრამი ნებისმიერი ხორცი (ლორის ხორცი განსაკუთრებით გემრიელი გამოდის). 200 გრამი ფქვილი, 200 მილილიტრი წყალი, 2 სადილის კოვზი ზეთი, 1 სადილის კოვზი ტომატ-პასტა, 0,5 ჭიქა არაჟანი, 70 გრამი მაგარი ყველი, 2 ცალი კვერცხი, მწვანელი (ოხრაბუში), 1 კბილი ნიორი, ნახევარი ჩაის კოვზი შაქარი; სუნელები, მარილი და პილპილი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** ხორცი დაჭერით ძალიან წვრილ ნაჭრებად. ერთმანეთს შეურიეთ ტომატ-პასტა, ძალიან წვრილად დაჭრილი ნიორი, ნახევარი ჩაის კოვზი შაქარი და სუნელები. ეს ნარევი ნაუსვით ხორცს, შეაზავეთ მარილითა და პილპილით და გააჩერეთ 30 წუთის განმავლობაში, სანამ ცომი მომზადდება.

**ცომისთვის:** წყალში შეურიეთ ზეთი, აადუღეთ და მდულარეშივე გახსენით ფქვილი. ცომი ჯერ კოვზით მოზილეთ, მერე – ხელით და აცადეთ, გაცივდეს (200 გრამ ფქვილს სჭირდება 200 მილილიტრი წყალი). ცომი გაყავით 6-8 ნაწილად (გააჩნია რულეტის ზომას). თითოეული ნაჭერი გააბრტყელეთ ძალიან თხლად, ლავაშივით. ყოველი „ლავაშის“ ზედაპირზე დააწყვეთ ხორცის ნაჭრები, რულეტისგან გადაახვიეთ და შეწვით ზეთში ყველა მხრიდან. შემდეგ მოათავსეთ გამოსაცხობ ფორმაზე, რომლის ფსკერზეც წინასწარ მოაბნევთ გახეხილ მარილს და სუნელებს.

ილ ყველს (მთლიანი ყველის რაოდენობის 1/3-ს). ერთმანეთს შეურიეთ არაჟანი, კვერცხი და დარჩენილი ყველი. მოასხით ეს მასა რულეტებს და მოათავსეთ ფორმა 180 გრადუსზე გაცხელებულ აირლუმელში. 35-40 წუთში მზად არის.

# ბრინჯის ბურთულები



**საჭირო ინგრედიენტები:** 500 გრამი ქათმის ბარკლის ან ფრთის ძირები, 1,5 ჭიქა ბრინჯი (მრგვალმარცვლიანი), 1 ცალი კვერცხი, 50 გრამი მაგარი ყველი (ნებისმიერი სახეობის), კარაქი ან ზეთი – შესაწავად, მარილი და შავი პილპილი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** ბრინჯი მოხარშეთ მარილიან წყალში (1,5 ჭიქა ბრინჯს 3 ჭიქა წყალი დასჭირდება). ხორცს მოაშორეთ ძვალი და ძალიან წვრილად დაკეპეთ ან ხორცსაკეპ მანქანაში გაატარეთ. შეაზავეთ მარილითა და პილპილით. ფარში მოშუშეთ ტაფაზე ცოტა ცხიმში და შუშვისას ცოტა გახეხილი ყველი დაუმატეთ. გადმოდგით და გააცივეთ.

ხელისგულზე მოათავსეთ 2 სადილის კოვზი მოხარშული ბრინჯი, ხელშივე განურეთ და მიეცით ბურთულის ფორმა. შუაგული ჩაულრმავეთ და მოათავსეთ მასში ფარშის სატენი, ფარშიანი ღრმულიც ბრინჯით გადაფარეთ, მიეცით ბურთის ფორმა, ამოგანგლეთ ჯერ ათქვეფილ კვერცხში, მერე საფანელში და შებრანეთ ზეითუნის ან სიმინდის ზეთში (კარაქშიც შეიძლება). უგემრიელესია, მსუბუქი და არომატული.

## კობრის გულიანი ვლად არამოვიან



გემრიელად ჭამა ძალიან მიყვარს, თუმცა, ვცდილობ, ორგანიზმი არ გადავტვირთო მძიმე საკვებით და ამიტომ მსუბუქ კერძებს ვანიჭებ უპირატესობას. კობრის გულიაში, რომელიც ძალიან მიყვარს, უგემრიელესი კერძია. მას ნებისმიერი ადამიანი მარტივად მოამზადებს და შემდეგ საკუთარი ნახევარით ისიამოვნებს.



**საჭირო ინგრედიენტები:** 1 ცალი ნივთი ბულგარული წინაკა, 6 ცალი პომიდორი, 250 გრამი ნიახურის ძირი, 3 თავი ხახვი, 250 მილილიტრი ბოსტნეულის ბულიონი, 150 გრამი არაყანი, 1 სადილის კოვზი პაპრიკა, 700 გრამი კობრის ფილე (კანის გარეშე), 1 ცალი ლიმონის წვენი, მარილი და პილპილი – გემოვნებით, ზეთი.

**მომზადების წესი:** წინაკა შუაზე გაჭერით, თესლი ამოაცალეთ და თხლად დაჭერით. პომიდორი დამდურეთ, კანი გააცალეთ და წვრილად დაჭერით. ასევე წვრილად დაჭერით ხახვი და ნიახური. ქვაბში გააცხელეთ ზეთი და მოშუშეთ ხახვი, დაუმატეთ დანარჩენი ბოსტნეული და განაგრძეთ შუშვა. დაასხით ბულიონი და ხარშეთ 10-15 წუთის განმავლობაში. შემდეგ შეურიეთ არაყანი, მარილი, პილპილი, პაპრიკა, ლიმონის წვენი და კიდევ 5 წუთი ხარშეთ. დაუმატეთ დაჭრილი თევზი, 5 წუთში ცეცხლი გამორთეთ და კერძი თავდახურული გააჩერეთ.

## ქათმის მწვადი



სომელი თეიმურაზ ბანიძე

**საჭირო ინგრედიენტები:** 6 ნაჭერი ქათმის ფილე, 3 სადილის კოვზი ლიმონის წვენი, 150 მილილიტრი მანონი, 1 ჩაის კოვზი კურკუმა, 0,5 ჩაის კოვზი მარილი.

**მომზადების წესი:** ქათმის ხორცი დაჭერით საშუალო ზომის ნაჭრებად და დაასხით ლიმონის წვენი. მანონში აურიეთ მარილი, კურკუმა და მოასხით ქათმის ხორცის ნაჭრებს. 6 საათის შემდეგ ხორცი ამოიღეთ მარინადიდან და შეწვით გრილზე ან მაყალზე.



## იხვის რულეტი ჩირით



**საჭირო ინგრედიენტები:** 2 თავი ხახვი, 2 ცალი სხვადასხვა ფერის ტკბილი წინაკა, 500 გრამი მოხარშული კარტოფილი, 1,5 კილოგრამი იხვის მკერდის ხორცი (კანის გარეშე), 5 თხელი ნაჭერი ბეკონი, 3 სადილის კოვზი ერბო, 200 მილილიტრი ქათმის ბულიონი, შავი პილპილის 5 ცალი მარცვალი, 3 ცალი დაფნის ფოთოლი, მარილი და პილპილი – გემოვნებით. გულსართისთვის: 150 გრამი ლევის ჩირი, 100 გრამი გარგარის ჩირი, 150 გრამი ქლიავის ჩირი, 50 მილილიტრი თეთრი მშრალი ღვინო, 150 მილილიტრი ქათმის ბულიონი, 1 ჩაის კოვზი დაფქული დარიჩინი, მარილი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** ლუმელი 200 გრადუსზე გააცხელეთ. ჩირები წვრილად დაჭერით. ღვინო შეათბეთ და ბულიონთან ერთად დაასხით ჩირებს – მოაყარეთ მარილი და დარიჩინი. იხვის მკერდი გარეცხეთ, შეამშრალეთ და მოაყარეთ მარილი და პილპილი. შეგიძლიათ, იხვის მკერდის ფილე სიბრტყეზე გასწოროთ, წიგნივით გადაშალოთ, ზედ მოათავსოთ ჩირების გულსართი და გადაახვიოთ. გარშემო შემოახვიეთ ბეკონის ფენები და შეკარით ხის ჩხირებით. ტაფაზე გააცხელეთ ერბო, ზედ მოათავსეთ მომზადებული ხორცის რულეტი. დაასხით ქათმის ბულიონი, დაუმატეთ დაფნის ფოთლები და გახურებულ ლუმელში 1 საათით შედგით. ამასობაში ხახვი გაფცქვენით და თითოეული ოთხად გაყავით. წინაკებს თესლი ამოცალეთ და მსხვილად დაჭერით. მსხვილ ნაჭრებად დაჭერით კარტოფილიც. 1 საათის შემდეგ ხორცს შემოუნყვეთ ბოსტნეული და 30 წუთის განმავლობაში 250 გრადუსზე გახურებულ ლუმელში შეაბრუნეთ. ხორცი ოდნავ შეგრილების შემდეგ დაჭერით და ბოსტნეულთან ერთად მიიტანეთ სუფრაზე.

## მარტივი და სასარგებლო



### საკანცელარიო ყუთები – გურღულის კოლოფებიდან

ეს ნივთები სამსახურშიც გამოგადგებათ და სახლშიც. რაც მთავარია, ჟურნალები, რვეულები, კალმები და წვრილმანი ნივთები ყველგან აღარ ეყრება და წერვებსაც არ მოგიშლით. ამის გაკეთება საკმაოდ ადვილია და ბევრი არაფერი დაგჭირდებათ. მხოლოდ ნებო და ლამაზი შესაფუთი ქაღალდი: ბურღულის კოლოფს მოაჭერით გვერდი ისე, როგორც ეს სურათებზეა ნაჩვენები, მერე კი გადააკარით შესაფუთი ქაღალდი. შეგიძლიათ ყუთებს სხვადასხვა ფორმა მისცეთ, გააჩნია, რის ჩასანყობად გამოიყენებთ.



### სარკე – ზაფხულის სანუქარი

თუ ზღვაზე დაისვენებთ, „სამუშაო მასალა“ საკმარისზე მეტი გექნებათ. ამ ნივთის დასამზადებლად შეგიძლიათ გამოიყენოთ წვრილი და მობრდილი, სხვადასხვა ფერის ნიჟარები, ლამაზი, ჭრელი ქვები და მძივები და უბრალო ჩარჩოში ჩასმული სარკე რამდენიმე წუთში ულამაზეს, ეგზოტიკურ სამშვენისად იქცევა. უბრალოდ, დახედეთ სურათებს და თავად მიხვდებით, ეს როგორ უნდა გააკეთოთ.



\* ტანისამოსი ჯობია, ჯერ აკურატულად დაკეცოთ, მერე რულონივით დაგრაგნოთ, დაახვიოთ და ჩემოდანში ისე ჩადოთ. ჯერ ჯინსი, ყაკეტი, შარვალი ჩადეთ; შემდეგ უკვე თხელი მაისურები და პერანგები.



42-ე გვერდიდან

ოთხშაბათი 3 სექტემბერი

**08.00** დ/ვ "მსოფლიო ოდისეები" **08.30** დ/ვ "როგორ არის მოწყობილი სამყარო" **09.30** ან/ვ "კრიპტო სუპერ ძალი" **10.30** ყოჩაღების ქუჩაზე **11.00** ტ/სერ. "გაგდა ვეი" **12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **12.30** ტ/სერ. "სიყვარულის სიღრმეობები" **14.00** "სამოთხის ვამლები" (გ/ჩვ.) **15.00** ტ/სერ. "ვახს სანი ვარდი" **17.00** ტ/სერ. "ჟორიკანა" **18.30** ქართული დოკუმენტალისტიკა **21.00** ტ/სერ. "ვახს სანი ვარდი" **22.00** მხ/ვ "დაინკაბა არ ნიშნავს დაქორწინება" (ჯ.ენისტონი) **00.10** მხ/ვ "წყვილი" **2** სერ. **01.30** დ/ვ "დროისა და სივრცის მიღმა".

**08.00** სერ. "სურისმაქვანი". **09.00** კულინარიული დუელი **10.00** სერ. "გაფის ანაზრა". **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა. **11.15** სერ. "სილა". **14.40** სერ. "სიყვარული, სა და მიწა". **17.35** სერ. "ზინდა ბასსოვდა". **18.45, 19.03** სერ. "ღირსების საშვი" **3** სერ. **20.55** სერ. "შავი ვარდი". **22.00, 23.00** სერ. "შაჰა ჯალაჰი". **00.00, 01.00** სერ. "20 წუთი". **02.00** მხ/ვ. "პროგრამის სავანე — 3" (მ.იოვოვიჩი) (ტიტ.).

**07.00** სერ. "არ დაივიწყო" **08.00** მხ/ვ. **10.00** სერ. "მეთროპოლა სიყვარული" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** ფორტ ბოიარდი (ქართული) **14.00** ქ.სერ. "ალუბლანის შუა" **16.00** სერ. "უკალი" **18.45** სერ. "სტამბოლის სა" **19.45** სერ. "კარადი" **22.00** გააცინე და მოიგე **23.00** "ვინ დაამარცხებს ვასოს" **00.00** სერ. "ჩემი ცოლის დაქალები" **00.30** სერ. "შავი ყვავილოვანი" **01.00** მხ/ვ. **03.00** კურიერის დაიჯესტი **03.30** მხ/ვ.

**06.10** საგალობელი **06.15** ქვიშით ნამბობი **06.25** მხ/ვ "რიგითი რაინის გადასარჩენად" II ნან. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** თეთრიდან თეთრამდე **10.45** ქრისტიანული ხელოვნება **11.25** მგზავრები ნუთისოფლისა **12.10** ღია აუდიტორია **13.00** მოკ./ვ "არაჩვეულებრივი რეისი" **13.35** კონცერტი - ელისო ვირსალაძე **14.45** "ჩვენი ამბავი" **15.05** ტელეზღაპარი **15.15** მხ/ვ "ორპირ სიამ-სხადავა" **16.25** დეკორატიული ფლორა **16.35** დიდ ხარ შენ, უფალო **16.50** კვირიაკე **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი ალთქმის განმარტებანი **19.20** ქრისტიანული სწავლება **19.35** მხ/ვ "ყვალაჲ სწავლები მოუფლიოთი" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** "ივერიის ეკლესია" **21.35** ეპოქის სახელები **22.25** ქართული ალბომი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** "მთავარსარდალი" დავით აღმაშენებელი III ნან. **23.40** "თვენი" წმინდა მღვდელმთავარი გიორგი ჭყონდიდელი **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ვ "სოვნა" I ნან. **02.15** ირაო.

**7.00** ახალი ამბები **7.20** მულტფილმი **8.15** ფარული კამერა **8.35** გადაცემა "უცნობი ისტორიები" გ/ჩ **9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00** მაცხტრო **9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00** ახალი ამბები **9.30, 1.40** გადაცემა "ფული და სურვილები" (გამ.) **10.05, 11.05** სერიული "სიყვარული და ღირსება" **12.30** "თქვენი გადახდილია" (ანეკდოტები) **13.05, 14.05** სერიული "ასი" **15.40, 16.03, 17.03** სერიული "1001 ღაჰი" **18.40, 19.05, 20.07** სერიული "შუაჰი და გუნეი" **21.00** მაცხტროს "ცხრიანი" (საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) **3/ე 22.00** სერიული "დიდაჰული საუჰანი" **0.10** TV **11** მაცხტროზე (იუმორისტული გადაცემა) (გამ.) **0.30** ბრძოლა წესების გარეშე (სპორტული შოუ) **1.20** გადაცემა "უცნობი ისტორიები" (გამ.) **2.30** მონიტორის ჟურნალისტური გამოძიება (გამ).

ხუთშაბათი 4 სექტემბერი

**08.30** დ/ვ "ჩრდილოეთ ამერიკა" **09.30** ან/ვ "კრიპტო სუპერ ძალი" **10.30** ყოჩაღების ქუჩაზე **11.00** ტ/სერ. "გაგდა ვეი" **12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **12.30** ტ/სერ. "სიყვარულის სიღრმეობები" **14.00** "გურამინია" **14.30** დ/ვ "არქიტექტურა" **15.00** ტ/სერ. "ვახს სანი ვარდი" **17.00** ტ/სერ. "ჟორიკანა" **18.30** შეხვედრები მწერალთა სახლში **21.00** ტ/სერ. "ვახს სანი ვარდი" **22.00** "არენა" (პ/ტრ) **23.00** მხ/ვ "სხვა სამყარო" (მ.დეიმონი) **01.10** დ/ვ "როგორ არის

მოწყობილი სამყარო".

**08.00** სერ. "სურისმაქვანი". **09.00** კულინარიული დუელი **10.00** სერ. "გაფის ანაზრა". **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა. **11.15** სერ. "სილა". **14.40** სერ. "სიყვარული, სა და მიწა". **17.35** სერ. "ზინდა ბასსოვდა". **18.45, 19.03** სერ. "ღირსების საშვი" **4** სერ. **20.55** სერ. "შავი ვარდი". **22.00, 23.00** სერ. "შაჰა ჯალაჰი". **00.00, 01.00** სერ. "20 წუთი". **02.00** მხ/ვ. "კეი-ჰაჰი" (კ.სპეისი).

**07.00** სერ. "არ დაივიწყო" **08.00** მხ/ვ. **10.00** სერ. "მეთროპოლა სიყვარული" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** ფორტ ბოიარდი **14.00** ქ.სერ. "ალუბლანის შუა" **16.00** სერ. "უკალი" **18.45** სერ. "სტამბოლის სა" **19.45** სერ. "კარადი" **22.00** გააცინე და მოიგე **23.00** ექიმები **00.00** სერ. "ჩემი ცოლის დაქალები" **00.30** სერ. "შავი ყვავილოვანი" **01.00** მხ/ვ. **03.00** კურიერის დაიჯესტი **03.30** მხ/ვ.

**06.10** საგალობელი **06.20** დ/ვ "დები ტრევისის მხიარუ-ლი სახლი" **06.45** მხ/ვ "სოვნა" I ნან. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** ჩვენი ფონდი **11.05** ქართული ალბომი **11.30** ეპოქის სახელები **12.10** მხ/ვ "ყვალაჲ სწავლები მოუფლიოთი" **13.15** ივერიის ეკლესია **13.30** კონცერტი -ანს. "მკლავარი" **15.05** ტელეზღაპარი **15.20** მხ/ვ "ვაჰუვი სასაირნოდ მიდის" **16.55** დ/ვ "პირიქითა ზეფსურეთი" **17.25** დეკორატიული ფლორა **17.35** დიდ ხარ შენ, უფალო **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი ალთქმის განმარტებანი **19.20** "პორტრეტები" **20.10** მოკ./ვ "გამსვლელი პაიკი" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** დ/ვ "მანანა დოიჯაშვილი" **22.25** დრო და ტრადიციები **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** "მთავარსარდალი" დავით აღმაშენებელი IV ნან. **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ვ "სოვნა" II ნან. **02.15** ირაო.

**7.00** ახალი ამბები **7.20** მულტფილმი **8.10** ფარული კამერა **8.30** სამედიცინო გადაცემა "პულსი" (გამ.) **9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00** მაცხტრო **9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00** ახალი ამბები **9.30, 1.40** გადაცემა "ფული და სურვილები" (გამ.) **10.05, 11.05** სერიული "სიყვარული და ღირსება" **12.30** "თქვენი გადახდილია" (ანეკდოტები) **13.05, 14.05** სერიული "ასი" **15.40, 16.05, 17.05** სერიული "1001 ღაჰი" **18.40, 19.05, 20.07** სერიული "შუაჰი და გუნეი" **21.00** მაცხტროს "ცხრიანი" (საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) **3/ე 22.00** სერიული "დიდაჰული საუჰანი" **0.10** TV **11** მაცხტროზე (იუმორისტული გადაცემა) (გამ.) **0.30** ბრძოლა წესების გარეშე **1.20** სამედიცინო გადაცემა "პულსი" (გამ.) **2.30** მონიტორის ჟურნალისტური გამოძიება (გამ).

პარასკევი 5 სექტემბერი

**08.00** დ/ვ "მსოფლიო ოდისეები" **08.30** დ/ვ "წინა-სწარმეფეველი ფანტასტები" **09.30** ან/ვ "ცხოველთა სამყარო" **10.30** ყოჩაღების ქუჩაზე **11.00** ტ/სერ. "გაგდა ვეი" **12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **12.30** ტ/სერ. "სიყვარულის სიღრმეობები" **14.00** "შემოახილი" **14.30** დ/ვ "არქიტექტურა" **15.00** ტ/სერ. "ვახს სანი ვარდი" **17.00** ტ/სერ. "ჟორიკანა" **18.30** ქართული დოკუმენტალისტიკა **21.00** ტ/სერ. "ვახს სანი ვარდი" **22.00** მხ/ვ "ყოფილი შეყვარებულების აჩრდილები" (მ.მაკონახი) **23.50** "უცნობი მუსიკა" **01.30** დ/ვ "ჩრდილოეთ ამერიკა".

**08.00** სერ. "სურისმაქვანი". **09.00** კულინარიული დუელი **10.00** სერ. "გაფის ანაზრა". **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა. **11.15** სერ. "სილა". **14.40** სერ. "სიყვარული, სა და მიწა". **17.35** სერ. "ზინდა ბასსოვდა". **18.45, 19.03** სერ. "ღირსების საშვი" **5** სერ. **20.55** სერ. "შავი ვარდი". **22.00, 23.00** სერ. "შაჰა ჯალაჰი". **00.00, 01.00** სერ. "20 წუთი". **02.00** მხ/ვ. "საპილიარდო" (რ.სანჩესი).

**07.00** სერ. "არ დაივიწყო" **08.00** მხ/ვ. **10.00** სერ. "მეთროპოლა სიყვარული" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** ფორტ ბოიარდი **14.00** ქ.სერ. "ალუბლანის შუა" **16.00** სერ. "უკალი" **18.45** სერ. "სტამბოლის სა" **19.45** სერ. "კარადი" **20.50** ეროვნული ლატარია **22.00** X - ფაქტორი **23.30** სერ. "ჩემი ცოლის დაქალები" **00.30** სერ.



"ჟაბი ყვავილოზისა" 01.00 მს/ფ. 03.00 კურიერის დაიფესტი 03.30 მს/ფ.

06.10 საგალობელი 06.15 დ/ფ "დები ტრევისის მხიარული სახლი" 06.40 მს/ფ "სსოვნა" II ნაწ. 07.50 "ჩვენი ამბავი" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.00, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 "დრო და ტრადიციები" 10.05 ღვთის სახლი 11.20 ისტორიის გაკვეთილი 12.10 პორტრეტები 13.05 მოკ./ფ "გაგაგაღალი პაიკი" 13.30 "თევზი" წმინდა ექვთიმე ღვთისკაცი 14.00 კონცერტი - იყო ხილვის სისხარული - გოგი დლოძი 15.05 ტელეზღაპარი 15.25 მს/ფ "საოთხის გვირგვინი" 16.25 დეკორატიული ფლორა 16.40 დიდ ხარ შენ, უფალო 16.55 კვირიაკე 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი ალთემის განმარტებანი 19.20 მს/ფ "შესაღრა მთაში" 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 დროის ჩანანერები 22.25 მოგზაურობა სამშობლოში 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დ/ფ "ჟურნალისტის დღიური" კარბელაშვილების კოლო 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მს/ფ "გაგაგაღალი ყვალსა" (ვიროსმანი).

7.00 ახალი ამბები 7.20 მულტფილმი 8.20 ფარული კამერა 8.40 გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი" (გამ.) 9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00 მს/ფ "განთიადი" 9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00 ახალი ამბები 9.30, 1.40 გადაცემა "ფული და სურვილები" (გამ.) 10.05, 11.05 სერიალი "სიყვარული და ღირსება" 12.30 "თქვენი გადახდილია" (ანექდოტები) 13.05, 14.05 სერიალი "ანი" 15.40, 16.05, 17.05 სერიალი "1001 ღამე" 18.40, 19.05, 20.07 სერიალი "ქუჩი და გუნე" 21.00 მს/ფ "სერიალი" (საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) 22.00 სერიალი "დიდაზული საუკუნე" 0.10 TV 11 მს/ფ "სერიალი" (იუმორისტული გადაცემა) (გამ.) 0.30 ბრძოლა ნესების გარეშე 1.15 გადაცემა "ID" (გამ.) 2.30 მონიტორის ჟურნალისტური გამოძიება (გამ.).

შაბათი 6 საქტეპერი

08.00 ან/ფ "ცხოველთა სამყარო" 09.00 მს/ფ "ფულისწალი და მათხოვარი" 10.30 "ყორალების ქუჩაზე" 11.00 ტ/სერ. "გაგაგა ჟი" 12.00, 16.00, 20.00 "მოამბე" 12.30 ტ/სერ. "სიყვარულის სიღრმეობაში" 13.30 "საქტეპლის დრო" 15.00 ტ/სერ. "ვას სანი პარდი" 16.30 დ/ფ დიდებული სასახლეები 17.00 ტ/სერ. "ჭორიანა" 18.00 მს/ფ "ყოველი საქტეპერი" (ჯ.ლოლობრიჯიდა) 21.00 კონცერტი: მიმა მდინარაძე 22.00 "ნითელი ზონა" 23.00 მს/ფ "მასარს-ინფორმაცია" 00.50 მს/ფ "უსხონი ჩვენს უბანში".

07.30 ან/ფ "სანჯობობი, 35" 08.30 მს/ფ. "მეფე — პოლარული დათვი" 10.15 ეკოვიზია 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა. 11.15 ვაკანსია 12.00 სერ. "მარლინი". 13.00 კულინარიული დუელი 14.35 ორი ვარსკვლავი 16.30 იდენტიფიკაცია 17.35 სერ. "მინდა ბასოვია" 18.45, 19.03 სერ. "ღირსების სამე" 6 სერ. 20.55 სერ. "ჟაბი პარდი". 21.45 გათამაშება — ტექნიკური 22.00, 23.00 სერ. "შუა ქალაქი". 00.00, 01.00 სერ. "20 წუთი". 02.00 მს/ფ. "რეპორაჟი" (რ.ლოიტა).

08.00 კურიერის დაიფესტი 08.30 ქ.მს/ფ. 10.00 კომედი შოუ (გ/წ) 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.00 კურიერი 12.30 ბიზნეს კურიერი - დანყება 14.00 ილბიანი ბორბალი 15.30 ქერის უბანი 16.00 უკანსენელი გმირი 16.00 ბრავო 18.45 სერ. "საგაგაღლის სა" 19.45 სერ. "პარადი" 22.00 X- ფაქტორი 23.30 სერ. "ჩემი სოლის დაქალაქი" 00.30 რა სად როდის 01.30 სერ. "ჟაბი ყვავილოზისა" 02.00 მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა 02.30, 04.30 მს/ფ.

06.10 საგალობელი 06.15 დ/ფ "დები ტრევისის მხიარული სახლი" 06.40 დ/ფ "ყველაზე, ყველაზე" 07.30 მოგზაურობა სამშობლოში 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 ჩვენი ფონდი 09.05 "განთიადი" 10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40 ქართ. მულტფილმი 10.50 კვირიაკე 11.50 ქვიშით ნაამბობი 12.10 მს/ფ "შესაღრა მთაში" 13.30 საღვთისმეტყველო საუბრები 14.05 ღია აუდიტორია 14.45 საკვირაო სახარების განმარტება 15.05 ოპერა — ტრავაპარტი 18.10 დ/ფ "მადლობა-ნილი ოჯახი" 18.30 ქვიშით ნაამბობი 18.40 ძველი ალთემის განმარტებანი 19.20 გამოყენებითი ტელევენება 19.35 ქართული ალბომი 20.00 "ერთსულოვნების სალონი" 21.05 პატრიარქის

ქადაგება 21.15 ქრისტიანული ხელოვნება 22.25 "ჩვენი ამბავი" 22.35 ქვათახვის მონასტერი 22.50 საკვირაო სახარების განმარტება 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დ/ფ "ერთი ოჯახის ქრონიკა" 00.35 დროის ჩანანერები 01.20 მს/ფ "გაგაგაღალი" I ნაწ.

7.00, 0.00, 2.00 ახალი ამბები 7.20 მულტფილმი 8.30 ფარული კამერა 9.40, 2.15 იუმორისტული შოუ - "4X4" (გამ.) 10.30 სამედიცინო გადაცემა "პულსი" 11.00, 13.05, 16.00 სერიალი "ღრუბლებს მიღმა" (გამ.) 12.00, 15.00, 18.00, 21.00 მს/ფ "განთიადი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები 12.30 გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი" 12.50 გადაცემა "60 კითხვა ინტერვიუში" 15.30 NX სპიკერი 18.30 გადაცემა "უცნობი ისტორიები" 19.00 სერიალი "ქუჩი და გუნე" 21.45 სერიალი "დიდაზული საუკუნე" (I სეზონი) 0.15 გადაცემა "60 კითხვა ინტერვიუში" (გამ.) 0.40, 1.25 მინისერიალი "როუზ რაი" სერ.1 ნაწ.1, .2.

კვირა 7 საქტეპერი

08.00 საბ. ან/ფ "ცხოველთა სამყარო" 09.00 საბ. მს/ფ "ზღაპრული ფულისწალი" 10.30 საბ. გადაცემა - "ყორალების ქუჩაზე" 11.00 ტ/სერ. "გაგაგა ჟი" 12.00, 16.00, 19.00 "მოამბე" 12.30 ტ/სერ. "სიყვარულის სიღრმეობაში" 13.30 ქართ. მს/ფ "სარაბა და გოგია" 16.30 "ვაშინგტონი დღეს" 17.00 ტ/სერ. "ჭორიანა" 18.00 ქართ. ტ/ფ "ქრონიკა" "სერენადა" 19.25 "ტელელოგი" (გ/წ) 19.53 ფსუკოტი. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მატჩი: საქართველო - ირლანდია (პ/რ) 22.00 კონცერტი: ზაზა მარჯანიშვილი 23.40 მს/ფ "ანგონია" (ენორეგა) 01.30 დ/ფ "წინასწარმეტყველი ფანტასტები".

07.30 ან/ფ "სანჯობობი, 37". 08.30 მს/ფ. "მითი". 11.00, 14.00, 17.00 ქრონიკა. 11.15 ბასტი ბუბუ (გ/წ) 12.00 სერ. "მარლინი". 13.00 EMERGENCY — სასწრაფო დახმარება 14.35 ეკა ხოფერიას თოქ შოუ 17.35 სერ. "სიყვარულის სიღრმეობაში" 9 სერ. 20.00 შალვა რამიშვილის შოუ 21.00 იუმორინა (გ/წ) 22.00, 23.00 სერ. "შუა ქალაქი-2" 6-7 სერ. 00.00, 01.00 სერ. "20 წუთი" 02.00 მს/ფ. "სიყვარულის სიღრმეობაში" (დ.ლუნდგერენი).

08.00 კურიერის დაიფესტი 08.30 ქ.მს/ფ. 10.30 ეკი ვოკი 12.00, 15.00, 18.00, 03.00 კურიერი 12.30 ვინ დაამარცხებს ვასოს 14.00 სოციალური ცელი 14.15 სიცილის ზონა 15.30 ექიმები 28 აგვ. 12.30 ქ.მს/ფ. "მიმინო" 18.45 ქერის უბანი 19.00 ქ.მს.ფილმი "ტაქსი" 21.00 P.S - სტარტ 22.00 გადაცენე და მოიგე 23.00 სერ. "ჩემი სოლის დაქალაქი" 23.30 კონცერტი "ელდრინი" 01.00 სერ. "ჟაბი ყვავილოზისა" 01.30, 03.30 მს/ფ.

06.10 საგალობელი 06.20 დ/ფ "დები ტრევისის მხიარული სახლი" 06.45 მულტფილმი 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 საკვირაო სახარების განმარტება 08.40 გამოყენებითი ხელოვნება 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.10 ისტორიის დღიური 10.15 სიახლენი 10.40 ივერიის ეკლესია 10.55 დ/ფ "ერთი ოჯახის ქრონიკა" 11.35 ქართული ალბომი 12.10 მს/ფ "მეზიჩარა" 13.35 ქრისტიანული ხელოვნება 14.10 ისტორიის გაკვეთილი 14.45 საკვირაო სახარების განმარტება 15.05, 18.05, 21.05, 00.05 პატრიარქის ქადაგება 15.30 მგზავრები ნუთისოფლისა 16.55 ეპოქის სახელები 17.20 საღვთისმეტყველო საუბრები 18.30 "ჩვენი ამბავი" 18.40 დროის ჩანანერები 19.25 მს/ფ "რამდინე იწმინდვი უჩრად სპიხობაზე" 21.30 განთიადის სიუჟეტი 21.40 კვირიაკე 22.50 საკვირაო სახარების განმარტება 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დ/ფ "გურჯის გული" 00.30 პორტრეტები 01.20 მს/ფ "გაგაგაღალი" II ნაწ.

7.00, 0.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.20 მულტფილმი 8.30 ფარული კამერა 9.40, 2.15 იუმორისტული შოუ - "4X4" (გამ.) 10.30 სამედიცინო გადაცემა "პულსი" 11.00, 13.05, 16.00 სერიალი "ღრუბლებს მიღმა" (გამ.) 12.00, 15.00, 18.00, 21.00 მს/ფ "განთიადი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები 12.30 გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი" 12.50, 0.15 გადაცემა "ID" 15.30 NX სპიკერი 18.40 სერიალი "ქუჩი და გუნე" 21.45 სერიალი "დიდაზული საუკუნე" (I სეზონი) 0.40, 1.25 მინისერიალი "როუზ რაი" სერ.2 ნაწ.1, სერ.2 ნაწ.2.





# როგორ წარმოიშვა ქართული გვარ-სახელები

**ალიაშვილი**  
გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ალი, ალია**.

1721 წელს სამღერეთის ახაშენში მოიხსენიება ციციშვილი-ბაადურაშვილის ყმა - **ალიაშვილი**.

საქართველოში 299 ალიაშვილი ცხოვრობს: თბილისში - 84, ყვარელში - 50, სიღნაღში - 45. არიან სხვაგანაც.

### ანდრიაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ანდრია**, რომელიც ბერძნული წარმოშობისაა და მამაც ნიშნავს.

**ანდრიაშვილია** შტო-გვარია ამირანაშვილი და ამირაშვილი.

საქართველოში 373 **ანდრიაშვილი** ცხოვრობს: თბილისში - 160, მცხეთაში - 95, დმანისში - 22. არიან სხვაგანაც.

### მარქარაშვილი-მარქაროვი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **მარქარა**.

ესტატე **მარქარაშვილი** გვხვდება 1723 წლის ნისქელის წყალობის წიგნში, რომელსაც ზურაბ, მამუკა და იორამ მოურავის-შვილები აძლევენ ესტატე, სტეფანე და სხვა **მარქარაშვილებს**.

1830 წლებში **მარქარაშვილების** ნაწილი რუსულად **მარქაროვებად** გააფორმეს და გრიგორიანული წესით მონათლეს.

ამჟამად, ნაწილი **მარქაროვისა** ნიკოლაშვილებად, ხოლო ნაწილი მახარაშვილებად ეწერება, **მარქარაშვილების** ნაწილი კი მენაბლიშვილები იყვნენ.

**მარქარაშვილები**, იგივე შერმაზანაშვილები, მოიხსენიებიან 1843 წელს სოფელ მუხათში, ხოლო დილოში მესაბლიშვილები არიან. **მარქარა** მომდინარეობს სახელიდან **მაკარ, მაკარე**.

საქართველოში 317 **მარქარაშვილი** ცხოვრობს: კასპში - 147, მცხეთაში - 70, თბილისში - 50. არიან სხვაგანაც.

### ქოპულაშვილი-ქოპულაქი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ქობულა**.

**ქობულაშვილი** უძველესი გვარია, მისი ძველი ფორმაა **ქობულისძე**.

„მთავართა გვარებში“ ვახუშტი წერს „ხოლო გვარიანი მთავართა მათ ძველთანი ესე-

ნი არიან: **ქობულისძე**, დონაური, ასელმანელი, ბალუაში, რომელ იყო ლიპარიტის ძე“.

„თავად **ქობულაშვილის** წინაპარი იყვნენ **ქობულად** წოდებულნი უკვე 882 წლიდან. სუმბათ მეფე, როცა აფხაზეთიდან წავიდა, თან გაჰყვინენ **ქობულისძენიც**. **ქობულთა** შვილთაგანი დაშინენ გურიას ადგილსა **ქობულეთსა** შინა და იყვნენ მუნ. შემდგომად, მეფემან დავით კახთმან შვირთო ცოლად გურულიელის ასული თინათინ. ამას მოჰყვა მზით-



ვეში **ქობულავი** და დედოფლის შუამდგომლობით მიიღო მეფემან თავადობის ხარისხსა შინა და დაასახლა რუისს პირსა ადგილსა“.

თამაზ **ქობულაშვილი** იყო კანცელარიის მოხელე. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში მან გადაწერა „დასტურლამალი“ დავით რექტორის ხელნაწერიდან.

საქართველოში 657 **ქობულაშვილი** ცხოვრობს: თბილისში - 269, მცხეთაში - 258, გარდაბანში - 36. არიან სხვაგანაც.

1 691 - **ქობულაძე**.

### ხარხელაური

გვარის ფუძეა მეტსახელი **ხარხელა**.

1860 წელს სოფელ ლასტისციხეში გადავიდა საცხოვრებლად გელიკა **ხარხელაური**, ტიფლისის ოლქის სოფელ მოხისიდან.

საქართველოში 285 **ხარხელაური** ცხოვრობს: თბილისში - 85, თიანეთში - 52, მცხეთაში - 37. არიან სხვაგანაც.

### დანდუაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **დანდუა**.

**დანდუა** ბაქუზანაშვილი მოიხსენიება 1823 წელს სოფელ ვაშლოვანში.

ამავე ძირისაა გვარები: **დანდუა, დუნდუა**.

საქართველოში 57 **დანდუაშვილი** ცხოვრობს: თბილისში - 16, თეთრი წყაროში - 12, გარდაბანში - 11. არიან სხვაგანაც.

### ნითურიქა

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ნითურა**.

„გოლთეთში მცხოვრები ზაქარია **ნითურიშვილი**, იგივე **ნითურიქე**, 1883 წელს დიდ ენაგეთში წმინდა გიორგის ეკლესიაში ნათლავს ქალოშვილს - ელისაბედს“.

ამავე ძირისაა გვარები: **ნითლაური, ნითლაური, ნითლიშვილი, ნითლიაშვილი, ნითლაძე, ნითურიშვილი, ნითლანაძე**.

საქართველოში 124 **ნითურიქე** ცხოვრობს.

### ჩხეტიანი-ჩხეტიანაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ჩხეტა**. უძველეს ფორმად მიჩნეულია **ჩხეტიძე**.

ამავე ძირისაა გვარები: **ჩხეტიანი, ჩხეტიანაშვილი**.

საქართველოში 1 065 **ჩხეტიანა** ცხოვრობს. 26 - **ჩხეტიანაშვილი**.

### აზნაურაშვილი

გვარის ფუძეა ნოდების აღმნიშვნელი სიტყვა **აზნაური**. ეს ქართული წარმოშობის სიტყვაა, თუმცა, სომხურშიც დასტურდება. მომდინარეობს ფორმიდან **აზნ**, რაც გამოჩენილს, გოლიათს, რაინდს, თავისუფალს ნიშნავს. **აზნაურის** საპირისპირო ფორმაა **უაზნო**. ეს სიტყვა გვხვდება საბრუნველ ლიტერატურაშიც.

წინწარმოში მცხოვრები **აზნაურაშვილები** ბერძნულად ჩაწერეს და რუსული ვაფორმებით კნიაზევებად არიან ცნობილინი.

საქართველოში 153 **აზნაურაშვილი** ცხოვრობს: საგარეოში - 84, თბილისში - 36, რუსთავეში - 20. არიან სხვაგანაც.

**აკადემიკოს იაკობ აზნაურაშვილის მასალების მიხედვით მოამზადა ნონა დათუშიძე**

### (37-ე გვერდიდან)

ერთსულოვანი იყო. თუმცა, ხმის უფლებად მხოლოდ პოლიტიკურის წევრებს ჰქონდათ, უკან არავის დაუხვია“.

კიროვის მონაყოლიდან კიდევ ერთხელ მკაფიოდ ჩანს სტალინის მთელი გენიალობა. მე არ ვამბობ, რომ მან გულმონყალების გამო შეიწყალა ტროცკი, მაგრამ ის არც ბრმა შურისძიებას შეუპყრია და ყველაფერი სწორად ანონ-დანონა. სხვათა შორის, თვით შეუდარებელ ლენინსაც კი ჰქონდა არაობიექტურობის, გადანყვეტილებების ნაქარვევად მიღების მომენტები, რაც, თუნდაც, მეფის ოჯახის დახვრეტაშიც გამოიხატა. მაგრამ, სტალინი ყოველთვის წინ იხედებოდა და ისე იღებდა ნებისმიერ გადანყვეტილებას. ამ საქმეში ის შეუდარებელი იყო. ათი თავით მლლა იდგა არა მარტო თავის თანამებრძოლებზე, არამედ სხვა სახელმწიფოთა მეთაურებზეც.

# როგორ ანიკებდა ტროცკი ქვეყნის დასავლეთს და როგორ მოიპოვებდა სტალინმა მის წინააღმდეგ

ტროცკიმ თურქეთში ისურვა გამგზავრება და მეუღლესთან ერთად თებერვლის შუა რიცხვებში სპეცმატარებლით თურქეთის საზღვრამდე მიიყვანეს. ამ აქციას იაგოდას მოადგილე, ბულანოვი ხელმძღვანელობდა, რომელიც მთელი გზა გვერდიდან არ მოსცილებია ტროცკის. მოგვიანებით ყვებოდა: „ტროცკი მთელი გზა ცქმუტავდა, ვერ ისვენებდა, კაპრიზობდა. ამჟამად იყო, რომ ქვეყნიდან გაძევება არ ეპიტივავა და იმასაც მიხვდა, რომ სტალინმა ეს შეგებულად გაუკეთა - ციხეში არ ჩასვა და გააძევა. „ის (სტალინი) კიდევ ბევრჯერ გაიგებს ჩემ შესახებ, - არ ცხრებოდა ტროცკი, - მთელ სიმართლეს მე ქვეყანას ვამცნობ და ვამხ-

ელ მას“. ერთი სიტყვით, რევოლუციის ექსპლემადი შეპყრობილივით იქცეოდა, თავს ვეღარ აკონტროლებდა და სანამ თურქული მხარე ოფიციალურად ჩაიბარებდა, გვერდით გამიხმო და მითხრა: „მას (სტალინს) გადაეცე, რომ თამაში ჯერ არ დამთავრებულა და თუმცა მან ამ ეტაპზე მომიგო, რევანში ორმაგად სასტიკი იქნება.“ სტალინს რომ ეს გაეუმეორე, ჩაიციხა და ჩაილაპარაკა: „რევანში არა, მაგრამ ტროცკის დასასრული მართლაც სასტიკი უნდა იყოს“.

**სტალინის პირადი დაცვის უფროსის მოადგილის მიხედვით თევდორაძის ჩანაწერების მიხედვით მოამზადა ნიკა ლავაურამ**



# თქვენი ბაღნიერება ფულშია?!



კარგია, როცა ფული გაქვს, მაგრამ რამდენი?! ზოგს ძალიან ბევრი უნდა, ზოგს კი ცოტაც ჰყოფნის ბედნიერებისთვის. თქვენს შემთხვევაში როგორ არის?

**1. როგორ პარტნიორს ისურვებდით – ძალიან მდიდარს თუ ისეთს, რომელიც ნებისმიერი სიტუაციიდან პოულობს გამოსავალს, თუმცა, დიდი ფულის შოვნა მისგან ნაკლებ საკარაუდოა?**

ა) მეორე ვარიანტი უკეთესია, თუ სიმ-პათიურიც არის;

ბ) მდიდარს, რა თქმა უნდა;

გ) რომელიც უფრო ღირსეულად მოიქცევა. ფული არ არის მთავარი.

**2. რა აზრის ხართ განადიოზულ პრემიერებზე, წვეულებებსა და გამოფენებზე?**

- ა) ძალიან მომწონს, არაჩვეულებრივია;
- ბ) ზოგჯერ წავიდოდა ადამიანი;
- გ) მლღის და თავს ვარიდებ.

**3. რას ფიქრობთ ჰობიზე, რომელიც დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული?**

ა) სისულელეებისთვის ფული მენანება;

ბ) შესაძლებლობა არ მაქვს, ასე გავერ-თო;

გ) ჰობი ისეთი რამეა, მასზე ფული არ უნდა დაიშურო.

**4. როცა ფულს მთელ კვირაზე ანან-ილებთ, ფიქრობთ, რომ...**

ა) ვერასოდეს მიაღწევთ კვირის ბოლ-ომდე ამ თანხით;

ბ) ზოგჯერ მყოფნის, ზოგჯერ არა;

გ) ზუსტად ვხარჯავ, გადახარჯვის გა-რეშე.

**5. ადამიანებს სიყვარულს მდიდრუ-ლი ყოფა და ფული ურჩევნიათ:**

ა) მე მეცოდება ასეთი ადამიანები;

ბ) ისინი ადამიანები არ არიან, არც გრძობის გაეგებათ რამე;

გ) ჭკვიანები არიან. სიყვარული მეოც-ნებეებმა მოიგონეს.

**6. რატომ სესხულობენ ადამიანები ფულს?**

ა) იმიტომ, რომ ძალიან მცირე შემოსა-ვალი აქვთ;

ბ) უკეთ ცხოვრება უნდათ და ფული არ ჰყოფნით;

გ) ალბათ, მუდმივად აქვთ გაუთვალის-წინებელი ხარჯები.

ტასტის გასაღები

	1	2	3	4	5	6
ა	3	2	2	4	2	4
ბ	1	1	1	3	0	1
გ	5	0	3	1	4	2

**ნახაი შედეგი:**

**4-9 ქულა:** თუ პასუხებში გულწრფე-ლი იყავით, ესე იგი, ფული საერთოდ არ გაინტერესებთ. ცხოვრებაში არსებობს სხვა ფასეულობებიც, მაგრამ, ფულზე ცოტა უფრო სერიოზულად თუ იფიქრებთ, კარგს იზამთ.

**10-16 ქულა:** ფულის ფასს ვინ ჩივის, მუდმივად ვარდებით ერთი უკიდურესობ-იდან მეორეში. თუ ფული გაქვთ, ძუნწო-ბით და არ ხარჯავთ, როცა არ გაქვთ – ნუხხართ. ერთხელ მაინც დახარჯეთ ფუ-ლი თქვენი სიამოვნებისთვის. ეს აუცილ-ებელია, რომ ცხოვრებას გემო გაუგოთ.

**17-22 ქულა:** ფული და ფუფუნებით ცხოვრება თქვენთვის ყველაზე მთავარ-ია. მეგობრებად მხოლოდ იმ ადამიანე-ბს ირჩევთ, რომლებსაც თქვენთვის სა-რგებლის მოტანა შეუძლიათ. მართალი ხართ, როცა ცხოვრებისგან იმ ყველაფ-რის მიღებას ცდილობთ, რისი მოცემაც მას შეუძლია, მაგრამ, თუ მხოლოდ გამ-ორჩენაზე იქნებით და ადამიანებთან გუ-ლწრფელ ურთიერთობას არ შეეცდებით, ერთ დღესაც, აუცილებლად მარტო და-რჩებით.

## სსოველური ჩაქონება

რეკორდსმენები მხოლოდ ადამიანებში არ არსებობენ, არამედ ცხოველთა სამყაროშიც მრავლადაა.

სირბილში რეკორდი ლეოპარდს აქვს დამყარებული. მოკლე დისტანციაზე ის 100 კილომეტრ/საათში აწვითარებს. მაგრამ მაინც ვერ ეწევა ანტილოპას, რადგან სწრაფად იღლება ანუ, მარათონულ დისტანციებზე ლეოპარდი ანტილოპასთან მარცხდება. ანტილოპა საათში 65 კილომეტრის სიჩქარით გარბის, თანაც 6 კილომეტრზე.

ფაუნის ყველაზე ყველაზე სწრაფია შევარდენი საპსანი. მას შეუძლია, საათში 322 კილომეტრი განავითაროს. შეჯახებისა და ნისკარტის ჩარტყმის სიმძლავრე კი ისეთია, რომ ზოგჯერ მსხვერპლს თავიც სწყდება.

მწერებს შორის ყველაზე სწრაფია ამერიკუ-ლი ტარაკანი, რომელსაც წამში იმაზე 50-ჯერ გრძელი დისტანციის გარბენა შეუძლია, ვიდრე მისი საკუთარი სხეულია. თუმცა, საერთო ჯამში, ტარაკანის სიჩქარე არც ისე დიდია – სულ რაღაც 4-5 კილომეტრი საათში.

მსოფლიოში საუკეთესო მსტომელად მიჩნეულია არა კენგ-



ურუ, არამედ ისევ ლეოპარდი. მისი ნახტომის სიმაღლე 4,5 მეტრია. კენგ-ურუს ნახტომის მაჩვენებელი კი სამ მეტრს არ აღემატება.

სიგრძეში ყველას „თავზე ახტება“ დელფინი. ის ექვსი მეტრის სიგრძეზე ხტება.

როგორ გგონიათ, ვის აქვს ყველა-ზე ბევრი კბილი დედამიწაზე?

რა თქმა უნდა... ჩვეულებრივ, ბა-ლის ლოკოკინას. მას 25 ათასი კბილი აქვს. თუმცა, ლოკოკინა სრულიად უწყინარია.

ყველაზე ბევრი ფეხი აქვს აფრიკ-ულ, შავ მრავალფეხას. მისი სიგრძე 38,7 სანტიმეტრია, სხეულის დიამეტრი – 6,7 სანტიმეტრი... პატარაა, სამ-აგიეროდ, 256 ფეხი აქვს. თუმცა, ჩქარა მაინც არ გადაადგილდება.

ვის შეუძლია ყველაზე დიდხანს გა-ძლოს უწყლოდ? – აქლემს? სულაც არა – კლდის ციყუფინას, რომელიც სამხრეთ მექსიკაში ბინადრობს და შეუძლია, წყალი 100 დღის განმავლობაში არ დალიოს.

გვერდი მოამზადა  
ელენა ნულუკიკია



# როსა ქალს უყვარს...

**გაბრიელა. დანაყისი**  
**№ „თბილისელები“ №27-34(713)**

დევიდმა გვიან გაიღვიძა. ძველებური ფანჯრებიდან მზის შუქი შემოდოდა და თვალებში ანათებდა. მიმოიხედა... ანა არ ჩანდა არც სანოლში და არც ოთახში... მოაგონდა, წუხელ, ნავით სეირნობისას როგორი მოწყენილი სახე ჰქონდა ქალს და ინანა, რომ არ დაეღალაპარაკა.

სწრაფად ჩაიცვა, ქვემოთ ჩავიდა და ფართო ვერანდაზე გავიდა. აქედან ხელისგულზე ჩანდა მთელი მამულიც და ციხე-კოშკიც გაცილებით შთამბეჭდავად გამოიყურებოდა. ანას პარკში მიაგნო. ლამაზად გაკრეჭილ ბურჯებსა და გაზონებს შორის სეირნობდა... მონწყენილი და ჩაფიქრებული... ქმარი მანამდე არ შეუნიშნავს, სანამ დევიდი არ ნამოენია და ზურგიდან არ მოეხვია.

- ასე ადრე რატომ ადექი? ციხე-კოშკის მოჩვენებებმა არ დაგაძინეს?

ანამ სევდიანი ღიმილით გადააქნია თავი.

- მე ჩემი მოჩვენებებიც მყოფნის, საყვარელო... თანაც, მყოფნის რომელია, საკმარისზე მეტადაც კი მაკითხვენ და სულს მიფორიაქებენ.

დევიდი მოიღუშა.

- რამდენჯერ გთხოვე, ასეთ ფიქრებს შენზე ბატონობის უფლებას ნუ აძლევ-მეთქი. როგორმე უნდა მოერიო მათ. ძალიან დიდი დრო გავიდა. ყველაფერი უნდა დაივიწყო.

- ჰმ, ასეთი ადვილია? ვერ წარმოიდგენ, როგორ მინდა, აღარაფერი მახსოვდეს, საერთოდ, არაფერი...

დევიდი ცოლს მოეხვია და თვალებში ჩახედა.

- ანა, წუთუ ჩემი სიყვარული საკმარისი არ არის.

- ოხ, დევიდ... სიყვარული არაფერ შუაშია... მოგონებები ძალიან ღრმად არის დაფლული... იმაზე ღრმად, ვიდრე სიყვარულს, ან სხვა რომელიმე გრძნობას შეუძლია, იქამდე ჩაღწევა და მასთან გამკლავება.

კაცმა თავი გადააქნია.

- ბოლო დროს ძალიან უცნაურად ლაპარაკობ... ხანდახან, ვერ გცნობ.

- ჰო?! ამაში შენც მიგიძღვის წვლილი. გასსოვს, საიდან დაიწყო ჩემი ხელახალი აფორიაქება. ვცდილობდი, ძალიან ვცდილობდი, რომ წარსულისთვის გააქტიურების საშუალება არ მიმეცა, მაგრამ შენ არ დამეხმარე, პირიქით, აჩრდილებს შეუნყვე ხელი, რომ გააქტიურებულიყვნენ.

- ანა, ძალიან გთხოვ. აღარ გინდა... ტყუილებრალოდ მადანაშაულებ, ღმერთმანი...

- ჰო, კარგი... აღარაფერს გეტყვი... რა აზრი აქვს. დღეს ხომ დიანას ვნახავ და... ავფორიაქდ...

- სულ ტყუილად... გთხოვ, არაფერი უთხრა და შეეცადე, ჩვეულებრივად შეხვდე. შეიძლება, ბავშვს საერთოდ არც ახსოვს და რად გინდა, თავიდან ააღელვო.

- ცუდად იცნობ დიანას. ის, რაც უთხარი, აღარასოდეს დაავიწყდება. გეუბნები, სხვანაირია... კიდევ არ მესმის, რა საჭირო იყო...

- საჭირო იყო... მოდი, შევთანხმდეთ ამაზე - დევიდმა ცოლს ორივე ხელი დაუჭირა და მსუბუქედ შენჯღრია, - საყვარელო, გადაივლის... გადაივლის ესეც და დიანა კი სირთულეებთან გამკლავებას ისწავლის. სხვანაირად უფრო გაუჭირდება, დამიჯერე. ცხოვრება კიდევ ბევრ გამოცდას მოუწყობს და რა გინდა, ჩვენმა შვილმა მათთან ბრძოლა ვერ ისწავლოს?

- და, ამისთვის შოკური თერაპიის გამოყენება იყო აუცილებელი?

კაცს გაეღიმა.

- მე ხომ ექიმი ვარ. ზოგჯერ პატარა ტკივილის მიყენება პაციენტის სიცოცხლეს გადაარჩენს ხოლმე.

- მე არ ვარ ექიმი და მაგლოგიკისაც არაფერი მესმის. მარტო ის ვიცი, რომ ჩემი შვილი განიცდის იმას, რასაც შენ გარდაუვალი აუცილებლობა უწოდებ. ვნერვიულობ. ლამის ვინანო, რომ ჩამოვდე.

- ეს შენი გადაწყვეტილება იყო. თუმცა, არ ვფიქრობ, რომ ცუდად მოვიქეცი. ვილი და მარია ძალიან გახარებულები არიან ჩვენი აქ ყოფნით. ციხე-კო-

შვიც შესანიშნავია... მითხარი, ხომ ყოველთვის ოცნებობდი ასეთ კოშკში გეცხოვრა.

- მე აქ არ ვცხოვრობ. მხოლოდ სტუმრად ვარ, - ანა, შეეცადა, არ გაღიმებოდა.

- რა პრობლემაა. შენ მხოლოდ მითხარი და ხვალვე გიყიდი ასეთ ციხე-კოშკს.

- გეყოფა, ნუ ბავშვობ... ისე, მართლა ლამაზია აქაურობა. მარიაც ძალიან სასიამოვნო და საყვარელი ქალი ჩანს. ვილის ხომ ადრეც ვიცნობდი, მაგრამ აქ სულ სხვანაირია... თითქოს წარსულის რომელიღაც ეპიზოდთან „გადმოხტა“. დღეს მართლა სანადიროდ მივდივართ?!

- სანადიროდ? ვინ გითხრა?

- გუშინ არ ლაპარაკობდით? თუ ქალებს ნამოსვლა არ შეიძლება?

- პრინციპში, რატომ არ შეიძლება, მაგრამ ცხენზე ჯდომა რომ არ იცი? სანადიროდ ცხენებით დადიან.

ანამ მხრებით აიჩქრა.

- ჯერ ერთი, ტბაზე იხვებზე ნადირობას, ცხენები საერთოდ არ სჭირდება და თუკი მაინცდამაინც გინდა, ცხენზე ამხედრებული მიხილო, არც მაგ სიამოვნებას მოგაკლებს. ბავშვობაში მამაჩემი მსვამდა ხოლმე ცხენზე...

- დევიდ... ანა... სად ხართ... უკვე რამდენი ხანია, გეძებთ... - ბილიკზე ვილი გამოჩნდა ხელების ქვეით... - საუზმე მზად არის და ვერანდაზე გელოდებით...

- ნავიდეთ... - მხარზე ხელი მოხვია დევიდმა ცოლს.

- საერთოდ არ მშია... - თავი გააქნია ანამ, - ცოტას კიდევ გავისეირნებ.

- უხერხულია... გუშინ ხომ გაიგონე, მარიამ რა თქვა. ვილიამი ტრადიციული კაცია... ტრადიციული ირლანდიელი... ანგარიში უნდა გავუწიოთ ამას.

ანამ ნაძალადევად გაუღიმა მოახლოებულ მასპინძელს.

- დიანასთან ხომ არ დაგირეკავთ? როდის ნამოვლენ?

- გზაში არიან უკვე... ალბათ, სადილობისას აქ იქნებიან... - ვილი ცოლ-ქმარს შუაში ჩაუდგა და ორივეს მხარზე მოხვია ხელი, - ჩემი გოგო ვერ იტანს დილით ადრე ადგომას და დარწმუნებული ვარ, საშინელ გუნებაზე იქნება. ამიტომ გადავწყვიტე, გავამხიარულო. დიდი წვეულების მოწყობას ვგეგმავ.

ანა შეკრთა და უკმაყოფილება ვერ დამალა.

- წვეულების? ანუ, ხმაურიანი თავშეყრა იქნება და ბევრი ხალხი...

ვილიამმა გადაიხარხარა.

- ვიცი, ვიცი, რასაც ფიქრობ, მაგრამ აქ ყველაფერი სხვანაირად არის ხოლმე. მოგეწონება. ხოლო, თუ წვეულებისთვის შესაფერისი სამოსი არ ნამოვიღია, სხვათა შორის, დრეს-კოდს აქ მკაცრად ვიცავთ, მარიას გარდერობში დიდი არჩევანია და მგონი, რამე აუცილებლად მოგეწონება... დევიდს კი ვისკის დაყენების ტექნოლოგია უნდა ვასწავლო.

- რას ამბობ, მთელი თვით კი არ ჩამოვსულვართ. ორ დღეში ლონდონში უნდა ვიყოთ.

- არა, არა, თქვენი გამგზავრების საკი-





თხი ჯერ ღია და როდის გაემგზავრებით, თავად გადაწყვეტ. გირჩევთ, არც გააპროტესტოთ. ძალიან ჯიუტი ვარ და ვერ დამი-თანხმებთ...

\*\*\*

დიანა ლოყით ხელისგულზე დაყრდნობილი იჯდა და მატარებლის ფანჯრიდან თვალს არ აშორებდა შთამბეჭდავ პეიზაჟებს.

– რა ლამაზი ყოფილა ირლანდია. დუბლინი ეს არ იგრძნობოდა.

– ჰო, დუბლინზე მეც არ ვგიჟდები, მაგრამ ლენსტერის პროვინცია, სადაც ჩვენი საგვარეულო ციხე-კოშკია, მართლაც ძალიან ლამზია. მამაჩემი საერთოდ ჭკუას კარგავს აქაურობაზე. რომ ჰკითხო, დუბლინი რამდენჯერ არის ნამყოფი, ვერ გიპასუხებს. როგორც თავად ამბობს, ამ დროს ცხოვრების „ჩავარდნილ დღეებად“ მიიჩნევს. იცი, ბრაიანს რამდენი ხანი არ ელაპარაკებოდა?

– ბრაიანი შენი ძმია?

– ჰო... არ ელაპარაკებოდა, – ამერიკაში რატომ გინდა ცხოვრება. მანდა რა დაგრჩენია, კიდევ გაგიგებდი, რიგაში რომ მოგესურვებინა დარჩენაო.

– რიგაში რატომ?

– რა ვიცი, ასეთი ლოგიკა აქვს. დედაჩემი ხომ რიგიდან არის და ვითომ ეს სისხლის და ჯიშის ყივილი იქნებოდაო. ძალიან სასაცილო ვინმეა. ახლოს რომ გაიცნობ, მიხვდები.

– მამაშენი ძალიან მომწონს, – გაიღიმა დიანამ, – ძალიან საყვარელი ვინმეა.

– ჯერ სულ ორჯერ ნახე. ღამეს რომ გაათვე იმ პირქუშ კოშკში, მერე ასე არ ილაპარაკებ. ჰო, მართლა, არ დაგავინცდეს, რომ იხვებზეც მოგიწევს წასვლა, სანადიროდ.

– რა, რას ამბობ. იარაღი ხელში არასდროს მჭერია.

– დაგატყრინებს, ნუ დარდობ, – აკისკისდა ლინა, – ბრაიანი კი მართლა ძალიან საყვარელია. სამწუხაროა, რომ არ იცნობ. აი, ის კი შესაფერისი იქნებოდა, ნამდვილად.

– ვისი შესაფერისი, ლინა?

– ვისი და შენი. ძალიან მაგარი ტიპია... იმდენი ხანია, არ მინახავს... ძალიან მომენატრა... ვაჟკაცურია და მამაჩემივით ნამდვილად არ აზროვნებს.

– მოეშვი ამ მამაშენს...

– ჰმ, კარგი, ჩავალთ და ნახავ... – ნიშნისმოგებით გაუცინა ლინამ, – ნამოდ, ვაგონ-რესტორანში ყავა დავლიოთ და რამე შევჭამოთ... მომშვიდ.

– მინც არ მომიყვები, სად იყავით შენ და ტომასი და საერთოდ, რა ხდება თქვენ შორის.

– არაფერი განსაკუთრებული – მოვწონვარ და მომწონს, სულ ეს არის. საცეკვაოდ ვიყავით. გავერთეთ ცოტა. ისეთი მხიარულია... მთხოვა, თქვენთან ერთად მეც წამოვალო. სულელია... ნარმოვიდგინე, მამაჩემის სახე, ეგექ რომ წამომეყვანა...

– გაბრაზდებოდა?

– ჰა, ჰა... გააჩნია, რა სტატუსით ჩავიყვანდი. მამებისთვის სტატუსს დიდი მნიშვნელობა აქვს.

– დედაჩემისთვისაც, – ამოიხრა დეამ.

\*\*\*

კოტემ კომპიუტერი გამორთო და უკვე კაბინეტიდან აპირებდა გამოსვლას, რომ შიდა ტელეფონმა დარეკა.

– რა მოხდა, თამრიკო? – უხალისოდ ჰკითხა მდივანს.

– ბატონო კოტე, ვილაც კაცი გკითხულობთ, აუცილებელი საქმე მაქვსო.

– მე რომ უკვე გავდიოდი?

– ვუთხარი, ბატონო კოტე, რომ ინვესტორებთან გაქვთ შეხვედრა, მაგრამ ჯიუტად იმეორებს, უნდა ვნახოო. რა ექნა?

– ახლა რაღა უნდა ქნა? გითქვამს უკვე აქ არისო და... ვერ გასწავლე მუშაობა... შემოვიდეს.

კოტეს ჯერ არ ჰქონდა მონელებული იმ ფულზე ფიქრი, თიკოს მანქანაზე რომ მოუნევედა დამატება და საზიზარ გუნებაზე იყო. იმაშიც არ ეპარებოდა ეჭვი, რომ ლენუკა და სანდროც გაიტანდნენ თავისას.

კაბინეტში ჭალარა, ნაოჭებით სახედალარული, უნესრიგოდ ჩაცმული მამაკაცი შემოვიდა. უცერემონიოდ მოათვალიერა ვრცელი, გემოვნებით და მდიდრული ავეჯით განწყობილი ოთახი და დაუბატიყებლად მოკალათდა ტყავის სავარძელზე. კოტე განცვიფრებული ადევნებდა თვალს.

– ვინ ხართ და რა გნებავთ? – ჰკითხა დაუფარავი ბრაზით.

– აშკარად არ გავიხარდა ჩემი სტუმრობა. ისე, კარგად მოწყობილხარ, ვერაფერს დაუნუნებ შენს კაბინეტს. მართლა ვერ მიცანი?

– ჩემმა მდივანმა ხომ გითხრათ, ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრა მაქვს და „გამოცანობის“ თამაშისთვის არ მცლია.

– კოტე, ყოჩაღ! მშვენიერი წინსვლაა, ახლა ნამდვილად საქმიანი იმეჯე გაქვს და გარეგნობაც. ეგ კოსტიუმიც არ იქნება ბაზრობაზე ნაყიდი... ოო, საათიც საუცხოოა...

– ახლავე დავერკავ და დაცვას ვეტყვი, რომ აქედან მიგაბრძანოთ. თუ ფულის სათხოვნელად ხარ მოსული, ქეშად ათ ლარზე მეტი არ მაქვს. გამოძარტი და ნადი აქედან.

სტუმარი ახარხარდა და ჩაყვიტლებული, მოუვლელი კბილები გამოაჩინა.

– როგორ ადვილად მიშორებ თავიდან?! არა, ჩემო კოტე, ასე მარტივად არ გამოვა საქმე. შეიძლება, ძალიან გინდა, არ გამიხსენო, მაგრამ მე დავცხმარებ მეხსიერების გავარჯიშებაში. დიმიტრი ვარ. სამი დღის წინ გამოვედი ციხიდან...

კოტესთვის ეს სიტყვები ტყვიის გავარდნასავით აღმოჩნდა. შოკირებულმა წონასწორობა დაკარგა და სკამზე მოწყვეტილი დაეშვა.

კაცმა კმაყოფილებით გაატკაცუნა თითები.

– მშვენიერია. ახლა უკვე ვხედავ, რომ მიცანი... მოკლედ გეტყვი – რაც იყო, იყო... ყველაფერს დავივინებ, მაგრამ ეს შენზეა დამოკიდებული.

– მითხარი, რა გინდა... – კოტემ პერანგის საკინძე შეიხსნა და ტელეფონის ყურმილისკენ გაიწოდა ხელი. მერე გადაიფიქრა.

– მდივანს ხომ არ დავუძახო, ცუდად



ხარ? წყალს დაგისხამ, თუ გინდა...

– ჰო, კარგი იქნება... – ამოიხრიალა კოტემ.

დიმიტრიმ მიმოიხედა.

– აქ წყალი არსად არის... მოიცადე...

ყურმილი აიღო და მდივანს დაურეკა.

– ცივი წყალი და ერთი ჭიქა ყავა შემოგვიტანე, საყვარელო...

თითქმის იმავე წუთს კარი გაიღო და ზღურბლზე შემოვთებული მდივანი გამოჩნდა.

– ბატონო კოტე, რა ხდება? დაცვას ხომ არ დავუძახო?

– ბატონ კოტეს უნდა წყალი, მე – ყავა, – კოტეს მაგივრად უპასუხა დიმიტრიმ, – ჰო, ყავა ტკბილი მიყვარს და შაქარი ნუ დაგენანება. რას მიყურებ, ჩქარა გააკეთე, რასაც გუებნები.

მდივანმა კოტეს შეხედა. იმანაც ოდნავ დაუქნია თავი. ქალი სწრაფად შებრუნდა და მალევე უკან დაბრუნდა, ლანგარზე ყავა და ჭიქით წყალი შემოიტანა. მაგიდაზე დადო და უხერხულად იქვე გაჩერდა.

– გმადლობ... ახლა შეგიძლია, ნახვიდე...

– გაუცინა დიმიტრიმ.

– ბატონო კოტე... – შეყოყმანდა მდივანი.

კოტემ ხარბად მოსვა წყალი და ქალს ხელი აუქნია.

– ნადი, თამრიკო, ნადი და კარი გაიხურე. შეგიძლია... სულ ნახვიდე, დღეს აღარ დამჭირდები...

როგორც კი მდივანმა კარი გაიხურა, დიმიტრიმ სავარძლიდან მაგიდასთან გადაინაცვლა და ყავით საესე ფინჯანი თავისკენ მიიწოჩა...

– ესეც ასე, ახლა ამ ყავას დავლევ და შეგიძლია, მშვიდად დავილაპარაკოთ. კარგი იქნებოდა, დასაყოლებელიც გვქონოდა რამე, მაგრამ, არა უშავს, კიდევ მოვასწრებო...

გაგრძელება შემდეგ ნომერში



# ფლორის საფაროვი



რუბრიკას უძღვება ბიოლოგიის მცენიერებათა დოქტორი ანდრეას გინსპე

ყვავილებს არ აქვთ სალაპარაკო ორგანოები, მაგრამ ისინი გულის ენას ქმნიან, რომლითაც გველაპარაკებიან და გრძნობენ.

### გოითა

**კითხვა:** როგორ მოვიუარო კტენანტას ზრდის პერიოდში?

**პასუხი:** კტენანტას ზრდის დროს ნიადაგი ორ კვირაში ერთხელ სასუქით გაანოყიერეთ. მისთვის კარგია მაღალი ტენიანობა, ამიტომ, ხშირად დანამეთ ან სველკენჭებიან ლანგარზე დადგით, სიცხეში ფოთლები რომ არ დაენვას. ზამთარში დამატებითი კვება მას არ სჭირდება.

**კითხვა:** რა ტემპერატურაა საჭირო დენდრობიუმისთვის?

**პასუხი:** ეს ორქვი დაბალ ტემპერატურასაც იტანს და, სხვა ორქვიდებთან განსხვავებით, ტროპიკული სიცხე არ სჭირდება, თუმცა, ტენი არ უნდა მოაკლდეს. ზაფ-

ხელობით 20-24 გრადუს ტემპერატურაზე ამყოფეთ, ზამთრობით კი - 10 გრადუსზე.

**კითხვა:** როგორი რეჟიმით მოვრწყა ეპიპრენუმი?

**პასუხი:** გაზაფხულზე და ზაფხულში რეგულარულად მორწყეთ, მაგრამ, სანამ მორწყავთ, ნიადაგს შეშრობა უნდა აცალით. მცენარის ზრდის პერიოდში მინა სასუქით გაანოყიერეთ. ზამთარში შედარებით იშვიათად მორწყეთ. ამ დროს არც დამატებითი საკვები სჭირდება.

**კითხვა:** ბევრიანის გახარება მინდა. ხომ ვერ მიჩნევთ, როგორი როგორი მოვიქცე, რომ იოლად გავზარდო?

**პასუხი:** 2,5-სანტიმეტრიანი ღეროს ფოთოლი მინაში ისე ჩარგეთ, რომ ფოთოლი მინის ზემოთ დარჩეს და ორ თვეში თქვენ ახალი მცენარე გექნებათ. საერთოდ, გამჭვირვალე ხუფი ხელს უწყობს ტენიანობის შენარჩუნებას, რაც ხელსაყრელია მცენარისთვის.

**კითხვა:** როგორი განათება მოსწონს რეოს?

**პასუხი:** რეოს უყვარს კაშკაშა სინათლე, მაგრამ, თუ მცენარეს მზის გულზე დადგამთ, ფოთლები გაუხუნდება და ძველებზე ურ ეფექტს დაკარგავს. ნათელი სასტუმრო ოთახი ამისათვის საუკეთესო ვარიანტია.

**კითხვა:** იოლია იზოლებიის გაზრდა?

**პასუხი:** მართალია, ეს მცენარე ბუნებაში წყლის პირას იზრდება, მაგრამ მას ოთახის პირობებშიც მშვენივრად გაახარებთ. ის ნესტის მოყვარული მცენარეა, ამიტომ, მინა

მუდამ სველი უნდა ჰქონდეს. მაღალი ტენიანობის შესანარჩუნებლად ქოთანს წყლიან ჭურჭელში ჩადგით. ეცადეთ, რბილი წყლით მორწყათ ხოლმე.

**კითხვა:** მინაში ჩინური ვარდი დავაბურქო, როგორი მოვიქცე?

**პასუხი:** დიდ ქოთანში ის, შეიძლება, ორ მეტრამდე ან უფრო მაღალიც კი გაიზარდოს, მაგრამ, თუ გსურთ, რომ მცენარემ ბუჩქის ფორმა მიიღოს, გაზაფხულზე კარგად უნდა გასხლათ და ის აუცილებლად შეწყვეტს სიმალღუმი ზრდას. გასხვლა ყვავილობას არ ვნებს.

**კითხვა:** ბინაში მადაგასკარული ფას-მინი მაქვს, რომელმაც ამ ბოლო დროს მოიწყინა. რის ბრალი შეიძლება იყოს ეს?

**პასუხი:** ეს მცენარე ვერ იტანს ტემპერატურის ცვლილებასა და დაბალ ტენიანობას. შეეცადეთ, რომ მუდმივად ერთნაირ პირობებში ამყოფოთ და შეამონმეთ მისი ნიადაგი - შეიძლება, უკვე გამოშრალია და მორწყვა სჭირდება.

**კითხვა:** როგორი განათება და ტემპერატურა სჭირდება კალიზიას?

**პასუხი:** მას უყვარს კაშკაშა სინათლე. მისთვის იდეალურია დილის ან საღამოს მზე, რამდენიმე საათით. კარგია ოთახის ტემპერატურა 18-24 გრადუსი, ზამთარში კი 10 გრადუსზე ნაკლები ტემპერატურა საფრთხეს შეუქმნის მცენარეს.

მომზადდა  
თიონა გოზალიშვილმა

# ადვოკატი გირჩევთ

**კითხვა:** გთხოვთ განმიმარტოთ აქვს თუ არა დამსაქმებელს უფლება სამუშაოზე აყვანილ პირს დაუშალოს, რომ შეკვეთილი სამუშაო მძიმე გავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე და სიცოცხლისათვის საშიშ დაავადებების პროცირებას უწყობს ხელს?

**პასუხი:** განვიმარტავთ, რომ დამსაქმებელი ვალდებულია უზრუნველყოს დასაქმებული სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მაქსიმალურად უსაფრთხო სამუშაო გარემოთი. მას არათუ უფლება აქვს დაუმალოს დასაქმებულს ამგვარი ინფორმაცია, არამედ დამსაქმებელი ვალდებულია გონივრულ ვადაში მიანოდოს დასაქმებულს მის ხელთ არსებული სრული, ობიექტური და გასაგები ინფორმაცია ყველა იმ ფაქტორის შესახებ, რომლებიც მოქმედებს დასაქმებულის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ან ბუნებრივი გარემოს უსაფრთხოებაზე.

**კითხვა:** გთხოვთ მაცნობოთ, აქვს თუ არა უფლება დამსაქმებელს, დასაქმებულთან შეუთანხმებლად დაქვითოს ხელფასის თანხა და თუ ამგვარი რამ შესაძლებელია, რა ოდენობის თანხის დაქვითვა შეუძლია დამსაქმებელს?

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ დამსაქმებ-

ელს უფლება აქვს, დასაქმებულის შრომის ანაზღაურებიდან დაქვითოს მხოლოდ ზედმეტად გაცემული თანხა ან ნებისმიერი სხვა თანხა, რომელიც შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე, მისთვის დასაქმებულს აქვს გადასახდელი. შრომითი ანაზღაურებიდან ერთჯერადად დაქვითვის საერთო ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს შრომის ანაზღაურების 50 პროცენტს.

**კითხვა:** დასაქმებული ვარ ისეთი სამუშაოზე, რომელიც მომეტებული საფრთხის წყაროს შეიცავს. ამაზე ინფორმაცია თავიდანვე მქონდა, მაგრამ ხშირად შემკვეთი ისეთი სამუშაოს შესრულებას გვავალბებს, რომელიც ძალზედ სარისკოა, მითუმეტეს არ არის დაცული უსაფრთხოების ზომები. გთხოვთ განმიმარტოთ, მაქვს თუ არა უფლება ჩემი სიცოცხლისათვის საშიში დავალების შესრულებაზე უარი განვუცხადო დამსაქმებელს?

**პასუხი:** განვიმარტავთ, რომ დასაქმებულს უფლება აქვს უარი განაცხადოს იმ სამუშაოს, დავალების ან მითითების შესრულებაზე, რომელიც ეწინააღმდეგება კანონს ან შრომის უსაფრთხოების პირობების დაუცველობის გამო აშკარა და არსებით



რუბრიკას უძღვება ადვოკატი ირაკლი გვარამია

უვიცობის სამეფოში თვით უნესიერესი ადამიანიც კი დამნაშავე ხდება.

ანატოლ ფრანსი

საფრთხეს უქმნის მის ან მესამე პირის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საკუთრებას ან ბუნებრივი გარემოს უსაფრთხოებას. ამასთან დასაქმებული ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს დამსაქმებელს იმ გარემოების შესახებ, რომლის გამოც იგი უარს ამბობს შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე.



# რა არის სიმთვრალის კრიზაჟი ჩვენს ქვეყანაში და რისი უფლება აქვს მთვრალ მკვლელს

**პიძისვა:** გთხოვთ, განმარტოთ, რა შემთხვევებში შეიძლება ჩაითვალოს, რომ მძლოლი ავტომანქანის მართვისას, იმყოფება ალკოჰოლური შემოქმედების მდგომარეობაში და როგორ უნდა გადაამონშოს მძლოლმა პატრულის მიერ ჩატარებული ალკოჰოლური შემოწმების სისწორე?

*ნუ ივლი მანქანით შენს მგარეველ ანგელოზზე უფრო სწრაფად.  
მიხაილ შუმახერი*

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობად მიიჩნევა მძლოლის სისხლში 0,3 პრომილეზე მეტი ოდენობით ეთანოლის შემცველობა. თუ ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობა ტესტირების მეშვეობით გამოვლინდა, მძლოლი უფლებამოსილია, ტესტირებიდან 2 საათის განმავლობაში, მიმართოს შესაბამის სამედიცინო-საექსპერტო დანესებულებას კლინიკურ-ლაბორატორიული შემოწმების, ანდა სისხლის ალბინისა და მასში ეთანოლის შემცველობის დადგენის მიზნით.

**პიძისვა:** ვიმყოფები რაიონში, სადაც გამაჩერა პატრულმა და შემამონშა სიმთვრალეზე. დამიდგინდა ალკოჰოლის მიღების ფაქტი და ჩამომერთვა ავტომანქანის მართვის უფლება. არ ვეთანხმები შემოწმების შედეგებს, მაგრამ ადგილზე არ იყო ექსპერტიზის ჩატარების საშუალება და ვერ შევძელი გადამოწმება. გთხოვთ, მაცნობოთ, ჩამეთვლება თუ არა მოცემულ შემთხვევაში ექსპერტიზის ჩა-

**უტარებლობა საპატიოდ ან როგორ უნდა მოიქცეს მძლოლი მსგავს სიტუაციაში?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ თუ ადგილზე არ არის შესაბამისი საექსპერტო დანესებულება ან სამედიცინო დანესებულებას არ აქვს სისხლში ეთანოლის შემცველობის დადგენის შესაძლებლობა, მის დასადგენად ალბეული სისხლი ეგზავნება სათანადო საექსპერტო დანესებულებას. ამ შემთხვევაში, სისხლის ალბინის, შენახვისა და სათანადო საექსპერტო დანესებულებისთვის გადაგზავნის წესები და ვადები, განისაზღვრება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანებით. მათივე ბრძანებით განისაზღვრება იმ სამედიცინო-საექსპერტო დანესებულებათა წესბა, რომელთაც აქვთ კლინიკურ-ლაბორატორიული შემოწმების, ანდა სისხლში ეთანოლის შემცველობის დადგენის უფლება, აგრეთვე, იმ სამედიცინო დანესებულებათა წესბა, რომელთაც აქვთ მხოლოდ სისხლის ალბინის უფლება.

**პიძისვა:** მნიშვნელოვან საქმეზე გადავადგილდები ავტომანქანით, რა დროსაც გამაჩერა პატრულმა და შემამონშა სიმთვრალეზე, დამიდგინდა მცირე ოდენობით ალკოჰოლის მიღება, მაგრამ რეალურად არ ვიყავი მთვრალ მდგომარეობაში. ჩავიტარე კანონის დაცვით საექსპერტო შემოწმება, რომელმაც დაადგინა, რომ მართლაც არ მქონდა მიღებული ალკოჰოლის ჭარბი ოდენობა. მიუხედავად გამართლებისა, სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევის გა-



**რუბრიკას უძღვება საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი გეორგი მელაძე**

**შურნალი „თბილისელები“ გირჩევთ:**  
\* დაფიქრდით, სანამ დაიწყებთ ავტომობილის მართვას;  
\* ისარგებლეთ უსაფრთხოების ღვედებით;  
\* ნუ დასვამთ მცირეწლოვან ბავშვს წინა სავარძელზე;  
\* მართვისას ნუ ისარგებლებთ მობილური ტელეფონით;  
\* გისურვებთ უსაფრთხო გზავრობას!

**მო, ვერ მივედი დანიშნულ დროს საქმეზე, რამაც ძალიან დამაზარა. გთხოვთ, მაცნობოთ, მაქვს თუ არა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება?**

**პასუხი:** განვიმარტავთ, რომ თუ კლინიკურ-ლაბორატორიული შემოწმების შედეგად, მძლოლს არ დაუდგინდა ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობა, იგი გათავისუფლდება ადმინისტრაციული სახელისაგან. მძლოლს უფლება აქვს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მოითხოვოს მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

**მომავლად  
სალომე გველსინაძე**

# ვეტერინარის რჩევები

**პიძისვა:** მყავს პუდელი, რომელიც ძილში ხვრინავს. როგორც ვიცი, ამ ჯიშს ხვრინვა არ ახასიათებს და რისი ბრალი შეიძლება იყოს ეს?

**პასუხი:** მართალია, ხვრინვა არ ახასიათებს პუდელის ჯიშის ძაღლებს. ამიტომ, თუ თქვენი ძაღლი ხვრინავს, მაშინ ეს პრობლემაა, რაც შესაძლოა, გამოწვეული იყოს სასუნთქი გზების გამტარობის დაზიანებით. ამიტომ, თქვენი ძაღლი აუცილებლად უნდა ახახვოთ ვეტერინარს, რომელიც დაადგენს ხვრინვის გამომწვევ მიზეზს და გადაგიჭრით აღნიშნულ პრობლემას.

**პიძისვა:** ლეიშმანიოზისთვის ყველაზე საშიში რა პერიოდია და რა გამოვლინებები აქვს ამ დაავადებას?

**პასუხი:** ლეიშმანიოზის ვადამტანია კოლო, ამიტომ ლეიშმანიოზით დაავადების ყველაზე საშიში ზაფხულის პერიოდია, როცა კოლო აქტიურია. რაც შეეხება დაავადების გამოვლინებას, ეს ხდება უმეტესად ზამთრის პერიოდში, რაც განპირობებულია დაავადებისთვის დამახასიათებელი სპეციფიკურობით. ინკუბაციის პერიოდი გრძელდება 6 თვემდე. ლეიშმანიოზისთვის სანყის პერიოდში დამახასიათებელია კანზე გამონაყარი, კუნთებისა და სახსრების ტკივილი, მაღალი ტემპერატურა, ბენვის ცვენა, ქერტლი, სპეციფიკური სუნის, თვალდან და ცხვირიდან გამონადენი.


**პიძისვა:** რამდენად შესაძლებელია ოსტეოართროზის განკურნება ძაღლებში?

**პასუხი:** სამწუხაროდ, ოსტეოართროზის

განკურნება ბოლომდე შეუძლებელია. რადიკალური მკურნალობის ერთადერთი მეთოდია სახსრის შეცვლა ხელოვნური იმპლანტანტით, ენდოპროთეზირებით, რომელიც ძაღლებში კეთდება მენჯ-ბარძაყის სახსრის დისლაზიის დროს, რაც სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში არაა ხელმისაწვდომი. კონსერვატიული მკურნალობის დროს გამოიყენება სხვადასხვა სახის არასტეროიდული, ანთების საწინააღმდეგო პრეპარატები, რომლებსაც ახასიათებს ანთების საწინააღმდეგო, ტკივილგამაყუჩებელი და მსუბუქი ქონდროპროტექტორული მოქმედება (რაც სუსტად ამუხრუჭებს ოსტეოართროზის განვითარებას). ამ პრეპარატების თვითნებურად დანიშვნა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, რადგან ახასიათებს მთელი რიგი უკუჩვენებები. თუ თქვენი ცხოველი კოჭლობს, ამის გამოწვევი მიზეზის დასადგენად და სამკურნალოდ, აუცილებლად უნდა მიმართოთ ვეტერინარ ექიმს, რომელიც გამოიკვლევს თქვენს ცხოველს და შეიძლება, გამოიყენოს გამოიკვლევის სპეციალური მეთოდები, ისეთი როგორცაა, მაგალითად: რენტგენოგრაფირება, რის საფუძველზეც დასვამს ზუსტ დიაგნოზს და დაუნიშნავს შესაბამის პრეპარატს საჭირო დოზით.

**პიძისვა:** მაინტერესებს, თუ შეიძლება, რომ მაცივარში მოთავსებული საქმელი ძაღლის ვაჭამოთ? საუბარია ოჯახის საერთო საკვებზე.

**პასუხი:** უპირველესად, გააჩნია, რა საკვებზეა საუბარი, რადგან ყველა კერძის ჭამა, რასაც ოჯახის წევრები მიირთმევენ, ძაღლისთვის



**რუბრიკას უძღვება ვეტერინარის მეცნიერებათა დოქტორი ზაპარ ბაჰიაშვილი**

**ადამიანებს ისევე რომ უყვარდეთ, როგორც ძაღლებს, სამყარო სამოთხედ იქცეოდა.  
ჯეიმს ღუბაანი**

არ შეიძლება. საერთოდ, ოჯახის პირობებში დამზადებული წვნიანი თუ ის მაცივარში დევს, როგორც ადამიანისთვის, ასევე ძაღლისთვის ჯერ უნდა ნამოადულოთ, მერე გააგროლოთ და ისე აჭამოთ. საერთოდ, არც არის რეკომენდებული საერთო კერძის ჭამა ძაღლისთვის. როგორც წესი, თითქმის ყველა ოჯახში კერძს სანელებლებით აზავებენ. სანელებელი კი ძაღლისთვის არ ვარგა. გაითვალისწინეთ, რომ სანელებელი ძაღლებში ნაღვლის ბუშტის ანთებას და ღვიძლის გადაგავრებას იწვევს.

**მომავლად  
მარიკა სიღურაძე**



# კაცობრიობის გადასარჩენად

**გაგრძელება. დასაწყისი**  
**იხ. „თბილისელები“ №29-34(713)**

ისე მრისხანედ ვუყურებდი, წამის მეათედში ჩასწვდა სიტუაციის მთელ სერიოზულობას და ჩემი გაცოფების მიზეზიც გამოიცნო.

– შენც ქართველი ხარ? – ცოტა დაიბნა და რატომღაც რუსულად მკითხა.

– იცი, არის ორი ქართული სიტყვა – მამებარი და მეძებარი. დიხხ, მეც ქართველი ვარ... ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მე მამებარი ვარ!

– შენ რა, ძალღს მადარებ?! – სახე წამოწმითლდა სიბრაზისგან და ორი ნაბიჯი გადმოდგა ჩემკენ.

– საკუთარ დედას ვინც შეაგინებს, ის ძალზე უარესია!

– შენი... – დაიძახა და მუშტებმოკუმული მეცა, მაგრამ რომ სცოდნოდა, მის ამ ანგარიშმოუცემელ მოქმედებას რა მოჰყვებოდა, ამას, ალბათ, არასოდეს გააკეთებდა. მოულოდნელად გვერდზე მოვექეცი, ხელი ზურგსუკან ამოვუჭირა და მერე ისე, რომ გონზე მოსვლაც არ დაეცა, ორჯერ იმ ნიჟარაში ძლიერად ჩავაკერევი თავი, რომელსაც რუსები „პისუარს“ უწოდებენ. გული რომ ვიჯერე, „პისუარის“ მალე მიკრულ სარკეზე მივაჭყლიტე ცალი ლოყით და ყურში დამარცვლით ჩაეჭურჩულე:

– თუ ის ვერ მოახერხე, ქართველი ქალებისთვის თავი მოგენონებინა, ვერც რუსებს შეაბამ, შე პედ...სტო! – მერე ხელი გავუშვი და კარისკენ გავემართე. სანამ გამოვიდოდი, შევბრუნდი, იდგა და მიყურებდა. ალბათ „დაჭკვიანდა“, მიხვდა, კიდევ ერთხელ რომ გამოენია, ახლა უნიტაზში ჩავაყოფინებდი თავს.

– იცოდე, აღარსად გადამეყარო, თორემ გიჩვენებ, შენაირ ქლესებს როგორ ვექცევი!

– შე დამპალო! – ჩაილაპარაკა უფრო თავისთვის, როცა კარი მოვხურე. თუმცა, სიტყვები გავარჩიე, მაგრამ უკან შევბრუნება აღარ მიფიქრია, რადგან, როგორც მაშინ ვფიქრობდი, მან თავისი უკვე მიიღო.

ვარვარა ჩემი დაგვიანების გამო ცოტა შე-

შვოთებული დამხვდა, მაგრამ ჩემი მშვიდი სახის დანახვაზე, თვითონაც დამშვიდდა. კარგი იქნებოდა, ჩემთან ავსულიყავით, მაგრამ ასეთი აჩქარება მიზანშეუწონლად მივიჩნიე და ინგლისელი ჯენტლმენივით შევთავაზე, რომ სადმე მანქანით გავგესიერნა.

– ჯობია, შინამდე მიმიყვანო, – მთხოვა და მივხვდი, რომ ეგორის იმაზე მეტად ეშინოდა, ვიდრე მეგონა.

– კარგი... მაგრამ მინდა, იცოდე, მე ის კაცი ვარ, ვისაც შეუძლია, ეგორ კაზაკოვი ჩამოგაცილოს. და თუ შენ დამეხმარები, რომ „სახალხო ტაძრის“ რჩეულთა შორის მოვხვდე, გპირდები, რომ შენც დაუბრუნდები „ნითელ კარავს“!

– ამას როგორ მოახერხებ, ალექსანდრ? – ვარვარას იჭვინული მზერა გაუხდა, – თუმცა ძალიან მამაკაცური ხარ და ძლიერიც ჩანხარ, მაგრამ... ეგორი ძმინვარე ხაროვით არის, როცა ბრაზდება.

ვარვარას გაუბედაობაზე გამეღიმა და, ცოტა არ იყოს, გაბლენძილმა მივუგე:

– მე იმ კაცის შთამომავალი ვარ, ვინც ხარს ერთი დარტყმით უღებდა ბოლოს!

არ ვიცი, დამიჯერა თუ არა, მაგრამ, როცა მანქანა ფერემოვის ქუჩაზე გამაჩერებინა, სანამ გადავიდიოდა, გამომშვიდობების მაგივრად, მითხრა:

– სამა, ძალიან მომწონხარ... შენ სულაც არ ჰგავხარ ინგლისელ პიჟონებს.

– ალბათ იმიტომ, რომ ძლიერი ფესვები მაქვს და იქაურმა ნისლმა ფერი არ დამიკარგა.

ვარვარას გაელიმა, გადმოინია, ლოყაზე მაკოცა და მანქანიდან გადავიდა.

„ესეც ასე! – გავიფიქრე. – გვრიტი უკვე გავაბი. ახლა დროა, ის სატყუარად გამოვიყენო და ანაკონდაზე ვინადირო!“ თუმცა, როცა გამახსენდა, როგორი ეროტიკული დატვირთვით გამოთქვა სახელი „სამა“, უნებურად უსიამოვნო შეგრძნება დამეფუფლა.

\*\*\*

ვარვარა გადავიდა თუ არა მანქანიდან, ჩემი მობილური ანკრიალდა – მიხაილ კირსანოვი რეკავდა. მითხრა, რომ აუცილებელი საქმე ჰქონდა და ერთ საათში შინ უნდა დაეხვედროდი. ზუსტად დათქმულ დროს მიხაილმა კარზე ხარი დარეკა.

– რას დალევ? – ვკითხე, როცა მისაღებში სავარძელში ჩავეშა.

– როგორც ყოველთვის! – იყო პასუხი.

– ჰო, რა თქმა უნდა, ფრანგულ კონიაკს... შენ ხომ არისტოკრატი ხარ, – გავხუშურე და ბარის კარი გამოვადე.

– ახალი არის რამე? – მკითხა მიხაილმა და ჩემი მინოდებული ჭიქიდან კონიაკი მოსვა.

– ისეთი არაფერი... ნარუმბატებელი შეხვედრა მქონდა... ჰო, მართლა, როგორც გავიგე, ჩვენი ეგორ კაზაკოვი, სხვა რუსებისგან განსხვავებით, ღვინის მოყვარული ყოფილა. უცნაური ფაქტია, არა?

– არც ისე... უფრო მეტის გავების იმედი მქონდა, რადგან ერთ კვირაში ბერლინში მივდივარ... შტაბში – ახალი ინსტრუქციები უნდა

მივიღოთ. სწორედ ამის სათქმელად მოვედი. – გასაგებია. მაგრამ ასე მოულოდნელად რატომ გამოვიძახეს?

– „დღევანის“ ჯგუფის რუსეთის ხაზის ხელმძღვანელი შეიცვალა.

– კარლ შეფერი? რატომ? ის ჭკვიანი კაცია.

– პენსიაში გავიდა. უფრო ახალგაზრდა და შესაბამისად, უფრო გამოუცდელი დაუნიშნა... პირადად უნდა მოისმინოს ჩემგან, რა ხდება ამ ეტაპზე რუსეთში.

– მაშ, პირიქით – შენგან უფრო დასჭირდება „ინსტრუქციები“, – უკმაყოფილოდ წარმოვთქვი, რადგან არ მესიამოვნა ჩემი თანამებრძოლის ჩემგან დიდი ხნით მოშორება.

– შესაძლოა, – ჩაილაპარაკა მიხაილმა, – ჰო, მართლა, არ მისაძლია. კონიაკმა კი უფრო გამიღვიძა მადლა. გაქვს რამე მაცივარში?

– სიმართლე გითხრა, ბევრი არაფერი – ძეხვი, ყველი, დაკონსერვებული თევზი და შავი ხიზილალა.

– საუცხოოა... თუმცა, ხიზილალა არაყს უფრო უხდება, მაგრამ...

– მიხაილ, ბევრს სვამ, – ოდნავი დანანებით გავიჩინე თავი და მეგობარს სამზარეულოში შევუძახე.

– რას იზამ, ალექსანდრ, მარტოხელა კაცის ამბავი ხომ იცი... როცა შინ მიდიხარ და ცარიელი, უტყვი კედლები გხვდება, მერე კი ცივ ლოგინში წვები... ერთი-ორი თუ არ გადაკარი, გავიჭირდება.

– ამაში მართალი ხარ, – დავეთანხმე და გულის სიღრმეში კირსანოვი ცოტა შემეცოდა კიდევ.

– აი, ახლა, როცა რომსკის ფრთებს შევკვეცთ, იქნებ ოჯახსაც მოვეციოდ, – მიხაილმა ხიზილალიანი პურის ნაჭერი პირისკენ გაიქანა და, როცა ლუკმა ჩაყლაბა, მკითხა: – რას იტყვი, ცოტა მოხუცი ხომ არ ვარ ამ საქმისთვის?

– რას ამბობ, მიხაილ, 37-საც არავინ მოგცემს... ყველაფერი წინ გაქვს, ძმაო!

– ასე ფიქრობ? – ვიგრძენი, ჩემი სიტყვები ესიამოვნა და თვალბუმი სხივი აენთო, – იცი, ალექს, მომბეზრდა ერთი ღამის პეპლებთან დროის მოკვლა. სერიოზული ურთიერთობა მინდა.

– ხედავ, კიდევ ერთი მიზეზი გამიჩნდა, რომ დანყებული საქმე ბოლომდე მალე მივიყვანო.

– ჰო, მართლა, კინაღამ დამავინყდა, – მიხაილმა ჯიბიდან რუსული ფულის მსხვილი დასტა ამოიღო და მაგიდაზე დაუდევრად გადმოვადგო, – ეს შენთვის არის, დღეს გამოვიტანე ბანკიდან... შტაბიდან გადმორიცხეს ჩემს ანგარიშზე. ოღონდ რესტორნებსა და სასტუმროებში ფულის ხარჯვას აღარ გირჩევ, დროა, ვარვარა შინ მოიყვანო... ეს მისი ნდობის მოსაპოვებლად კიდევ ერთი ნაბიჯი იქნება.

– ამაზე უკვე ვიფიქრე, – ვუპასუხე და მაინც უსიამოვნოდ შემეჭმუნა შუბლი, – ერთ ბოთლ ღვინოს ჩემთვის გამოვიტანე, თორემ რვაფეხას სუშიმ მალა დამიკარგა.

როცა შევ სამარკო „ხვანჭკარას“ თავი მოვხსენი და ჭიქაში ჩავარაკარაკე, შუბლი გამეხსნა და ჩავილაპარაკე.

– იმ კაბანს სასმელში მაინც ჰქონია გემოვნება. აი, საუკეთესო რამ, რაც შეიძლება მამაკაცს არ მოსწონდეს?!





– ალექსანდრე, სიტყვად მოიტანა და... სულ მინდა, გკითხო: როგორც ვიცი, ნარკოტიკები, სანარკოზო ნივთიერებები ვერ გერევა, – დაიწყო ოდნავ გაუბედავად მიხალბა, მაგრამ ალკოჰოლზე რას იტყვი, გათრობს?

– ამ მხრივ, ნამდვილი პროფესიონალი დე-გუსტატორი ვარ, სუფთა ღვინოს მაშინვე ვცნობ. თუ გაკეთებულია, წყალივით მიდის, თუ ნამდვილია, შესანიშნავ გუნებაზე მაყენებს და გონება უფრო ნათლად მიმუშავებს. რაც შეეხება არაყს, ორი ბოთლიც რომ დაველიო, მხოლოდ მსუბუქ თავბრუსხვევას ვგრძნობ და უფრო ადვილად ვლიზინდებ.

– მდაა... – მიხალბს სინანული დაეტყო, – ესე იგი, თრობის შეგრძნება შენთვის უცხოა. რა სამწუხაროა! ხანდახან ამის გარეშე წარმოუდგენელია.

– ჰო, არასდროს დავმთვრალვარ და ამას ჩემს ძლიერ ორგანიზმსა და გენეტიკას ვაბრალებ. ბაბუაჩემი, გუგული ერისთავი, არაყს ყანებით სვამდა და ყოველთვის ფეხზე იდგა. მისი „მოკლევა“ შეუძლებელი იყო.

– არ დავმალავ, მიკვარს... თუმცა ვიცი, რომ ამქვეყნად არსებობს ანომალიები; მაგალითად, ერთი ჩინელი ქალი 50 წლის ასაკში ისე მოკვდა, რომ ბავშვის გარეგნობა დარჩა... ანუ 2 წლის ბავშვს ჰგავდა, ნარმოვიდგენია?! არსებობს პირიქითაც, რომ ადამიანი მალე ბერდება და 20 წლისა 80 წლისას ჰგავს...

– არ ვიცი, ამას რატომ ამბობ, – წყენით გავაწყვეტინე მიხალბს, მე ყოველთვის ჩვეულებრივ ადამიანად ვგრძნობდი თავს და ახლაც ასეა, მიუხედავად იმისა, რომ ჩემზე ჰიპნოზი არ მოქმედებს და არც შენსავით ვთვრები.

მიხალბ კირსანოვი შეცბა.

– მაპატიე, მართალი ხარ – სასმელი მეტი მომივიდა და სისულელეებს ვროშავ...

– კარგი, დაივიწყე, – მისმა უხერხულმა ღიმილმა გული მომიღობ და მხარზე ხელი მეგობრულად დავარტყი, – დარჩი აქ... ნასვამი ხარ და არ გაგაჩერონ.

მიხალბმა ჩემი წინადადება სიამოვნებით მიიღო... ალბათ, მარტო ყოფნა არ უნდოდა. კიდევ ბევრი ილაპარაკა, საკმაოდ შეზარხოშდა და გვიან დაგვეძინა. თუმცა, როცა გამელვინდა, უკვე ნასულიყმა. „რა მოკლავს ამ დღეს!“ – გავიფიქრე და სამზარეულოსკენ გავემარეთე. ყავადანისკენ არც ვამიხედავს, არასდროს მიყვარდა ეს ყავისფერი, მომწარო და უგემური სასმელი. მაცივარი გამოვადე, მინერალური წყლის ბოთლი მოვიყუდე და, სანამ დავცლიდი, ჩემი მობილური ანკრიალდა. ნომერი ვარვარასი იყო.

– კიმენ, ვარა! – შევეცადე, მეტი სირობილე მიმეცა ხმისთვის.

– ყველაფერი მოვავარე, საშა (რატომღაც ჩემი კონსპირაციული სახელის მოფერებით ფორმაზე გადავიდა, რაც, არც ძალიან მსიამოვნებდა) – პარასკევს, საღამოს 6 საათზე, მამა ვლადის ოფისში მიხვალ, კარისკაცს, რომელსაც ალექსეი ჰქვია, ეტყვი, რომ ჩემგან ხარ და შეგიშვებს.

– არაჩვეულებრივი ქალი ხარ! ეს ამბავი უნდა აღვნიშნო... და სასურველია – დღესვე! – ვუთხარი და გავიფიქრე: – „მგონი, დღეს მოწყენილობისგან სიკვდილი არ მიწერია!“

თუმცა, ვარვარა ანტონოვნა პასუხს არ ჩქარობდა. ამიტომ, ისევ შეტევაზე გადავედი:

– დღეს რომ არ გნახო, იცოდე, მთელი დღე ცუდ გუნებაზე ვიქნები. იმედია, ამისთვის არ გამოიმეტებ.

– კარგი, – როგორც იქნა, ამოთქვა, – ჯობია, ისევ ვერა ობრაზცოვას კლუბში შევხვდეთ საღამოს 7 საათზე.

ცივმა წყალმა გამომაცოცხლა. წერის გაპარსვა დავამთავრე და საათს დავხედე: ისრები 11-ს უჩვენებდა. 7 საათამდე დიდი დრო იყო და, ბაიუმივით მარტო რომ არ ვმჯდარიყავი, თბილი სპორტიული სვიტერი, ჯინსის შარვალი, თეთრი ბოტასები მოვიგრე და კბეის ფეხით ჩამოვეყვი. როცა მანქანის გასაღები გადავატრიალე, მხოლოდ მაშინ გადავწყვიტე, მოსკოვის ქუჩები შემესწავლა. უახლოეს ბენზინგასამართ სადგურზე სანავის ავზი პირთამდე გავავსებინე და კრასნაია პრესნაის ქუჩით სადგოვო კოლცოზე გავედი. ვზადავა შემხვედრი ქუჩების ნარჩენებს ვათვალიერებდი: ნოვინსკაია, სმოლენსკის ქუჩა... პიროგოვსკაია გადავკვეთე და ზუბროვსკიზე გავედი... კრიშკი, ვალოვის ქუჩები გავიარე; მერე – სპასკაია, სუხარევსკაია... ბოლოს ლუბლიანკაზე ჩავუხვიე და წითელ მოედანს მცირე თეატრის მხრიდან მიუახლოვდი. მოულოდნელად, თვალი უზარმაზარი ზანერისკენ გამექცა, კაზინო „ქუინის“ რეკლამა მომხვდა თვალში და არც დავფიქრებულვარ, გვიტაგანკისკენ ავიღე. სადღეღამისო სამორინე, რა თქმა უნდა, ღია დამხვდა – დრო და რამდენიმე ათასი რუბლი იქ „მოვკალი“. როცა „ქუინის“ დავტოვე, უკვე 6 საათი იყო და მეც ნელ-ნელა ჩხრავის ქუჩისკენ გავემარეთე, სადაც ვერა ობრაზცოვას კლუბი „2X2“ მდებარეობდა. როცა მიუახლოვდი და მანქანიდან გადავედი, ახალი ნარწერა დამხვდა შესასვლელში. „ფართი ნაით“ – ამოვიკითხე მოციმციმი ფირნიშზე და უსიამოვნოდ შემეჭმუხნა შუბლი – ამათი ფართების თარი ნაღდად არ მქონდა. ვარვარა ზუსტად 7 საათზე მოვიდა დღეს „ჰელ-ფართის“ – მითხრა ღიმილით და ორაზროვნად აათვალიერა ჩემი სპორტული „ტალავარი“. თვითონ მოტმასწილი შავი კაბა ეცვა, თმა დაეხვია და თივის ზვინივით ედგა თავზე.

– აი, – ჩანთა გახსნა და იქიდან ბრჭყვიავა ნიღაბი ამოიღო, რომელიც შავი ბუმბულებით იყო მოთხული, – შენ კი, ასე „გამონწყობილი“, ჩემს კავალერად დღეს არ გამოდგები.

– თუ გგონია, რომ დრაკულას ეშვებს მივიმარებ ან მაქციის სახეს მივიხატავ – ძალიან ცდები!

– კლუბში დრეს-კოდი მოქმედებს. წამოს-

ასხამი მაინც ვიყიდოთ სადმე, შავი, აი, ისეთი, ღომინოს რომ ეძახიან.

– გამორიცხეულია! – გადამწყვეტად განუუცხადე და წყენით დავაყუდო: – შენ თუ გინდა, შედი, გაერთე, მე კი მანქანაში დავგელოდები.

ვარვარას გაეღიმა.

– ამ ეპატაუში ფიფქვას ბოროტ დედინაცვალს კი ვგავარ, მაგრამ ისეთი უგულუოც არ ვარ, მანქანაში მარტო გაყუყუტო. კარგი, შევიდეთ. ბოლოს და ბოლოს, ვერა მეგობრებს კარს არ მიუხურავს.

ჩემმა ფანდმა გაამართლა. მივხვდი, ვარვარას თვალში უფრო ავამლდდი, რადგან ქალების ფსიქიკას საკმაოდ კარგად ვიცნობდი: ქალი თუ მოგერიო, თავს შენს დედოფლად წარმოიდგენს და ურთიერთობებში სადავეებს თვითონ აიღებს ხელში; ხოლო თუ მამაკაცის სიჯიუტეს და ხსიათის სიმტკიცეს ნაწყდება, პატარა გოგონად იგრძნობს თავს, რომელსაც უნდა მოუარო და უპატრონო. ქალებსაც სწორედ მეორე კატეგორიის მამაკაცები მოსწონთ, რადგან დედოფლად ყოფნას პატარა გოგონების როლის თამაში ურჩვენიათ.

ასე აღმოვჩნდი სპორტული სვიტერთა და თეთრი ბოტასებით როკაპისა და მაქციის ქორნილში; ბარის მაგიდასთან მოვკალათდი და დიჯეი ვამპირის ელექტრონულ კაკაფონიაზე აბორგებულ, მსუბუქი ნარკოტიკებით ექსტაზში შესულ მასას ცალი თვალთ შევცქეროდი. ვარვარა ანტონოვნა ვერას ესაუბრებოდა, რომელსაც ყელზე წითელი სისხლის ზოლი მოუჩანდა და სახე თეთრად შეეშურდა, მიცვალებულს ან ზომბს რომ უფრო მეტად დასმაგავსებოდა. თავს უჩვეულოდ ვგრძნობდი, მაგრამ რას ვიზამდი, ჩემი მისია ბოლომდე უნდა მიმეყვანა და ვარვარას ჰადესშიც რომ ჩავეყვანე, იქაც მოთმინებით უნდა გამეძლო. ყველაზე ძალიან იმან გამაკვირვა, რომ მთელი ამ ეშმაკების მეჯლისზე ჩემი ასაკის ადამიანებიც მრავლად იყვნენ. თბილისში ასეთი „რამეები“ უფრო მეტად ახალგაზრდობა ერთობა. ისე, რუსები, ასე რომ ვთქვათ, ცოტა „ლაითი“ ხალხია და გულის ახალგაზრდობას სიბერემდე ინარჩუნებენ.

მალე თვალები ამიჭრელდა. ლაზერული განათების ფექტებით კედელზე თავის ქალები და ჯოჯობილოური „პერსონაჟები“ იხატებოდა. ბარის შუაგულში ვამპირები, ზომბები, ნითელრქიანი ეშმები, რომელთაც მეტი დამაჯერებლობისთვის წითელი კუდებიც მიმეგარებინათ, იგრისებოდნენ, როკავდნენ და ღმუილის, ყმუილის, კრუტუნის, ზღავილისა და ათასგვარ, ყურისთვის უსიამოვნო ხმას გამოსცე-

**ძველ-სახსართა პათოლოგიების ცენტრი**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატიკული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტი-სა და სპოლიართრიტის მკურნალობა; დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოსხნა; მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციო სახსრებზე ძვლის მკვებავებით; წონის დაკლება თვეში 5-18 კილოგრამამდე, დიეტების, აკრძალვებისა და ვარჯიშების გარეშე, მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით; ასევე, სიმალდეში ზრდა 2-დან 25 წლამდე, კურსის განმავლობაში 3-5 სანტიმეტრის მომატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით; ინდივიდუალურად შედგენილი პროგრამა – დანიშნულებით+ვარჯიშებით. მალაღეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

**599-91-37-65 – ქ-50 ქათაჰანი; 2-47-58-83 – ოფისი.**



მდნენ... ყოველ შემთხვევაში, მე ასე მეჩვენებოდა. აქა-იქ მაგიდებზე დალილი ჭინკები ისხდნენ და არაყს ხახაში ისხამდნენ. ერთ-ერთ ასეთ მაგიდასთან შეგნამოსასხამიანი არსება იჯდა; განიერი მხრებით მასში მამაკაცი ამოვიცანი... საშინელებათა ფილმის „კივილის“ პერსონაჟის ნიღაბი ეკეთა, რომელიც თეთრი ცვილისგან გამოქვრივდა და სიციხისგან სიგრძეზე ჩამომდნარ-ჩამოღვენილი სიფათს ჰგავდა. ყურადღებით ვაკვირდებოდი იმ ერთადერთ ადამიანს, რომელიც მთელი ამ ველური ფუტკრების ბუდეასვით აბზუილებული საზოგადოების თუ ქვესკნელიდან ამოცვენილი მაჯლაჯუნებისგან განდგომით, მარტოდმარტო იჯდა და მოწყენას მისცემოდა.

– შენ რა, წითელი კოჭი ხარ, ფორმა რატომ არ გაცვია?! – განცვიფრებით ავხედე თავზე მოულოდნელად წამომდგარ ვამპირს, რომელსაც ნიკასა და ტურნეზე წითელი საღებავი ესვა და სახელდახლოდ მიმაგრებული თეთრი ეშვები ნახევრად სიბნელეში ავად ულაპლაპებდა.

– რა შენი საქმეა, მიდი, გაიარე! – მთელი ტანით მისკენ შევბრუნდი.

შვად შეღებილი თვალები ბოროტად უელავდა. მივხედი, რომ ჩხუბი სწყუროდა, რათა „ველფართი“ სრული „კომპლექტით“ წარმართულიყო და, რაც უფრო მორიდებულ პასუხს გავცემდი, მით მეტად უდიერად მომეჩვენებოდა. ამიტომ, ჩხუბის პრელუდია შევა-მოკლე და გამომწვევად მივაჩერდი.

– რასაც გეკითხები, ესე იგი, ჩემი საქმეა, – შემომიღრინა ისევ და მუქარით ოდნავ გაქმობიარა.

– ნადი, გაიარე, თორემ გაგიყვან მზის შუქზე! – წამოვიწიე და თვალი თვალში გავეყარე ახმახ ახალგაზრდას, რომელიც ჩემზე ასე 7-8 წლით უმცროსი იქნებოდა.

– ჩვენ ორს შორის თუ ვინმე „ჩაინვება“ – ეს შენ იქნები! წამოდი, გარეთ გავიდე! – თვალთმე გასასვლელისკენ მიმანიშნა.

– ძალიან კარგი, გავიდე! – თავს შევატყევე, რომ ამ თავხედი ვამპირის ცემა ძალიან მინდოდა და ის-ის იყო ფეხი გადავდგი, რომ ჩამოღვენილი სახიანი, მარტოსული „სერიული მკვლელები“ ჩვენ შორის აღმოჩნდა. ნიღაბი ხელის ერთი მოძრაობით მოისხნა თავიდან, შარიან ვამპირს მხარზე ხელი დაადო და ჩემზე ანიშნა: – ჩემი მეგობარია, ბარის, ესეც „სერიული მკვლელები“. ის ბარისი თუ ბორისი მაშინვე დაშოშმინდა და ისე გაგვეცალა, სიტყვა აღარ დაუძრავს. მე კი არამკითხველად გამშვებულს დავაკვირდი და მასში ბარის ადმინისტრატორი, სერგეი მირონოვი ამოვიცანი; სწორედ ის, ამ ბარის „წინამორბედ“ სალონი ვიოლიონზე რომ უკრავდა.

– სერიული მკვლელები, არა? – შეფარული ირონიით შევხედე, როცა ჩემ გვერდით ჩამოვჯდა.

– ორი „სტალინაია“ დაახსი! – გადასძახა ნაცრისფრად სახეშეღებილ ზომბ ბარმენს.

– გოგოებს ძალიან მოსწონთ ქაჯების ამბულა, – მივანიშნე ვერასა და ვარვარაზე, რომლებიც ეშმაკთა მეჯლისის დიასახლისებს ჰგავდნენ და ეტყობოდათ, რომ საკმაოდ კარგად გრძობდნენ თავს მსგავსთა შორის.

– ჰო, ვერა წამდვილად მკვდარ კუდიანს ჰგავს, ვარა – აზუ ჩენას, ხომ იცი, ის როკაბი დიდ ქვაბში სანამლავს რომ ხარშავს.

– ეს, მგონი, ვერდის ოპერაშია, არა? – გამახსენდა მეც.

– ჰო. აქ ადრე როიალიც გვედგა, ბეთჰოვენის, მუსორგსკის, მოცარტის მუსიკა უღერდა, – მონყენილი სახე გაუხდა სერგეის და ისე ამოიხსრა, რომ გულიც ამოაყოლა, – ახლა კი ჰელოვის მართავენ.

– რას იზამ, დრო იცვლება, სხვა ლირებულებები შემოდის... განვიტარებული უცხოეთიდან. მე თუ მკითხავ, ჰელოვის ამერიკაში უფრო გრანდიოზულად უნდა აღნიშნავდნენ – ეს სიმბოლური იქნებოდა, – ჩავილაპარაკე და კვლავ ირონიულად გამეღიმა.

– არ ვიცოდი, ინგლისელებსაც თუ არ უყვარდათ ამერიკა.

– ინგლისელებს, საკუთარი თავისა და ერის გარდა, არავინ აინტერესებთ და იქ მყოფ უცხოელს სადმე, ქუჩის ლობესთან ამოხედება სული... თუმცა, რუსები უფრო „ლიად“ გამოხატავენ ნაცემებისადმი თავიანთ დამოკიდებულებას, რომელიც ლიბერალური და ლოიალური სულაც არ არის.

– მართალი ხარ, – სერგეი ჩაფიქრდა, – ვერამ მითხრა, რომ წარმოშობით რუსი ხარ...

მხოლოდ თავი დავუქნიე და კიდევ ერთი ჭიქა ჩავიცალე პირში.

– რატომ გაყიდეთ სალონი? – ვკითხე სერგეის, რადგან მართლა მაინტერესებდა, ეს ინტელიგენტური გარეგნობის ახალგაზრდა, როგორ აღმოჩნდა ვერა ობრაზცოვას კლანტეში.

– მანნი ვიყავით, მეგობრები... – წამოიწყო სერგეიმ, – კონსერვატორიაში ერთად ვსწავლობდით. გადაწყვიტეთ, საერთო საქმე წამოგვეწყო, ბანკიდან სესხი ავიღეთ და ეს ფართი შევიძინეთ. აქ სარდაფი იყო, სადაც ადრე ფეხსაცმელს კერავდნენ. გავარემონტეთ, კლუბის სახე მივეცით... სალონურ საღამოებს ვმართავდით, მუსიკაზე, ლიტერატურაზე, მხატვრობაზე ვსაუბრობდით. თავიდან საქმე კარგად აწყო, სტუმარი ბევრი გვყავდა. მერე, ალბათ, მობეზრდით სალონური საღამოები – ჩაის, ყავის სმა... ეჰ, დღეს მალაღი ხელოვნება ვიღას აინტერესებს! ვალი ვალზე დაგვემატა და იძულებულნი გახვდით, კლუბი გაგვეყიდა. რას იზამ... ოჯახი მყავს შესანახი და, როცა ვერამ ადმინისტრატორის ადგილი შემომთავაზა, უარი არ მიმთქვამს. მოკლედ, ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს დიდი თეატრის პარტიკულდან პირდაპირ კუდიანების შაბათობაზე მოვხვდი.

– შენი მესმის, – მხარზე ხელი დავარტყი

სერგეის, – თუმცა ასეთი პოპულარული ბარის ადმინისტრატორობა, არცთუ ისე ცუდია...

– იცი, ჩემთვის ეს ძალიან მძიმე საქმიანობაა, – გადმოიხარა სერგეი და საიდუმლოდ გამომეტყველებით ჩამწურწულა: – როგორ გგონია, ამ ახალგაზრდების ასეთი ზემოხარული განწყობა მხოლოდ კოქტეილებისა და მუსიკის ბრალია?!

მივხვდი, რასაც გულისხმობდა და უნდა მეთქვა კიდევ, რომ ვერა და ვარვარა მოგვიახლოვდნენ. სერგეიმ კვლავ სერიული მკვლელის ნიღაბი მოირგო და გაგვეცალა, რადგან ჩვენ გვერდით მხოლოდ ერთი თავისუფალი სკამი იყო.

– ხომ არ მოინწყინეთ, ალექსანდრე? – ვერა ობრაზცოვამ მალაღი ჭიქიდან მინიატურული ქოლგა ამოიღო და კოქტეილი მოწრუპა.

– მართალი გითხრა, ჯოჯოხეთი არ არის ის ადგილი, სადაც მოხვედრას ვისურვებდი.

– მაშინ, მეორე კვირას ეგვიპტური ფართი გვექნება და აუცილებლად მოდი.

– მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფარაონის „კოსტიუმს“ ვიშოვი.

ჩემს სუბრობაზე ორივეს გაეცინა. ვარვარამ ანკრილებული მობილური ამოიღო ჩანთიდან და, როცა ეკრანს დახედა, მობოდიშა და გასასვლელისკენ ჩქარი ნაბიჯით გაემართა. მივხვდი, ეგორი ურეკავდა.

– მეგონა, კვლავ ნასტიკისთან ერთად გნახავდი, – დრო იხელთა ვერამ და ცნობისმოყვარე მზერა მომაპყრო.

– განა ნასტიკი აქ ხშირად დადის? – კითხვა ავიცილე და მისმა ამ ცნობისმოყვარეობამ გამაღიზიანა.

– არც ისე, მაგრამ... – დაიბნა და პაუზის შემდეგ დააყოლა: – ვარვარა ტრავიანსკაია (რატომაც გვართ მოიხსენია და მხოლოდ მაშინ გავიგე ვარვარას გვარი, რომელსაც მანამდე მხოლოდ ვარვარა ანტონოვსკი ვიცნობდი) კარგი გოგოა, თუმცა, ალბათ, იცი, რომ მარტო არ არის.

– ეგორ კაზაკოს გულისხმობ, არა?

– ჰო, მას.

– ვერ ვხვდები, რატომ წამოიწყე ეს საუბარი, ვერა?! ვისზე უფრო ზრუნავ – ვარვარაზე, ჩემზე თუ ეგორზე?

– თქვენზე და ვარვარაზე, რა თქმა უნდა. მითხრა, რომ შენ მიმართ გულგრილი არ არის, – შენობით ფორმაზე გადავიდა ვერა ობრაზცოვა.

– დამშვიდდი, ვერა, არც ისეთი სუსტი ვარ, რომ ქალმა „იზრუნოს“ ჩემზე. ჩემს თავს თვითონ მივხედავ! – ამ სიტყვებით ვაგრძობინე, რომ ეს თემა დახურულად მიმანია, თუმცა მაინც არ მომეშვა.

– ჰო, მაგრამ... მოსკოვში არც ისე ბევრი მეგობარი გეყოლება. თუ რამე დაგჭირდა, შეგიძლია, მე მომმართო. საქმიანი ქალი ვარ, უამრავი ნაცნობი მყავს, მათ შორის გავლენიანი ხალხიც.

სიტყვა „საქმიანი“ განსაკუთრებული ხაზგასმით წარმოთქვა – მაშინვე მივხვდი მიზეზს და გავიფიქრე: „აი, თურმე რა ყოფილა! მეგონა, მეგობრის გამო წუხდა, ეს კი მე „მამამს“. თქმით კი მხოლოდ ეს ვუთხარა:

– კარგი, ამას გავითვალისწინებ!

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**



დენის თვალები გაუფართოვდა და ნახევრად ჩანებულ ოთხში მჯდარი მოხუცი ქალის ფიგურას ჩააშტერდა.

– შაბათ საღამოს? ესე იგი, თქვენ ამბობთ, რომ მე შაბათ საღამოს მოვეკვდები?

მკითხავმა თავი გადააქნია.

– მე კი არა, კარტი ამბობს ამას. თქვენ, შეიძლება, ახლა მთვრალი ხართ და ჩემთან გასართობად მოხვედით, მაგრამ, იშვიათად დამინახავს ასე გარკვევით ადამიანის მომავალი. სიკვდილს ვხედავ და ეს რეალობაა, გარდაუვალი რეალობა.

დენი მართლაც ისეთი მთვრალი იყო, რომ აზრების კონცენტრაცია გაუჭირდა. მთვრალი რომ არ ყოფილიყო, მკითხავთან არც ჩამოვიდოდა. საუტელეფონოში ადრე არც არასდროს ყოფილა. მანქანა გზას ასცდა და ღამის განათების ბოძს შეეჯახა. „მგონი, სამშაბათს ვკვდები“, – გაიფიქრა დენი ჯეკსონმა, სერიალების ერთ-ერთმა ამომავალმა ვარსკვლავმა და ამოიხსრა. ცხოვრებაში რთული პერიოდი ჰქონდა.



მისი ყველაზე პოპულარული სერიალის გადაღებები გაჩერდა და ახლის დანყებას ჯერ პირი არ უჩანდა. ცოლთან სერიოზულად იჩხუბა და უკვე ორი თვე იყო, რაც კაბინეტში ეძინა. ვიღამა დაემუქრა კიდევ, რომ საერთოდ წავიდოდა სახლიდან. კაბინეტშიც ბლომად თანხა წააგო. დამწყები მსახიობი, ლამაზმანი, რომელზეც ცოლმა იეჭვინა, მთვრალ პროდიუსერს ჩაუნვა ლოკინში... მოკლედ, დენი ჯეკსონის ცხოვრებაში „შავი ზოლი“ გაჩნდა. დათვრა და გაახსენდა, როგორ ყვებოდნენ სტუდიის მსახიობები საუტელეფონო ნათელმხილველზე. იფიქრა, რაღაც ისეთს მაინც ხომ მეტყვიან, რომ ცოტათი დავმედიდდეთ... ჰოდა, აჰა! მიიღო დამამედიდებელი ინფორმაცია – შაბათს მოვეკვდები! გონებაში მექანიკურად გადათავალა დღეები – სამშაბათი, ოთხშაბათი, ხუთშაბათი, პარასკევი, შაბათი... ხვალ ახალი სერიალისთვის სინჯებში უნდა გადავდლო... გვიან გაახსენდა – აგენტმა ჯერ კიდევ გუშინ რომ დაურეკა და უთხრა, შეეცადე, ფორმაში იყო, ბევრი ვინვალე, რომ შენთვის ამ სინჯებზე გასვლა „ჩამენყო.“ ნაბახუსეგზე კი ყოველთვის უჭირდა კონცენტრაცია... ვიღამა სახლში იყო – სასტუმრო ოთახში ელოდებოდა ვისკით სავსე ჭიქით ხელში... ისეთი სახე ჰქონდა, დენი მამინვე მიხვდა, რომ ამჯერად ცოლი მარტო მუქარით არ შემოიფარგლებოდა.

– არ იშლი, ხომ, შენსას? ისევ იმ კახპასთან ეგდე? მე კი ბოლო შანსი მოგეცა, დაგაინყნა? ჰოდა, მორჩა! მეტის მოთმენას აღარ ვაპირებ. ამ დღეებში ჩემი ადვოკატი დაგიკავშირდება.

– ვიღამა, მოიცადე, – შეეცადა, აეხსნა, მაგრამ ქალი ნაპოხტა. მალე დენიმ შემოსასვლელი კარის გაჯახუნების ხმა გაიგონა, ხოლო, როცა ზემოთ ავიდა, ნახა რომ ვიღამას თითქმის ყველაფერი წაელი. მკერდში რაღაცამ მოუჭირა. გამოკიდებას აზრი არ ჰქონდა – კარგად იცოდა ცოლის ხასიათი. მკითხავის ახლახან ნათქვამზე ფიქრობდა. ყოველთვის ეგონა, რომ არ იყო ცრუმორწმუნე, მაგრამ, სიტყვები თავისით ზემოქმედებდნენ ტვინსა და ცენტრალ-

### როგორც ბლონი

ურ ნერვულ სისტემაზე – „შაბათს მოვეკვდები... შაბათს, მოვეკვდები...“ მეორე დღით სინჯზე მთელი ორმოცი წუთით დააგვიანა. ამას კიდევ არა უშავდა, პროდიუსერებს არ უკვირთ ხოლმე მსახიობებისგან ასეთი საქციელი. უარესი ის იყო, რომ თექვსმეტი დუბლი გააფუჭა და, რაც ჩანერეს, ისიც არაფრად ვარგოდა. აგენტი გაგიჟებული იყო. „შენ სულ გაგიჟდი? დაგაინყნა, რამდენი ვალი დაგიგროვდა? მე შეგახსენო, რომ სახლის კრედიტი გაქვს გადასახდელი? მანქანისაც... და საკრედიტო ბარათსაც დღედღეზე დაგიბურავენ“...

– კარგი, კარგი, ნუ დამჩხავი, ისედაც ცუდად ვარ... გული მტკივა, – დენის მართლაც ეტკინა მკერდში რაღაც და შაერი აღარ ეყო.

– ცოტა ნაკლები უნდა დალიო ხოლმე... – ჩაესმა აგენტის უმეაყოფილო ხმა, მერე დაბარბაცდა და იატაკზე ჩაიკეცა. თვალში რომ გაახილა, ირგვლივ ყველაფერი ქაბუჭებდა.

– რა დღეა დღეს? – ეს იყო პირველი შეკითხვა, რომელიც გაჭირვებით ამოიღულა.

– გონს მოვიდა, ძალიან კარგია... – თქვა ექიმმა, – დღეს ხუთშაბათია, ჩემო კარგო. ინფარქტს გადაარჩით და სამშობრებამ გადაიარა, თუმცა, არც

კარგი მდგომარეობა გაქვთ. რამდენიმე დღე აუცილებლად აქ უნდა დარჩეთ. ვერ გაგიშვებთ, რადგან პრობლემა ისევ რჩება. რაზე ინერვიულეთ ასე ძალიან, რამის ხომ არ შეგემინდა?

შიში... რა თქმა უნდა, შიშმა მიეცანა საავადმყოფოში, მაგრამ, ექიმისთვის მკითხავის ამბავი რომ მოეყოლა, მკურნალობის პროცესში აუცილებლად ფსიქიატრს ჩართავდა. პრინციპში, ცუდი არ იყო, საავადმყოფოში რომ მოხვდა, აქ გაცილებით უსაფრთხოდ იქნებოდა – მიხვდადნენ და მოუვლიდნენ... ამის გაფიქრებზე დენი ჯეკსონი ძალიან გახალისდა და მხნედ მიირთვა საგანგებოდ მორთმული საუზმე, მისი ავადმყოფობით შეწუხებული კოლეგების გზავნილებსაც უპასუხა და ექიმსაც ხალისით მიეგება...

– აბა, ექიმო, როგორ არის საქმე? – ჰკითხა ღიმილით გასხვივოსნებულმა.

– უკეთესად, მაგრამ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ძველი რეჟიმი უნდა იცხოვროს. არავითარ შემთხვევაში! გეკრძალებათ ორ ჭიქა კოქტეილზე მეტის დაღვება და შიში... დიახ, მე მაინც ვფიქრობ, რომ თქვენ რაღაცის შიში აგეკვიტათ. მაქსიმალურად შეეცადეთ, არ იფიქროთ ამაზე. ჰო, მართლა, თქვენმა აგენტმა დაამირეკა და მკითხა, თუ შეიძლება თქვენი მონახულებათ.

– არა, ჯერ არა, როგორც თქვენ მირჩიეთ, სიმშვიდე მჭირდება. ამიტომ, გთხოვთ, უთხარ-

ით, რომ კვირამდე ჩემი ნახვა არ შეიძლება.

– ანუ, კვირამდე კლინიკაში რჩებით? – გაუკვირდა ექიმს ამ ტიპის პაციენტის ასეთი მორჩილება.

– ო, დიახ... დროა, საკუთარ ჯანმრთელობაზე ვიფიქროს. ასე არ არის, ექიმო?

– რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა... – დაეთანხმა ექიმი და მხრები აიჩეჩა.

ორი დღე დენის მყუდროება არავის დაურღვევია. პარასკევ საღამოს კიდევ ერთი ნაბიჯი მოხდა – ვიღამა დაურეკა ტირილით და აცნობა, რომ განკორნინება გადაიფიქრა. „ჩემო საყვარელო, რა ვიცოდი, თუ ასე გიყვარდი. ნერვიულობზე ღამის გული გაიჩერდა. სახლში დაგბრუნდები და პირობასაც მოგცემ, რომ აღარასდროს ვიეჭვინებ“...

ახლა მთავარი იყო შაბათი გადავგორებინა როგორმე... დღე თითქოს უსასრულოდ გაინელა. დენი გრძობდა, როგორ დაეჭიმა ყველა კუნთი და ძარღვი... გულისცემაც აუჩქარდა. იმ მომენტში ექიმი რომ გაესინჯა, კიდევ ერთი კვირით მიუწევდა კლინიკაში დარჩენა, მაგრამ, მორჩა, სულ ეს იყო... შაბათი დაღამდა. დენიმ ორი ტაბლეტი საძილე საშუალების დახმარებით დაიძინა და დღით ჩვეულებრივად გაახილა თვალზე. მორჩა! სიკვდილი, თუ ის მართლაც აპირებდა მოსვლას, დამარცხებული იყო. მან გაიმარჯვა. მკითხავის სულელური წინასწარმეტყველება არ ახდა...

აგენტმა ხმაურით შეაღო მისი პალატის კარი.

– გილოცავ გადარჩენას, მეგობარო! გავიგე, კარგი ამბებია შენკარ და მეც მაქვს ერთი კარგი ამბავი... სინჯები არაფრად ვარგებდა და ეს ჩემზე კარგად იცო... ვიღამას უკვე ველაპარაკე და დავითანხმე იმაზე, რომ მხარი ავიბას ამ პატარა ტრიუკში. მოკლედ, თითქოს ერთი დღით გადაინაცვლა მოვლენებმა. ვიღამა შენგან ორშაბათს წავიდა... ანუ, ერთი დღით ადრე... შენ სამშაბათს ინერვიულე... გულის შეტევაც სამშაბათს დაგემართა და არა ოთხშაბათს, როგორც ეს იყო... ბუნებრივად სინჯებზეც არ ყოფილხარ... სინჯებს კი მე და რეჟისორი წავშლით, ვითომც არ ყოფილა. ჰოლივუდის ბიურო საერთოდ ვერაფერს გავიგებ... ანუ, დღეს შაბათია ჩვენს ახალი კალენდრით.

დენიმ იგრძნო, როგორ გაეყინა მკერდში ძლივს ამორბავებული გული და არაადამიანური ხმით იბლატა:

– რა? რა შაბათი? არა, არა, კიდევ ერთი შაბათი? ეს უკვე მეტისმეტია!.. – და უღონოდ დაეცა საწოლზე.

დამფრთხალი აგენტი გაოგნებული უყურებდა ექიმს, რომელმაც მწუხარედ გადააქნია თავი:

– ამჯერად ყველაფერი მორჩა... მე უძლეური ვარ... როგორ ვთხოვე, რომ შიშზე არ ეფიქრა და, მეგონა, რომ დამიჯერა კიდევ...

თარგმანი  
სინო სულჰიკიძე

## გაგაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც); შარდვის პრობლემები: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი; განმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან; ასევე, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ და სწრაფად გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა; „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შოშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა; ღვიძლის განმენდა, ფუნქციის აღდგენა. საჭირო გამოკვლევები და დიაგნოსტიკა უახლოესი აპარატურით, ანონიმურობის დაცვით, მყარი, 100-პროცენტური შედეგით.

599-90-54-78; 2-34-02-38. – ოფისი. ქ-ნი მარია



# გაფიის შვილობილი

**გაგრძელება. დასაწყისი**  
**იხ. „თბილისელები“ №28-34(713)**

ზემდეგმა რომ კარი გაიხურა, მერაბმა კოტეს უთხრა:

- დანვრილებით მომიყევი, რა მოხდა.
- რა და, ამ დღით ჩვენი სამძებროს ბიჭებმა შეიტყვეს, რომ გასტონ მურღულია დიღმის მასივში იმალებოდა თავის საყვარელთან და მის ასაყვანად წავიდნენ. გასტონმა ცეცხლი გაუხსნა. ჩვენებმაც უპასუხეს და მუცელში დაჭრეს. შემდეგ აქ მოიყვანეს, ოპერაცია გაუკეთეს და დაცვა დაუყენეს. დღისით სახლში დაგირეკე და დეიდა მერის ველაპარაკე. ორი საათის წინ კი დამირეკეს და მითხრეს, - მურღულია მოკლესო. დანარჩენი კი შენი ყურით მოიხმინე.
- რუზგენ ჩოჩიანი არ ჩანს, ხომ?
- ჯერჯერობით არა.
- საინტერესოა, - ჩაილაპარაკა მერაბმა და სოხაძეს უთხრა:
- კვანძი ნელ-ნელა იხსნება. თუმცა, ვილაც ცდილობს, ხელჩასაჭიდი თოკები ხელიდან გამოგვაცალოს.
- რას გულისხმობ, მერაბ?
- გულბათ მარგიანი იცი, ვინ არის?
- ვინ?
- ვინ და ჩვენი განყოფილების გაგრის ქვედანაყოფის უფროსი. მე თვითონ დაენშინე ის გუშინწინ.
- ვერაფერს ვხვდები, - მხრები აიჩჩია სოხაძემ.
- სამი წლის წინ სოხუშში ბანდიტებმა მილიციის უფროსი, ლეიტენანტი სერგი შამბა მოკლეს და მის ტაბელურ იარაღთან ერთად, მისი მენეჯერის საბუთიც გაიტაცეს. ის მენეჯერი კი, გულბათ მარგიანი იყო და მკვლელობა დღეს იმ გატაცებული საბუთით ისარგებლა.
- შამბა, შამბა... რა ნაცნობი გვარია, - თქვა სოხაძემ, - შენ რომ გადაგარჩინა, ის კაციც შამბა არ არის?
- კი. ასთამურ შამბა. ცხონებული სერ-

გი კი მისი ერთადერთი შვილი იყო, - მიუგო მერაბმა სოხაძეს. შემდეგ ჩაფიქრდა და ჩაილაპარაკა, - საბუთის ამბავი ჩემს ერთ ვერსიას ამყარებს. თუ არ ვცდები და სხვაგვარად არ არის საქმე, მაშინ ფანტომს უფრო მეტად მივუახლოვდი და მალე ჩავავლებთ. ამ ყველაფერს ორგანიზებული, განსაკუთრებით საშიში დანაშაულის სუნი უდის და უშუალოდ, ჩვენი კომპეტენციის სფეროა.

- რას ამბობ, მერაბ. ვინ ფანტომს გულისხმობ? - ჰკითხა სოხაძემ გამრეკელს.

მერაბმა დანვრილებით, თანმიმდევრულად მოუყვა სოხაძეს ყველაფერი. მხოლოდ სარკის ეპიზოდი გამოტოვა და არც ის უთქვამს, რომ ფანტომად კაპიტანი პესკასელი მიაჩნდა. ბოლოს თხრობა ასე დაამთავრა:

- ამჟამად, რომ ერთი ბანდა მოქმედებს და ისინი მილიციელების მკვლელობასაც არ ერიდებიან. ნათელია, რომ მათ ერთი კაცი მართავს და ეს კაცი ძალიან ვერაგი, სასტიკი და დაუნდობელია. თანაც, ჩვენს საქმეში კარგად ჩახედული და ინფორმირებული. არ გამოვრიცხავ, რომ ის ფანტომი ჩვენი კოლეგა ან ჩვენთან ახლო მდგომი. ის ცოცხალ მონუმს არ ტოვებს და ამისი ამჟამად დასტურია გასტონ მურღულიას მკვლელობა. ჩემი აზრით, ასე მოიშორა მან გაგრამ რიგითი ტიტე კალანდია და არც იმას გამოვრიცხავ, სერგი შამბაც მონმის თავიდან მოშორების მიზნით იყოს მოკლული.

- თუ შენს მონათხრობს გააანალიზებთ, შამბა შემთხვევით მოკლული გამოდის. ის ხომ სრულიად შემთხვევით გაეკიდა ბოროტმოქმედებს და ამის მერე მოკლეს? - უთხრა სოხაძემ გამრეკელს.

- შემთხვევით კი გაეკიდა, მაგრამ არ გამოვრიცხვ, ბოროტმოქმედებს ფანტომი აზღვევდა. სერგიმ ის იქ ნახა, ან რამეს მიხვდა, ან რამე იცოდა მის შესახებ და ამიტომ მოკლეს.

- თუ ფანტომი მილიციელია, სავარაუდოდ, ის ადგილობრივი უნდა იყოს. უცხო კაცი ამდენს ვერ შეძლებდა და ფანტომი აფხაზეთში უნდა ვეძებოთ.

- სავარაუდოდ, კი, - დაეთანხმა მერაბი სოხაძეს, - ერთი სიტყვით, სერგი შამბას მკვლელობის საქმე და გაგრამში მომხდარი მკვლელობები, ასევე მილიციელებისთვის ტაბელური იარაღის წართმევის საქმეები, რომელიც ერთ-ერთის მკვლელობით დასრულდა, უნდა გვაერთიანოთ და ჩვენ გამოვიძიოთ. ხვალ მე იარაღის წართმევის საქმეებს ამოვიღებ არქივიდან და ვალიკო ფლენტიცგან სერგი შამბას მკვლელობის საქმესაც წამოვიღებ. შენ კი დიდიდანვე სოხუშში გაემგზავრები და ტიტე კალანდიას, რუბენ ჩოჩიანისა და ვიტალი ტარკილის

მკვლელობის საქმეებს წამოიღებ. მათ კაპიტანი ნესტორ პესკასელი იძიებს და უნდა გამოართვა. თან, გაიცნობ, დაელაპარაკები და იქნებ რამე ახალიც კი გითხრას. შენ იმიტომ გიშვებ, რომ ფოსტით გამოგზავნას ოთხი-ხუთი დღე დასჭირდება. დრო კი არ ითმენს და ჩვენთვის ყოველი წამი ძვირფასია. ხელი რომ არ შეგშალოს, დღით ჩვენს მინისტრს დავარეკინებ თავის აფხაზ კოლეგასთან და საქმეებს უპრობლემოდ გამოგატანენ. იცოდე, ზეგ სალამოს უკვე აქ უნდა იყო.

- არის, ამხანაგო მაიორო! - ხუმრობით გამოუჯგომა სოხაძემ მერაბს.

- შეგიძლია, ჩემი „ვოლგა“ წაიყვანო, მაგრამ, ფრთხილად იარე და შენებურად არ გარეკო.

- მერე შენ არ გჭირდება მანქანა?

- ორი დღე მოვიტენ, - მერაბმა მანქანის გასადღე მისცა სოხაძეს და თან, უთხრა, - ახლავ წაიყვანე, მაგრამ, ჯერ სახლში უნდა მიმიყვანო.

- წავედით? - ჰკითხა სოხაძემ მერაბს.

- წავედით, - მიუგო მერაბმა და წამოდეგა, - ჰო, კიდევ ერთი რამ, თოთხმეტ სექტემბერს ქორწილში ხარ დაპატიჟებული, ცოლი მომიყავს.

- ვაა, ძლივს არ გავიგე კარგი ამბავი?! გილოცავ, მერაბ! ძალიან გამიხარდა, - სოხაძემ მერაბს გადაეხვია. შემდეგ ორივე მაიორმა არამიანცის საავადმყოფო დატოვა და „ვოლგით“ გაემგზავრნენ.

- აბა, შენ იცი, კოტე. ზეგ სალამოს გელოდები. ნახვამდის, - მერაბმა ხელი ჩამოართვა თავის მოადგილეს. მანქანიდან გადავიდა და ისევ მობრუნდა - ფანტომზე, გამყიდველ მილიციელზე და საერთოდ, ჩვენს ვარაუდებზე ნურავის ნურაფერს ეტყვი. ხომ იცი, ეშმაკს არ სძინავს და ინფორმაციამ არ გაჟონოს.

- არის, ამხანაგო მაიორო! - ხუმრობით გაიჯგომა სოხაძემ.

- კარგი, კარგი, წადი. აბა, ბედნიერად!

- ნახვამდის, მერაბ, - თქვა სოხაძემ და „ვოლგა“ ადგილიდან დაძრა.

მაიორი კოტე სოხაძემ დათქმულ დროს დაბრუნდა თბილისში. პირდაპირ მერაბს ეახლა და გამოეჯგომა:

- ამხანაგო მაიორო, თქვენი დავალება შესრულდა...

- გეყოფა მაიმუნობა. რა ქენი? - მერაბმა ხელი ჩამოართვა კოტეს და სკამზე მიუთითა.

- საქმეები ჩამოვიტანე, - სოხაძემ ხელი დაადო მაგიდაზე დაწყობილ საქალაქელებს და ალფორთვანებულმა განაგრძო, - მაგარი კაცია მაიორი პესკასელი. დეტალურად ამიხსნა ყველაფერი შენთან კი, დიდი მოკითხვა დამაბარა.

- კაპიტანი პესკასელი... - შეუსწორა მერაბმა სოხაძეს და ნესტორის ქება სულაც არ გაჰკვირვებია.

- მაიორი, - გაელიმა სოხაძეს, გუშინწინ ნესტორს მაიორობა მიანიჭეს და გუშინ გაგრამში ისე მაქიფა, რომ დღეს პახმელაზე ძლივს გამოვედი.

- ყალიჩავას დუქანში ხომ არა?





- ჰო, ყალიჩავასთან. ნესტორმა მითხრა, - მერაბიც მყავდაო აქ. მაგარი ვინმეა ისიდორე ყალიჩავა, გაუჩინარს გაგიჩენს.

- კი. მაგარია. კვაჭია, კვაჭია... - დაეთანხმა მერაბი კოტეს და ჰკითხა, - რაო, ნესტორმა. ახალი ხომ არაფერიო?

- ჯერჯერობით არაფერიო, - თავი გააქნია სოხაძემ, - ჰო, მართლა, გულბათ მარგიანიც გავიცანი და მანაც დიდი მოკითხვა შემოგიტვალა. გულბათიც ჩვენთან ერთად იყო ყალიჩავასთან.

- საბუთზე ხომ არაფერი გითქვამს?

- არა. შენ ხომ გამაფრთხილე და კრინტიც არაფერზე დამიძრავს.

- ესე იგი, მოგეწონა ჩვენი აფხაზი კოლეგები.

- კი. კარგი ხალხია. შენ რა ქენი აქ?

- ტვინშერყეული დევაძე დავკითხე. მას და ძონენიძეს მკვლელის სიტყვიერი პორტრეტი შევადგენინე და ფოტორობოტი გავაკეთეთ, - მერაბმა კოტეს გასტონ მურლულის მკვლელის სავარაუდო პორტრეტი დაუდო წინ, რომელიც ფორმატის ფურცელზე იყო დახატული შავი ფანქრით, - გადავამრავლეთ და სამძებროს ბიჭებს დაეურიგეთ. იქნებ გაგვიმართლოს და ვიპოვოთ.

- ჩვენს კარტოთეკაში ვერავის მივამსგავსეთ და მოსკოვში, ცენტრალურში გავაგზავნეთ მოთხოვნა. სამ-ოთხ დღეში პასუხსაც მივიღებთ და ვნახოთ.

- კოტემ ფოტორობოტი ყურადღებით დაათვალიერა და თქვა:

- ოცდახუთი-ოცდაათი წლის კაცს ჰგავს. არაფრით გამორჩეული, ჩვეულებრივი სახეა, ყოველგვარი განსაკუთრებული ნიშნების გარეშე. თუ, რა თქმა უნდა, დევაძემ და ძონენიძემ სწორად აღწერეს.

- ერთი ნიშანი მაინც აქვს.

- რა ნიშანი?

- რა და „რ“-ს ვერ წარმოთქვამს და „რ“-ს მაგივრად „ლ“-ს ამბობს. ჩვეულებრივი მეტყველების დეფექტია და ეს ძონენიძემაც დაადასტურა და დევაძემაც. ძონენიძისთვის უთქვამს, - მალგვანი ვარო. დევაძისთვის კი უკითხავს, - მულღულია აქ ნევსო?

- მნიშვნელოვანი დეტალია და ძებნას გაგვიადვილებს, - თქვა სოხაძემ და კითხვით მიმართა უფროსს, - ვალიკოსგან წამოვიღე სერვის მკვლელობის საქმე?

- კი. წამოვიღე და დეტალურადაც გავეცანი. მოკლედ, ასეთი სურათი იხატება: არსებობს ვინმე ფანტომი, რომელიც ყაჩაღთა ბანდას მეთაურობს და არასასურველ მოწმეებს თავიდან იშორებს. სავარაუდოდ, ის მილიციელია და აფხაზეთში ბუდობს.

- თუმცა, გამორიცხული არაა, სხვაგანაც ჰყავდეს თანამზრახველები და საჭიროებისამებრ, სხვა ტერიტორიაზეც გადაადგილდება. ამ საქმეში ორი მთავარი ხელჩასაჭიდი გვაქვს: ეს „ფოტორობოტი“ და რუზგენ ჩოჩიანი. თითქმის ასი პროცენტით ვარ დარწმუნებული, რომ ფანტომი ორივეს მოკლას შეეცდება. ამიტომ, ერთ-ერთ მათგანს მაინც უნდა მივაგნოთ მასზე ადრე და ავალაპარაკოთ, ეს ძაფებიც რომ არ ნაგვირიდეს ხელიდან. აქედან გამომდინარე, მათი ძებნა უნდა გაძლიერდეს. განსაკუთრებით ჩოჩიანის და რაც უფრო ადრე მივაგნებთ, მით უკეთესი ჩვენთვისაც

და მისთვისაც.

- მაინც, სად ეშმაკთან იმალება ეგ წყეული, რომ ვერ ვპოულობთ. ბიჭებს გადაღეჭილი აქვთ მისი ყველა კავშირი და ბევრ ადგილზე ჩასაფრება გვაქვს მოწყობილი, მაგრამ არსად გამოჩენილა, - თქვა სოხაძემ და მცირე პაუზის შემდეგ თქვა, - ხომ არ მოკლა იმ ფანტომმა უკვე?

- იმედი ვიქონიოთ, რომ არა. თუმცა, ვინ იცის. გამორიცხული არაფერია, - მხრები აიჩჩა მერაბმა და სოხაძემ რომ გაისტუმრა, გაიფიქრა: „თუ პესკასელია ფანტომი, მაშინ ასეთი ჯაჭვი ეწყობა. მან მურლულის დახმარებით რუზგენ ჩოჩიანი ციხიდან გააქცია, რომ მოეკლა და საკუთარი დანაშაულის კვალი მოესპო. მერე კი დაჭრილი მურლულია ამ ფოტორობოტს სავადმყოფოში გააგუდინა. ვინ არის ეს ფოტორობოტი, ცოცხალია თუ არა რუზგენ ჩოჩიანი და მართლა პესკასელია ფანტომი? ჰმ, ნუთუ, ნესტორია ეს გარენარი? მაგრამ, რომ ვცდებოდე?“

ფანტომზე ფიქრი მერაბ გამრეკელს იდევფიქსად გადაეცემა და სხვა სამუშაოს შესრულებაში უშლიდა ხელს. ახალგაზრდა, მაგრამ გამოცდილი მაიორი ინტუიციით გრძნობდა, რომ თუკი ამ უხილავ, ბოროტ ძალას დროზე არ დაენიტრალდება, მომავალში ის უფრო დიდ პრობლემად გადაიქცეოდა. ამიტომ, მან საგულდაგულოდ შეისწავლა და გაანალიზა ამ საქმეების ყველა დეტალი და ერთი შეხედვით უმნიშვნელო ნიუანსიც არ გამორჩენია მხედველობიდან. მერაბმა ფანტომის სავარაუდო ბანდის საქმიანობის ცხრილი შეადგინა. ცხრილი უჯრედებად დაყო, უჯრედებში კი ბანდის მიერ ჩადენილი დანაშაულებების ფაბულა, დამნაშავეების სახელები და დაზარალებულების ვინაობები ჩაწერა. ცხრილში ერთადერთი უჯრედი იყო შესავსები და ეწერა - „ფანტომი“. მერაბი დარწმუნებული იყო, რომ ადრე თუ გვიან, ამ უჯრედში ნესტორ პესკასელის სახელს ჩაწერდა და ბანდის საქმიანობას ნერტილს დაუსვამდა. ეს ცხრილი მაიორმა შინაგან საქმეთა მინისტრს შეუტანა და უთხრა:

- გაეცანით, ამხანაგო გენერალო. ფანტომის ბანდა აქ მყავს.

- უკეთესი იქნებოდა, ეს ბანდა ფანტ-



ომიანად იქ გვეყოლოდა, - მინისტრმა იატაკისკენ გაიშვირა ხელი. მან შინაგანი ციხის ჯურღმული ივულისხმა, სადაც განსაკუთრებით საშიში დამნაშავეები ჰყავდათ გამომწყვდეულები.

გენერალი გულდასმით გაეცნო ცხრილს და მაიორს უთხრა:

- ძალიან საშიში არიან. რაც შეიძლება მალე უნდა ავლაგმოთ. თორემ ვინ იცის, კიდევ რამდენ უბედურებას დაატრიალებენ. ჩოჩიანი და მისნაირები კიდევ არაფერი. მართალია, განსაკუთრებით საშიში დამნაშავეები არიან, მაგრამ მასეთებს მალე ვანეიტრალებთ და ეს შენც კარგად იცი. როცა ასეთ პირნაზარდნილ ბოროტმოქმედებს ფანტომისნაირი ბოროტი გონება უდგას ზურგსუკან, სულ სხვა სურათს ვიღებთ. ამ შემთხვევაში, ისინი ასჯერ უფრო საშიში და მოუხელთებლები ხდებიან. ამიტომ, ჩემო მერაბ, ურჩხულს თავი უნდა მოვაჭრათ და ფანტომის გამიფვრახე უფრო ინტენსიურად იმუშავე. დიდი შანსია, რუზგენ ჩოჩიანი და ის ფოტორობოტი ფანტომმა უკვე მოიშორა და მხოლოდ მათი მეშვეობით მასზე გავლის იმედი, ნუ გექნება.

- გეთანხმებით. დიდი ალბათობაა, რომ ფანტომმა ისინი უკვე დახლო ან უახლოეს მომავალში შეეცდება ამის გაკეთებას.

- მერაბ, ეჭვიც არავისზე გექვს? - ჰკითხა მინისტრმა გამრეკელს და მაიორი მიხვდა, საით უმიზნებდა გენერალი და არც შეეცდარა.

- არა, ამხანაგო გენერალო, - იცრუა მერაბმა და სმენად იქცა, რადგან იცოდა, თუ რას ეტყოდა მინისტრი.

- სამწუხაროა. მცირე ეჭვიც რომ ვინმეზე გქონდეს, ამ საქმის განსაკუთრებულობიდან გამომდინარე, მას „პრესავშიკებს“ გადაეცემდი და სიმართლეს გავიგებდით. „პრესავშიკებში“ შინაგან საქმეთა მინი-

**მოგავლის ხელის უნიკალური მეთოდი**  
გაფრთხილება მოსალოდნელი საფრთხის შესახებ; უარყოფითი ენერგეტიკული ზემოქმედების (ჯადო, გათვალვა) დადგენა; ეზოთერიკულ-ფსიქოლოგიური დახმარება; წარსულის, ანმყოსა და მომავლის თავისებურებებზე მსჯელობა; პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზის დადგენა; დასმულ შეკითხვებზე პირდაპირი პასუხების მიღება.  
**ყოველივე ამას უძველესი და მეგვიდრეობით მესუთე თაობაზე გადმოცემული მეთოდის დახმარებით გთავაზობთ ნინო ჯანელიძე.**  
**ტელეფონები: 2-52-79-57, 2-52-87-58, 555-33-91-66.**



სტრი შინაგანი ციხის ჯალათებს გულისხმობდა. ისინი წამების მეშვეობით ართმევდნენ ჩვენებას ექვიმტანილის და გენერალი ზოგჯერ არც მათ „მომსახურებაზე“ ამბობდა უარს. მერაბი კი ასეთი სისასტიკისგან შორს იდგა. მას არც არასდროს არავინ უნამებია და დაკითხვისას ხმასაც კი არ უწევდა ხოლმე.

მართალია, ზოგჯერ ძალის გამოყენებაც უწევდა მერაბ გამრეკელს, მაგრამ ასეთი რამ მხოლოდ დამნაშავესთან შეტაკების დროს ხდებოდა. მაშინაც კი, მერაბი ყოველთვის ცდილობდა, ძალისთვის არ გადაეჭარბებინა და ხშირადაც რისკავდა. ასე მოხდა გავრამიც. მას რუზგენ ჩოჩიანი მიზანში ჰყავდა ამოდებული და არ მოკლა. თუმცა, გაქცეული ბოროტმოქმედის ლიკვიდაცია დაშვებული იყო და მერაბს ამის გამო პასუხს არავინ მოსთხოვდა.

– სამწუხაროა. ძალიან სამწუხარო, რომ ექვიმტანილი არ გყავს, – გაიმეორა მინისტრმა და მცირე პაუზის შემდეგ მაიორს ჰკითხა:

– როდის ვქეიფობთ, ქორწილის დღე დანიშნე?

– დიას, ამხანაგო გენერალო. თოთხმეტ სექტემბერს, საღამოს რვა საათზე რესტორან „არაგვში“ გელოდებით მეუღლესთან ერთად, – მიუგო მერაბმა მინისტრს.

– ძალიან კარგი. ესე იგი, ათ დღეში, – გაეღიმა მინისტრს, – თორმეტიდან თვის ბოლომდე თავისუფალი ხარ. შეგიძლია, მანქანაც წაიყვანო და თავლობის თვით დატკეპე. დროებით კოტე სოხადე შეგცვლის.

– მანქანის გარეშეც გავძლებ. კოტეს უფრო დასჭირდება.

– აი, კოტეს ახალი მანქანა, – გენერალმა მერაბს „ვოლგის“ გასაღები მისცა და ისევ განაგრძო, – ნუხელ ჩამოვიდა მოსკოვიდან და ეზოში დგას. მიეცი და შეუძლია, ახლავე წაიყვანოს. ხვალ კი „ვოლგებს“ საქართველოს ყველა რაიონში ჩაიყვანენ. „გაზ 21-ის“ გასაღები მერაბმა ჯიბეში ჩაიღო და მინისტრს უთხრა:

– თქვენთან თხოვნა მაქვს, ამხანაგო გენერალო.

- გისმენ, მერაბ.
- თუ შეიძლება, რომ ექვსი სექტემბრიდან გამათავისუფლოთ სამსახურიდან ორი კვირით და ოცდაერთში გამოვალ.
- ესე იგი, ზევიანს.
- დიას.

ტელეფონმა დარეკა და გამრეკელმა ხელით ანიშნა, გაჩერდიო. შემდეგ ყურმილს დასწვდა და უპასუხა:

- გისმენ.
- გამარჯობა, მერაბ. გივი სახვადე ვარ,
- უთხრა გამრეკელს ბალისტიკური ლაბორატორიის უფროსმა.
- გაგიმარჯოს, გივი. გისმენ.
- შენთვის საგულისხმო რამ მაქვს.

მერაბ გამრეკელს გულმა ბაგა-ბუგი აუტეხა, რადგან მიხვდა, რომ მნიშვნელოვანი სიახლე უნდა გაეგო. ერთი კვირის წინ, როცა გამრეკელი ფანტომის ბანდის დანაშაულებების დეტალურ შესწავლას შეუდგა, გივი სახვადეს საქმეებში არსებული ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნების ასლები გადასცა და სთხოვა, თუკი ეს იარაღები სადმე სხვა საქმეში გამოჩნდებოდა, დაუყოვნებლივ ეცნობებინა მისთვის.

საქართველოს მთავარი ბალისტიკოსი უმაღლესი კატეგორიის ექსპერტი იყო, მაგრამ ბევრი ლაპარაკი უყვარდა. ამის გამო მას კოლეგები ხშირად აწყვეტინებდნენ სიტყვას, გაურობდნენ, არ უსმენდნენ და სახვადეს ეს სწყინდა, იბუტებოდა. მერაბს ერთი სული ჰქონდა, სიახლე შეეტყო, მაგრამ გივისთვის რომ არ ეწყინებინა, მორჩილად უსმინა ათი წუთი და ბოლოს სახვადემ უთხრა:

- „მაკაროვი“ ამოვარდა, მერაბ და ეს ის იარაღია, სერგი შამბას რომ სამი ტყვია ესროლეს სოხუმში.

მერაბს ფერი ეცვალა და პაუზა გააკეთა. სახვადემ კი ჰკითხა:

- გაგიმეორო?
- არა. გავიგე. რომელ საქმეში ამოვარდა ეს წყეული იარაღი.
- პირველ სექტემბერს ქუთაისიდან ჩამოიტანა ერთი გასროლილი გილზა გამოძიებულმა ნოე ბუცხრიკიძემ. მიმართვაში წერია, რომ საქმე ყაჩაღობის მუხლითაა აღძრული.

– შენი ამბავი რომ ვიცი, ყველაფერს დანერვილებით გამოჰკითხავდი იმ გამოძიებულს. რაო, რა თქვა ნოე ბუცხრიკიძემ.

– ვერ მოვასწარი, მერაბ. ტელეფონზე დამირეკეს და სანამ ვლაპარაკობდი, წავიდა.

- შენ რა გითხარი, გივი. ნეტავ, გამოგეკითხა, რა მოხდა.
- ცუდი ბიჭი არ ჩანდა, მაგრამ ცოტა უცნაური მეჩვენა. თავისი ტელეფონი და-

მიტოვა და მთხოვა, – დასკვნა რომ მზად გექნებოდა, ნუ გამოგზავნი. დამირეკეთ, ჩამოვალ და მე წავივლებო.

- დასკვნა უკვე მზად გაქვს?
- ათ წუთში მზად მექნება.
- გივი, ახლა შენთან კოტე სოხადე მოვა და მაგ დასკვნის ასლი და ნოე ბუცხრიკიძის ტელეფონის ნომერი გამოატანე. ბუცხრიკიძეს არ დაურეკო. მე თვითონ დავუკავშირდები. ძალიან მნიშვნელოვანი დეტალები იკვეთება და დიდი მადლობა, რომ დროზე შემატყობინე.
- რის მადლობა, მერაბ. კიდევ რამე თუ ამოვარდა, მაშინვე გაგავებინებ. კოტეს კი ველოდები. ნახვამდის.
- ნახვამდის, გივი, – მიუგო მერაბმა. ყურმილი აპარატზე დადო და სოხადეს მიუბრუნდა:

- შენი ახალი „ვოლგით“ ბალისტიკაში გავარდი და რასაც გივი გამოგატანს, სასწრაფოდ მომიტანე.
- რა მოხდა?
- სერგი შამბას მკვლელობის ერთ-ერთი იარაღი გამოჩნდა.
- სად?
- ზუსტად არ ვიცი. საგარაუდოდ, ქუთაისში. ჩქარა ქენი, კოტე, დრო არ ითმენს!

სოხადე რომ წავიდა, მერაბმა გაიფიქრა: „უცნაურია, თუ ყაჩაღობა მოხდა ქუთაისში, მაშინ ინფორმაცია ჩვენთანაც მოვიდოდა. გიგაური გაფრთხილებული მყავს და მაშინვე გადმომიცემდა“.

მერაბი შიდა ტელეფონს დასწვდა და საინფორმაციო ცენტრში პავლე გიგაურს დაურეკა.

- პავლე, მერაბი ვარ.
- როგორ ხარ, მერაბ?
- კარგად. შენ?
- მეც კარგად. რამ შეგანუხა?
- პავლე, ამ ბოლო ერთი კვირის განმავლობაში ქუთაისში ყაჩაღობა ხომ არ დაფიქსირებულა?
- არა, რას ამბობ. შენ ხომ გაფრთხილებული გყავარ და მაშინვე ვაცნობებდი. ქუთაისიდან კარგა ხანია, მძიმე არაფერი მოსულა. იმერეთი სინყნარით პირველ ადგილზეა. კარგად მუშაობს რამდონია.
- კარგი, პავლე, ნახვამდის, – თქვა მერაბმა, ყურმილი დაკიდა და ჩაილაპარაკა: „კარგად მუშაობს რამდონია. მუშაობს კი კარგად?“

„რამდონია“ – მეტსახელი იყო და მას იმერეთის მილიციის რეგიონალური სამმართველოს უფროსს, დომენტი კუტუბიძეს ეძახდნენ. თავისი მილიციური კარიერის დასაწყისში, დომენტი „გაის“ ინსპექტორად მუშაობდა. კომპიტნართან იდგა და ავტომოყვარულებს რომ ფულს სძალავდა, ეკითხებოდა: „რამდონია აქ, რამდონიაო...“ ანუ, ფული რამდენიაო. დომენტი კუტუბიძე პროვინციულად, დამახინჯებული ქართული მეტყველებდა და ეს ხარვეზი ვერც მოგვიანებით გამოასწორა. მთავარი კი ის იყო, რომ „რამდონია“ ვერც ქრთამის აღებას გადაეჩვია და სამინისტროშიც აღწევდა ხმები მისი კორუმპირებულობის შესახებ. ეს მინისტრმაც იცოდა, მაგრამ მისი გათავისუფლებისგან თავს იკავებდა. ერთი მხრივ, იმიტომ, რომ კუტუბიძის მექრთამეობის დამადასტურებელი მტკიცებულება არ გააჩ-



ნდა. მთავარი კი ის იყო, რომ „რამდონიას“ თბილისელი სიმამრი „ცეკას“ ფუნქციონერი იყო და ძლიერ მფარველობას უწევდა სიძეს.

კოტე სოსხაძე მალე დაბრუნდა უკან და მერაბს ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნის ასლი და გამოძიებლის, მილიციის ლეიტენანტ ნოე ბუცხრიკიძის სახლისა და სამსახურის ტელეფონის ნომრები დაულო მაგადაზუ.

– აი, მოგითანე. აღარ იტყვი, რა მოხდა? – ჰკითხა კოტემ მერაბს.

– ცოტა ხანი მაცალე და გეტყვი, – მიუგო მერაბმა მოადგილეს. შემდეგ დასკვნის კითხვას შეუდგა, რომელიც ეწერა, რომ ბუცხრიკიძის მიერ წარმოდგენილი გილზა გასროლილი იყო „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეთიდან და იდენტური იყო იმ გილზებისა, რომლებიც აღმოჩენილ იქნა ქალაქ სოსხუმში, უფროსი ლეიტენანტის, სერგი შამბას მკვლელობის ადგილზე. იქვე იყო ცილინიშნებული, რომ „მაკაროვის“ ერთი ცალი გილზა ლეიტენანტმა ნოე ბუცხრიკიძემ ამოიღო 1 სექტემბერს, ღამის 1 საათსა და 31 წუთზე, მოქალაქე ერასტი კაკაჩიას ეზოდან, მას მერე, რაც იქ ყარალობის მცდელობას ჰქონდა ადგილი.

– უცნაურია, ძალიან უცნაური, – თქვა მერაბმა და სიგარეტს მოუკიდა.

– აღარ იტყვი, რაშია საქმე? – ვერ მოთმინა კოტემ.

– რაშია და ისევ ამ მოჯადოებულ წრეში ვტრიალებთ. ეს „მაკაროვი“ სამი წლის წინ ფუნქციონირებდა წართვეს უფროს ზემდეგ მალხაზ გვინჩიძეს. იმ საცოდავს თავში არმატურა ჩაარტყეს და ადგილზევე დაიღუბა. ამ „მაკაროვიდან“ ესროლეს სერგი შამბას სამი ტყვია. სერგის მკვლელობაში „ტეტეტ“ ფიგურირებს, საიდანაც მას ხუთი ტყვია ესროლეს და ისიც მილიციელს წართვეს მკვლელობამდე ორი თვით აღრე.

– ისიც მოკლეს?

– არა. ჭოლა ქურციკივე გადარჩა, მაგრამ პარალიზებული და ვეღარც მეტყველებს. მასაც არმატურის ნაჭერი ჩაარტყეს კიკვიძის ბაღში, შემოვლის დროს, – თქვა გამრეკელმა. პაუზა გააკეთა და დაამატა, – საინტერესოა, რა მოხდა ქუთაისში და რატომ არ შეატყობინეს ეს ინფორმაცია სამინისტროს. თანაც, უცნაურია, რომ გივისთვის ამ გამოძიებულს უთქვამს, დასკვნას ნუ გამომიგზავნით, დამირეკეთ და წავიღებო.

– რა არის უცნაური. გაგზავნილი დასკვნა სამ, უკეთეს შემთხვევაში, ორ დღეში ჩავიდოდა. გამოძიებელი კი იმავე დღეს ჩაიტანდა ქუთაისში. დროის მოგება უნდოდა, ალბათ.

– არა მგონია, – თავი გააქინა მერაბმა, – თანაც, ინფორმაცია რატომ არ გამოგზავნეს? ახლავე ვავიგებ.

– მერაბ გამრეკელმა ნოე ბუცხრიკიძეს სამსახურში დაურეკა.

– ალო, – მოესმა მერაბს მამაკაცის ბოხი ხმა.

– ნოე ბუცხრიკიძეს სთხოვეთ, თუ შეიძლება, – რბილად უთხრა მერაბმა.

– ვინ კითხულობს.

– ნათესავი ვარ, თბილისიდან ვრეკავ, – არაა ნოე.



- ხომ ვერ მეტყვი, სად არის?
- რა ვიცი მე. აღარ მუშაობს აქ.
- რატომ აღარ მუშაობს?

– შენ, ძამია, მოცლილი ხარ, გეტყობა. მილიციაა აქ და არა „სპრავონი“. მეტი აღარ დარეკო, – შეუღრინა მერაბს „ბოხმა ხმამ“ და ტელეფონი გაუთიშა.

– ქუთაისში რაღაც მოხდა, – თქვა მერაბმა და ბუცხრიკიძეს სახლში დაურეკა.

– გისმენთ, – გაისმა ახალგაზრდა კაცის ხმა.

- ნოეს სთხოვეთ.
- მე გახლავართ. გისმენთ.
- ლეიტენანტი ნოე ბუცხრიკივე ხართ?
- დააზუსტა მერაბმა.
- დიახ. გისმენთ.

– მაიორი მერაბ გამრეკელი გირეკავთ შინაგან საქმეთა სამინისტროდან.

– გისმენთ, ბატონო მერაბ, რაშია საქმე?

– ნოე, თქვენთან სამსახურში დავრეკე და ასე მითხრეს, აქ აღარ მუშაობსო. მართალია?

– დიახ. სამმართველოს უფროსმა კადრების განკარგულებაში გადაამიყვანა.

- დომენტი კუტუბიძემ?
- დიახ. სწორედ მან.
- რა მიზეზით?

ბუცხრიკიძემ იფიქრა, – ვინმე მოგზავნილი ხომ არ მირეკავსო და მერაბს უთხრა:

– რაშია საქმე, ბატონო ჩემო და რატომ მეძიებთ. თუ რამეში ვარ დამნაშავე, მაშინ ოფიციალურად დამკითხეთ. არაა ეს სატელეფონო საუბრის თემა და მეტს აღარაფერს გეტყვით. ნახავადი.

გამრეკელი მიხვდა, თუ რამ შეაშინა ახალგაზრდა გამოძიებელი და უთხრა:

– მოიცა, ნოე, არ დაკიდო. ნუ გეშინია. მოგზავნილი არ გეგონო. ძალიან მნიშვნელოვან საქმეზე გირეკავ და ტელეფონით იმიტომ გელაპარაკებ, რომ დრო არ ითმანს. შენ რომ ექსპერტიზაზე გილზა ჩამოიტანე, ერთი საქმის გახსნაში შეიძლება, დაგვეხმაროს და ამიტომ გირეკავ.

– სწორედ მაგ გილზის გამო მომიშორეს თავიდან.

– როგორ, მაგ გილზის გამო? დამშვიდდი და დალაგებით მომიყვი ყველაფერი.

– როგორ, ჩემო ბატონო, და, რამდონიამ რომ გაიგო... უფრო სწორად, დომენტი კუტუბიძემ რომ გაიგო, საქმე ყარალობის მცდელობის მუხლით აღვძარი, თანაც შემთხვევის ადგილზე ნაპოვნი გილზა ექსპერტს ჩაუტანე, გაგიჟდა. ჯერ საქმე ჩამომართვა და ხოშტარიას გადასცა, შემდეგ

კი კადრების განყოფილებაში გადამიყვანა, თანაც აქეთ დამადო ვალი – მაღლობა მითხარი, რომ სამსახურიდან არ გაგდებო.

– ნოე, დანვრილებით მომიყვი, რა მოხდა. ოფიცრის სიტყვას გაძლე, ხვალ ამ დროს თანამდებობაზე აღდგენილი იქნები, – შეჰპირდა მერაბი ლეიტენანტს და დაამატა, – გისმენ.

– ბატონო მერაბ, 31 აგვისტოს ოპერმუშაკებთან ერთად ქალაქში ვპატრულირებდი. თორმეტის ნახევარზე საფიჩხიაზე ვიმყოფებოდი. უცებ ქალის კვილის ხმა გავიგონეთ და დავინახეთ, როგორ გამოვარდა ერთი ეზოდან ღამის პერანგიანი ქალი. სწორედ ის კიოდა. რომ შეიტყო, მილიციელები ვიყავით, გვითხრა, – ოჯახში ყარალები შემოგვივარდნენო და დახმარება გვთხოვა. ორი ყარალი დავაკავეთ, ერთი გაიქცა. იმ გაქცეულმა ეზოში დაკიდებულ პროექტორს ესროლა, იქაურობა ჩააბნელა და უკანა ღობეზე გადახტა. ექსპერტიზაზე იმ ყარალის იარაღიდან გასროლილი ტყვია ჩამოვიტანე თბილისში. დაჭერილი ყარალები ძმები – ჯიმშერ და ჯემალ ბეშქენაძეები იყვნენ. სახლის პატრონი კი კბილის ტექნიკოსი ერასტი კაკაჩიაა. ბიჭებმა რომ დაკავებული ბეშქენაძეები სამმართველოში წაიყვანეს, მე შემთხვევის ადგილზე გასროლილი გილზა ვიპოვე და დავუღუქე. კაკაჩიასა და მის ცოლს ჩვენებები ჩამოვართვი და სამმართველოში დავბრუნდი, საქმე აღვძარი. ჭიჭიკო ხოშტარიამ კი, ახლა ვისაც ეს საქმე აქვს, მირჩია, საქმე ჯერ არ აღმეძრა და სამმართველოს უფროსს დავლოდებოდი, რომელიც იმ დღეს ქორწილში იმყოფებოდა თბილისში. მე კი პირიქით, ღამის ავტობუსით თბილისში გამოვემგზავრე და გასროლილი გილზა ბალისტიკოსს ჩამოვუტანე ექსპერტიზაზე. უკან რომ დავბრუნდი, დომენტი კუტუბიძემ საქმე ჩამომართვა და კადრების განკარგულებაში გადამიყვანა. ხოშტარიამ კი ყარალებს მუხლი შეუცვალა და წვრილმან სულიგნობად გადააკვალიფიცირა. ჯემალ ბეშქენაძე გაუშვა, ჯიმშერი კი „ზალოგში“ დაიტოვა.

- ყარალი გაუშვა?
- დიახ, ბატონო მერაბ.
- რას ნიშნავს „ზალოგში“ დაიტოვა?
- რას და, ჯემალი რომ ფულს მოიტანს, ჯიმშერსაც გაუშვებს.
- ესე იგი, ქრთამს ელოდებიან?
- დიახ. და სწორედ ამიტომ არ დაველოდე სამმართველოს უფროსს, თორემ ის სამხილსაც მოსპობდა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



# ზინ იყო ის ქართული ბოროტმოქმედი, რომელიც ყველაზე სავიწოვო სახეობა დაეწინაურა მთელს საქართველოში და ვინაა დღევანდელი სიჩქარით ექვემდებარება

გასული საუკუნის სამოცი-სამოცდაათიანი წლების მიჯნაზე, საბჭოთა კავშირში მოქმედებდა კარგად ორგანიზებული, ბანდიტური დაჯგუფება, რომელსაც თემურ ჩიკვაიძე მეთაურობდა. ამ ბანდის საქმიანობამ დიდი თავსატეხი გაუჩინა საუკეთესო საბჭოთა მამებრებს და ბოროტმოქმედებზე ვასვლა კარგა ხანს არ ხერხდებოდა. მისი მეთაური კი დღემდე ძებნილია და ყველაზე საშიშ, მოუხელთებელ საბჭოთა კრიმინალთა ოცუელშია შესული...

## შარბილანტო კარცვა

1968 წლის 10 აგვისტოს, როდესაც თბილისი-სოჭის მატარებელი საბჭოთა შავიზღვისპირეთის „მარგალიტი“ ჩავიდა, ექვსი ვაგონის 150-მა მგზავრმა აღმოაჩინა, რომ გაძარცვულები იყვნენ... მათ გასტაცეს ფული და ძვირფასი სამკაულები, ძირითადად – ოქროს ბეჭდები და ძეწკვები. საოცარი კი ის იყო, რომ გაძარცვულთაგან არავის არაფერი გაუგია.

იმავე დღეს, 12 საათსა და 45 წუთზე ქალაქ სოჭის მილიციის სამმართველოში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე მოქალაქეთა მასობრივი, განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ძარცვის მუხლით. საქმეს სპეციალური საგამოძიებო ჯგუფი იძიებდა, რომელსაც მილიციის მაიორი ნოდარ ნაკაშიძე ხელმძღვანელობდა. საგამოძიებო ჯგუფმა დაადგინა, რომ ბოროტმოქმედებმა ამ საქმეში უცნობი წარმოშობისა და ფორმის დასაძინებელი ნივთიერება გამოიყენეს. მათ ჯერ მატარებლის ოთხი ოპერმუშაკი დააძინეს, რომლებიც შემადგენლობას თბილისიდან სოჭში აცილებდნენ. შემდეგ კი მე-8, მე-9, მე-10, მე-11, მე-12, მე-13 ვაგონების გამცილებლები და მგზავრები დააძინეს, ისარგებლეს გამცილებლის გასაღებით, კუპები გარედან გააღეს და მგზავრების კუპებში შეაღწიეს. გატაცებულმა თანხამ 183 ათასი საბჭოთა მანეთი შეადგინა, ძვირფასეულობის ღირებულებამ კი – მილიონ მანეთზე მეტი. ეს დანაშაული უპრეცედენტო იყო თავისი მასშტაბურობით, ორგანიზებულობითა და თავხედობის დონით.

ნაკაშიძე და მისი ხელქვეითები ოთხი დღის განმავლობაში ჰკითხავდნენ დაზარალებულებს. ჩატარდა ოდორნოლოგიური (სუნის), ტრასოლოგიური და ტოქსიკოლოგიური ექსპერტიზები და დადგინდა, რომ ხალხი უცნობი წარმოშობის გაზით დააძინეს. გაირკვა ისიც, რომ ეს გაზი მხოლოდ დასაძინებელი იყო და არანაირ პათოლოგიურ გართულებას არ წარმოშობდა, ანუ ჯანმრთელობას არ ვნებდა და 8-10 საათის განმავლობაში იყო აქტიური. მხოლოდ გამცილებელ კლავდია ბოგდანოვას ახსოვდა ბუნდოვნად, რომ მას ცხვირში რაღაც სითხის წვეთები შეასხურეს იმ დროს, როცა სადგურ გორიდან გავიდნენ და თავის კუპეში ბრუნდებოდა. ჩვენებათა ანალიზმა და ორმა საგამოძიებო ექსპერტმა დაახლოებით ასეთი სურათი აჩვენა: გორიდან სოჭამდე მე-8, მე-9, მე-10, მე-11, მე-12, მე-13 ვაგონების გამცილებლებს თავიანთ კუპეებში ეძინათ, რადგან არც ერთ სადგურზე არ გამოსულან. როდესაც ნაკაშიძემ მათ კოლეგებს ჰკითხა: ეს გარემოება საეჭვოდ არ მოგეჩვენათ? ასე

უპასუხეს: „ზემოაღნიშნული კუპირებული ვაგონები პრესტიჟულად ითვლება. ისინი თბილისშივე იყვნენ და სხვა სადგურებში იქ არავინ ადის. ამიტომ, გამცილებლებს გორის შემდეგ სძინავთ“. გაირკვა ისიც, რომ მორიგე მილიციელებიც მთელი ღამე ან სვამდნენ, ან გამცილებელ ქალებთან ატარებდნენ დროს და მხოლოდ რაიმე შემთხვევის, ან მგზავრებს შორის კონფლიქტის დროს გამოდიოდნენ კუპეებიდან.

– სრული ბარდაგია რკინიგზაზე, – უთხრა ხელქვეითებს ნაკაშიძემ, როდესაც დანაშაულის სურათს ადგენდნენ, – ეს იმას ნიშნავს, რომ დაახლოებით ათი ბოროტმოქმედი რვა-ათი საათის განმავლობაში ყოვლად დაუსჯეულად მოქმედებდა რკინიგზის გორი-ადღერის მონაკვეთზე და ისე აორთქლდნენ, მცირე კვალიც კი არ დაევიტოვეს. მოქმედებდა კარგად ორგანიზებული ჯგუფი. ამას კი არავინ გვაპატივებს და რაღაც არ უნდა დაგვიჯდეს, ბოროტმოქმედები უნდა ვიპოვოთ.

ნაკაშიძემ თითქმის ერთი-ერთი აღადგინა დანაშაულის სურათი და ორ რამეში შეცდა. ბოროტმოქმედებმა არა თანმიმდევრულად, არამედ ერთბაშად დააძინეს მილიციელები და გამცილებლები და ასევე, ერთდროულად გაძარცვეს ექვსივე ვაგონი. ბანდა კი თორმეტი

## შეხვედრის საღამოს რვა მამაკაცმა, რვა ტოპარაში ჩაწოვილი 2 მილიონ 500 ათასი მანეთი წაიღეს

კაცისგან შედგებოდა და ისინი მართლაც ადღერში ჩავიდნენ. სოჭში, ორ-ორად, კერძო ტაქსებით გაემგზავრნენ.

მატარებლის ძარცვამ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია და სხვადასხვა ხმა გაერცხლა. საკავშირო შინაგან საქმეთა მინისტრმა კი ბოროტმოქმედების სასწრაფოდ დაპატიმრების ბრძანება გასცა და მთელი მილიცია ფეხზე დადგა.

## შეხვედრის საღამოს დინამიკური

იმ დროს, როცა საუკეთესო საბჭოთა დეტექტივები მატარებლის მძარცველებს ცნობილ დამნაშავეთა შორის ეძებდნენ, ნამდვილი ბოროტმოქმედები თბილისში იმყოფებოდნენ და ახალ, მსხვილ საქმეს ამზადებდნენ. მათი მეთაური კი, 34 წლის თემურ ჩიკვაიძე თავისავე თანამზრახველებისგან მალულად, სულ სხვა რამეს გეგმავდა.

34 წლის თემურ ჩიკვაიძე უცოლშვილო იყო, პროფესიით ქიმიკოსი და ერთ-ერთ ლაბორატორიაში რიგით თანამშრომლად მუშაობდა. სწორედ მისი შექმნილი იყო დასაძინებელი სითხე, რომლის მეშვეობითაც მატარებლის ძარცვა განხორციელდა. ეს ნივთიერება მან პულვერიზატორებში ჩაასხა და სწორედ ამ სახით გამოიყენეს ძარცვის დროს. დანარჩენი თურთმეტი ბოროტმოქმედებიც თბილისელები იყვნენ, ჩიკვაიძის თანამშრომლები და ახლო მეგობრები. მარტოხელა ქიმიკოსმა, რომელსაც



ადამიანთა დარწმუნებისა და მათზე ზემოქმედების განსაკუთრებული უნარი ჰქონდა, მათ დანაშაულის დეტალური გეგმა წარუდგინა და მათთან ერთადვე მოახდინა ამ გეგმის რეალიზაცია. ძარცვის შემდეგ, თითქმის სამი წლის განმავლობაში, ბანდა „ფსკერზე იწვა“. ნაძარცვი ფული, თხუთმეტი კილოგრამი ოქრო და ძვირფასეულობა კი, ჩიკვაიძის ბინის სამალავში ინახებოდა.

1971 წლის 28 აპრილს, მოსკოვის №37-ე შენახველი საღაროდან, რვა მამაკაცმა რვა ტომარა ფული გამოიტანა, რომლებიც „რაფის“ მიკროავტოპუსში ჩაიტვიტეს და წაიღეს. თითოეულ ტომარაში 312 ათას სხუთასი მანეთი იყო და საერთო თანხა 2 მილიონ 500 ათას მანეთს შეადგენდა. ფული მამაკაცებს, საღაროს დირექტორმა ოური ვაშლომიძემ გაატანა. ერთი საათის მერე კი, თავდაც წავიდა და ერთ-ერთ, მოსკოვთან ახლომდებარე აგარაგზე გაემგზავრა. ცარიელ კოტეჯში თავისი ვაჟი, ნოდარ ვაშლომიძე აღმოაჩინა, რომელსაც ეძინა.

ოური ვაშლომიძემ ჯერ შვილი გააღვიძა, შემდეგ კი მასთან ერთად მოსკოვში დაბრუნდა, „მურში“ მივიდა და მორიგე კაპიტან დიმიტრი სარანცევს უთხრა:

– ამხანაგო კაპიტანო, სამი დღის წინ ჩემთვის უცნობმა ჩემმა თანამემამულე ბოროტმოქმედებმა ერთადერთი შვილი მომტაცეს და მისი მოკვლის მუქარით, მაიძულეს, რომ ჩემდამი რწმუნებული საღაროდან ორმილიონნახევარი მანეთი გამეტანებინა. ფული სამი საათის წინ გავატანე.

ვაშლომიძე საგულდაგულოდ დაკითხეს და საკანში ჩასვეს. ოპერატიულმა ჯგუფმა კი ბოროტმოქმედების ძებნა დაიწყო. პარალელურად, გადაკვეთეს მოსკოვის შესასვლელ-გასასვლელები. მაგრამ, უკვე გვიან იყო. როგორც მოგვიანებით გაირკვა, თემურ ჩიკვაიძემ, ფული – ორმილიონნახევარი მანეთი, გამოძიებლისთვის დღემდე უცნობი გზითა და საშუალებით, საგარეოდ, მოსკოვიდან გაიტანა. ერთ-ერთ მოსკოვერ ბინაში კი ოპერმუშაკებმა თურთმეტი დაძინებული ბოროტმოქმედი აღმოაჩინა. ისინი „მურში“ დაკითხეს და მათ მატარებლის ძარცვა, შემნახველი საღაროს საქმე და ადამიანის გატაცებაც აღიარეს. თემურ ჩიკვაიძე კვლავ გამოცხადდა, მაგრამ ვერსად აღმოაჩინეს. მილიცია, მოგვიანებით კი „კაგებე“, ვარაუდობდა, რომ ჩიკვაიძემ ან მამინევე მოახერხა საბჭოთა კავშირის დატოვება და დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ფულისა და ძვირფასეულობის გატანა, რისთვისაც წინასწარ მოამზადა ყველაფერი, ან პლასტიკური ოპერაციით გარეგნობა შეიცვალა და დიდი ხნით „ფსკერზე“ დაწვა.

„შემსალაროს“ დირექტორს და თურთმეტ ბოროტმოქმედს 15-15-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს. ჩიკვაიძე კი დღემდე ძებნილია სიაშა და ყველაზე საშიშ საბჭოთა ბოროტმოქმედთა ოცუელში შედის.



# როგორ იქნა ორი მხარეანი მკვლელად და რამ დააბრუნა ისინი დანაშაულის აბილზე

61 წლის ომარ ლ-შვილი საკუთარ სახლთან გამკვლეობა აღმოაჩინა. მოკურ მდგომარეობაში მყოფი მამაკაცის შესახებ სწორედ მან შეატყობინა სამართალდამცველებს, რომლებმაც მამაკაცი საავადმყოფოში გადაიყვანეს, თუმცა მისი გადარჩენა ვერა შეძლეს. სიკვდილის მიზეზი იმეორე ინსულტი აღმოჩნდა, რაც მამაკაცს, როგორც მოგვიანებით დადგინდა, შემთხვევის ადგილზე დაემართა.

მომხდართან დაკავშირებით აღიძრა სისხლის სამართლის საქმე და დაიწყო გამოძიება. როგორც გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შემდეგ გაირკვა, ეს ფაქტი არ აღმოჩნდა უბედური შემთხვევა, როგორც ამას თავიდან ვარაუდობდნენ. გამოძიებისთვის ცნობილი გახდა, რომ მამაკაცს, რომელიც მცირე სასურსათო ბიზნესით იყო დაკავებული, ორი მძარცველი დაესხა თავს და მისგან 300 ლარის ოდენობის თანხა და პირადი ნივთები გაიტაცეს.

ის, რომ ომარ ლ-შვილი მძარცველების მსხვერპლი გახდა, გაირკვა უცნობი მოქალაქისგან, რომელმაც განაცხადა, რომ ინციდენტის ადგილიდან მოშორებით, საკუთარი სახლის აივანიდან დაინახა, როგორ ჩაუსაფრდა მსხვერპლს ორი მამაკაცი ჩიხში, როგორ დაესხნენ ისინი თავს და, ბოლოს, როგორ მიატოვეს ის მიწაზე დატოვებული.

ამონაწერი მონმის ჩვენებიდან: „შირიდან ვხედავდი, როგორ საეჭვოდ მოძრაობდა ორი მამაკაცი ლაშის სიბნელეში, აივანზე ვიდრე სივრცის მოსაწევად და მათი საეჭვო მოძრაობები არ გამომარგია: დავინახე, როგორ ამოუდგნენ აქეთ-იქიდან მამაკაცს, რომელსაც ხელში პატარა ჩანთა ეჭირა, სიბნელისკენ ნათაროებს, სამი-ოთხი წუთის შემდეგ კი როგორ გაიქცნენ იქიდან. მე მაშინვე პოლიციაში დავრეკე. სანამ ქვემოთ ჩამოვედი, მიწაზე დაგდებული მამაკაცი უცნობმა მოქალაქემ იპოვა და მის მოსულიერებას სწორედ ის ცდილობდა“.

## მამაკაცის უმეტეს შემთხვევებში აბილზე დაბრუნდა

როგორც გამოძიების მასალებით გახდა ცნობილი, ომარ ლ-შვილი სასურსათო ბიზნესით იყო დაკავებული. ინციდენტის დროს ის სამსახურიდან დაგვიანებით ბრუნდებოდა სახლში. თანამშრომლის ჩვენების მიხედვით, ომარ ლ-შვილი ოდნავ ნასვამი იყო, რის გამოც ავტომობილი სამსახურის ეზოში დატოვა და სახლში ფეხით წავიდა. იმავე მონმის განცხადებით, გარდაცვლილს საფულეში ჰქონდა სამასი ლარის ოდენობის თანხა, რომელიც მან თავად გადასცა სამსახურიდან გამოვლის წინ. ოჯახის წევრების ჩვენების მიხედვით, ომარ ლ-შვილი მუდმივად ატარებდა საქონლით ბეჭედს, რომელიც მძარცველებმა საფულესთან და ხელჩანთასთან ერთად გაიტაცეს. რა იღო ხელჩანთაში, ამაზე გარდაცვლილის ახლობლების წარმოდგენა არ ჰქონდათ, ეს მხოლოდ მოგვიანებით, მძარცველების დაკვების შემდეგ გახდა ცნობილი. როგორც ომარ ლ-შვილის ოჯახის წევრები აცხადებდნენ, მამაკაცს გულის ქრონიკული დაავადება აწუხებდა, რაც, სამედიცინო დასკვნის მიხედვით, ემოციურ ფონზე უცხად განვითარებული ფატალური შედეგით დასრულდა.

გამოძიებას თავდამსხმელთა შესახებ ინფორმაცია არ ჰქონდა. ინციდენტს არ ჰყავდა თვითმხილველი, გარდა ზემოთ ნახსენები მამაკაცისა, რომლის განცხადებითაც, მძარცველები ასაკით ახალგაზრდები და ტანმორჩილები უნდა ყოფილიყვნენ. მძარცველთა სახის დანახვა კი მან შორიდან ვერ შეძლო. გამოძიებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა იმავე ლამეს, შემთხვევის ადგილიდან დაახლოებით 150 მეტრში აღმოჩენილი მობილური ტელეფონი, რომელიც, როგორც მოგვიანებით დადგინდა, ერთ-ერთ მძარცველს ეკუთვნოდა. ის 25 წლის მამუკა ჟ-ი აღმოჩნდა. გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, დანაშაულის ჩადენიდან 18 საათის შემდეგ, სამართალდამცველებმა შემთხვევის ადგილიდან დაახლოებით 200 მეტრ პერიმეტრზე, აღმოაჩინეს ახ-

ალგაზრდა, რომელიც საეჭვოდ ათავლიერებდა გარემოს. ის სწორედ მამუკა ჟ-ი აღმოჩნდა, რომელმაც თავიდან განაცხადა, რომ დაკარგულ ტელეფონს ეძებდა, თუმცა მოგვიანებით გამოძიებამ დაამტკიცა მისი კავშირი ომარ ლ-შვილის ძარცვის ფაქტთან და დააკავა მისი თანამზრახველიც – 22 წლის ვალერი დ-უა.

გამოძიების მასალებით, ახალგაზრდებმა, რომლებიც ინციდენტის ადგილიდან საკმაოდ შორს ცხოვრობდნენ, ძარცვისთვის კონკრეტული ადგილი სპეციალურად შეარჩიეს და იქ დაუდარაჯდნენ მსხვერპლს. მამუკა ჟ-ის განცხადებით, მის მეგობარს, ვალერი დ-უას, სასწრაფოდ ესაჭიროებოდა თანხა, რომელიც ნაგებულ ჰქონდა და უნდა ჩაებრებინა. ძარცვა მათ სწორედ თანხის მოპოვების მიზნით განიზრახეს.

ამონაწერი მამუკა ჟ-ის ჩვენებიდან: „ის ადგილები მეც და ვალერიმაც კარგად ვიცოდით. ჩაბნელებული ჩიხი, თუმცა, ბევრი გამკვლევი დადის – იქიდან მეორე კვარტალში გადადის მოკლე გზა. ჩვენ დანაც კი არ ვეჭვობდა, ისე წავედი. თითქმის ნახევარი საათი ვიცდიდით და დავინახეთ მამაკაცი, რომელსაც ხელჩანთა ეკავა. სოლიდური იერი ჰქონდა, საქმიანი კაცის. ისე მივუახლოვდი და ამოვუდექით გვერდში, ვერაფერს მიხვდა. უცებ ხელით მოგქაჩეთ და იქვე, ბნელი კუთხისკენ გავათრიეთ. ცოტა გაგვიძალიანდა, მაგრამ, ვერაფერს გახდა. მე გავაკავე და პირზე ავაფარე ხელი, ვალერიმ გაჩითვა დაუწყო. ჯერ საფულე ამოვაცალეთ, მერე დავინახეთ, რომ ხელზე ოქროს ბეჭედი ეკეთა, ვერცხლის ცუპიც ჩამოგვოვავით ყელიდან. უცებ მივხვდი, რომ კაცი ცუდად გახდა – ხელეფს კი აღარ ვუჭერდი, თვითონ ჩამომეკიდა. ჩემს ხელეფში გახდა ცუდად და, როგორც კი ხელი გავუშვი, ძირს დაფარდა, მაგრამ, ვერ მივხვდი, რომ თურმე მაშინვე გარდაიცვალა. ჩვენ ხელჩანთაც ნაკარტით და გავიქეციეთ. მეორე კვარტალში გავხსენით ხელჩანთა, რომელშიც საბუღალტრო საბუთები ეწყო. საფულეში პირადობის მოწმობა და 300 ლარი იყო. მოგვიანებით აღმოვაჩინე, რომ მობილური დეკარგე მეორე დღეს წავედი შემთხვევის ადგილის სიახლოვეს. არც კი ვიცოდით, რომ ის კაცი გულის შეტევით გარდაიცვალა. პოლიცია ტელეფონის ძებნაში დამადგა თავზე და დამაკავა“.

გამოძიებისთვის ცნობილი გახდა და დადგინდა მამუკა ჟ-ის ნათესაური კავშირი ომარ ლ-შვილის ყოფილ ბიზნესპარტნიორთან, მერაბ ბ-ქესელთან, რომელთანაც გარდაცვლილს საერთო საბანკო კრედიტთან დაკავშირებული პრობლემების გამო ურთიერთობა აღარ ჰქონდა. მამუკა ჟ-ი მერაბ ბ-ძის ბიძაშვილის შვილი იყო. ამ ინფორმაციის დამუშავების შემდეგ, გაჩნდა ვერსია, რომ ძარცვა შემთხვევით არ მომხდარა. გარდაცვლილის მეუღლის ჩვენების მიხედვით, მერაბ ბ-ქესელის ბიძის დაკარგვაში ადანაშაულებდა, რომლითაც საერთო ვალის გადახდა მოხდა და, შესაბამისად, ომარ ლ-შვილის მეუღლის აზრით, მერაბ ბ-ქესელს ყოფილ ბიზნესპარტნიორზე ხუთი წლის შემდეგ იძია შური და ყოფილი პარტნიორის მოკვლა დაავალა თავის ნათესავს, რომელსაც კრიმინალური საქმიანობის გამოცდილება უკვე ჰქონდა. გარდაცვლილის მეუღლე და შვილი სასამართლო პროცესზეც მოითხოვდნენ ბრალდებული მამუკა ჟ-ისთვის წაყენებული სისხლის სამართლის მუხლის შეცვლას და აცხადებდნენ, რომ ომარ ლ-შვილი არა შემთხვევით ძარცვის, არამედ, შეკვეთილი მკვლელობის მსხვერპლი გახდა და ყოფილი საქმიანი პარტნიორის სამართლებრივ პასუხისმგებლობას მოითხოვდნენ. გამოძიებამ ვერ დაადგინა დანაშაულებრივი კავშირი მერაბ ბ-ქესელსა და ბრალდებულს შორის. მერაბ ბ-ქესელისთვის სასამართლო პროცესზეც და, მისი ჩვენებისა და მოპოვებული მტკიცებულებებით, ბიძაშვილის შვილთან, რომელიც განსასჯელის სკამზე იჯდა, მას არანაირი კავშირი არ ჰქონდა, უფრო მეტიც, ის ნიღბის განმავლობაში არ ჰყავდა ნანახი. სასამართლომ მამუკა ჟ-ი და ვალერი დ-უა გაასამართლა გამოძიების დროს წაყენებული ბრალდებით და მათ 7-7 წლით პატიმრობა მიუსჯა.

რაც შეეხება გადაადგილებას, იქამდე მისასვლელად აბანოს უღელტეხილის გადალახვა საჭირო, რომელიც თითქმის 3 000 მეტრამდეა. გზა მასზე გადის და მხოლოდ სამი თვის განმავლობაშია შესაძლებელი მისი გადალახვა, დანარჩენი პერიოდში ჩაკეტილია. მაგრამ, მეზობელ სოფელში, ომალოში, გზა არ იკეტება (საპატრონო მიმოსვლით შესაძლებელია გადაადგილება). იქიდან ბოჭორნამდე კი ათი კილომეტრია, რომლის გავლა ცხენით ან ფეხითაც (აუცილებლობის შემთხვევაში) შესაძლებელია. ძალიან დიდი თოვლი არ იცის,



მიმდინარე ნელს ამ სოფელში წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია აღადგინეს. მომავალ ნელს მისი კურთხევაც იგეგმება. ეს ეკლესია იქნება ერთ-ერთ ყველაზე მაღალ ადგილას მდებარე მოქმედი ეკლესია

უფრო მეტად ყინვება.

**ამ სტატუსის მოპოვების შემთხვევაში, რა შეიცვლება ამ სოფლისთვის?**

– მნიშვნელოვანია, რომ ეს ინფორმაცია საჯარო გახდეს. ამ ტერიტორიაზე ძალიან ბევრი ტურისტი დადის, განსაკუთრებით – ევროპელები. წარმოადგინეთ, რას ნიშნავს, როცა აბრავა ეწერება, რომ ეს არის ევროპაში ყველაზე მაღლა მდებარე სოფელი. რასაკვირველია, ეს ინტერესს გაზრდის და ბევრ ტურისტს მიიზიდავს. ამ შემთხვევაში, შესაძლოა, ერთი ადამიანი კი არა, ბევრი ოჯახი დარჩეს იქ საცხოვრებლად – სოფელში ამისთვის ყველაწარმოადგინა პირობა არსებობს. ის ბოლო წლებში დაიცალა, თორემ, ერთი საუკუნის წინ ასევე მეტი ადამიანი ცხოვრობდა იქ. რაც შეეხება უშგულს, ბოჭორნა მას კონკურენციას არ გაუწევს, რადგან, მას, თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, ისედაც ბევრი ვიზიტორი ჰყავს. ბოჭორნას კი ნამდვილად ესაჭიროება იმ რეალური სტატუსის მინიჭება, რაც არის.

**ოფიციალურად დარეგისტრირებისთვის რა არის საჭირო?**

– ოფიციალურად მამინ დაფიქსირდება, როცა აღწერის შედეგები გახდება ცნობილი. თუმცა ჩვენ ვაპირებთ, გეოგრაფიის ინსტიტუტის ეგიდით დავაფიქსირებთ.

**ქაქიძე კახანაძე**

ია და აუცილებელია. საკეს მიღებით წყვილი განიზონდება. შემდეგ სიძე-პატარძალი ცვლის ბეჭდებს, რაც უკვე ევროპული ტრადიციიდანაა შემოტანილი. საკეს ურიგებენ სტუმრებს, რომლებიც სამ-სამ ყლუპს სვამენ. ტაძრიდან პირველი გამოდის მამაკაცი და უკან მორჩილების ნიშნად მოჰყვება ქალი. იაპონელებს ძალიან უყვართ სურათების გადაღება. შეიძლება, სამი ან ოთხი საქორწინო ალბომი ჰქონდეთ. ფოტოსესიის შემდეგ, პატარძალი კვლავ იცვილის სამოსს და ახალი კიმონით გამოდის. ვამრთობ თამადასთან ერთად, სიძე-პატარძალი ყველა მაკადასთან მიდის და საწითელს ანთებს. უცნაურია, მაგრამ, იაპონური ქორწინობი ცეკვა აკრძალულია, სიმღერა კი დასაშვებია. კარაო-

კე მაგათი გამოვინიშნავ, ამიტომ, სულ კარაო-კეს მღერის. თამადას უფრო გამართობის სტატუსი აქვს მინიჭებული. ქორწინლის ყველაზე ამაღლებული მომენტია პატარძალის წერილის წაკითხვა, რომელშიც ის მადლობას უხდის მშობლებს. ამ წერილს ყველა აღვართ-ოანებითა და ტამით ხვდება. ოჯახი ყველა სტუმარს გადასცემს საჩუქარს, რანგის მიხედვით. ახლად შეუღლებულებს აქვთ სამასსოფრო ნივთი, რომლებიც სტუმრები კეთილ სურვილებს უწერენ.

**ძვირია იაპონური ქორწინობა?**

– დიას, ძალიან ძვირი ჯდება, მართკო კიმონოს დაქორწინება ღირს 10 000 დოლარი, შეკრვაზე ლაპარაკი ზედმეტია. თუ ოჯახი მდიდა-

რია, მამინ, რა თქმა უნდა, იკრავენ. საშუალო ფენა ვერ ნდება კიმონოს შეკრვას – ის 25 000 დოლარამდე ჯდება. ევროპული ქორწინო შედარებით იაფია და, ამიტომ, ახალგაზრდები მას არჩევენ. მათ არ უყვართ ბაფთებით მორთული მანქანები. სტუმარი შეიძლება მეტროთიც მივიღეს.

**პატარძალს თიაგული არ უჭირავს?**

– ესეც ევროპული ტრადიციაა, ამიტომ, თიაგული მხოლოდ იმ შემთხვევაშია, თუ ევროპული ქორწინობა. შინტოსისტურ ქორწინობი ეს ნაკლებად. იაპონიაში ყველა ყვავილს თავისი დატვირთვა აქვს. საქორწინო ყვავილი პიონია, რომელიც კიმონოზე უნდა ჩანდეს.



2014 წელს, 16-17 წლისა და 73 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში, რუსეთის ჩემპიონი კარატემი გახდა ქართველი - მირიან დვალაშვილი. მისი ოჯახი ყოფილი მიზეზების გამო რუსეთში გადავიდა საცხოვრებლად და ვიორგი იქ დაიბადა. თუმცა, სამშობლოსთან მჭიდრო კონტაქტს ინარჩუნებს და სურვილი აქვს, თავისი წარმატებული სპორტული კარიერა სამშობლოსაც დაუკავშიროს. დღეს კი რუსეთში მოღვაწეობს და ძალიან წარმატებულია. ქართული საზოგადოება მას არ იცნობს. „თბილისელებს“ მკითხველი პირველია, ვისაც საშუალება აქვს, შეიტყოს რუსეთის ქართველი ჩემპიონის შესახებ. ვთავაზობთ მასთან ინტერვიუს.



**მსოფლიოს ჩემპიონი უნდა გავხდე და კიდევ ძალიან მინდა, სპორტის ეს სახეობა საქართველოში მეტად აქტიური გავხადო**

**გიორგი, ქართული საზოგადოება არ იცნობს, რას ვაპყრობ შენ შესახებ?**

– რა გითხრათ (იციის)... მე ვარ გიორგი დვალაშვილი, 17 წლის. ვცხოვრობ რუსეთში. ვარ კარატისტის და ძალიან აქტიურად ვარ ჩართული სპორტის ამ სახეობაში. უპირველესად, იმიტომ, რომ ცხოვრების ჯანსაღ სტილს დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ და შემდეგ უკვე კონკრეტულად: ეს სახეობა – კარატე ძალიან მომწონს. ვგრძნობ, რომ ეს ნამდვილად ჩემი საქმეა. თან, მგონი, ცუდად არ გამოდის, თუ შედეგების მიხედვით ვიმსჯელებთ.

**ყველაზე მნიშვნელოვან შეჯიბრებაზე გვიამბე, როცა რუსეთის ჩემპიონი გახდი?**

– რუსეთის ჩემპიონატისთვის ისეთ სპორტსმენებს არჩევს, ვისაც უფრო მეტი ტიტული აქვს. მე პირველად 2013 წელს მივიღე მონაწილეობა – 14-15 წლამდე ასაკისა და 67 კილოგრამი წონით კატეგორიაში. 5 თამაში იყო სულ. ყველა რთული იყო, რადგან მთელი რუსეთიდან საუკეთესო სპორტსმენები იყვნენ შეკრებილი. მაგრამ, ნახევარფინალი განსაკუთრებით ძნელი აღმოჩნდა. იქ მსოფლიო ჩემპიონს

**როგორ გხსნა ქართველი - ბიორგი დვალაშვილი რუსეთის ჩემპიონი კარატემი და რას უიპრობს ის ქართველ სპორტსმენებს?**

შეხვედი. რთული იყო, მაგრამ მაინც მოუფე. თუმცა ფეხი ვიტყვინე. ნემსი გამიკეთეს გასასურებლად და ფინალში ისე გავედი. მონინააღმდეგემ იცოდა ამის შესახებ და მაინც დაამარცხა იქ მორტყამდა. ნაწილი, თუ არ ვცდები 5:3. მაგრამ წინა დღით, როგორც გითხარით, სხვა დისციპლინაში მოუფე – კატაბუნკაში. საბოლოო აჯამში, ავიღე ჩხუბში მეორე ადგილი, ბუნკაში – პირველი. შესაბამისად, ის ჩხუბში გახდა რუსეთის ჩემპიონი, კატაბუნკაში – მე. ამის შემდეგ მას კიდევ შეხვედი, მართალია, რუსეთის ჩემპიონატის დონის შეხვედრა არ ყოფილა, მაგრამ ეს ჩემთვის პრინციპის საქმე იყო და სხვათა შორის, საკმაოდ დიდი სხვაობით დავამარცხე.

შემდეგ იყო 2014 წელი და ყველაზე მთავარი მოვლენა ჩემთვის – ისევ რუსეთის ჩემპიონატი. ჩემს კატეგორიაში იყო მსოფლიო ჩემპიონი, ევროპის ჩემპიონები და სხვა ტიტულოვანი მოთამაშეები, მაგრამ ყველას დამარცხება შეძელი. პირველ დღეს კატაბუნკა მოვიგე, შემდეგ დღეს – ჩხუბი და ასე გავხდი რუსეთის ჩემპიონი.

**როგორც ვიცი, სპორტის სხვა სახეობით - კრიოთაც ხარ დაკავშირებული? იქაც გაქვს მნიშვნელოვანი მიღწევები?**

– ჩვენი კლუბის მწვრთნელმა მიჩნია, რომ პარალელურად, კრიეშიც ვეკარავოდა და გაითვალისწინე. მთელი წელი ვეკარავოდა და აბრეში დავიკავე მეორე ადგილი WFL ვერსიით. პირველი თამაში 3 წუთში მოვიგე. მეორეში მონინააღმდეგე 30 წამში ნოკაუტში გავუშვი და მესამეში – დავმარცხდი. საბოლოო აჯამში, მეორე ადგილი მიერე. გვეგმავე, კარიერა კარატესთან

ერთად, კრიეშიც ვაეკარებო.

– სკოლას როგორ უთავებ ამ ყველაფერს? თან, როგორც ვიცი, პარალელურად, ბავშვებსაც ამზადებ კარატემი.

– მასწავლებლებმა იციან ჩემ შესახებ და ცდილობენ, შესაძლებლობის ფარგლებში მაქსიმალურად დამეხმარონ. თუმცა, სწავლასაც თავისი დრო სჭირდება, ბუნებრივია. მოსწავლეებს რაც შეეძება, 2 წლის წინ მწვრთნელმა შემომთავაზა, რომ ჯგუფში ამეყვანა. ერთ წელიწადში ბავშვები შეჯიბრებაზე გავუშვი და საკმაოდ ბევრი ჯილდო მომიბოვეს. ესეც წარმატება იყო ჩემთვის. წლებიდან ჯგუფს ახლა ვამზადებ შეჯიბრებებისთვის.

**შთამბეჭდავი შედეგები გაქვს. საინტერესოა, რა არის ამ ეტაპზე შენი მიზანი?**

– რა თქმა უნდა, მსოფლიოს ჩემპიონი უნდა გავხდე და კიდევ, ძალიან მინდა, სპორტის ეს სახეობა საქართველოში მეტად აქტიური გავხადო. ამისთვის ვეკარავო მთელი რუსეთი. მა არ მაქვს, თუმცა, სურვილი დიდია. ჩემი აზრით, ქართველ სპორტსმენებს ძალიან ბევრის მიღწევა შეუძლიათ.

**რუსეთ-საქართველოს შორის არსებული რთული პოლიტიკური ვითარება თუ გამხდარა შენითვის ოდესმე დამაბრკოლებელი?**

– პოლიტიკაში არ ვერევი. სპორტში პოლიტიკას არ აქვს ადგილი და არც უნდა ჰქონდეს. პირადად ჩემთვის, ამას არ შეუქმნია პრობლემა. ჩვენ კარგად ვეკარავოთ ერთად სხვადასხვა ერის წარმომადგენლები: რუსები, უკრაინელები, აზერბაიჯანელები და ასე შემდეგ.

**საქართველოში თუ ჩამოინდარ ხოლმე?**

– კი, რა თქმა უნდა, სხვანაირად წარმოუდგენელია. საქართველო ჩემი სამშობლოა და ძალიან მიყვარს. ბუნებრივია, აქ ბევრი ახლობელი მყავს და მათთან ძალიან ხშირად მაქვს კონტაქტი. ყოველ ზაფხულს ჩამოვდივართ მთელი ოჯახით და ზაფხულს აქ ვატარებთ. ამ დროს ახლობლები ერთად ვიკრიბებით და ასე, მთელი წლის დანაკლისს ვინახავთ.

ქათი კაპანაძე

1. ავიაბილეთები ყველა მიმართულებით 215-80-80; 236-40-11
2. ავტომანქანის გაქირავება, ტურები საქართველოში, სასტუმროს რეზერვაცია 218-22-44; 599 33-33-53
3. ავტოსადგური „ოკრიბა“ 234-26-92
4. ადამიანის უფლებათა ცენტრი 237-69-50; 245-45-33
5. ავტომანქანების გაქირავება 595 33-21-00
6. აღსრულების ეროვნული ბიუროს საინფორმაციო სამსახური 274-96-49
7. გარემოს ეროვნული სააგენტო 243-95-32
8. აეროპორტის საინფორმაციო ბიურო 231-04-21
9. ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო ცენტრი 599 11-57-44
10. გაზი გამოძახებით 292-32-46; 292-10-08
11. შპს აკადემიკოს გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი 253-06-32
12. საქ. მთავარი პროკურატორის ცხელი ხაზი 240-52-22
13. გაზის საავარიო (ქალაქის) 14; 238-40-65, 238-56-16 (ცენტ. სადისპეტჩერო)
14. განათლების სამინისტროს კომუტატორი 231-89-40; ცხელი ხაზი: 220-02-20
15. გზებზე ტექნიკური დახმარება 599 25-42-54
16. ჯანდაცვის სამინისტრო (ცხელი ხაზი) 251-00-33
17. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ცხელი ხაზი 220-62-32
18. დამკრძალავი ბიურო, მუნიციპალური სანარმო „პერმისი“ 221-21-84; 221-25-84
19. კავკაზუს ონლაინი, დეპუტის გაგზავნა ტელეფონით 250-60-06
20. ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური 299-10-58; 299-11-21
21. „თელასის“ საინფორმაციო ცენტრი 225-52; 225-52-11; 277-99-77
22. „თელასის“ ცხელი ხაზი 277-99-99
23. შპს იმუნიზაციის ცენტრი 231-22-78

**სწოზარი**

24. ოუსტიციის სამინისტრო 240-52-02
25. კატასტროფის მედიცინის ცენტრი. პაციენტების ტრანსპორტირება სტაციონარებიდან 231-13-20; 231-13-21; 595 33-18-03; 0 790 50-10-50
26. საქართველოს ეროვნული კომუნიკაციების კომისია 238-61-40 (პრესსამსახური); 231-13-13 (ადმინ. დეპარტამენტი)
27. კონტროლის პალატა 243-81-81 (ცხელი ხაზი)
28. კანალიზაციის საავარიო სამსახურის ცხელი ხაზი 293-11-11
29. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო 243-11-00 (ცხელი ხაზი)
30. მერიის ცხელი ხაზი 272-22-22
31. ნავთობის ავტოსადგური 274-83-03; 274-63-23 599 39-35-35
32. სახალხო დამცველი 291-38-14(15)
33. ვაგზლის ცნობათა ბიურო: 219-90-10
34. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური 112
35. საპატრულო პოლიცია 112
36. სასწრაფო სამედიცინო დახმარება 112
37. სასწრაფო სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით 24 საათის განმავლობაში 577 42-42-38, 235-32-33
38. საქართველოს მთავრობის კანცელარია 298-92-73 (ფაქსი), 228-22-88 (მისაღები)
39. საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი 294-50-00 შიდა 24 (02, 03)
40. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური 226-11-15 (კანცელარია)
41. სადღეღამისო სტომატოლოგიური კლინიკა, 222-67-22; 210-30-50; 599 57-64-12
42. სოფლის მეურნეობის სამინისტროს კანცელარია 237-80-44 (13)

43. საქართველოს სტანდარტების ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო 261-30-90; 261-30-21
44. საყოფაცხოვრებო და სამშენებლო ნარჩენების (ნავის) გატანა; შპს „თბილსერვის ჯგუფის“ დასუფთავების სერვისი, სანიადრე ქსელის ექსპლუატაცია 261-18-37, 261-18-11
45. სამედიცინო-საინფორმაციო სამსახური 225-22-33 (საინფორმაციო); 225-22-45 (ადგილზე მომსახურების განყოფილება, მედიკამენტების სახლი მიგანა)
46. სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის უვნებლობის ვეტერინარიის მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, რეგისტრაციების და ინფორმაციის სამმართველო 291-91-67 (68)
47. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი საქ-პატენტი 292-31-66; 291-71-80 (ცხელი ხაზი)
48. საქართველოს მომხმარებელთა ფედერაცია 299-78-57
49. ტაქსი გამოძახებით 293-91-00
50. ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი – 210-02-29; ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარება, ცხელი ხაზი – 230-99-03.
51. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცხელი ხაზი 241-10-66 (კანცელარია, მოქალაქეთა და წერილების განყოფილება)
52. ფინანსთა სამინისტრო 226-14-12; 226-14-10 (კანცელარია); 226-24-09
53. ქორინების რეგისტრაცია სიღნაღში 595 24-77-77
54. ლეთისმეფილთა კავშირის ცხელი ხაზი (მეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის) 225-01-45; 222-54-17
55. „ყაზტრანსგაზი“ 220-04-04 (გაზიფიკაციების სამსახური)
56. „ყაზტრანსგაზის“ სადისპეტჩერო 231-04-04



მერი ტარიელაშვილის ცხოვრება მანამდეც საკმაოდ საინტერესო იყო, სანამ ის დიზაინერ ირაკლი კახნიაშვილს გაიცნობდა და მისი სამოდელო სახლის „ირაკლელის“ მოდელი გახდებოდა, თუმცა, როგორც თავად მოდელი ამბობს, „ირაკლელის“ მოსვლის შემდეგ მას რეალობად ექცა ის, რაზეც მანამდე მხოლოდ ოცნებობდა, რითაც ცხოვრება მისთვის ბევრად საინტერესო და სასიამოვნო გახდა.

## რას აკეთებს მერი ტარიელაშვილი მიზნის მისაღწევად და ვინ დაუწერა მას აივანის წინ - „მე <3 მერი“

**მერი ტარიელაშვილი:** გავიზარდე თბილისში. ძალიან დამჯერი და ბეჯითი ბავშვი ვიყავი. მოდელირებაზე ვოცნებობდი, ალბათ, დაბადებიდან. საკმარისი იყო, ახარატი დამენახა, რომ მაშინვე ვინცელები პოზირებდნენ. ოთახში მარტო რომ ვრჩებოდი, წინ და უკან დავდიოდი - წარმოვიდგენდი, რომ პოდიუმზე ვიყავი. ყოველთვის ძალიან მიყვარდა სწავლა, გარკვეულწილად ამის გამოც, მშობლები წინააღმდეგები იყვნენ, რომ მოდელი გამოვსულიყავი. მეც ვთანხმდებოდი, მაგრამ, უცხო ადამიანის გაცნობისას, პირველივე კითხვა - „შენ მოდელი ხარ?“ - ყოველთვის გულს მტკენდა.

- როგორ მოხვდი ირაკლი კახნიაშვილთან „ირაკლელის“ და რა შეიცვალა ამის შემდეგ შენს ცხოვრებაში?

- ირაკლიმ ინტერნეტის საშუალებით მიპოვა. მასთან შეხვედრის შემდეგ რეალობად მექცა ის, რაზეც მხოლოდ ვოცნებობდი. ზოგჯერ თავი სიზმარში მგონია, მაგრამ, ზუსტად ვიცი, რომ ეს არის ის, რაც ყველაფერზე მეტად მაბედნიერებს! ახლა, კითხვაზე: „შენ მოდელი ხარ?“ - ამაყად ვპასუხობ: „დიახ, მე მოდელი ვარ!“

- რა მიღწევები გაქვს სამოდელო ცხოვრებაში?

- პირველი მიღწევა ისაა, რომ „ირაკლელის“ მოდელი ვარ. ჯერ ახლა ვინცე და მაქვს ბევრი გეგმა. დანარჩენს მხოლოდ იმას გეტყვით, რომ მიზანდასახული ვარ და მჯერა ჩემი ძალების.

- შენი პარამეტრები შეესაბამება სტანდარტს?

- ვარ 48 კილოგრამი, სიმაღლე - 1,75 სანტიმეტრი. ჩემი პარამეტრებია: 85X59X89.

- რას აკეთებ იმისათვის, რომ ასეთ კარგ ფორმაში იყო?

- დიეტა არასდროს დამიცავს, მაგრამ, ვცდილობ, სწორად ვიკვებო. გვინდა თუ არ გვინდა, არასწორი კვების შედეგი აისახება ჩვენს გარეგნობაზე, რაც მოდელისთვის ყველაზე მეტად არასასურველია. თუმცა, არ არის აუცილებელი, იყო მოდელი, ერთი სახალისო ფრაზა ვიცი: „ცოდვაა, თუ ქალს შეუძლია გამოიყურებოდეს უფრო ლამაზად და არ გამოიყურება“. ქალის მთავარი იარაღი ხომ სილამაზეა, ამიტომ, ჭკვიანი ქალი არასოდეს მისცემს თავს იმის უფლებას, რომ ცუდად გამოიყურებოდეს. რა ჯობია საკუთარ თავზე ზრუნვას?! ხშირად მეუბნებიან, შენ რა გენაღვივება, ჭამ და მაინც არ სუქდება. მე კი ვფიქრობ, ეს ჩემს გარეგნობაზე ცუდად რომ აისახებოდეს, აუცილებლად გავაკონტროლებდი. თანაც, ახლა უფრო მეტად მომეთხოვება ყოველთვის საუკეთესო ფორმაში ყოფნა.

- ფიქრობ თუ არა, რომ ყველაფერი, პირველ ყოვლისა, მაინც გენეტიკაა და

სხვა არაფერი?

- გეთანხმები, ძალიან ბევრი რამაა დამოკიდებული გენეტიკაზე, მაგრამ, ხომ გვინახავს ლამაზი ქალი, რომელმაც არ იცის, როგორ წარმოაჩინოს თავისი თავი? ასევე, ვიცი სხვა, შედარებით ულამაზო ქალები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ბევრად უფრო ეფექტურად გამოიყურებიან, რადგან, თავს უვლიან. საუკეთესო და ყველაზე იშვიათია შემთხვევა, როცა გენეტიკურად ლამაზი ქალი ამავდროულად ჭკვიანიც აღმოჩნდება და იცის, როგორ მოუაროს ამ სილამაზეს - ეს საუკეთესო ვარიანტია (იცინის).

- ვინ გიღვას გვერდში, რომ წარმატებებს მიაღწიო სამოდელო სფეროში, ვინ არის შენი ყველაზე დიდი გულშემატკივარი?

- ჩემი ულამაზესი დეიდა და დეიდები. დედა მხოლოდ 36 წლისაა. მართალია, თავიდან არ უნდოდა, მოდელი რომ გამოვსულიყავი, მაგრამ, რადგან ახლა ხედავს, რომ ეს მე ძალიან მახარებს და ბედნიერს მსდის, ამიტომ, ჩემ გვერდითაა და უხარია ჩემი წარმატებები.

- წარმომიდგენია, შენ-ნაირი გარეგნობის გოგოს რამდენი თაყვანისმცემელი ყოფილება. რა „სისულელებს“ სჩადიან ისინი შენი გულის მოსაგებად?

**პატიო სანალისო ფრაზა ვინც „ნოდგაა, თუ ქალს შეუძლია გააოცოვებოდეს უფრო ლამაზად და არ გამოიყურება“. ქალის პოპარტი იარაღი ხომ სილამაზეა, ამიტომ, ჭკვიანი ქალი არასოდეს მისცემს თავს იმის უფლებას, რომ ცუდად გამოიყურებოდეს. რა ჯობია საკუთარ თავზე ზრუნვას?! ხშირად მეუბნებიან, შენ რა გენაღვივება, ჭამ და მაინც არ სუქდება. მე კი ვფიქრობ, ეს ჩემს გარეგნობაზე ცუდად რომ აისახებოდეს, აუცილებლად გავაკონტროლებდი. თანაც, ახლა უფრო მეტად მომეთხოვება ყოველთვის საუკეთესო ფორმაში ყოფნა.**

- კი, თაყვანისმცემელი ბევრი მყავს, დღეს დილითაც ცდილობდა ერთი ადამიანი ჩემს გაცნობას ტექსტით, რომ საკმაოდ შეძლებულია, ორი მანუკა ჰყავს, სახლი აქვს და ასე შემდეგ. ჩემთვის ეს ყველაფერი სულ ერთია. არ მომწონს შეფასების ასეთი კრიტერიუმები. საერთოდ არ მაინტ-

ერესებს, რამდენი სახლი აქვს და რამდენი მანქანა ჰყავს მამაკაცს, პირველ ყოვლისა, ღირსეული ადამიანი უნდა იყოს. ძალიან მიყვარს დამოუკიდებლობა და მაქვს ამბიციაც - ყველაფერს მივალწიო ჩემით, მე თვითონ!

- დარწმუნებული ვარ, ამ „მანქანებიანი“ და „ბიჭის გარდა, უფრო არაორდინარულიებიც არსებობენ... - საბედნიეროდ (იცინის)...

- მათზეც მიაბე. მაგალითად, სერენადას თუ გიმღერიან, გულებს თუ გინთებენ აივანის წინ, ან, იქნებ, უფრო ორიგინალურებიც არიან...

- ერთმა ბიჭმა გადამწყვიტა, ყველაზე ორიგინალური ყოფილიყო. გულიც და სერენადაც ერთდღიანი სიამოვნებაა, მან კი აი-



**გუშინ დედა ხუმრობით მეუბნებოდა: ადრე ვნერვიულობდი, ნაადრევ ასაკში რომ გათხოვდე, რა მეშველება; ახლა კი იმას ვნერვიულობ, საერთოდ რომ არ გათხოვდყო**

ვინის წინ დიდი ასობით დამინერა: „მე <3 მერი!“ და, ორი თვის განმავლობაში, აივანიდან რომ ვხვდებოდი, ამ წარწერას ვხედავდი. ისე, სასაცილოა, მაგრამ, დღესაც ძალიან ბევრი ბიჭი იბრალებს, რომ ჩემი შეყვარებულია, თან ისეთები, რომლებსაც არც კი ვიცნობ. ზოგჯერ ეს ძალიან მომაბზრებელია, მაგრამ ყურადღებას არ ვაქცევ. ფიზიკურად დროც არ მაქვს - ისე ვარ დაკავებული საკუთარი საქმეებით, რომ არაფრისთვის აღარ მრჩება დრო.

- გათხოვებას ჯერ არ გეგმავ?

- ძალიან ბევრი გეგმა მაქვს, გათხოვება ჯერ ადრეა! რომ ვუფიქრებდი, ვხვდებოდა, რომ ამისთვის მზად არც ვარ. გუშინ დედა ხუმრობით მეუბნებოდა: ადრე ვნერვიულობდი, ნაადრევ ასაკში რომ გათხოვდე, რა მეშველება; ახლა კი იმას ვნერვიულობ, საერთოდ რომ არ გათხოვდესო.

- რა თვისებები და ღირსებები უნდა ჰქონდეს მამაკაცს, რომელიც შენი რჩეული გახდება?

- რა საინტერესო კითხვაა... მე ძალიან მიზანდასახული ვარ. არასდროს არ ვნებდები, არც ერთ შემთხვევაში! ასე რომ, გვერდით ვერ ავიტან მამაკაცს, რომელიც სულ წუნუნებს და თავის წარმატებლობას ცხოვრებას, მეზობლებს ან ამინდს აბრალებს. სულ მინდა, ვუთხრა: როცა წუნუნი მოუნდებათ, ჩაიხედონ სარკეში, ისე იწუნუნონ და როცა ნახავენ, რა სასაცილოდ გამოიყურებიან ამ დროს, იქნებ ცხოვრებაში აღარ გაუჩნდეთ წუნუნის სურვილი. მამაკაცი ძალიან ძლიერი და წარმატებული უნდა იყოს. უფრო მეტად ვაფასებ, როდესაც ინცებენ ნულიდან და ყველაფერს აკეთებენ მიზნის მისაღწევად! ამასთან, ძალიან რომანტიკული, მზრუნველი და ყურადღებიანი უნდა იყოს. რაც მთავარია, უზომოდ უნდა ვუყვარდე.



# ბიბნოლი აზტები

**პალპაციისი:** დიდების სურვილი არის მხოლოდ იმის სურვილი, შენს მსგავსებს მოსწონდე.

**პასიონა:** ჭეშმარიტად დიდი ადამიანი იგია, ვინც შეძლო და დაეუფლა თავის დროს.

**პოლორისი:** მოყვრის სიყვარული არის ის გრძნობა, რომელიც დგას ადამიანსა და სიკვდილს შორის.

**ლაროშაპო:** ადამიანი უნდა დავაფასოთ არა მისი ნიჭის, არამედ, იმის მიხედვით, თუ როგორ იყენებს იგი მას.

**ლაბაროშარი:** ადამიანები ჩივიან, გარდასული დღეები გონივრულად რომ ვერ გამოიყენეს, მაგრამ, ჭკუას მაინც ვერ სწავლობენ და არც დარჩენილ დღეებს იყენებენ უკეთესად.

**პაიკური:** ღმერთი რომ ყოველ თხოვნას ასრულებდეს, უამრავი ადამიანი დაიღუპებოდა, რადგან ისინი ხშირად უსურვებენ ერთმანეთს ბოროტებას.

**პაფი:** ყველაფერი, რაც შექმნილია ცდითა და შრომით, უნდა ითქვას, რომ, შეუძლია, დაანგრის ერთმა უბრალო, უკმეხმა სიტყვამ.

**ციტარონი:** ხელმომჭირნობა კეთილდღეობის მნიშვნელოვანი წყაროა.

**ჩისტარვილი:** ძნელია იმის თქმა, ვინ უფრო სულელია - ის, ვინც ბოლომდე სრულ სიმართლეს ამბობს, თუ ის, ვისგანაც საერთოდ ვერასოდეს გაიგებ სიმართლეს.

**თიოფრასტა:** ვინცერთ რა ცხოვრებას, იმ დღიდანვე ვკვდებით, ამიტომ, დიდების გამოკიდებაზე უსარგებლო რამ არ არსებობს.

**პოპენარბი:** მონონების ხელოვნება - ეს მოტყუების ხელოვნებაა.

**საპეპლა:** მთავარი ის კი არ არის, ვინ გაგაჩინა, არამედ ის, თუ ვისთან მეგობრობ.

**სანტ-პეპეპარი:** სიყვარული და მეგობრობა ერთიმეორის თვალში ცქერა კი არ არის, არამედ ერთი მიზნისკენ ცქერაა.

**ფულიარი:** მადლიერება ყველაზე უმცირესია სათნოებებში, მაშინ, როცა უმადურობა ყველაზე დიდი ნაკლია.

**ლაფი:** მატერიალური მადლის უკეთური გამოყენება ხშირად უდიდესი უსიამოვნების საწყისია.

**ტილსტონი:** იცოდე ზედმეტად ბევრი ან ზედმეტად ცოტა, ხელს უშლის დაბლობებას.

**მარა ტპენი:** თუ თქვენ შეამჩნევთ, რომ უმრავლესობის მხარეს ხართ, სასწრაფოდ შეიცვალეთ აზრი.

**პანტი:** თუ ბავშვს სისულელისთვის დავსჯით, ხოლო სიკეთისთვის დავაჯილდოვებთ, მაშინ ის სიკეთეს მხოლოდ პირადი მოგების მიზნით გააკეთებს.

**მაბარდაპვილი:** აზროვნება რიტმში ჩაჯვრდება ან რიტმიდან ამოვარდება.

**ლაო ქი:** მე ვფლობ სამ საგანძურს და თვალისჩინივით ვუფრთხილდები მათ. პირველს ჰქვია სიყვარული, მეორეს ჰქვია ზომიერება, მესამეს - მორჩილება; მორჩილება, ანუ ის, რისი წყალობითაც სიმშვიდე შეუფლება.

**ბაბანი:** ხშირად ქალებს ჰგონიათ, ინიციატორს მოპოვებენ, თუკი იმის საწინააღმდეგოს გააკეთებენ, რასაც მამაკაცი მათგან ითხოვს.

# თუ გავიხსენოვთ

1. ბავშვებისთვის განკუთვნილ მსოფლიო რუკაზე, დიდი ბრიტანეთის კუნძულებზე, გამოსახულია ციხესიმაგრეები მოჩვენებით: მამაკაცი ჩიბუხითა და ლაბადათ და მალვიძარა. **რა დროს უჩვენებს საათი?**

2. 1759 წელს არტურმა ცხრაათსწლიანი არენდით აიღო ნახევრად დანგრეული შენობა, რომელშიც დაიწყო შავი ლუდის წარმოება და თავდაპირველად სწორედ ამით გათქვა სახელი, თუმცა მსოფლიო მას სულ გვიან დამსახურებისთვის იცნობს, რომელიც თავის ძმასთან ერთად მიუძღვნა კაცობრიობის უნიკალურ ფენომენს. **რა?**

3. ყველამ იცის, რომ ევროპული რკინიგზის ლიანდაგებს შორის მანძილი გაცილებით მცირეა, ვიდრე ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მოქმედი რკინიგზისა. 1 425 მილიმეტრი რომ დაემრგვალებინათ, საბჭოთა კავშირმა გაზარდა და ამ ტერიტორიაზე ეს მახასიათებელი 1 524 მილიმეტრი გახდა, ანუ, 5-ს გაუტოლეს, თუმცა, არა ქვეყანაში მიღებული ზომის ერთეულით. **დასახელოთ ეს ერთეული.**

4. ხშირად, ცნობილი პიროვნებების იმიჯის ასამაღლებლად, ხაზი რომ გაუსვან, როგორი კეთილები და ბუნების მოყვარულები იყვნენ ისინი; ნერუნ, თუ როგორ არ მოკლა ესა თუ ის ცხოველი ნადირობის დროს. თუმცა, ამერიკის პრეზიდენტმა მართლა არ ესროლა დათვის ბელებს და, ამის შემდეგ, ყველა დათვის ბელს, მათ შორის სათამაშოსაც, „თედის“ ეძახიან. **რომელი პრეზიდენტის სახელი დაარქვეს ამერიკელებმა დათვისებს?**

5. აბატმა შარლ მიშელ დელემა მეთვრამეტე საუკუნეში შექმნა ანბანი, რისთვისაც საფრანგეთის ნაციონალურმა ასამბლეამ აბატი კაცობრიობისთვის სიკეთის მომგან ადამიანთა სიაში, მისი შექმნილი სკოლა კი - სახელმწიფო აპუტურობის ქვეშ აიყვანა. **ვისთვის შექმნა ან-**

## ბანი დელემა?

6. ამ პროდუქტის ტერმინი ოფიციალურად კანონთა აქტებში დაფიქსირდა ელიზაბეთ პირველის დროს. 1751 წლის 9 ივნისის ბრძანებაში მითითებული იყო ჩამონათვალი, ვის ჰქონდა მისი დამზადების უფლება. შემდეგ ის მხოლოდ 150 წლის შემდეგ გამოჩნდა ბრძანებულებაში, რომელიც მისი დამზადებისა და ვაჭრობის სახელმწიფო მონოპოლიის შემოღებას შეეხებოდა. **დასახელოთ ტერმინი.**

7. გლობალიზაციის სპეციალისტების კვლევებით, ინფორმაციის გავრცელების პროგრესული ტექნიკური საშუალება 1446 წელს გამოჩნდა - სტამბა: მეორე ნახიჯი მხოლოდ 450 წლის შემდეგ გადაიღდა - ტელეფონის გამოგონებით; მესამე - 20 წლის შემდეგ, რადიოს შექმნით და, მეოთხე - 50 წლის შემდეგ. **რა დასახელებს მათ ინფორმაციის გავრცელების მეოთხე საშუალებად?**

8. ევროპის ამ ადგილს ყოველწლიურად 250 ადამიანი ლაშქრავს, თუმცა, მეთვრამეტე საუკუნეში ის „ნაძრახად“ ითვლებოდა და ახლოსაც არავინ ეკარებოდა, რადგან, ფიქრობდნენ, რომ იქ ბოროტი სულები ცხოვრობდნენ. მაგრამ, ნაპოლონ მესამის ძალისხმევით, იქამდე გზა გაიყვანეს, 1901 წელს კი რკინიგზაც დაიგო. **რა ჰქვია ამ ადგილს?**

9. საფრანგეთის გრენობლის ფუნქციონირის ვაგონები გამჭვირვალე და განსხვავებული ფორმისაა. ვაგონებს, ისევე, როგორც ამ ფორმის საგნებს, ტრადიციულად, წელიწადში ერთხელ ელბავენ. **როდის ელბავენ მათ?**

10. ნიგე „ცნობილი ავანტიურისტები“ 1991 წელს დაიბეჭდა, 1899 წელს დაბეჭდილი გამოცემის - „მეთვრამეტე საუკუნის ავანტიურისტების“ მიხედვით. **დასახელოთ ის, ვისაც რუსულ გამოცემაში იაკობი ერქვა.**

*პასუხები იხილეთ 77-ე გვერდზე*

# ქალბი... ხალხბი... ჩვეულებები

\* გარდაცვლილ მოხუც ქალთა პატივსაცემად საფლავზე სიტყვის წარმოთქმა ძველი რომაული ჩვეულება იყო, ახალგაზრდა ქალების მიმართ კი ასეთი წესი არ არსებობდა. იულიუს კეისარმა პირველმა გადაუხვია ამ ადათს, როდესაც გარდაცვლილი მუელის ხსოვნის აღსანიშნავად სიტყვა წარმოთქვა.

\* ძველ საბერძნეთში ქალი ბაზარში არ დადიოდა, ამ მოვალეობას ქმარი ასრულებდა.

\* ომის დროს აბისინიაში ჯარში ქალებიც მიჰყავდათ - ქალი ექვსი ჯარისკაცის ბარგს ეზიდებოდა.

\* კორეაში, ღამით, მზის ჩასვლის შემდეგ, მხოლოდ დედაკაცს შეეძლო ქუჩაში გამოსვლა, მამაკაცს კი - ეკრძალებოდა. ვინც ამ წესს დარღვევდა, ამართახებდნენ და აპატიმრებდნენ კიდევ.

\* ჩინეთში, თუ კაცს სიღარიბის გამო არ შეეძლო ცოლის შერთვა, უფლება ჰქონდა, განსაზღვრული ვადით დაექირავებინა სხვისი ცოლი, ვადის გასვლის შემდეგ კი ნაქირავები ქალი პატრონს - წინანდელ ქმარს უბრუნდებოდა.

\* 900-იან წლებში ინგლისის ლორდათა პალატამ განიხილა კანონპროექტი: კაცს ნება ეძლეოდა, შერთო განსვენებული ცოლის და. აქ, ზოგ ადგილას, მე-19 საუკუნის ბოლომდე, ძალაში დარჩა ძველი კანონი - ქმარს შეეძლო, აუქციონით გაეყიდა ცოლი.

\* ამერიკის ზოგიერთ შტატში განქორწინებისთვის საკმარისი იყო უბრალო მოტივები, მაგალითად, „ქმარმა ცოლს ქურდი უწოდა“, „ქმარმა სცემა მეუღლის ძაღლს“, „ქმარმა ძალით შეაჭრა ცოლს თმა შუბლზე“, „ქმარი შუალამისას დაბრუნდა შინ და აიძულა ცოლი, გამოეღობა არაკებოდა მას“, „ცოლმა უარი უთხრა ქმარს ღილების დაკერებაზე“, „ცოლი მთელი დღია სანოლში ინვა“, „ცოლმა წვერით დაითრია ქმარი სანოლიდან“ და ასე შემდეგ.

**შაბათი ორ სკლაში**

**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის პასუხი:**  
**1. a4-c2!**  
**შუადგინა შარბილ სუხიტაშვილმა**



- შეყვარებულმა მიმატოვა, თანაც გამომიგზავნა ფოტო, რომელზედაც თავის ბიჭთან ინტიმურ პოზაშია გადაღებული... მე კი ეს ფოტო მამამისს გავუგზავნე...


ამერიკელს უყვარს თავისი ქვეყანა და ვერ იტანს მათ, ვინც მის აზრს არ იზიარებს. რუსს არ უყვარს თავისი ქვეყანა და ეზიზღება ყველა, ვისაც მისი ქვეყანა არ უყვარს.

ტაქსის დისპეტჩერი:  
- ოცდამეორე, შეგიძლია მგზავრი აიყვანო, ზუსტად მაგ ქუჩაზე...  
- რა თქმა უნდა, კიდევ ორი ადგილი მაქვს თავისუფალი.  
- ოღონდ ჩქარა, 17 საათის რეისს უნდა მიუსწროს, ანკარისკენ...  
- ამის გარანტიას გაძლევ.  
- კი მაგრამ, ოცდამეორე, როგორც ვიცო, გზაზე დიდი საცობია?  
- მერე რა... ჩემი მგზავრი ზუსტად მაგ რეისის პილოტია...

- საყვარელო, წელს სად ვაპირებთ დასვენებას?  
- ჩვენი ფულის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ... საერთოდ არ დავფლილვართ.

პირველკლასელს ათლარიანი მისცეს:  
- აუ, მდიდარი ვარ!  
მეექვსეკლასელს მისცეს ათლარიანი:  
- არა უშავს „მაკონალდსში“ მაინც შევალ.  
მეთერთმეტეკლასელს მისცეს ათლარიანი:  
- ეს ფულია?  
სტუდენტს მისცეს ათლარიანი:  
- აუ, მდიდარი ვარ!  
- რა ხდება, რატომაა ჭურჭელი დამტყვრული?  
- ვჩხუბობდით.  
- დივანი რალამ ჩატეხა?  
- ვრიგდებოდით...

მხოლოდ მამაკაცი იძინებს ბოლომდე



ხმაანული ტელევიზორის წინ და იღვიძებს, როდესაც ხმას ჩაუწევს...

- გაბრაზებული ჩანხარ.  
- ხო ცოლს ვეჩხუბე... ვერაფრით შევთანხმდით, სად წავიდე დასასვენებლად... მე მინდა თურქეთში, იმას კი... ჩემთან ერთად უნდა წამოსვლა...

გიო მესამედ ქორწინდება და მამის ბუროში შედის:  
- მე - როგორც ყოველთვის...  
- ტელეფონს რატომ არ პასუხობდი?  
- აუ, რეკავდი? მე კიდევ მუსიკამ შემებიტყუა და ვცეკვავდი...  
- მამაო, შევცოდე...  
- ასეთი რა გააკეთე, შვილო ჩემო... რაში გამოიხატა შენი ცოდვა?  
- მეგრული მოვატყუე.  
- ეს ცოდვა არ არის, შვილო, ეს საოცრებაა...

გლობალურ დათბობაზე მეტყველებს თუნდაც ქალის ტრუსები, გასული საუკუნის დასაწყისში პანტალონები ეცვათ, მერე გრძელტოტიანი... მოკლე ტრუსები, ტანგა... და... ახლა ისიც გაიხადეს...

- ნუ აპყვებით ქალს ჩხუბში, თქვენ 10 წუთის შემდეგ მოგბეზრდებათ, მას კი - არა.

სეირნობდა გოგო ზოობარკში, უცბად წყლიდან მშიერმა ნიანგმა ამოყო თავი და მისკენ გამოექანა... შეხედა და მიხვდა, რომ სულაც არ შიოდა, ახლოს რომ მივიდა, იმასაც მიხვდა, რომ სულაც არ იყო ნიანგა...

- ვერ დანახეთ სიჩქარის 40 კილომეტრამდე შეზღუდვის ნიშანი?  
- როგორ არა?  
- აბა, რატომ მიქროდით 100 ლარით მეტი სიჩქარით?

## ცნობილი ჯრემიასნის ენამსხვილოყური ჯამონათქვამები

ახალგორელმა ერისთავმა ამილახვარს ქალი მიათხოვა და მზითვად სოფელი ბოლი მისცა, რომელიც მუაჯირიდან ჩანდა. ბოლოს ამ სოფლის მიცემა დაენანა და გულდანყვებილი ხშირად იტყოდა ხოლმე:  
- ეს ბოლი თვალეზსა მწვავსო.

დავით დადიანის მდივან-ბეგმა როსთო ჩიქვანმა, რომელსაც მეგრელები „როსთა-კოჭლს“ ეძახდნენ ცოლი შეირთო - ძალიან ლამაზი ქალი. ქორწილზე დაესწრო მთელი სამეგრელოს მაღალი საზოგადოება, მთავრიდან დაწყებული. ლხინი დამთავრდა. ყველა მოსასვენებლად წამოვიდა.

მეორე დღეს სიძე-ბატონი დილაადრიანად ადგა, რომ არავის ეჩვენოს ცოლის ოთახიდან გამოსული. მაგრამ „სვიმონ-გლახა“ - ქვაშიხოროს სასახლის ხუმარა - მასზე ადრე ამდგ-

არიყო თურმე და წინ შეეფეთა.

- როგორ, ამისთანა ლამაზი ცოლი შეირთე და კიდევ კოჭლობო?! - ჰკითხა ხუმარამ.

- ვითომ და რათაო? ცოლი შევირთე, თურმანიძე ხომ არ შემირთავს, რომ მივერჩინეო, უპასუხა ჩიქვანმა.

ერთი ლიტერატორი შეხვდა ნაავადმყოფარ აკაკის და უთხრა: შენი ამბავი მიტომ არ ვიკითხე, რომ არც მე და არც სხვა „ივერის“ თანამშრომლებს

შენი ავადმყოფობა არ დაგვიჯერებიაო.

- მე თქვენი სიმართლე და კარგად ყოფნა არასოდეს დამიჯერებია და თქვენც რომ ჩემი ცოტახნის ავადმყოფობა არ დაიჯეროთ, რა საბოდიშოაო? - მიუგო აკაკიმ.

ერთმა ქალმა უსაყვედურა აკაკის:

- შენი სიტყვები ლოდივით მანვეს გულზეო!

- რა ვქნა, ბატონო! მე მაინც ვერ დავიუმჯვებ თავს... ნეტავი სულაც ჩემს სიტყვებზე გადამაქციაო, - მიუგო აკაკიმ.





# როგორ ღაიქარება ქართული მსახიობი როლის ქუჩებში და რა პერსონაჟი მან

ეს ამბავი საქართველო რომ საბჭოთა კავშირის წევრი ქვეყანა იყო, მაშინ მოხდა.

როგორც ყოველთვის, ათასნაირი დაბრკოლების გადალახვის შემდეგ, ჩავალნიეთ იტალიის დედაქალაქში.

გადაღობები ვართ, ერთი მამაბაბური გამოძინება ას კილო ოქროს ვეირჩენვით.

მიგვიყვანეს და დავგაბინავს თეატრალურ მოღვაწეთათვის განკუთვნილ ერთ-ერთ სასტუმროში.

დავიძინეთ, ჩემო ბატონო. გათენდა, უფრო სწორად დილის წყნარი რიჟრაჟია.

ჩვევად მქონდა, ყოველ დღით ერთი საათი უნდა მეგარჯობა სუფთა ჰაერზე. მიჩვეულმა ორგანიზმმა ვარჯიში მომთხოვა. ნამოვხტი. ჩავიცვი უსახლო მისიური და სპორტული თხელი მარვალი. „ჩამოვიბარე“ ეზოში და დავცხე ვარჯიში – სირბილი, განმეკლავი, ბუქნები და ვარ ერთ ამბავში. საქმე სირბილზე რომ მიდგა, გავედი უკაცრიელ ქუჩაში და მივეყვი დილის სუფთა ჰაერს, თან საათს დავყურებ დროდადრო. „გაღვიძებამდე“ ვერ 40 წუთი კიდევ მაქვს. რომ ვიგრძენი, უკან დაბრუნების დროა, შემოვბრუნდი, მაგრამ მივხვდი, რომ... გზა ამერია.

შევალ ერთ „ტუპიკში“ – „ნი ტო“. დავბრუნდი უკან, ისევ უცხო ატმოსფეროში მოვხვდი. მოკლედ – დავკარგე სასტუმრო და დავკარგე მუცე.

რა ვქნა, აღარ ვიცი... დროზე სასტუმროში უნდა ვიყო, მომკლავენ „ჩვენები“ („კაგებე“), „ნა-

დზირატელებს“ ვგულისხმობ.

პოლიციელი არ გამომეცხადა იღბლად?

– რაშია საქმე? – მიმახვილდა უესტით და მიმიხვიდა.

– დავიკარგე, მსახიობი ვარ-მეთქი, – მივახვედრე მეც.

– რომელ სასტუმროში ხარ, იმას თუ მეტყვი, გეშველება შენც, მეც და ტრიფონსაცო, რა...

– რაღა ვქნა, კაცო! ენა არ ვიცი, არადა ამ პოლიციელმა არ დამიწყო იტალიური?


გონებაში მასხვოვდა, რომ სასტუმროს რომელიღაც მუსიკალური ინსტრუმენტის სახელი ერქვა, მაგრამ ფლიტა, საქსოფონი და ტრომბონი – არაფრით...

– „აკორდეონ“, – ვთქვი მორცხვად.

– პოლიციელმა ხელები მხრების სიგანეზე გაშალა – ხომ ეს თქვი?

– იეს! – ვუთხარი, რაც ვიცოდი ინგლისურად.

– ნოუ! – თქვა პოლიციელმა, – ასეთი სასტუმრო აქ ნამდვილად არაა.



დავძაბე გონება:

– ჩონგურ?

– ნოუ!

დოლი გამახსენდა, მაგრამ იტალიურად არ ვიცი, არადა, გული მიგრძობს „ზედა ვარ“. როგორ მივახვედრო?

– ტაური, ტაური, ტაური, დიმიტაური... ტაური... დავიცხე მუხლებზე ხელი... არა? არც ეს? რაღა ვქნა?

ვიღაცა რუსულის მცოდნე ქალი გვაკვირდებოდა შორიდან. მერე მოვიდა და ჩავკვიდა, რას ნვლობო, რას ჩალიჩობო, იტალიური ცოდნა.

პოლიციელმა უთხრა:

– უთარგმნე ერთი მაგას, ინსტრუმენტის სახელის პირველი ასო მაინც გაიხსენოს, დანარჩენი მე ვიცი მერე.

– თუ შეიძლება მთლიანად ვიტყვი-მეთქი, – გამინათდა გონება.

გაუფხარდა: – მიდოი.

– ჰიანიხო... ჰიანიხო...

– არა, არც მასეთი სასტუმრო ვიციო, – შენუხდა კაცო.

ჩართო რაცია ამ პოლიციელმა და რუსეთის საელჩოს დაუკავშირა, ნახევრად გახდოი თქვენი მოქალაქე ვნახე აგერ ქუჩაში, მომეხმარეთ, გამარკვევინეთ, ვინაა, რა სულიერიოა.

– ვინაა, რა კაციაო? – იკითხეს რუსებმა.

– მსახიობიაო, – ანან.

– ნუ ი არტისტი! – ისმის რუსულად საელჩოდან.

თავი რომ აღარ შეგანყინოთ, მოგრიალდა მანქანა და მიმიყვანეს ჩემს სასტუმროში.

არ გაინტერესებო, რა ერქვა სასტუმროს? „როიალი“!

**მსახიობ კოტე თოლორაიას ნამუშობის მიხედვით მოამზადა შურაბან მარკვილიძე**

## (76-ე გვერდიდან)

მავლობაში უსმელ-უქმელად ამყოფა, თან ტანჯავდნენ თავისი სარწმუნოების ერთგულ ქართველებს არაბები. მაგრამ, ქრისტეს ერთგულებისათვის დაითმინეს წმიდანებმა ყოველივე.

მერე მურვან ყრუმ ხალხი მოუგზავნა და მოსთხოვა, მიეღოთ მამამადის რჯული, მაგრამ, არგვეთელმა ძმებმა კვლავ უარი განაცხადეს.

განრისხებული ბრმა მურვანის ბრძანებით, ქართველი წმიდანები ისევ ტანჯეს, მერე ხელფები შეუკრეს, ქეები დაჰკიდეს და მდინარე რომში ჩაყარეს, როგორც ერეს „დავითისა და კონსტანტინეს ნამების“ უცნობი ავტორი.

ღამით იმ ადგილს სამი ნათლის სვეტი დაადგა. ქართველებმა მოახერხეს და ნამებულის ძმების ცხედრები გადასვენეს მდინარე წყალნიეთელას ხეობაში, სადაც მურვან ყრუმ დიდი ციხე-ქალაქი გაანადგურა. იქ, მთაზე, დარღვეულ ეკლესიაში უპოვიათ აკლდამა, სადაც არავინ იყო დასაფლავებული და იმ აკლდამაში დაკრძალეს არგვეთის წმინდა ერისთავები. შემდეგში მათი დაფლვის ადგილზე აშენებულ მონასტერს მონამეთა ეწოდა.

ყრუ მურვანი, თავისი ჯარითურთ, სამეგრელოში გადავიდა და ლეგენდარული ქუჯის ქალაქს, ციხე-გოჯს (ნოქალაქებს) მიადგა. მართალია, ციხე-გოჯი აიღეს, მაგრამ, მალე ენათი ურჯულოებს ღვიის რისხვა.

მურვან ყრუს ჯარი ისეთი მრავალრიცხოვანი იყო, რომ მათი არაბები მდინარეებიდან – ცხენისწყლიდან და აბაშიდან – აფხაზეთამდე უნედა თურმე.

განვიმდა და სეტყვა და კოკისპირული წვიმა დაატყდა თავს არაბების ლაშქარს. ადიდებულმა მდინარე აბაში წაიღო და დაახრჩო აბაში-არაბთა უამრავი მებრძოლი, მდინარე ცხენისწყალმა კი ოთხი ათასამდე ცხენი მოსტაცა დამსჯობლებს და დაუხრჩო. იმ ამბების მერე ეწოდა ამ მდინარეებს აბაში და ცხენისწყალი, როგორც გვამცობს უცნობი ქართველი მწერალი.

## როგორ აიპოვეს თითქმის მთელი საგვარეულო პერვან ყრუს, როგვლმას ღავით და კონსტანტინე ხეიქიაზი ანაბა და საქართველო აიოსრა

ქართველებთან ბრძოლებში და სტიქიური უბედურებით საგრძნობლად დასუსტებული ჯარით „ჯორი მარვანი“ აფხაზეთში გადავიდა და ანაკოფიის ციხე-ქალაქს მიადგა, სადაც ქართლის ერისმთავარმა შირიმ და მისმა ძმამ, მომავალში წმიდა მეფე არჩილმა, მათი ვასალებით, გააჩერეს მტერი და მარცხი აუნეის. ამ ბრძოლაში შირი სასიკვდილოდ დაჭრეს და, ვინაიდან მას მხოლოდ შვიდი ასული ჰყავდა და ვაჟი არა, ქართლის ერისმთავრის ტახტზე არჩილი ავიდა.

ამით არ დასრულებულა რისხვა უფლისა მურვან ბრმის თავზე. რამდენიმე წელიწადში, 743 წელს, მურვან ყრუმ (ჯორმა) მიეტყო, რომ მისი ბიძაშვილი, ხალიფა ჰიშამი მოკლეს. იგი სასწრაფოდ გაემართა დამასკოში და 744 წელს ხალიფას ტახტიც დაიკავა.

ახალ ხალიფას, მარვან მეორეს ჰყავდა ორი ვაჟი – უბეიდალა და აბდალა, რომლებიც ეხმარებოდნენ მამას ქვეყნის მართვაში, მაგრამ, დიდხანს არ გაგრძელებულა მარვან ჯორის ხალიფობა: ჯერ ირანში მიტევი აუჯანყდნენ; მერე მესოპოტამიაში, ტიგრისის ჩრდილო მენაკადის, მდინარე ზაბის ნაპირებთან, მისი არმია სასტიკად დაამარცხეს მუჰამედის ბიძაშვილის, აბდალა იბნ აბასის შთამომავლის, აბუ-ალ-აბასის მომხრეებმა. ამ ომში, პრაქტიკულად, განყდა ომაიანების (ომაიდების) მთელი საგვარეულო. სამასამდე ომაიდი დახოცეს აბასიდების მეომრებმა – ფაქტობრივად, მთელი საგვარეულო. გადარჩა მხოლოდ ორიოდე ადამიანი, რომლებიც ესპანეთში გაიქცნენ და კურდობის საამირო დააარსეს. მურვან ყრუს ვაჟები კი გაიქცნენ ეთიოპიაში, სადაც უბეიდალა მოკლეს.

აბუ-ალ-აბასი ხალიფას ტახტზე ავიდა, მა-

გრან ჯორი კი ჯერ დამასკოში, მერე პალესტინაში, იქიდან კი ეგვიპტეში გაიქცა. მაგრამ, ეგვიპტეში მურვან ყრუ შეიპყრეს და 750 წლის 6 აგვისტოს სიკვდილით დასაჯეს.

სხვათა შორის, მაშინ განწივრდა საქართველოს სხვა, უფრო ადრინდელი დიდი მტრის, პომეუსის ისტორია – ისიც რომიდან ეგვიპტეში გაქცეული მოკლეს, ძველი ნელთალრიცხები 48 წლის 28 სექტემბერს.

მურვან ყრუს ლაშქრობას მოჰყვა ტფილისის საამიროს შექმნა. არაბებმა, თითქმის ასწლიანი ომის შედეგად, ძლივს მიადნეს ამგვარ წარმატებას, თუმცა, დასავლეთ საქართველოში დიდხანს ვერ დაჰკვიდრდნენ. ტფილისის ამირებიც ცდილობდნენ ხალიფას ხელისუფლებისგან გათავისუფლებას.

წმიდა დავით და კონსტანტინე მხეიძეების ნამების ადგილას მრავალი სასწაული აღსრულდა. მათ შორის, მეოცე საუკუნეშიც.

1923 წელს ურწმუნო და უეროვნებო ახალგაზრდა ბოლშევიკებმა გაძარცვეს და დაარბიეს მონამეთას მონასტერი. მარვან ჯორის მსგავსი არაადამიანები წმიდა ძმების, დავითისა და კონსტანტინეს წმინდა ნაწილებს ქუთაისის ქუჩებში დაატარებდნენ და ხალხს აჩვენებდნენ. თურმე, უნდოდათ, რომინი გადაეყარათ, მაგრამ, მოულოდნელად ქარი ამოვარდნილა და სეტყვა ნამოსულა. ამის გამო, უღმერთობებმა ვერ მოახერხეს მდინარემდე მიღწევა. ამით უსარგებლია შესანიშნავ ადამიანს, ქუთაისის საისტორიო საზოგადოებას და მუზეუმის დამაარსებელსა და პირველ დირექტორს, უღმერთობებმა ვერ მოახერხეს და გმირი ძმების წმიდა ნაწილების მუზეუმში გადაბარებება მოუხერხებია.

1954 წელს წმიდა ძმების წმიდა ნაწილები ისევ მონამეთას მონასტერში გადაბარდნეს.

**გიორგი მანოუკიძე**



მირანდა სეიდიშვილი ბათუმში ცხოვრობს და საბავშვო ბაღში მასწავლებლად მუშაობს. თუმცა ის სულით და გულით ხელოვანია და ეს მის ნამუშევრებშიც კარგად ჩანს. დაახლოებით სამი წელია, რაც ქალბატონი მირანდა ქალაქისკენ არაჩვეულებრივ ნივთებს ამზადებს – ეს არის უძველესი ხელოვნება „ქვილინგი“, ანუ, ქალაქის დახვევის ხელოვნება, რომელიც ბევრ ქვეყანაშია პოპულარული. ქალბატონი მირანდას ნამუშევრები ფერთა ლამაზი შეხამებით გამოირჩევა და, მათი ნახვისას, თუნდაც მხოლოდ ინტერნეტში, ადამიანი რომანტიკულ განწყობაზე დგება.

## ვინ არის ქართველი თვითნასწავლი ხელოვანი, როგორ „ქვილინგი“ ათონის მთაზე ინახება და რატომ ანალოგიურ ვაშლს მისი ხელოვნების დღეების გაუქმებას

**მირანდა სეიდიშვილი:** ეს არის საქმე, რომელიც ძალიან მიყვარს. თვითნასწავლი ვარ, არასდროს მისწავლია, არც არასდროს დამიხატავს. მუდმივად ვცდილობ, ჩემი ნამუშევარი ჩემთვის იყოს, ჩემი ხელნერა ჰქონდეს და ყველასგან განსხვავებული გამოვიდეს. ზუსტად სამი წლის წინ, მამის გარდაცვალებიდან ორი თვის შემდეგ დავიწყე ამ საქმის კეთება – ვცდილობდი, ნერვოზობიდან ყურადღება სხვა რამეზე გადაემტკიცებინა. ქალაქში ვერ კბილის ჩხორით ვმუშაობდი და ძალიან პატარა, პრიმიტიული ხე ვაკეთებდი. იმდენად დამამშვიდად მუშაობის პროცესში, რომ მერე პატარა ჭიამაია ვაკეთებდი, ისიც რომ გამომივიდა მივხვდი, ეს საქმე ძალიან მომწონდა და გადაწყვიტე, უფრო ხარისხიანი ქალაქში მემეცინა და ისე გამეგრძელებინა საქმიანობა. კბილის ჩხორით მუშაობა საქმეოდ რთულია. ჩემი რძალი, რომ იტყვიან, ძალიან პრაქტიკული ქალია – მან მახათი გადამიჭრა, თვალის ფანქარში ჩამიმავრა და ახლა ეს არის ჩემი ინსტრუმენტი. ერთხელ დამეკარგა და ძალიან ვინერვიულე, რადგან, ხელი უკვე მიჩვეულია. ზოგადად, მუშაობის პროცესი ძალიან საინტერესო და ლამაზია. თვითონ კულტურა საქმეოდ ძვილია და რა თქმა უნდა, ჩემი გამოგონებული არ არის. „ქვილინგი“, ანუ ქალაქის დახვევის ხელოვნება, მეცამეტე საუკუნიდან იაპონიაში იღებს საფუძვლს. ადრე, თურმე, ოქროს ძაფებით მუშაობდნენ. როდესაც ამის შესახებ ინტერნეტში მოვიძიე ინფორმაცია, აღმოჩნდა, რომ, ჩემსავით გადაჭრილი მახათით კი არ მუშობენ, ყველაფერი აქვთ: სახაზავები, ფორმები, ყველანაირი ტექნიკა, რაც ამ საქმისთვის არის საჭირო. მე კი ამ ყველაფერს ჩემი ხელით, გადაჭრილი მახათითა და ფანტაზიით ვაკეთებ და არასდროს არავისგან არაფერი არ ვადამილია.



**როგორი შეფასებები მიიღო თქვენმა პირველმა ნამუშევრებმა?**

პირველმა ნამუშევარმა მოწონება დაიმსახურა, თუმცა, მეზუმერობდნენ, სიბერეში რა ნიჭი აღმოვაჩნდა, სად იყავი აქამდეო. ამან ძალიან დიდი სტიმული მომცა და უფრო გავთამამადი. ჩემი მეგობრის მეუღლეს სასტუმრო აქვს და, როდესაც მისი გახსნისთვის ემზადებოდნენ, ნამიყვანეს; აბსოლუტურად ყველა ნომერი ვნა-

ხე, ჩავიწერე ფერები და, მერე, სურათებითა და ჩარჩოებით თითოეული ოთახის დეზაინი შევქმენი. დაახლოებით 25 ნამუშევარი იყიდა სასტუმრომ. ძალიან ლამაზი გამოვიდა, ორიგინალური, თემა ისევე და ისევე ყვავილები იყო.



**კბილის ჩხორით მუშაობა საქმეოდ რთული იყო. ჩემი რძალი ძალიან პრაქტიკული ქალია: მან მახათი გადამიჭრა, თვალის ფანქარში ჩამიმავრა და ახლა ეს არის ჩემი ინსტრუმენტი**

**როგორ ქალაქის იყენებთ სამუშაოდ?**

ეს არის იტალიური ქალაქი, პალიტრის, 220-გრამიანი, არ უნდა იყოს შეღებილი. უმაღლესი ხარისხის ქალაქია. სურათის მოცულობაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. დაახლოებით 3-4 დღე მაინც უნდა ერთ ნამუშევრს. როგორც ყანისნაღები მუშაობს ძაფზე, ასევე მუშაობს ქალაქზეც. ძალიან ჩახლართული ფიგურებია... ჯერ ვიღებ ჩარჩოს და მის მიხედვით ვარჩევ ფერებს, თუმცა, თავიდან არასდროს ვიცი, რა გამოვა, მიყვები და მუშაობის პროცესში ვიღებ შედეგს. ქალაქებს ბათუმში ვყიდულობ და ფერები სულ გამოვლიე. ჩემი გგონა თურქეთში სწავლობს და ზოგჯერ მას ჩამოაქვს ან მე ჩამომაქვს. ყველას ვეხვევები და ყველგან ვიქვებ საკანცელარო მალაზიას. ჩემი მეუღლე პოლიგრაფისტი, ძალიან მეხმარება და მადლობა მას ამისთვის. მოუხედავად იმისა, რომ მხატვარი არ ვარ, არასდროს მისწავლია ხატვა, ფერთა შეხამება ძალიან კარგად ვაძლავდი.

**ძირითადად რაზე გაქვთ შეკვეთები?**

სურათების გარდა, ვაკეთებ საქორწილო მოსანვევებს; ასევე, მთხოვენ ნიშნობის სუფრის გაფორმებას – მუშუნიბიან, მაგიდა როგორ ფერებშია და მერე მე ვაფორმებ; ლამაზი და ორ-



იგინალური გამოდის. ერთხელ ჩემს გოგონას თმის სამაგრი ვაგუკეთე, ძალიან ლამაზი, ორიგინალური გამოვიდა და დიდი მოწონებაც დაიმსახურა. უბრალოდ, რადგან ქალაქისგან მზადდება, მაინც დროებითია. სურათები კი დიდხანს ძლებს. „აბადოები“ გამოდის ძალიან ლამაზი; ვაკეთებ „სასალფეტკებს“, აქსესუარებს. ერთ-ერთმა დეზაინერმა მთხოვა, იქნებ, ქსოვილზე იმუშაოო. არ ვიცი, ვფიქრობ და, ზოგადად, ბევრი იღეა მაქვს; უბრალოდ, მარტო ვმუშაობ და ცოტა რთულია. ერთი სურათი მაქვს, სადაც ქალია გამოსახული, რომელსაც საქორწილო კაბა ჩავაცვი – ძალიან ლამაზი გამოვიდა, ისევე, როგორც ბალერინა გოგონა. ბევრი რამის მოფიქრება შეიძლება, ქსოვილზეც შეიძლება გადატანა. ეიფელიც ვაკეთებ და ძალიან ლამაზი გამოვიდა, ისევე, როგორც პეპლები, ყვავილების თაიგულები. სულ ვცდილობ, ახალ-ახალი რაღაცეები მოვიფიქრო. შიდა გულს ყოველთვის ძვირად ღირებული მშალერისგან ვაკეთებდი. ახლა ხვერდი გამოვიყენე და უფრო ლამაზი და ორიგინალური გამოვიდა. შეიძლება, უფრო ძვირი ჯდება, მაგრამ, იმდენად ლამაზია, რომ მიღირს... დიდი სიამოვნებით ვიმუშავებდი კედელზე.

### – უცხოეთშიც ხომ არ არის თქვენი ნამუშევრები?

თბილისში ტურისტული სააგენტო ელოდება ერთ ქალბატონს ევროპის ქვეყნიდან და პირდად მისთვის ვამზადებ „მენიუს“ – „სასალფეტკებზე“, მოკლედ, ყველაფერზე იქნება მისი ლოგო დამატებული და ეს ლოგოც მე უნდა ვაგუკეთო, თავისი ინიციალებით. ალბათ, შემდეგ ნაიღებს. ახლა სახლში 40 ნამუშევარი მაქვს. თურქეთიდან მივიღე მონევა – ქართული ასოციაციის ოფისი იხსენება და ჩემი ნამუშევრებით უნდა გაიხსნას. მიხდოდა, ქართული ხაზით ვავსულებავი, ამიტომ, გვაჯკეთე ვაზი და საქართველოს რუკა, რომელიც ძალიან ორიგინალურია. ჯერჯერობით თბილისში არ ჩამობ-



იტანია ჩემი ნამუშევრები, თუმცა, ბათუმში მაქვს შეკვეთები – ამაზე ნამდვილად ვერ დავინუნუნებ.

### – ალბათ, გაქვთ განსაკუთრებულად საყვარელი ნამუშევარი.

თბილისელი მეგობარი მყავს, რომლის მეუღლესაც მონასტერში მუშაობს. როდესაც ის ათონის მთაზე მიდიოდა, საჩუქრად ჩემი ერთი ძალიან კარგი ნამუშევარი ვაგვტანე. როგორც ვაკვირებ, ძალიან მოწონებიათ და დღემდე ათონის მთაზეა. შემდეგ იქიდან ივერის ლეთისმშობლის ხატი ჩამომიტანეს, რომელიც ჩემი ფანტაზიით მოვრთე და ძალიან მიყვარს. ბათუმში მეუფის რეზიდენციასთან ახლოს ვცხოვრობ. ჩემს მეგობარს, დედა თეკლას გადავიცი ნამუშევარი, რომელიც მეუფის დიმიტრის აჩუქა, რაც ძალიან მახარებს.



როგორ ახერხებს  
ანა კოვიანი  
ყაზანი ვეუდლის  
ნათესავების  
გაოცებას  
და რატომ  
გადაწყვიტა მან  
ფსიქოლოგის  
კარიერის  
გაკეთება

83. 22



83. 14

ვისთან  
საუბარი  
აუკრძალა  
გიორგი  
კეკელიძემ  
საკუთარ  
თავს პირად  
ცხოვრებაზე და  
როდის გახდა  
ბიზნისოთიკის  
დირექტორი  
მოდური



83. 79

რას აკეთებს  
მერი ტარიელაშვილი  
მიზნის მისაღწევად  
და ვინ დაუნერა  
მას აივნის წინ  
- „მე <3 მერი“

83. 83

როგორი იქნება „ამირანის“  
საეცნოური ვარჯიშების სისტემა  
და დაემსგავსებინა თუ არა მისი  
მიმღებარი ქართველი ქალები და  
მამაკაცები კვლევი ლაბენდების გვირგვინს



საქართველო ბეჭედი ბაჯალ თბილისი - შიგ ჩასმ ბადახში

# თბილისელი

ყოველკვირეული ჟურნალი \* გამოდის ორშაბათობით 1 - 7 სექტემბერი \* №35 (714) ფასი 1,50 ლარი

www.tbilisebi.ge